საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№21 (350)
8 – 14 ივნისი, 2016

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

**უკრაინაში რეგულარულად აწამებენ ადამიანებს, იქ შექმნილი აქვთ საიდუმლო საპყრობილეები** 19



«ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ჩვენს საზოგადოებაში ასეთი წარმატებული პიროვნების აღმოჩენა და პრეზიდენტის არჩევნებში კენჭისყრაზე მისი თანხმობის მიღწევა მოხერხდა... ჩემი აზრით, გიორგი მარგველაშვილი არის საუკეთესო ვარიანტი, იდეალური ვარიანტი, ესეც ვიტყოდი, თუ რამე თვისებები და ღირსება შეიძლება ადამიანს ქონდეს ამ პოსტზე, ყველა ღირსება აქვს გიორგი მარგველაშვილს»

ბიძინა ივანიშვილი, 2013 წ.



«გიორგი კვირიკაშვილი ჩემთვის აღმოჩენაა ადამიანობის, წესიერების, უანგარობისა და განწყობის იმისა, რომ თავის ქვეყანას ემსახუროს და მხოლოდ იგივე დანიშნულება, იგივე მიზანი აქვს გიორგისაც. მე შეიძლება, ქონებრივად უფრო მეტი გამაჩნდეს, მაგრამ ნაკლების შემძლე გიორგის ჩემზე არანაკლები განწყობა აქვს»

ბიძინა ივანიშვილი, 2016 წ.

# ერთი ბიძინა, ორი გიორგი და ოცნების მეოთხე წელიწადი 2



**«ამერიკელები, ჩვენი პარტნიორები კი არა, დირექტორები არიან»** 8



მამა დავითი (ლასურაშვილი): 5

**«ჩვენ არ გვჭირდება ისეთ სახელმწიფოსთან პარტნიორობა და მით უმეტეს მის პოლიტიკურ ორბიტაზე გადასვლა, რომლის ერთ-ერთი ამოცანა მსოფლიოში ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდაა»**



გივი თედელური: 12

**«ტერიტორიების დიდი ნაწილი, რომლებზეც მეტროპოლიტენის სადგურები უნდა აშენებულიყო, გაყიდულია!»**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მთავრობამ კორცხელის ინციდენტში მონაწილე პირები, სპორტსმენები და რიგითი მოქალაქეები, უნდა დასაჯოს და „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლებს 9 წლის განმავლობაში ჩადენილი უამრავი დანაშაული — ტერიტორიების დაკარგვა, ქუჩაში ახალგაზრდების დახვრეტა, ბიზნესმენთა დატერორება, განათლებისა და მეცნიერების, სპორტის, კულტურის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის გაპარტახება — „ძალიან სამარცხვინო“ არ არის და უნდა ეპატიოს? უნდა ეპატიოს მართლმადიდებელ ეკლესიის, პატრიარქის, ყველა მართლმადიდებლის რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა?**



## თამაზ მეჭიაურმა პარტია შექმნა

**პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ თამაზ მეჭიაურმა ახალი პარტია შექმნა. პარტიის სახელწოდება „თამაზ მეჭიაური — ერთიანი საქართველოსთვის“.**

პარტიის სახეები იქნებიან კომპოზიტორი ჯემალ სეფიაშვილი, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის ყოფილ მოადგილე სანდრო ბრეგაძე, „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული გუნდის დაფუძნებელი დავით ფაცაცია, ჟურნალისტი ლალი მოროშკინა და მოკლული ბუტა რობაქიძის დედა ია მეტრეველი. პარტიის დასარეგისტრირებლად ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში განაცხადი უკვე შეტანილია.



## გერმანიის წამყვანი პოლიტიკური ძალები საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის დაწესების წინააღმდეგ გამოდიან

**გერმანული გამოცემა „ბილდი“ წერს, რომ გერმანიის წამყვანი პოლიტიკური ძალები საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის დაწესების წინააღმდეგ გამოდიან. შესაბამისი განცხადებები ფრაქცია ქრისტიან-დემოკრატიული კავშირისა და ქრისტიან-სოციალური კავშირის ბლოკში გაკეთდა, რომლის თავმჯდომარეც არის გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი.**

გამოცემასთან საუბარში ბუნდესტაგის დეპუტატი არმინ შუსტერი აცხადებს, რომ თავშესაფრის მაძიებლები საქართველოდან გერმანიაში ორგანიზებულ დანაშაულში სხვა უცხოელებზე მეტად არიან ჩართული. შუსტერის თქმით, ქართული კრიმინალური დაჯგუფებები გერმანიაში წამყვან ძალად იქცნენ, რომლებიც ბინების ძარცვით არიან დაკავებულნი. დეპუტატი მოსაზრებას გამოთქვამს, რომ საქართველოსთან ვიზალიბერალიზაციის დაწესება გერმანიაში კრიმინალის გაზრდას შეუწყობს ხელს.

დეპუტატი ჰანს-პეტერ უჰლი კი ამბობს, საქართველოსთან უვიზო რეჟიმის დაწესება გერმანიაში უკონტროლო მიგრაციასა და კრიმინალის ზრდას, ხოლო საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრება რუსეთთან კონფლიქტის ესკალაციას გამოიწვევს. როგორც გერმანიის კრიმინალური პოლიციის მუშაკთა კავშირის თავმჯდომარე ანდე შულცი „ბილდთან“ საუბარში აცხადებს, ქართული მაფია „მიზანმიმართულად გზავნის საქართველოდან გერმანიაში კრიმინალებს“, რის შემდეგაც აღნიშნულ პირებს პოლიტიკური თავშესაფრის მიღებაზე შეაქვთ განაცხადი და, ვიდრე შესაბამისი სტრუქტურა მათ საქმეს განიხილავს, დანაშაულებრივ ქმედებებს სჩადიან.

# ერთი ბიძინა, ორი გიორგი და ოცნების მეოთხე წელიწადი

# ეს ხომ უკვე ვნახეთ?!





**საპარლამენტო არჩევნებამდე 4 თვე დარჩა და საქართველოს ყოფილი პრემიერმინისტრი ბიძინა ივანიშვილი თავგამოდებით ცდილობს რეიტინგდაცემული „ქართული ოცნების“ რეპუტაციის რესტავრირებას. „ქართული ოცნების“ რეპუტაციის შელახვა კი ქვეყნის არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობის, სამართლიანობის აღდგენაზე უარის თქმის, ქართველი ხალხის სისხლში ხელგასვრილ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ კოაბიტაციის, თითქმის ნულოვანი რეიტინგის მქონე რესპუბლიკელების ხელისუფლებაში მოყვანისა და მათთვის საკვანძო თანამდებობების ჩამორიგების შედეგია.**

**30 მაისს ბიძინა ივანიშვილმა გამოაქვეყნა ღია წერილი, რომელშიც მის მიერ „დატოვებული მთავრობის“ 4-წლიანი მოღვაწეობა ისე წარმოაჩინა, გეგონებოდათ, საქართველოზე კი არა, შვეიცარიაზე ლაპარაკობდა ან, სულაც, სხვა გალაქტიკის რომელიღაც პლანეტის სახელმწიფოზე, 7 ივნისს კი ოქროყანაში მდებარე „ტექნოპარკში“ ეროვნული მაუწყებლობის წარმომადგენლებს — ჟურნალისტებს, შეხვდა და კიდევ უფრო გამაოგნებელი ფრაზები წარმოთქვა. აი მათგან რამდენიმე:**

*** „არაფერი პირადი ინტერესი არ გამაჩნია, გარდა იმისა, რომ ჩემი ქვეყანა სწორი გზით ვითარდებოდეს და შენს ქვეყანაში, შენს საყვარელ ხალხთან ერთად გეცხოვრებოდეს. გიორგი კვირიკაშვილი ჩემთვის აღმოჩენაა ადამიანობის, წესიერების, უანგარობისა და განწყობის იმისა, რომ თავის ქვეყანას ემსახუროს და მხოლოდ იგივე დანიშნულება, იგივე მიზანი აქვს გიორგისაც. მე შეიძლება, ქონებრივად უფრო მეტი გამაჩნდეს, მაგრამ ნაკლების შემძლე გიორგის ჩემზე არანაკლები განწყობა აქვს. მხოლოდ ამისთვის არის მთავრობა და მხოლოდ გიორგი არ არის მთავრობაში ასეთი. არიან სხვებიც, მაგრამ გიორგიზე შემიძლია გავაკეთო აქცენტი, საოცარი პიროვნებაა, ჩემი ახალგაზრდობის ოცნების ადამიანი ვნახე გიორგიში. იმდენად დაბალანსებულია, იმდენად ადამიანურია, იმდენად კეთილშობილია და, ამასთანავე, არის ძალიან კარგი მენეჯერი, კარგი პროფესიონალი ფინანსისტი. მხოლოდ ერთი განწყობით გახლავთ დღეს ის მთავრობის მეთაური და, გარწმუნებთ საზოგადოებას, რომ მოემსახუროს თავის ქვეყანას და ის საუკეთესო გზით წაიყვანოს“.**

ამ ფრაზის წაკითხვის თუ მოსმენის შემდეგ ადამიანს, როგორც ფრანგები იტყოდნენ, დეჟა ვუს განცდა გაუჩნდება, ანუ განცდა იმისა, რომ ეს უკვე ნანახი აქვს ან მოსმენილი და არც შეცდება.

**„გიორგი მარგველაშვილი არის გამორჩეული იმით, რომ მას აქვს სახელმწიფო აზროვნება, ის არის კაცი, რომელიც არა საკუთარ პოსტზე და საკუთარი პირობების გაუმჯობესებაზე ფიქრობს, არამედ კაცი, რომელსაც შეუძლია გლობალურად იფიქროს სახელმწიფოზე და მის პერსპექტივებზე. ასეთი პიროვნებები მე იშვიათად შემხვედრია ცხოვრებაში, შემიძლია სულ ორი-სამი გავიხსენო. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ჩვენს საზოგადოებაში ასეთი წარმატებული პიროვნების აღმოჩენა და პრეზიდენტის არჩევნებში კენჭისყრაზე მისი თანხმობის მიღწევა მოხერხდა... ჩემი აზრით, გიორგი მარგველაშვილი არის საუკეთესო ვარიანტი, იდეალური ვარიანტი, ესეც ვიტყოდი, თუ რამე თვისებები და ღირსება შეიძლება ადამიანს ქონდეს ამ პოსტზე, ყველა ღირსება აქვს გიორგი მარგველაშვილს. კარგი ანალისტიკოსია, კარგი ექსპერტია, რომელი ერთი ჩამოვთვალო. სადაც რა გამიჭირდება, გიორგის ვეძახი... გიორგი მარგველაშვილი იქნება ძალიან ღირსეული და მისაღები პრეზიდენტი მთელი საზოგადოებისთვის... გიორგი მარგველაშვილი იქნება ღირსეული და ევროპული ტიპის პრეზიდენტი.... გიორგი მარგველაშვილისთვის ნდობის გამოცხადება, იცოდეთ, რომ ჩემთვის ნდობის გამოცხადებასაც ნიშნავს“.**

...ამას ამბობდა ბიძინა ივანიშვილი 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ, როცა, მიუხედავად იმისა, რომ მტერიც და მოყვარეც ეუბნებოდა, მარგველაშვილის გაპრეზიდენტება შეცდომააო, მაინც თავისი გაიტანა და პრეზიდენტის სავარძელში მქსოველი და „პლასტელინა“ პრეზიდენტი ჩასვა. მოკლე ხანში კი, როცა შეატყო, რომ მარგველაშვილისგან სასიკეთო არაფერი გამოიძერწებოდა, იმედგაცრუებულმა განაცხადა:

**„არ დავმალავ — უკეთესს ველოდი. პრეზიდენტთან პირველი ორი თვე საკმაოდ ბევრი პოლემიკა მქონდა. ჩვენ შორის გაუგებრობა ბევრი იყო. მას პრინციპულად განსხვავებული თვისებები აღმოაჩნდა და არჩევნების შემდეგ მან სხვა ხასიათი გამოავლინა. 60 წლის ეხლები და მსგავსი მაგალითიც არ მახსოვს. ჩვენ არაფორმალურ ურთიერთობებს აღარ ვაგრძელებთ და ამაში ტრაგედიას ვერ ვხედავ. ორივე მხრიდან გადავწყვიტეთ, რომ ეს საჭირო აღარაა და საჯაროდ შეგვიძლია ვისაუბროთ, თუკი მის ირგვლივ რაიმე ხდება“.**

შეფასებების მკვეთრი ფერისცვალება მოხდა **ირაკლი ალასანიას** მიმართაც, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა ჯერ აღაზევა — მისი პარტია კოალიციაში გააერთიანა და საკანონმდებლო ორგანოში შეიყვანა, თვითონ ალასანია კი ვიცეპრემიერად და თავდაცვის მინისტრად დანიშნა, შემდეგ კი, როცა ალასანიას საქციელი აღარ მოეწონა, შერისხა და ახლა უკვე ექსთავდაცვის მინისტრი ნაციონალებზე არანაკლებ მტრულად არის განწყობილი ივანიშვილის მიმართ.

**„ნარმანიას კანდიდატურა ჩემთვის იმითაა საინტერესო, რომ არის აკადემიური, დალაგებული, დაბალანსებული ემოციების კა-** ▶

**ბიძინა ივანიშვილს უყვარს ფრთიანი ფრაზები, ხატოვანი გამონათქვამები და კარგი იქნება, თუ გაიხსენებს ძველ ქართულ ანდაზას: „ადამიანი რომ გაიცნო, მასთან ერთად 9 ფუთი (1 ფუთი =16,3 კგ-ს) მარილი უნდა შეჭამოო“. ნამდვილად სჯობდა, ბატონ ბიძინას, 9 თუ არა, ერთი ფუთი მარილი მაინც შეეჭამა ამ ადამიანებთან ერთად და მერე წარედგინა ისინი მაღალ თანამდებობებზე, არც მას გაუცრუვდებოდა იმედი და არც მის მიმართ — ქართველ ხალხს**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**შეფასებების მკვეთრი ფერისცვალება მოხდა ირაკლი ალასანიას მიმართაც, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა ჯერ აღაზევა — მისი პარტია კოალიციაში გააერთიანა და საკანონმდებლო ორგანოში შეიყვანა, თვითონ ალასანია კი ვიცეპრემიერად და თავდაცვის მინისტრად დანიშნა, შემდეგ კი, როცა ალასანიას საქციელი აღარ მოეწონა, შერისხა და ახლა უკვე ექსთავდაცვის მინისტრი ნაციონალებზე არანაკლებ მტრულად არის განწყობილი ივანიშვილის მიმართ.**



**◀ ცი. დაუბალანსებელმა ემოციებმა ჩვენ ძალიან ბევრი გვაზარალა. ასეთი უნდა იყოს მომავალი ჩინოვნიკი. იგი არის ეტალონი, როგორი უნდა იყოს მომავალი ჩინოვნიკი და პოლიტიკოსი. არამარტო ქალაქის მერი, არამედ მომავალი პოლიტიკური ჩინოვნიკის სახეა ჩემთვის“,** — ასე შეაფარა ბიძინა ივანიშვილმა დავით ნარმანია თბილისის მერის არჩევნების წინ.

ეს კი ნარმანიას მუშაობის შეფასებაა არჩევნებიდან ერთი წლის შემდეგ:

**„ვფიქრობ, რომ შეიძლება, თბილისის მერი დავით ნარმანია ჩვენს დღევანდელ მდგომარეობას ბოლომდე არ ერგება, მოვუწოდებ, რომ მას მოუწევს რეალობის გათვალისწინება და თავისი მენეჯერული თვისებების ცოტა მეტი ფორსირება“.**

ბიძინა ივანიშვილს უყვარს ფრთიანი ფრაზები, ხატოვანი გამონათქვამები და კარგი იქნება, თუ გაიხსენებს ძველ ქართულ ანდაზას: „ადამიანი რომ გაიცნო, მასთან ერთად 9 ფუთი (1 ფუთი =16,3 კგ-ს) მარილი უნდა შეჭამოო“. ნამდვილად სჯობდა, ბატონ ბიძინას, 9 თუ არა, ერთი ფუთი მარილი მაინც შეეჭამა ამ ადამიანებთან ერთად და მერე წარედგინა ისინი მაღალ თანამდებობებზე, არც მას გაუცრუვდებოდა იმედი და არც მის მიმართ — ქართველ ხალხს.

*** „ეკონომიკა ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. დაახლოებით 6-ჯერ და უფრო მეტად, — გააჩნია, რა განზომილებით მოვახერხებთ შედარებას, — ჩამორჩება განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებს. შესაბამისად, პრობლემა და ცდუნება დიდია იმისა, რომ ხელისუფლებას ეს ყველაფერი დავაბრალოთ, რომ მან 3-4 წელიწადში ვერ მოახერხა, ეს პრობლემა გადაეჭრა. ჩემი აზრით, ეს თეორიულად შეუძლებელია. რისი გაკეთებაც შეიძლებოდა, 3-4 წელიწადში მაქსიმუმი გაკეთდა, დანარჩენს სჭირდება, დაახლოებით, 10-15 წელიწადი, თუ ჩვენ მოვახერხებთ, ვიქნებით სტაბილურები და ყველა იმ ღირებულებებს დავიცავთ და სწორი გზით წავალთ, ჩვენ შეგვიძლია უმოკლეს დროში მოვახერხოთ და ჩავდგეთ განვითარებული ქვეყნების რიგში“,** გამაოგნებელია ბიძინა ივანიშვილის ეს ფრაზა, რადგან სრულიად საწინააღმდეგოს ამბობდა რამდენიმე დღის წინათ, 30 მაისს, გამოქვეყნებულ წერილში:

**„2013-2016 წლებში (2016 წლის პროგნოზის გათვალისწინებით) პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 62%-ით მეტია, ვიდრე 2009-2012 წლებში... მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის კონკურენტუნარიანობის გლობალურ რეიტინგში 2006-2007 წლებში 87-ე ადგილზე ვიყავით, 2011-2012 წლებში 88-ზე აღმოვჩნდით, ხოლო 2015-2016 წლებში 66-ე ადგილზე გადავინაცვლეთ და ევროკავშირის რამდენიმე ქვეყანას გადავუსწარით...**

**სავალუტო ფონდის მიმდინარე წლის აპრილში გამოქვეყნებული კვლევის თანახმად, საქართველოში 2016 წელს ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტი პირველად გადააჭარბებს 10 000 საერთაშორისო დოლარს, რაც 25%-ით აღემატება 2012 წლის დონეს. იმავე კვლევის მიხედვით, 2017-2021 წლებში საქართველოს ეკონომიკა ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 46,4%-ით გაიზრდება“.**

სწორედ ამ მონაცემებზე შეიძლება ითქვას, რომ ბატონი ბიძინა, საქართველოზე კი არა, შვეიცარიაზე ან სულაც სხვა გალაქტიკაში არსებულ რომელიმე პლანეტის სახელმწიფოზე ლაპარაკობს.

ისე, საქართველოში უმუშევრობის დონე რომ მაღალია, ლარი გაუფასურებული, პენსიები სასაცილო და ქვეყნის მოსახლეობის მესამედი უცხოეთში გადახვეწილი (ერთი ამდენი კიდევ, თუ მეტი არა, ე.წ. ვიზალიბერალიზაციას ელოდება, სამშობლოდან რომ გაიქცეს), ვისი ბრალია — მოსახლეობის, რომელმაც მხარი დაუჭირა „ქართულ ოცნებას“ თუ „ქართული ოცნების“, რომელმაც ფეხებზე დაიკიდა მოსახლეობა?

**„კორცხელის ინციდენტი ძალიან სამარცხვინო იყო და პასუხისმგებლობა ძირითადად მთავრობას ეკისრება“**

აი ასე: მთავრობამ კორცხელის ინციდენტში მონაწილე პირები, სპორტსმენები და რიგითი მოქალაქეები, უნდა დასაჯოს და „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლებს 9 წლის განმავლობაში ჩადენილი უამრავი დანაშაული — ტერიტორიების დაკარგვა, ქუჩაში ახალგაზრდების დახვრეტა, ბიზნესმენთა დატერორება, განათლებისა და მეცნიერების, სპორტის, კულტურის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის გაპარტახება — „ძალიან სამარცხვინო“ არ არის და უნდა ეპატიოს? უნდა ეპატიოს მართლმადიდებელი ეკლესიის, პატრიარქის, ყველა მართლმადიდებლის რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა?

და ვის უნდა დაეკისროს ამ დანაშაულებზე პასუხისმგებლობა? — „ქართულ ოცნებას“ ხომ არა, რომელიც 4 წლის განმავლობაში სიამტკბილობით ცხოვრობდა „ნაციონალურ მოძრაობასთან“ და ახლაც ხელს აფარებს ამ დამნაშავე პოლიტიკურ ძალას?

*** „რაც შეეხება რეგიონულ ხელისუფლებას, დაგეთანხმებით, რომ კვალიფიკაციის პრობლემა გვაქვს და უნდა იყოს კიდეც. გუნდის ბევრი წევრი იყო წინააღმდეგი ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმისა, რომელიც კბილებით გავიტანეთ. დღესაც ძალიან ბევრი შფოთავს, გამგებელს ვერაფერს მოუხერხებ და არაფერი ესმის, თან ამ დროს არაფერი იცისო. საიდან გინდა, მოიყვანო ამდენი მცოდნე გამგებელი?.. აკლიათ კვალიფიციურობა, მართვის გამოცდილება არ აქვთ და არ იციან ეკონომიკა“.**

აქ აღსანიშნავია 2 რამ:

**პირველი** — იმ კადრებმა, რომლებსაც ხოტბას ასხამდა და რომლებიც ძალით მოგვახვია თავს (მარგველაშვილი, ალასანია, ნარმანია, რესპუბლიკელები და სხვ.), ცოტა ხანში გაუცრუა იმედი ბატონ ბიძინას და წარმოიდგინეთ, ის ადგილობრივი თვითმმართველობის კადრები როგორი იქნებიან სინამდვილეში, რომლებზეც ამბობს, კვალიფიკაცია და გამოცდილება არ ჰყოფნითო.

**მეორე** — განა ვისი ან რისი ბრალია, რომ ამჟამინდელ ხელისუფლებაში კვალიფიციური კადრების დეფიციტია და არამხოლოდ თვითმმართველობის ორგანოებში? ეს დეფიციტი იმის გამო ხომ არ არის, რომ „ქართული ოცნების“ მესვეურები კადრებს მხოლოდ თავიანთ გარემოცვაში ეძებენ და არა იქ, სადაც საჭიროა. რა, დაილია მაღალკვალიფიციური და გამოცდილი კადრი საქართველოში? კარგად დააკვირდით ჯერ თქვენს გარემოცვას, ბატონო ბიძინა, და მერე — ქართულ საზოგადოებას ან გაიკითხეთ მაინც, ოღონდ თქვენს გარემოცვას არ ჰკითხოთ, ამა თუ იმ თანამდებობაზე კვალიფიციური კადრის დანიშვნა მინდა და ვის მირჩევთ-თქო.

*** „დავით ალმაშენებელს ედრებოდა — წარმოგიდგენიათ, როგორი თავხედობაა, ჯერ ყველაზე წარმატებულ პრეზიდენტს, გაბედო და, შეედარო და მერე როგორი უმეცრებაა?!**

„ალმაშენებლის პრეზიდენტობაზე“ კომენტარი, მგონი, საჭირო არ არის, ამ ფრაზის მთქმელი მკითხველმა თვითონ შეაფასოს.

*** „მე ვალდებულების განცდა მამოძრავებს, რომ ჩემი სჯერა საზოგადოებას, არ უნდა ვუღალატო და მაქსიმალურად გავაკეთო ის, რომ დავეხმარო და ვაჩვენო, თუ როგორ ვხედავ და როგორ უნდა იყოს. თუ ვნახე არჩევნებში, რომ ჩემი აღარ სჯერათ, თუ ნახევარზე ნაკლებმა დაუჭირა მხარი, გარწმუნებთ, რომ საზოგადოებასაც დავემშვიდობები და თქვენც და დავუბრუნდები იმ ცხოვრებას როგორიც მსურდა“.**

მიუხედავად თითქმის განუსაზღვრელი შესაძლებლობებისა და საზოგადოების მხრიდან ჯერ კიდევ საკმაო ნდობისა, ბიძინა ივანიშვილი, იმედია, ქართველ ხალხს ბრიყვად არ მიიჩნევს და მისი ეს აქტიურობა — კულისებიდან გამოსვლა — არ მოემსახურება ძველ მიზანს — კიდევ ერთხელ შეათრიოს პარლამენტში ძალები, რომლებსაც ივანიშვილის ლოკომოტივობის გარეშე ბარიერის გადალახვა ძალიან გაუჭირდებათ... ხოლო, თუ ივანიშვილი კვლავ ლოკომოტივის როლს შეასრულებს, 4 წლით გარანტირებულად მოიყვანს ხელისუფლებაში ოდიოზურ მარიონეტებს, მერე კი თვითონ ისევ გვერდით გადგება, ანუ ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე მოირგებს რიგითი მოქალაქის სტატუსს. ამომრჩეველი მას, არათუ დამშვიდობებას აცლის, დიდი ალბათობით, კუდით ქვას ასროლინებს...

**გიორგი გაჩეჩილაძე**

**საქართველოში უმუშევრობის დონე რომ მაღალია, ლარი — გაუფასურებული, პენსიები სასაცილო და ქვეყნის მოსახლეობის მესამედი უცხოეთში გადახვეწილი (ერთი ამდენი კიდევ, თუ მეტი არა, ე.წ. ვიზალიბერალიზაციას ელოდება, სამშობლოდან რომ გაიქცეს), ვისი ბრალია — მოსახლეობის, რომელმაც მხარი დაუჭირა «ქართულ ოცნებას», თუ «ქართული ოცნების», რომელმაც ფეხებზე დაიკიდა მოსახლეობა?**




## ამერიკელი ექსპერტი: სირიაში მოქმედი ტერორისტების უკან აშშ-ის მთავრობა დგას

**ამერიკული გამოცემა Veterans today-ს რედაქტორმა მაიკ ჰარისმა აშშ-ის სპეცსამსახურები ახლო აღმოსავლეთში მოქმედი ტერორისტების დაფინანსებასა და მხარდაჭერაში დაადანაშაულა. ჰარისის აზრით, დროა, ვაშინგტონმა თავი დაანებოს მსოფლიოსთვის ტყუილების თქმას და მოსკოვთან ერთად დაიწყოს ტერორისტების განადგურება.**

„ეს არის ცრუ ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ. ეს სპეცსამსახურების შექმნილია. „ალ ქაიდასა“ და „ისლამური სახელმწიფოს“ უკან მამოძრავებელი ძალა დგას. დროა, შეწყდეს ამერიკელი ხალხის მოტყუება, მთელი მსოფლიოსთვის ტყუილების თქმა. არ არსებობენ ტერორისტები, რომლებსაც არ აფინანსებენ და მხარს არ უჭერენ სპეცსამსახურები, მათ შორის, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო და თვით აშშ-ის სამხედრო უწყება. დროა, ბოლო მოეღოს ამ აბსურდს.

თუ გვინდა, ბოლო მოვუღოთ ტერორიზმს, სათანადოდ ვითანამშრომლოთ რუსეთთან და ერთობლივად გავანადგუროთ ეს პარაზიტი მსოფლიოს ყველა კუთხეში. რუსეთი მართალია — სირიის მთავრობა კანონიერია და დროა, შეწყდეს მსოფლიოს მოტყუება.

სიცრუეა, როდესაც ამბობენ, რომ ეს 11 სექტემბრის მოვლენებიდან მოდის. ამ ამბავში გარეულია აშშ-ის მთავრობა, გარეულია საუდის არაბეთი. 11 სექტემბრის შესახებ მოხსენებაში 28 გვერდია გამქრალი. დადგა სიმართლის თქმის დრო“, — განაცხადა მაიკ ჰარისმა 4 ივნისს Press TV-სთვის მიცემულ ინტერვიუში.



## მთვრალმა ჟან-კლოდ იუნკერმა ინტერნეტსივრცე დაიპყრო

**5 ივნისს ინტერნეტში ატვირთულმა სკანდალურმა ვიდეორგოლმა, რომელიც ევროკომისიის შეზარხოშებული ხელმძღვანელის — ჟან-კლოდ იუნკერის საქციელს ასახავს, სწრაფად მოიხვეჭა პოპულარობა.**

ბრიტანული გამოცემა „დეილი მეილი“ წერს, რომ ვიდეორგოლში ასახული ამბავი 2015 წლის მაისში ლატვიაში „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტზე მსოფლიოს ლიდერების შეხვედრისას არის გადაღებული.

ვიდეორგოლში, რომელსაც ჰქვია „მთვრალი ჟან-კლოდ იუნკერი მსოფლიოს ლიდერებს ასილაქებს“, ნაჩვენებია ამაღლებულ განწყობაზე მყოფი ევროკომისიის ხელმძღვანელი, რომელიც ხან ევროპის ზოგიერთ ლიდერს ლოყაზე ხელს უტყაპუნებს და ზოგს კეფაზე კოცნის, ხან კიდევ ჯიგას ცეკვავს, გარშემო მყოფები კი ხითხითებენ. სწორედ ეს იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ უმაღლესი დონის შეხვედრაზე იუნკერი შეზარხოშებული მივიდა.

ლუქსემბურგის ყოფილი პრემიერმინისტრი, ამჟამად ევროკომისიის ხელმძღვანელი ჟან-კლოდ იუნკერი ერთ-ერთი წევრია იმ ჯგუფისა, რომელიც მაასტრიხტის ხელშეკრულებაზე მუშაობდა.

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**სახელისუფლო პარტიას 10 წელიწადიც კი არ სჭირდება იმისთვის, რომ გაიაროს გზა დაფუძნებიდან სრულ დეგრადაციამდე. თუ „მოქალაქეთა კავშირისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ გამოცდილებას გავიხსნებთ და „ქართული ოცნების“ დღევანდელ მდგომარეობას შევაფასებთ, შეიძლება გაგვიჩნდეს საფუძვლიანი ეჭვი, რომ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ „ოცნების“ დაღმასვლა შეუქცევად ხასიათს მიიღებს.**

# ბიძინა ივანიშვილი დაკარგული დროის ძიებაში

**ბიძინა ივანიშვილი ქართული პოლიტიკის ავანსცენაზე დაბრუნდა. ის აქტიურად ჩაერთვება მმართველი პარტიის საარჩევნო კამპანიაში, რაც წინასაარჩევნო სიტუაციაში საინტერესო ცვლილებებს შეიტანს.**

2013-ში პრემიერმინისტრის პოსტიდან გადადგომის შემდეგ ივანიშვილმა ჩამოაყალიბა უცნაური სისტემა კრიპტოკრატიის ელემენტებით — არავინ უარყოფს, რომ ხელისუფლებას კულისებიდან ივანიშვილი აკონტროლებს, მაგრამ ყველას უჭირს იმის დადგენა, რამდენად ერევა ის ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტაში. ბიძინა ივანიშვილი დროდადრო ჩნდებოდა მედიაში და „ქართული ოცნების“ შეხვედრებს ესწრებოდა, თუმცა მომაბეზრებელი სიხშირით ეს ნამდვილად არ გაუკეთებია (ალბათ, აქვე უნდა გავიხსენოთ ტელეწამყვანის როლის ათვისების წარუმატებელი მცდელობაც; ამ შემთხვევაში ივანიშვილის ამბიციები და პოლიტიკური მიზანშეწონილობა ერთმანეთთან წინააღმდეგობაში შევიდა). მალე მას ეკრანებზე გაცილებით ხშირად ვიხილავთ — ივანიშვილი „ქართული ოცნების“ კამპანიაში ერთვება და, ალბათ, შტაბის მუშაობაშიც ისევე მიიღებს აქტიურ მონაწილეობას, როგორც 2012-ში.

**ივანიშვილის გამოსვლა კულისებიდან, ირიბად მიუთითებს, რომ მმართველ პარტიას სერიოზული პრობლემები შეექმნა და მისი ლიდერი იძულებულია, სიტუაციის გამოსასწორებლად სასწორზე საკუთარი ავტორიტეტი შეაგდოს.** ყველაფერი რიგზე რომ ყოფილიყო, ივანიშვილი, ალბათ, უბრალოდ დალოცავდა თავის ფავორიტებს და რამდენიმე მხარდამჭერი ინტერვიუს გამოქვეყნებით შემოიფარგლებოდა. არ იქნებოდა საჭირო ის, რასაც ივანიშვილი შემდეგნაირად აღწერს: „ვგეგმავ წინასაარჩევნო პერიოდში ყველა რეგიონში ჩასვლას და ტელევიზიით გამოსვლებს. შევხვდები საზოგადოებას, ვისაუბრებ ქვეყნის წინაშე არსებულ კონკრეტულ ამოცანებზე, ვუპასუხებ ჟურნალისტებისა და ფეისბუქმომხმარებელთა დასმულ კითხვებს მთავრობის საქმიანობის, ეკონომიკის მდგომარეობის, პოლიტიკური პარტიების, მედიისა და ყველა იმ მთავარი საკითხის შესახებ, რომელთა გათვალისწინებითაც უნდა გავაკეთოთ პოლიტიკური არჩევანი“.

ყოველივე ეს უდავოდ წაადგება მმართველ პარტიას, მაგრამ, ამასთანავე, შეიტანს ცვლილებებს საზოგადოების დამოკიდებულებაში ივანიშვილის მიერ შექმნილი სისტემის მიმართ. წამით წარმოვიდგინოთ, რომ მარიონეტთა თეატრში სპექტაკლის დროს რეჟისორი სცენაზე გამოდის და მაყურებლისთვის რაღაცის ახსნას იწყებს. მან შეიძლება წარმატებას მიაღწიოს და აპლოდისმენტებიც დაიმსახუროს, მაგრამ დაიმსხვრევა აღქმის სტერეოტიპი, რომელიც ქართველ საზოგადოებაში ბოლო წლების განმავლობაში დამკვიდრდა, და ამიერიდან ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ ურთიერთდამოკიდებულებას სხვაგვარად აღიქვამს. **თუ ადრე მათი რეიტინგების ცვლილების დინამიკა იდენტური არ იყო და, ასე თუ ისე, მუშაობდა ლეგენდა „კეთილი მეფისა და ბოროტი ვაზირების“ შესახებ, მომავალში ვითარება, დიდი ალბათობით, შეიცვლება. ბიძინა ივანიშვილი „ქართული ოცნების“ „ამოსაქაჩად“ პირადი პოლიტიკური რესურსის დიდ ნაწილს დახარჯავს და მის მომავალ მოქმედებაზე პასუხისმგებლობას დაიკისრებს.** გარკვეული (მეტწილად მოჩვენებითი) დისტანცირება პროცესებისგან, რომელსაც ადგილი 2014-15 წლებში ჰქონდა, მომავალში შეუძლებელი გახდება.

საქართველოს უახლესი ისტორია ცხადყოფს: **სახელისუფლო პარტიას 10 წელიწადიც კი არ სჭირდება იმისთვის, რომ გაიაროს გზა დაფუძნებიდან სრულ დეგრადაციამდე. თუ „მოქალაქეთა კავშირისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ გამოცდილებას გავიხსნებთ და „ქართული ოცნების“ დღევანდელ მდგომარეობას შევაფასებთ, შეიძლება გაგვიჩნდეს საფუძვლიანი ეჭვი, რომ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ „ოცნების“ დაღმასვლა შეუქცევად ხასიათს მიიღებს. ივანიშვილს მოუწევს ან პარტიის ძირფესვიანი რეფორმირება, ან მასთან ერთად ჩაძირვა, რადგან, როგორც უკვე ვთქვით, აქტიური ჩართვა წინასაარჩევნო პროცესებში უფრო მჭიდროდ დააკავშირებს მის ბედს „ქართულ ოცნებასთან“, ვიდრე (სავარაუდოდ) სურს; რაღაც მომენტში ეს შეიძლება დაემსგავსოს ცურვას ფეხებზე მიბმული ლოდით.**

თავის ბოლო მიმართვაში ივანიშვილმა ბევრი დრო დაუთმო იმის მტკიცებას, რომ სააკაშვილის მმართველობის წლებთან შედარებით სიტუაცია სერიოზულად გაუმჯობესდა. ეს უდავოდ ასეა, განსაკუთრებით ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში, მაგრამ ივანიშვილის შეფასება — „ავტორიტარული ქვეყანა დემოკრატიის რელსებზე გადავიყვანეთ“ — მეტისმეტად თამამად გამოიყურება. გაცილებით სწორი იქნება იმის თქმა, რომ სადისტური, უტვინო და შიზოფრენიული რეჟიმი ფრთხილმა, გაწონასწორებულმა და ცბიერმა რეჟიმმა ჩაანაცვლა. **რთულია საუბარი კლასიკურ დემოკრატიაზე იქ, სადაც საბოლოო სიტყვა ნებისმიერ საკითხზე არაფორმალურ მმართველს ეკუთვნის, ადგილი აქვს საგარეჯოს არჩევნების მსგავს სამარცხვინო ეპიზოდებს, ხოლო კანონის უზენაესობა ექვემდებარება პოლიტიკურ კონიუნქტურას** (ამის მთავარ, მაგრამ არა ერთადერთ ილუსტრაციას წარმოადგენს სამართლიანობის არაღდგენა კოაბიტაციიდან გამომდინარე). **„ქართული ოცნებაც“, მისი საკადრო პოლიტიკით თუ გადაწყვეტილებების მიღების სისტემით, აშკარად არადემოკრატიული ტრადიციების ნიადაგზე აღმოცენებული ფენომენია და მისი გაჯანსაღების პერსპექტივა ფრიად საეჭვოა.**

ივანიშვილის მიმართვაში ერთ-ერთ ადგილს იკავებს საფრთხე, რომელიც ქვეყნის სიღარიბიდან მომდინარეობს: „დღევანდელ საქართველოში პოლიტიკურ პრობლემებს მნიშვნელოვანწილად ქმნის ის, რომ, ერთი მხრივ, გვაქვს მაღალი ხარისხის დემოკრატია და, მეორე მხრივ, მას მნიშვნელოვნად ჩამორჩება ეკონომიკის განვითარება. ასეთი განსხვავება დემოკრატიისა და ეკონომიკის დონეებს შორის იშვიათია და ძნელად თუ სადმე მოიძებნება. როგორც წესი, დემოკრატიის ხარისხი შეესაბამება ეკონომიკის განვითარებას. დღეს არსებული ეკონომიკური მდგომარეობა ავტორიტარიზმში დაბრუნების ნიადაგს ქმნის, ხოლო ქვეყნის მომავალი დემოკრატიის განუხრელად განვითარებას მოითხოვს“. **აქ პრობლემის არსი მონიშნულია სწორად, მაგრამ, ალბათ, უნდა გავითვალისწინოთ კიდევ რამდენიმე გარემოება:**

**1.** ეს არ არის „მაღალი ხარისხის დემოკრატია“. შესაძლოა, ეს არ არის დემოკრატია საერთოდ, არამედ — ჰიბრიდული რეჟიმი დემოკრატიის ელემენტებით მხოლოდ იმ სფეროებში, რომლებშიც მართვისა და კონტროლის სხვა მექანიზმების გამოყენება შეუძლებელი ან ნაკლებად ეფექტურია;

**2.** დემოკრატიული რეფორმები ვერ შეჩერდება და ვერ დაელოდება ეკონომიკის გაძლიერებას (სააკაშვილის რეჟიმი სწორედ ამის „აუცილებლობას“ ქადაგებდა;

**3.** რაღაც მომენტში „ქართული ოცნების“ არადემოკრატიული ბუნება რეფორმების აუცილებლობასთან გადაულახავ წინააღმდეგობაში შევა (თუ ეს უკვე არ მოხდა).

**ვასილი გროსმანის** რომანში „ცხოვრება და ბედისწერა“, ყველა მისი მინუსის მიუხედავად, არის ერთი კარგი მონაკვეთი ადამიანისა და ეპოქის ურთიერთდამოკიდებულებაზე: **„სამეფო დარჩა, მისი დრო კი წავიდა. ადამიანი არის, მისი დრო კი გაქრა... დროს უყვარს მხოლოდ ის, ვინც შვა — საკუთარი გმირები, საკუთარი მშრომელები. ის არასოდეს შეიყვარებს ძველი დროის გმირებს, არც ქალებს უყვართ ძველი დროის გმირები და არც დედინაცვლებს — გერები. აი, ასეთია დრო — ყველაფერი მიდის, ის კი რჩება. ყველაფერი რჩება, დრო კი მიდის. ასე მსუბუქად, უხმაუროდ მიდის დრო. ჯერ კიდევ გუშინ ასეთი თავდაჯერებული, მხიარული, ძლიერი იყავი: დროის შვილი. დღეს კი მოვიდა სხვა დრო, მაგრამ შენ ეს ჯერ ვერ გაიგე“.**



**ივანიშვილს მოუწევს ან პარტიის ძირფესვიანი რეფორმირება ან მასთან ერთად ჩაძირვა, რადგან აქტიური ჩართვა წინასაარჩევნო პროცესებში უფრო მჭიდროდ დააკავშირებს მის ბედს «ქართულ ოცნებასთან», ვიდრე (სავარაუდოდ) სურს; რაღაც მომენტში ეს შეიძლება დაემსგავსოს ცურვას ფეხებზე მიბმული ლოდით**

თუ ამ ციტატას თანამედროვე ქართული პოლიტიკის კონტექსტში განვიხილავთ, უპირველესად, ალბათ, **მიხეილ სააკაშვილი** გაგვახსენდება, რომელმაც, უბრალოდ, „გამოტოვა“ ის მომენტი, როდესაც მისი ეპოქა დასრულდა. მისი რეჟიმის რესტავრაცია რომც მოხდეს (ძნელი წარმოსადგენია, თუმცა წამით დავუშვათ), 99%-იანი ალბათობით, ისეთივე უნაყოფო და უსახელო იქნება, როგორც ბურბონების რესტავრაცია 1814-ში, სწორედ იმიტომ, რომ ამ ტიპის რეჟიმისთვის განკუთვნილი ისტორიული დრო დასრულდა, საზოგადოება კი წინ წავიდა და სხვა ეპოქაში გადაინაცვლა.

საგულისხმოა, რომ „წარსულში დაბრუნების საფრთხე“ ივანიშვილის მიმართვის ერთ-ერთი ქვეთავის სათაურია, რომელშიც ის „ნაციონალებისგან“ მომდინარე საფრთხეზე საუბრობს ჰქვია. ეჭვგარეშეა, რომ „ქართული ოცნება“ გამოიყენებს სააკაშვილის რეჟიმის რესტავრაციის საფრთხობელას, რათა ელექტორატის მობილიზება მოახდინოს.

დროებით თავი დავანებოთ სააკაშვილს, რომელიც, უკრაინულ მედიას თუ დავუჯერებთ, ისევ კორუფციულ ჭაობში ჩაეფლო (ამჯერად ოდესაში) და საქმე შეიძლება დასაჭერად გაუხდეს.

საქმე ისაა, რომ ასევე სწრაფად და ულმობლად იწურება „ქართული ოცნებისთვის“ და მისი ლიდერისთვის განკუთვნილი დრო. **თუ ივანიშვილის რწმენას გავიზიარებთ და დავუშვებთ, რომ 2030 წლისთვის საქართველო როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური განვითარების თვალსაზრისით დაემსგავსება საშუალო ევროპულ (კი, ბატონო, აღმოსავლეთევროპულ) ქვეყანას, მასში აღარ დარჩება ადგილი არც არაფორმალური ავტოკრატიული მმართველობისთვის, არც ბელადის ერთგულებაზე ორიენტირებული პარტიისთვის, არც მახინჯი კლანური და ნეპოტისტური ტრადიციებისთვის.**

წინა პლანზე „ნაცმოძრაობასთან“ ბრძოლის წამოწევით მმართველი პარტია, პოლიტიკური ტექნოლოგიის თვალსაზრისით, ალბათ, გარკვეულ წარმატებას მიაღწევს და უბიძგებს მოქალაქეების ნაწილს „ნაკლები ბოროტება“ (ამ შემთხვევაში, „ქართული ოცნება“) აირჩიოს. მაგრამ ამით ის აკეთებს არჩევანს წარსულის (მასთან დაკავშირებული პრობლემების, პოლიტიკის, ეთიკის და ა.შ.) სასარგებლოდ და საკუთარ თავს შესაძლებლობას უზღუდავს, მომავალში შეაბიჯოს. **მართალია, საზოგადოების დიდი ნაწილი მხარს უჭერს სააკაშვილის რეჟიმის ნარჩენების, მათ შორის „ნაცმოძრაობის“ დასამარებას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მას წარსულზე მუდმივი ფიქრი სწყურია.**

საუკუნეებია, გრძელდება კამათი იმის თაობაზე, რატომ არ შეუშვა უფალმა მოსე აღთქმულ მიწაზე, არამედ მხოლოდ შორიდან დაანახვა ის, მაგრამ პასუხი, რომელიც ყველას დააკმაყოფილებს, დღემდე ვერ მოიძებნა. ნებისმიერ ადამიანს, უპირველესად კი მმართველს, დიდი სულიერი ძალა და გონიერება სჭირდება იმისთვის, რომ წინასწარ განჭვრიტოს თავისი ეპოქის გარდაუვალი დასასრული, არ ჩაებღაუჭოს ხელისუფლებას და პროგრესულ ცვლილებებს გზა არ გადაუღობოს. სააკაშვილმა ეს ვერ შეძლო და მისი რეჟიმის გაჭიანურებულმა აგონიამ ქვეყანას ბევრი, განვითარებისთვის აუცილებელი დრო დააკარგვინა. მოახერხებს თუ არა ამას ივანიშვილი? **აცნობიერებს თუ არა ის, რომ ახალი რეჟიმი, მიუხედავად იმისა, გაცილებით სჯობს ძველს, მალე სრულ ანაქრონიზმად გადაიქცევა, ისევე, როგორც მასთან დაკავშირებული სტერეოტიპები, გადაწყვეტილებების მიღებისა და მართვის სტილი.** ამას არაფერი აქვს საერთო საარჩევნო ციკლებთან ან კალენდარულ პერიოდებთან — საუბარია საზოგადოების განვითარებაზე და ცალკეული ადამიანების ადგილზე ამ პროცესში. ოქტომბრის არჩევნები ამ კონტექსტში ყველაზე მცირე პრობლემაა და მას ივანიშვილი „ქართულ ოცნებასთან“ ერთად, დიდი ალბათობით, მოიგებს. ყველაზე საინტერესო პროცესები კი ამის შემდეგ, ალბათ, ერთ წელიწადში დაიწყება, როდესაც ხელისუფლება მოულოდნელად მიხვდება, რომ საზოგადოებას რაღაც სხვა, მისთვის ამოუცნობი სურს.

**„ჩვენ არ გვჭირდება ისეთ სახელმწიფოსთან პარტნიორობა და მით უმეტეს მის პოლიტიკურ ორბიტაზე გადასვლა, რომლის ერთ-ერთი ამოცანა მსოფლიოში ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდაა!“**

ხმა ბერისა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# მამა დავითი (ლასურაშვილი): ისტორიული განვითარების თუ ყოფის რომელ მონაკვეთში იყო საქართველო ევროპა?

**ევროკავშირისა და ევროპული „დემოკრატიის“ მოტრფიალე „ლიბერალებს“ მცირე ხნის წინათ თავზარი დასცა ერთ-ერთი გავლენიანი დასავლური ინსტიტუტის (You Gov) მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგებმა — გერმანელების 54 და ფრანგების 42 პროცენტი მხარს უჭერს ევროკავშირიდან გასვლასო. ანალოგიური პოზიცია გამოხატა ბრიტანეთის მოსახლეობის 40 პროცენტმა. წამყვანი დასავლელი ექსპერტების აზრით, ეს უკვე შეუქცევადი პროცესია. მათი განმარტებით, გერმანიის, საფრანგეთისა და ბრიტანეთის გასვლა ჯაჭვურ რეაქციას გამოიწვევს და ამის შემდეგ ევროკავშირს, დიდი ალბათობით, სხვა სახელმწიფოებიც დატოვებენ. ზემოაღნიშნული მონაცემის გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღეში ევროკავშირის ელჩებმა საქართველოსთვის უვიზო მიმოსვლის მინიჭების საკითხი განიხილეს. პროცედურა თითქოს წარმატებით უნდა დასრულებულიყო და „ლიბერალებს“ თავი ქუდში ეგონათ, მაგრამ აი რა მოხდა — ისევ გერმანიისა და საფრანგეთის წინააღმდეგობის გამო გადაწყვეტილების მიღება ვერ მოხერხდა, განხილვა გადაიდო და, როგორც გვაიმედებენ, აღნიშნულ საკითხს ელჩები 14 ივნისს მიუბრუნდებიან. მოკლედ, ევროკავშირი და ევროპული „დემოკრატია“ არსებობის ბოლო დღეებს ითვლის, ჩვენს ხსნაზე კი ფეხს ითრევს და პირდაპირ თუ ირიბად მიგვანიშნებს, — აუტკივარი თავის ატკიება არ გვინდაო. მიუხედავად ამისა, ქართული „ნეოლიბერალური“ პროპაგანდის მესვეურებს საზოგადოებისთვის თვალში ნაცრის შეყრა არ ეზარებათ, ხალხს კვლავინდებურად არწმუნებენ, რომ ევროპა და ევროპული ოჯახი ჩვენი ისტორიული არჩევანია, რომ ევროკავშირის იქით გზა არ გვაქვს და, თუ ამ კავშირში არ შევალთ, რუსეთი საბოლოოდ გადაგვსანსლავს... სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, რეალობა სხვაგვარია: ევროპას არ სჭირდება საქართველო და, ისლამური ქვეყნებიდან გაშმაგებული მიგრაციის ფონზე, არ აპირებს, კიდევ ერთი მძიმე ტვირთი აიკიდოს ჩვენი სახით... ხელისუფლების მიერ გაცხადებულ პროდასავლურ კურსზე, ამ პოლიტიკის თანამდევ ანტიმართლმადიდებლურ თუ ანტიეროვნულ რიტორიკასა და სხვა მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება სიონის საკათედრო ტაძრის მოძღვარი მამა დავითი (ლასურაშვილი).**

**— მამაო დავით, ბოლოდროინდელი სოციოლოგიური გამოკითხვები ცხადყოფს, რომ ევროკავშირის წევრი წამყვანი სახელმწიფოების მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მხარს უჭერს ამ გაერთიანებიდან გასვლას. რა არის ამის მიზეზი, რამ მიიყვანა ეს ხალხი ამ დასკვნამდე?**

— ჩვენ ეკლესიის წარმომადგენლები ვართ და პირდაპირი გაგებით პოლიტიკაში არ ვერევით, მაგრამ ის, რაც ხდება, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მსოფლიოში, ცხადია, ჩვენთვისაც ძალიან ახლობელი თემებია და შეძლებისდაგვარად ვრეაგირებთ ყველაფერზე.

რაც შეეხება ევროპაში მიმდინარე მოვლენებს, მიუხედავად გაშმაგებული პროპაგანდისა, რომ თანამედროვე დასავლური ე.წ. ნეოლიბერალური იდეოლოგია თითქოს ადამიანის კეთილდღეობისკენ არის მიმართული, ევროპის მოსახლეობა ხედავს, რასთან აქვს რეალურად საქმე. უკვე ყველა ხვდება, რომ სინამდვილეში ეს არის ტყუილზე დამყარებული გაერთიანება, რომლის მიზანია ადამიანის დაშორება ღმერთთან და საერთო სამწყსოს მომზადება ანტიქრისტესთვის. ამას, რა თქმა უნდა, თავისი ნიუანსები აქვს და ამ ყველაფრის განხორციელებას სხვადასხვა პროექტით ცდილობენ. მათგან დღეს ყველაზე მეტად წინ წამოწეული ე.წ. სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვა და მათთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნაა.

**— რატომ ამახვილებენ ამაზე განსაკუთრებულ ყურადღებას?**

— იმიტომ, რომ სოდომია ყველაზე მძიმე ცოდვა და სწორედ ამ ცოდვით ხდება ადამიანის დაშორება უფალთან. მათი მიზანი რა არის? — კაცობრიობა განუდგეს ქრისტეს. ზნედაცემული ადამიანის მართვა კი გაცილებით იოლი იქნება. აქ კიდევ ერთი მომენტია: **წლების წინათ, სულიერების წართმევის ფონზე, ევროპის მოსახლეობას მატერიალური და სოციალური კეთილდღეობა შეაჩეჩეს, საქართველოში ამასაც არ აკეთებენ. მეტიც, სულიერების წართმევის, დომინანტური რელიგიის პირდაპირი შეურაცხყოფის ფონზე, მატერიალური კეთილდღეობის აჩრდილსაც არ გვთავაზობენ. პირიქით, სულ უფრო მეტად მძიმდება სოციალური მდგომარეობა, დღითიდღე უარესდება ადამიანების ყოფა და ცხოვრება გაუსაძლისი ხდება...**

**— არ მინდა, მკითხაობა გამოგვივიდეს, მაგრამ, როგორც სასულიერო პირს, მუდმივად გიწევთ ადამიანებთან ურთიერთობა და, როგორ ფიქრობთ, რა განწყობაა დღეს საქართველოს მოსახლეობაში — სურს უმრავლესობას ევროკავშირსა და ნატოში გაწევრება?**

— დღეს ჩვენი მთავრობა (წინაც, რასაკვირველია), მედია და არასამთავრობოები ერთხმად ნერგავენ მოსაზრებას, რომ ევროკავშირისა და ნატოს წევრობით საქართველო დაუბრუნდება თავის მშობლიურ ოჯახს. ისმის შეკითხვა: **ისტორიული განვითარების თუ ყოფის რომელ მონაკვეთში იყო საქართველო ევროპა? როდის ვიყავით ევროპული ფასეულობებისა თუ ცხოვრების წესის თანაზიარი? აქ უნდა დავაკონკრეტოთ ერთი რამ: რას თვლის თანამედროვე ე.წ. ნეოლიბერალური იდეოლოგია ევროპულ ფასეულობებად. ეს არის ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინება, გეი-აღლუმები, ერთნაირსქესიანი „ოჯახებისთვის“ შვილის აყვანის უფლების მინიჭება და ა.შ.**

მიმაჩნია, რომ ამ ყველაფრის გათვალისწინებით ჩვენ არასდროს ვყოფილვართ ევროპა, არც მენტალობით და, მით უმეტეს, არც გეოგრაფიული მდებარეობით. ახლა თუ ვინმე არგუმენტად მოიყვანს იმას, რომ **სულხან-საბა ორბელიანმა** გაჭირვების პერიოდში მიმართა ევროპას და რომის პაპთან ჩავიდა დახმარების სათხოვნელად, ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ იქ წასვლამდე მან მართლმადიდებლური ბერობა უარყო, მიიღო კათოლიკობა, ანუ უღალატა ქრისტეს. იქ, რა თქმა უნდა, ვერანაირი დახმარება ვერ ჰპოვა და ასეც იქნებოდა, რადგან ქრისტესა და ქრისტეს ეკლესიის უარმყოფელი წარმატებას ვერ მიაღწევს. პირიქით, უკან დაბრუნებულს საქართველოშიც პრობლემები შეექმნა და დღეს, სხვათა შორის, „ლიბერალები“ ხშირად გაჰკივიან, როგორ გაბედეს და როგორ მიაყენეს ევროპიდან დაბრუნებულ სულხან-საბას სვეტიცხოვლის ეზოში შეურაცხყოფაო...

**— ე.წ. ნეოლიბერალები ხშირად ამბობენ, ევროკავშირი თავის წევრ არც ერთ სახელმწიფოს არ ახვევს თავს რაიმე იდეოლოგიას და არ სთხოვს ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებასო. რას უპასუხებთ მათ?**

— არის კონკრეტული ნაბიჯები, რომლებიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა გადადგეს საქართველოში. ეს ნაბიჯები ეწინააღმდეგება ქრისტიანულ, ქართულ სახელმწიფოებრივ აზროვნებას. რამდენიმეს ჩამოგითვლით:

**პირველი** — მცირე ხნის წინათ ხელისუფლებამ საჯარო სამართლის სუბიექტებად გამოაცხადა საქართველოში მოქმედი სხვადასხვა რელიგიური კონფესია, მაშინ, როდესაც მართლმადიდებლურ ეკლესიასთან გაფორმებული აქვს კონკორდატი, ანუ საკონსტიტუციო შეთანხმება. ამ ცვლილებით ის რელიგიური კონფესიები გაუთანაბრდნენ მართლმადიდებლობას.

**მეორე** — განიზრახეს მიღება რეგიონული (თვითმმართველობის) კანონისა, რომელიც ქვეყნის პოლიტიკური დანაწევრების, დასუსტებისა და გაპარტახების პირდაპირი მცდელობაა. ამ ინიციატივას, მოგეხსენებათ, წინ აღუდგა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

**მესამე** — ცოტა ხნის წინათ მიიღეს ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონი და, ფაქტობრივად, ნიადაგი შეუმზადეს იმ უზნეობას, რომელიც ევროპაში უკვე ნორმადაა გამოცხადებული. ვგულისხმობ ერთნაირსქესიანთა ქორწინებას.

**მეოთხე** — სკოლებში ახალი საგნების შემოღებით დაიწყეს ჰომოსექსუალიზმის და სქესის გადაკეთების საკითხის სწავლება. ეს არის: III-IV კლასებში — „მე და საზოგადოება,“ V-VI კლასებში — „ჩვენი საქართველო...“

**— თქვენი აზრით, ეს ყველაფერი დასავლეთის დირექტივებია?**

— რასაკვირველია. **ახლახან, ვნების შვიდეულში, პარლამენტმა ორი მოსმენით მიიღო და მხოლოდ მესამე მოსმენაღა დარჩა კანონპროექტს, რომელიც ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვასა და დახმარებას ეხება. ეს კანონპროექტი ითვალისწინებს ქართულ სინამდვილეში სიახლის — სოციალური მუშაკის ინსტიტუტის — შემოღებას. ამ ე.წ. სოციალურ მუშაკს ამა თუ იმ მიზეზით უაპელაციოდ შეეძლება ოჯახებიდან ბავშვების გაყვანა.**

არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: თუ ამერიკისა და ევროკავშირის ჩვენამდე მოსული პოზიციები იმ საკითხებზე, რომლებიც ჩამოვთვალეთ, — და კიდევ უამრავია ასეთი, — რეალურია, მაშინ საქართველოს მოსახლეობა უარს იტყვის ევროკავშირისკენ სვლაზე. **ჩვენ არ გვჭირდება ისეთ სახელმწიფოსთან პარტნიორობა და მით უმეტეს მის პოლიტიკურ ორბიტაზე გადასვლა, რომლის ერთ-ერთი ამოცანა მსოფლიოში ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდაა.** გაიხსენეთ, რა განაცხადა ამერიკის ვიცე-პრეზიდენტმა **ჯო ბაიდენმა** 2015 წელს ჟურნალისტებთან და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან შეხვედრისას: ამერიკა ყველაფერს გააკეთებს, რათა „სექსუალური უმცირესობები“ მსოფლიოში დაცული იყვნენო.

ეს საქართველოს გზა არ არის! **საქართველოს ისტორიული არჩევანია ქრისტიანობა და მართლმადიდებლური მორალი. ზუსტად ამიტომ უნდა ავუხსნათ საზოგადოებას სწორად, რას გვთავაზობს თანამედროვე დასავლეთი, ზუსტად ამიტომ უნდა გავაგებინოთ უფრო და უფრო მეტ ადამიანს, რა არის რეალურად დღევანდელი დასავლური დემოკრატია და ფსევდოლიბერალური ღირებულებები.**

**— ის პროპაგანდა და საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც ჩამოთვალეთ, როგორ ფიქრობთ, რეალურად თუ ახდენს გავლენას საზოგადოებაზე? და თუ ახდენს, რაში ჩანს?**

— მართლმადიდებლელი ეკლესია მუდმივად მოუწოდებს მოქალაქეებს საკუთარი ცოდვების სინანულისა და ზნეობრივი სრულყოფილებისკენ; და, თუ საზოგადოება შეისმენს ამ მოწოდებას, ანუ იცხოვრებს ეკლესიურად, რა თქმა უნდა, ის პროპაგანდა ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს ვერავისზე. **ქართველი საზოგადოება ნელ-ნელა ეცლება ხელიდან ამერიკას და ასეც უნდა მოხდეს. ის, რაც ცოდვაზე და საქართველოს, როგორც ერთიანი სახელმწიფოს, დაშლაზეა ორიენტირებული, უნდა დამთავრდეს.**

ახლა — რაც შეეხება ეკლესიასა და სამღვდელოებას: ჩვენ დღეს მიმდინარე საზოგადოებრივ პროცესებში ნებისმიერი სახით მონაწილეობას პოლიტიკაში ჩართვად გვითვლიან. ხშირად მოისმენთ, სასულიერო პირები არ უნდა ერეოდნენ ამა თუ იმ პოლიტიკურ პროცესშიო. სწორედ მათ გასაგონად მინდა ვთქვა: **ტყუილად ჰგონიათ, რომ განზე გადგებით და მათ მივანებებთ სახელმწიფოს ბედის გადაწყვეტას. ვიდრე პირში სული გვიდგას, ჩვენი ქვეყნის ბედზე ვიზრუნებთ.** ამას გავაკეთებთ ნებისმიერი ფორმით — ლოცვითაც და იმ საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობის მიღებითაც, რა საკითხებიც ჩვენს ქვეყანას აწუხებს.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**«ახლახან, ვნების შვიდეულში, პარლამენტმა ორი მოსმენით მიიღო და მხოლოდ მესამე მოსმენაღა დარჩა კანონპროექტს, რომელიც ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვასა და დახმარებას ეხება. ეს კანონპროექტი ითვალისწინებს ქართულ სინამდვილეში სიახლის — სოციალური მუშაკის ინსტიტუტის — შემოღებას. ამ ე.წ. სოციალურ მუშაკს ამა თუ იმ მიზეზით უაპელაციოდ შეეძლება ოჯახებიდან ბავშვების გაყვანა»**

ნანა დევდარიანის
საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**კორუფციასთან მედგრად მებრძოლი ამერიკელები, ალბათ, უნდა დაინტერესდნენ, ვის აძლევენ გრანტს და ვის „კვლევას“ ატრიალებენ წაღმა-უკუღმა. სოციალურ ქსელში არაერთხელ დაიწერა იმის შესახებ, თუ რა „კვალი“ დააჩნია კინწურაშვილმა საზოგადოებრივ მაუწყებელს.**

# ბუნტის კელიგრაფიული ექსპერტიზა

**მხოლოდ თვალზარმაცი ადამიანი ვერ შეამჩნევს ამ ნაადრევი წინასაარჩევნო ციებ-ცხელებისას ძალადობის აშკარა ესკალაციას. ყბადაღებულ კორცხელს რომ თავი დავანებოთ, ვეგანების კაფეზე „ჯიგიტური“ იერიში და სასულიერო პირების მიერ ჩაშლილი როკფესტივალიც საკმარისია, რათა დაინახო, რომ სამართლიანობის აღდგენის ერთობ ეგზოტიკური მცდელობები სახელმწიფოს საფუძვლებს არყევს. მხოლოდ „ქართული ოცნება“ ვერ ან არ ხედავს ამას და ისე იქცევა, როგორც ვერის უბნის პოლიცმეისტერი: „ნუ იქნება ოღონდ ბუნტი“!**



არადა, ეს ყველაფერი ბუნტის ელემენტებია, რომლებსაც პროვოკაციებში დახელოვნებული ჩვენი კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე სწორედაც რომ გამოიყენებს. მით უფრო, რომ ეს ყოველივე მის მიერვე დამკვიდრებული იდეოლოგიის ნაწილია: ადამიანების ერთმა ჯგუფმა ყველაზე კარგად იცის, ვინ რა უნდა მიირთვას, ვინ მართალია, ვინ — მტყუანი, ვის აქვს ყველაფრის უფლება და ვინ უნდა დაემორჩილოს მას.

უნიათოდ მონათლულ ხელისუფლებას იმდენი მოსაყვედურე ჰყავს, რომ ახლა შეჯიბრება იმაზეა გამოცხადებული, ვინ უფრო მტკივნეულად დაარტყამს. **შეუიარაღებელი თვალითაც შესამჩნევია, რომ ნაციონალების დაბრუნების საფრთხობელა „ქართულ ოცნებას“ ჰაერივით სჭირდება. ვარაუდი მარტივია: თუ არ აირჩევ „ქართულ ოცნებას“, სრულიად რეალურია წარსულში დაბრუნების საფრთხე.** აკი თავისი ვრცელი წერილის ერთ-ერთ ქვეთავს ბიძინა ივანიშვილმა სწორედ ეს სათაური შეურჩია. „წარსულში დაბრუნება“ კი, ცხადია, „ნაციონალური მოძრაობის“ მეორედ მოსვლას ნიშნავს.

როგორც 2012 წელს, ამომრჩეველს ახლაც თავს ახვევენ „შუაგაკრეფილ“ არჩევანს. ამ არჩევანს ხალხში უკვე ასე შეარქვეს: „ან ქოცები, ან ნაცები“! ეს ორი ძალა კი, თავის მხრივ, კატეგორიულად არ იმჩნევს, რომ „გაერთიანებული დემოკრატები“ და „პატრიოტთა ალიანსი“, გაკრეფის ნაცვლად, კვალიფიციურ პოლიტიკურ სუბიექტებად ჩამოყალიბდნენ. დანაწევრებული „ნაციონალებისა“ და დაშლილ-არმოშლილი „ქართული ოცნებისგან“ განსხვავებით, ისინი ბოლო არჩევნებში მხოლოდ აუმჯობესებენ შედეგს.

რღვევის დამწყები „თავისუფალი დემოკრატები“ **უკვე პირადად მტრობენ მათ მომყვან ივანიშვილს,** „ნაციონალური“ ბუდიდან გადმომხტარი „გირჩები“ კი 15%-იან „გაყინულ“ რეიტინგზე მიუთითებენ მშობელს. კიდევ ერთმა „ნაციონალმა“, კიევში, ლეგიონერად შეთავსებით ნამუშევარმა **გიორგი ვაშაძემ** ახალი გზა აირჩია და ღია ცის ქვეშ პომპეზურად დააპირა თავისი პოლიტიკური მოძრაობის პრეზენტაცია. ბედის ირონიით, სწორედ ის სახელი შეარჩია, რომელიც შევარდნაძის საარჩევნო ბლოკს ჰქონდა 2003 წელს — „ახალი საქართველო“!

„სახელითა სახელის დამთრგუნველს“ ბუნებამ ისეთი ხოშკაკალი დაატეხა, რომ მერე დიდხანს იმართლებდა თავს — სეტყვა რომ არა, გაცილებით მეტნი ვიქნებოდითო! სეტყვამდე ყოფილიყავით მეტნი, თორემ სეტყვის მოსვლის შემდეგ რომ ვერ გამრავლდებოდით, ხომ ნათელია.

ამ ჟრიამულს ლაიტმოტივად გასდევს ყველა ნორმიდან ამოვარდნილი **ნიკა გვარამიას** აგრესიული განცხადებები, რომლის მეათედის გაბედვის შემთხვევაში მისივე პროკურორობის პერიოდში წლობით ახეხინებდნენ ციხეს.

„რუსთავი 2“-ის დუნედ მიმდინარე სასამართლო პროცესის გამწვავებას ყოველთვის ცდილობენ ტირაჟში გასული „ნაციონალები“ და რევოლუციის საბაბად მის გამოყენებაში უცხოელი მეგობრებიც ეხმარებიან. სულ ბოლოს მძიმე არტილერია — თვით აშშ-ის ელჩი გამოვიდა არენაზე და არც მეტი, არც ნაკლები, ასე მიგვითითა:

„აშშ-ის საელჩო უაღრესად შეშფოთებულია „რუსთავი 2“-ის მართვასა და საკუთრებასთან დაკავშირებით შუაღამეს განვითარებული მოვლენებით. სააპელაციო პროცესამდე არხის მმართველობის შეცვლის მცდელობას საფუძვლიანი პოლიტიკური შინაარსი აქვს. დემოკრატიულ საზოგადოებაში კრიტიკული აზრს ხელი უნდა შეეწყოს და არა — მიჩუმდეს.

ჩვენ ვაგრძელებთ საქართველოს ევრო-ატლანტიკური მისწრაფებების მხარდაჭერას. მოვუწოდებთ მთავრობას, დაიცვას მედიის თავისუფლებისა და პოლიტიკური პლურალიზმის პრინციპები, რომლებიც ამ მისწრაფებათა განუყოფელი ნაწილია. ამასთანავე, მოვუწოდებთ ყველა მხარეს, თავი შეიკავონ ძალადობისგან და ხელი შეუწყონ დიალოგის გზით ვითარების მშვიდობიან მოგვარებას“. იან კელის განცხადება აშშ-ის საელჩოს ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე გავრცელდა.

მიაქციეთ ყურადღება — აქაც სიტყვა **ძალადობაა** ნახსენები, მიუხედავად იმისა, რომ ამ ტელეკომპანიაში არავინ შევარდნილა და არც პატრონისთვის წაურთმევია ის. ელჩის ამ განცხადებას საზოგადოების გულისწყრომა მოჰყვა. ოფიციალური წრეებიდან მას მხოლოდ იუსტიციის მინისტრი **თეა წულუკიანი** გამოეხმაურა:

„მართლაც მეხერხება განაჩენების წერა, მაგრამ ამას ვაკეთებდი სტრასბურგში. მე რომ ურთმელიძე ვყოფილიყავი, კიდევ უფრო კარგ გადაწყვეტილებას დავწერდი, მაგრამ არც ეს გადაწყვეტილება გამოიყურება ცუდად და, რაც მთავარია, ის არ არის ანტიკონსტიტუციური. **კიდევ ერთხელ მოვითხოვ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ განმარტოს, რას ნიშნავს „ღამით მოხდა მოვლენები“.** სასამართლო გადაწყვეტილება იუსტიციის სამინისტროში შემოვიდა 18:00 საათზე და დღეს დილით, 09:20 საათზე რეგისტრაციაში გატარდა. მინდა, ხელი დამიდონ დოკუმენტზე, რა არის ღამე მომხდარი“.

აშშ-ის ელჩის მოადგილემ **ნიკოლას ბერლინერმა** წულუკიანს უპასუხა: **„მოვისმინე იუსტიციის მინისტრის განცხადება. ვფიქრობ, მნიშვნელოვანია, მთლიანობაში შევხედოთ იმას, რაც ელჩმა თქვა, მოგვარდეს ის საკითხები, რომლებიც მან ამ განცხადებაში მკაფიოდ წამოწია და არ გამახვილდეს ყურადღება მხოლოდ ამ განცხადების პატარა დეტალებზე“.**

არადა, ეს „პატარა დეტალები“, საჭიროების შემთხვევაში, რევოლუციის საბაბად თუ არა, საფანელად გამოიყენება ხოლმე. აღშფოთება გამოთქვეს როგორც პარტიებმა და სამოქალაქო აქტივისტებმა, ისე სოციალურმა ფორუმმა „ამერიკის ნამდვილი მეგობრები — Genuine friends of America“:

„ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს, ბატონ იან კელის.

ბ-ნო ელჩო!

ნამდვილად დასაფასებელია, რომ ყურადღებით ადევნებთ თვალს „რუსთავი 2“-ის სასამართლო პროცესს. ჩვენ, სოციალური ფორუმი „ამერიკის ნამდვილი მეგობრები — Genuine friends of America“ თქვენსავით ვთვლით, რომ დაუშვებელია ჩარევა მიმდინარე სასამართლო პროცესში, მით უმეტეს, როდესაც დავა ეხება კერძო საკუთრებას. ასევე, ვეთანხმებით თქვენს განცხადებას იმის თაობაზე, რომ მნიშვნელოვანია, ყველა ხმა იყოს გაჟღერებული არჩევნებზე. თუმცა მიგვაჩნია, რომ არ ფლობთ სრულ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რას აჟღერებს „რუსთავი 2“-ის „ხმა“:

**„ჩვენ ამ შენობიდან არ გავალთ, ჩვენ ამ შენობაში დაგვიცავს ადამიანების ძალიან დიდი ნაწილი და ეს შეიძლება სამოქალაქო დაპირისპირება იყოს“.**

**„მათი პირადი მტერი ვარ, საფლავის კარამდე ვდევ ყველა მათგანს ისევე, როგორც მოსამართლე ურთმელიძეს, ისევე, როგორც მინისტრ წულუკიანს, ამ სამივე მოსამართლეს საფლავის კარამდე ჩავყვები აუცილებლად და მათი პასუხისმგებლობის ზომას აუცილებლად დავაყენებ. რა თქმა უნდა, ამ ხელისუფლების დროს არა, რადგან ეს ხელისუფლება თვითონ არის დამკვეთი და თავის თავს არ დაიჭერს, მაგრამ აუცილებლად გახსოვდეთ, ძვირფასო დავალების შემსრულებელო მოსამართლეებო, პოლიტიკოსები გადარჩებიან, მაგრამ თქვენ ვერ გადარჩებით და დაამთავრებთ თქვენს კარიერას ციხეში, მე გაძლევთ ამის გარანტიას 100 პროცენტით, თუ ასე აპირებთ გაგრძელებას“.**

ბ-ნო ელჩო, „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის ეს გამოსვლა არის პირდაპირი მოწოდება სამოქალაქო დაპირისპირებისკენ და მუქარა საქართველოს სასამართლო ხელისუფლებასა და იუსტიციის მინისტრზე. აღსანიშნავია, რომ იმავე სულისკვეთებით და სამოქალაქო სიმშვიდისთვის საფრთხის შემცველი მოწოდებებით გაჯერებულია „რუსთავი 2“-ის საეთერო „ხმა“. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, ვიდეოკოლაჟის სახით ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტურად დასაბუთებული მასალა მივაწოდოთ საქართველოში მოქმედ ყველა ელჩს. იმედი გვაქვს, რომ პირადად თქვენ და მთელი დიპლომატიური კორპუსი გადადგამთ ქმედით ნაბიჯებს და აგვარიდებთ იმ საფრთხეს, რომლითაც „რუსთავი 2“-ის ეთერიდან გვემუქრებიან“.

ძალადობის ესკალაციას და მის გამჩაღებლებს დღევანდელი საზოგადოება, 2003 წლისგან განსხვავებით, კარგად გრძნობს. ამიტომაც არის, რომ **სანდრო ბრეგაძე** პირდაპირ მიუთითებს აშშ-ის ელჩზე, როგორც საქართველოს არაფორმალურ მმართველზე: **„საქართველოს მართავს არა პრეზიდენტი, არა პრემიერი, არა პარლამენტი, არამედ არაფორმალური მმართველი, რომელიც აიძულებს ხელისუფლებას, მის ჭკუაზე იარონ და მისი ნება-სურვილი აასრულონ.**

**არაფორმალური მმართველი ერევა ქვეყნის შინაურ და საგარეო საქმეებში, მისი ნებართვით ინიშნებიან და იხსნებიან მინისტრები, პრემიერმინისტრები და სხვა დიდი თანამდებობის პირები. ის ყველგანაა და მისი მზერა ყველგან წვდება.**

**ყველაზე მთავარი ისაა, რომ არაფორმალური მმართველი, პირველ რიგში, ემსახურება უცხო ქვეყნის ინტერესებს და ეს ბუნებრივ მოვლენად აღიქმება. დღეს საქართველოს, ფაქტობრივად, ის მართავს და ყველა სხვა თანამდებობის პირი ნომინალურ ფიგურად ქცეულა მასთან შედარებით.**

თუ გვინდა, საქართველო ღირსეულ, დემოკრატიულ და განვითარებულ ქვეყნად ვაქციოთ, აუცილებელი და პირველი რიგის ამოცანაა, **შეწყდეს არაფორმალური მმართველობა ქვეყანაში, ხოლო ქვეყანა მართონ იმათ, ვისაც მხარს უჭერს და დაუჭერს საქართველოს მოსახლეობა.**

ალბათ, გაინტერესებთ, თუ ვინაა ქვეყნის არაფორმალური მმართველი?!

საქართველოს არაფორმალური მმართველი ბატონი იან კელია, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი!“

**ის, რასაც ჩვენი ამერიკელი მეგობრების გამოზრდილი სექტა „რუსულ პროპაგანდას“ აბრალებს, სინამდვილეში სწორედ მათი და მათი პატრონების უგუნური პოლიტიკის დამსახურებაა. ანტიამერიკული განწყობების გაღვივებისთვის არავის შეუწყვია ხელი ისე, როგორც ამერიკის ელჩებს, სააკაშვილს და მათ ხელის გოგო-ბიჭებს.** თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა **სოსო მანჯავიძემ** საქართველოში აშშ-ის ელჩის, იან კელის, მიმართ მწვავე სტატუსი გამოაქვეყნა: ▶

**თუ დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი ჰქვია იმას, როცა ღრმად პატივცემული ქვეყნის ელჩი გვასწავლის, რა უნდა ავიტანოთ და რა არა, ვინ უნდა ავირჩიოთ და ვინ არა, მაშინ კოლონია რაღას ჰქვია?! სხვანაირი, მოდერნიზებული, მაგრამ მაინც კოლონია?!**

**ის, რასაც ჩვენი ამერიკელი მეგობრების გამოზრდილი სექტა «რუსულ პროპაგანდას» აბრალებს, სინამდვილეში სწორედ მათი და მათი პატრონების უგუნური პოლიტიკის დამსახურებაა. ანტიამერიკული განწყობების გაღვივებისთვის არავის შეუწყვია ხელი ისე, როგორც ამერიკის ელჩებს, სააკაშვილს და მათ ხელის გოგო-ბიჭებს**

**თუ პოლიტიკოსების უპასუხისმგებლობით საქართველო კიდევ ერთხელ წამოეგება „ფერადი რევოლუციის" ანკესზე, ყველამ უნდა იცოდეს, რომ მეორედ ეს უსისხლოდ და უდანაკარგოდ არ მოხდება. შეხედეთ უკრაინას და მოსალოდნელი შედეგები თავად განჭვრიტეთ.**

## რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„იან კელისა და მისი უფროსების საყურადღებოდ, მინდა, ვთქვა, რომ საქართველოში ბავშვმაც კი იცის უკვე, რომ ახალ ფერად რევოლუციას გეგმავთ, ვისი შეკვეთით აკეთებთ ამას, ესეც ცნობილია.**

**მაგრამ ამ რევოლუციას ვერ მოახდენთ, რადგან მთელი თქვენი აგენტურა გაშიფრულია და დარჩებით ბოლოს იმ სვანურქუდიანი და აშშ-ის დროშამოსხმული გიჟისა და ტვინ-პირ და გულწაბილწული გვარამია-გაბუნიას ამარა.**

**გულისამრევია თქვენი საქციელი და რიტორიკა, ბატონო კელი, თუმცა ჯერ თქვენს წინამორბედებს ვერ გაუსწარით.**

ნეტავ, იცოდნენ ამერიკელებმა, რა ბოროტებას სჩადიხართ და როგორ აძულებთ თქვენს ქვეყანას მთელ მსოფლიოს, დარწმუნებული ვარ, დაგსჯიდათ მთელი სიმკაცრით.

ძალიან მინდა, რომ თარგმანი ზუსტი იყოს, რომ კარგად შევიდეს თქვენს გონებაში ჩვენი განწყობილება.

**მიჩიგანში ან ფლორიდაში მოაწყვეთ ფერადი რევოლუცია. იქ წაიყვანეთ თინა, ნიკა, მიშა და მთელი თქვენი ფავორიტები".**

„ფავორიტები" კი ერთგულად დადიან „რუსთავი 2"-ის სასამართლო პროცესებზე და ძალიან ცდილობენ სიტუაციის დაძაბვას. მათ შორისაა მედიის განვითარების ფონდის ხელმძღვანელი **თამარ კინწურაშვილი,** რომელმაც მსუყე ამერიკული გრანტის საფასურად ე.წ. კვლევა ჩაატარა და რუსული ინტერესების გამტარებლად მეც მომიხსენია.

**მერე რა,** რომ ამ „კვლევაში" ისეთი ორგანიზაციებია ჩამოთვლილი, რომლებიც, ბოლო წლებია, არც მოქმედებენ!

**მერე რა,** რომ ყველაზე „მძიმე ბრალდება" არის ის, რომ დაფინანსების წყაროებს არ ვუთითებთ!

**მერე რა,** რომ თუ იმას წერ, რასაც ფიქრობ, ეს ვიღაცის ინტერესების გამოხატვად უნდათ წარმოაჩინონ!

და რაკი თვითონ დაფინანსების წყაროს უთითებენ, ამიტომ არ არიან, მაგალითად, ამერიკის ინტერესების გამტარებელნი?

რაც შეეხება რაიმეს მითითებას, **კორუფციასთან მედგრად მებრძოლი ამერიკელები, ალბათ, უნდა დაინტერესდნენ, ვის აძლევენ გრანტს და ვის „კვლევას" ატრიალებენ წაღმაუკუღმა. სოციალურ ქსელში არაერთხელ დაიწერა იმის შესახებ, თუ რა „კვალი" დააჩნია კინწურაშვილმა საზოგადოებრივ მაუწყებელს:**

„მასთან რამდენიმე შეკითხვა აქვთ ტელევიზიის მუშაკებს იმის თაობაზე, თუ როგორ განიავდა საზმაუს სიმდიდრე. მაგალითად, **სად გაქრა ტელევიზიის სასტუმროს შენობა, რომელიც ავლაბრის პრესტიჟულ ადგილზე მდებარეობდა? როგორც ტელევიზიის ძველი მუშაკები ეჭვობენ, ეს „უბრალო" შენობა სხვაზე კი არის გაფორმებული, მაგრამ რეალურად მისი ძმის, ბასილაიას საკუთრება გახლავთ".**

სხვა ბევრსაც ამბობენ ამ ქალბატონზე, თუმცა ჩვენ ჯერჯერობით აქ დავსვათ წერტილი და კიდევ ერთხელ შევახსენოთ ამერიკელ მეგობრებს, თუ რა მნიშვნელოვანია პარტნიორების შერჩევა.

ახლა, რაკი მაინც რუსული ინტერესების გამტარებლად გვხატავენ, კიდევ ერთი ინფორმაცია, რომელიც არანაკლებ მნიშვნელოვანია დასავლეთის მოიმედე საქართველოსთვის.

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **მევლუთ ჩავუშოღლუმ** ახლახან განაცხადა: „ევროკავშირმა უნდა გააცნობიეროს, რომ არ შეიძლება თურქეთთან ასე მოქცევა. ისინი ასე ექცეოდნენ უკრაინას: „ან ჩვენთან ერთად ხართ, ან — არა". საქართველო იქამდე მიიყვანეს, რომ ორი რეგიონი დაკარგა. ევროკავშირმა ამგვარ მიდგომაზე უარი უნდა თქვას".

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენელი **მარია ზახაროვა** ასე გამოეხმაურა ჩავუშოღლუს განცხადებას: „ეს საკმაოდ საინტერესო ინფორმაციაა მათთვის, ვისაც არ სჯეროდა, რომ უკრაინის კრიზისის და საქართველოში 2008 წლის ომის პროვოცირება დასავლელი პარტნიორების გაუაზრებელმა პოლიტიკამ გამოიწვია. არა მგონია, ჩავუშოღლუ ვინმემ პრორუსულ განწყობაში დაადანაშაულოს".

„პრორუსული" ჩავუშოღლუ დაახლოებით იმას ჰგავს, ნატოში შესვლისკენ მომართულმა სააკაშვილის ხელისუფლებამ **ვახტანგ მაისაია** ნატოს წევრი სახელმწიფოს სასარგებლოდ „ჯაშუშობის" გამო რომ დააპატიმრა!

იმასაც ძალიან ჰგავს, **სიმონ კილაძეს** აშშ-ის საელჩოსთვის პრესის დაიჯესტების მომზადება სახელმწიფო საიდუმლოების გაცემად რომ მოუნათლეს!

ჩვენმა საზოგადოებამ უნდა გააცნობიეროს, რა დგას სინამდვილეში ხშირად გამეორებული ლოზუნგების უკან. ჩვენმა საზოგადოებამ კი არა, ჩვენმა დასავლელმა პარტნიორებმა უნდა გაიგონ, რომ, თუ დასავლური ფასეულობები არჩევნებზე ქვის სროლაა, მისი გაზიარება საქართველოში, პოლიტიკური სექტების გარდა, არავის ენდომება.

**თუ დასავლეთის სახე მიხეილ სააკაშვილი, გიგა ბოკერია და თამარ კინწურაშვილი არიან, ასეთი დასავლეთი საქართველოს მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას დასანახად არ ენდომება. თუ დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი ჰქვია იმას, როცა ღრმად პატივცემული ქვეყნის ელჩი გვასწავლის, რა უნდა ავიტანოთ და რა არა, ვინ უნდა ავირჩიოთ და ვინ არა, მაშინ კოლონია რაღას ჰქვია?! სხვანაირი, მოდერნიზებული, მაგრამ მაინც კოლონია?**

და კიდევ — **თუ პოლიტიკოსების უპასუხისმგებლობით საქართველო კიდევ ერთხელ წამოეგება „ფერადი რევოლუციის" ანკესზე, ყველამ უნდა იცოდეს, რომ მეორედ ეს უსისხლოდ და უდანაკარგოდ არ მოხდება. შეხედეთ უკრაინას და მოსალოდნელი შედეგები თავად განჭვრიტეთ.**

# სიტყვის თავისუფლება და საქართველოს «ისტორიული მეგობრები»



**სიტყვის თავისუფლება მთელ მსოფლიოში ფეხქვეშ ითელება. ჟურნალისტები დღისით-მზისით აეროპორტში ქრებიან; შემდეგ კი მათ ნაწამებ და დასახიჩრებულ გვამებს პოულობენ; ბლოგერებსა და უფლებადამცველებს ასობით აპატიმრებენ — აგერ, თურქეთში, სირიაში იარაღის საიდუმლო მიწოდებაზე რეზონანსული რეპორტაჟის მომზადებისთვის ხუთი წელიწადი მიუსაჯეს ცნობილ ჟურნალისტებს.**

2014 წლიდან თურქეთის სამართალდამცავი ორგანოების მიერ აღძრულია 1845 სისხლის სამართლის საქმე პრეზიდენტ ერდოღანის „შეურაცხყოფის" ბრალდებით.

წყენია სულთანი...

ამ სულთნის შიში გერმანიასაც გადასწვდა, რომლის მთავრობამ, სამწუხაროდ, ნება დართო, დაწყებულიყო სასამართლო პროცესი ცნობილი ტელეწამყვანის — **იან ბემერმანის** წინააღმდეგ, რომელმაც წაიკითხა სატირული ლექსი თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ ერდოღანზე. პოლონეთის სახელმწიფო ტელევიზიაში ცნობილი ჟურნალისტები უცებ სხვებით შეცვალეს, უფრო დამყოლი ტელეწამყვანებით, რომლებიც მმართველი პარტიის — „კანონი და სამართლიანობა" — მოთხოვნებს უსიტყვოდ იზიარებდნენ.

დიდ ბრიტანეთშიც კი საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ინტერპრეტირებული ახალი კანონები, რომლებიც ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას ითვალისწინებს, უმაღლეს სასწავლებლებში სიტყვის თავისუფლებას ემუქრება. ამას გარდა, ეშინიათ, რომ ბი-ბი-სი-მ შეიძლება დამოუკიდებლობა დაკარგოს, თუ მთავრობა ტელეკომპანიის საბჭოს დირექტორების თითქმის ნახევარი შემადგენლობის დანიშვნის პრაქტიკას განაგრძობს, როგორც ამას ექსპერტები ვარაუდობენ.

მსოფლიო მასშტაბით სიტყვის თავისუფლების ასეთი შეკვეცა ჩემზე დამთრგუნველად მოქმედებს. ათიოდ წლის წინათ დავიწყე წიგნის წერა ამ საკითხზე; ხუთი წელიწადია, ოქსფორდის უნივერსიტეტში 13 ენაზე ვუძღვები საიტს, რომელშიც გაანალიზებულია მსოფლიოში სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხები. პირადად ვიცნობ ადამიანებს, რომლებიც იდევნებოდნენ. უმეტეს ქვეყანაში მდგომარეობა მუდმივად უარესდება. აი, ერთი მცირე, მაგრამ ნიშანდობლივი მაჩვენებელი: ჩვენი საიტის კორესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც ფსევდონიმით აქვეყნებენ მასალებს, მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ოთხი წლის წინათ ვმონაწილეობდი ეგვიპტელი ბლოგერების, უფლებადამცველებისა და მასწავლებლების საჯარო ღონისძიებაში, რომელიც კაიროში ტახრირის მოედნის გვერდით მდებარე შენობის დარბაზში გაიმართა. არაბული გაზაფხული ის-ის იყო იწყებოდა. იმ ღონისძიების მონაწილეთაგან ბევრი ამჟამად ციხეშია ან იძულებულია, ხმა არ ამოიღოს, ან წასულია ქვეყნიდან. ერთი ფოტოჟურნალისტი, მესამე წელიწადია, ციხეში ზის და რამდენიმე დღეში სასამართლოს წინაშე უნდა წარდგეს, რომელმაც შეიძლება სასიკვდილო განაჩენი გამოუტანოს. ვაჟკაცური წერილი, რომელიც პატიმრობაში ყოფნისას დაწერა, მთავრდება სიტყვებით: „განაგრძეთ გაპროტესტება, ჟურნალისტიკა დანაშაული არ არის!"

იმავე, ახლა უკვე შორეულ, 2012 წელს სტამბოლში „მრგვალი მაგიდა" მოვაწყვეთ. გამოითქვა მოსაზრება, რომ მმართველი პარტია „სამართლიანობა და განვითარება" დაუბრუნდება ევროპულ ფასეულობებს, რომლებსაც ერთგულებდა თავისი მმართველობის პირველ წლებში. ჟურნალისტებსა და მასწავლებლებს, რომლებიც მაშინ თავისუფლად გამოთქვამდნენ თავიანთ შეხედულებებს, ამჟამად თავს ესხმის გაცოფებული ბრბო, რომელსაც აქეზებს აღნიშნული პარტია თავისი ტვიტებითა და დამცინავი გამოხდომებით, გულმოცემულია წამყვანი გაზეთების გამოცემის აკრძალვითა და დაპატიმრებებით, სასამართლო განხილვებითა და სხვა ამგვარი რეპრესიებით. ერთ-ერთი მათგანი ჯან დუნდარი, გაზეთ „ჯუმჰურიეთის" მთავარი რედაქტორი, სასამართლოს დარბაზიდან გამოსვლისას შეიარაღებულ მამაკაცს შეეჯახა. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენს „მრგვალ მაგიდას", რომელიც თურქეთში სიტყვის თავისუფლების საკითხებს მიეძღვნება, ვაწყობთ არა სტამბოლში, არამედ ოქსფორდში, სადაც თავი შეაფარა გაზეთ „რადიკალის" ყოფილმა მთავარმა რედაქტორმა, გამოცემისა, რომელიც ხელისუფლებამ დახურა.

პოლონეთში მიმდინარე მოვლენების შედარება იმასთან, რაც თურქეთში, ეგვიპტეში ან ჩინეთში ხდება, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. ამის მიუხედავად, პოლონეთის ჟურნალისტთა პროფკავშირების ცნობით, მას შემდეგ, რაც ხელისუფლების სათავეში პარტია „კანონი და სამართლიანობა" მოვიდა, 140 ჟურნალისტი სამსახურიდან დაითხოვეს, ან დააქვეითეს, ან იძულებული გახადეს, საკუთარი ნებით წასულიყვნენ. საერთოეროვნული ტელევიზია ამჟამად გაცილებით მეტ საეთერო დროს უთმობს მთავრობის ოფიციალური პოლიტიკის საკითხებს. დიდ ბრიტანეთში მდგომარეობა უკეთესია, ვიდრე პოლონეთში, მაგრამ რეფორმები, რომლებიც კულტურის მინისტრმა წარადგინა, შეიცავს ბი-ბი-სი-ს დამოუკიდებელი სარედაქციო პოლიტიკის ხელყოფის საშიშროებას.

ასეთი უკუსვლა განპირობებულია ბევრი, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი მიზეზით, მაგრამ საერთო ჯამში ისინი შეიძლება შეფასდეს, როგორც ლიბერალურ ფასეულობათა წინააღმდეგ გალაშქრება.

რა შეგვიძლია გავაკეთოთ შექმნილ ვითარებაში? არ უნდა გავჩუმდეთ. ავიმაღლოთ საპროტესტო ხმა. ვიზრუნოთ სიტყვის თავისუფლების უზრუნველყოფაზე, მხარი დავუჭიროთ მათ, ვინც მას გაცილებით რთულ გარემოებაში იცავს...

რას ამბობს ამაზე ბრიტანეთის მთავრობა? — ფაქტობრივად, არაფერს. როცა ჩემს მეგობარს, თურქული გაზეთის მთავარ რედაქტორ დუნდარს ვაცნობე, რომ ამ წერილს ვამზადებ, მან მომწერა: „მთელი ამ ისტორიის განმავლობაში განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდი იმას, რომ ბრიტანეთის მთავრობა ჩუმად ყოფნას ამჯობინებდა. ალბათ, ეს სამარცხვინო ფაქტია ქვეყნისთვის, რომელიც ამაყობს თავისი დემოკრატიული ტრადიციებით". ვფიქრობ, მისი ჩინელი და ეგვიპტელი კოლეგებიც იმავე აზრისანი არიან.

შარშან დიდი ბრიტანეთის საგარეო-პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელმა თემთა პალატის საგარეო საქმეთა კომიტეტში განაცხადა, რომ ადამიანის უფლებები „ჩვენი ძირითადი პრიორიტეტების რიგში არ შედის". ახლა კი ამ კომიტეტის მოხსენებაში ფრთხილად მიგვითითებენ, რომ, მართალია, მინისტრმა მტკიცედ უარყო საყვედური, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრო ადამიანის უფლებებს აღარ აქცევს ყურადღებას, არსებული წერილობითი მტკიცებულებანი სწორედ ამაზე მიგვითითებს"...

სიტყვის თავისუფლებისთვის მებრძოლები იმ ქვეყნის დიდი მხარდაჭერით უნდა იყვნენ უზრუნველყოფილნი, რომელმაც მსოფლიოს ჯონ მილტონი, ჯონ სტუარტი და ჯორჯ ორუელი მისცა.

**ტიმოთი ეში,**
**„ელ პაისი", ესპანეთი**

## P.S.

ამასობაში თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი სულ უფრო განიმტკიცებს ქვეყნის პირველი პირის პოზიციას.

ახლახან თურქეთის პრემიერმინისტრმა ახმედ დავითოღლუმ განაცხადა, რომ გადადგა მმართველი პარტიის — „სამართლიანობა და განვითარება" ხელმძღვანელის თანამდებობიდან. „პარტიის ერთიანობის შესანარჩუნებლად თავმჯდომარის შეცვლა უკეთესი იქნება", — თქვან მან პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ.

მთავრობის ხელმძღვანელად დაინიშნა თურქეთის ტრანსპორტის, ნაოსნობისა და კომუნიკაციების მინისტრი — ბინალი ილდირიმი, რომელიც 19 მაისს მმართველი პარტიის თავმჯდომარედ აირჩიეს. მას მიიჩნევენ ერდოღანის თავდადებულ ქომაგად და „დიადი თურქეთისკენ" სწრაფვის მისეული კურსის ერთგულ მიმდევრად.

პარტიის თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ ილდირიმმა განაცხადა, რომ იგი იბრძოლებს პარტიასთან ერთად, რომელიც აშენებს მომავალს. „ჩვენი პარტიის ლიდერის წინამძღოლობით ძალას არ დავიშურებთ, რათა მივაღწიოთ **დიადი თურქეთის მიზნებს".**

**დიადი თურქეთისო, ანუ პანთურქიზმის.**

ეს კი ნიშნავს, ასკვნიან ანალიტიკოსები, რომ ის ნეგატიური მოვლენები, რომლებმაც თავი იჩინა თურქეთში, გამრავლდება და გაძლიერდება. მათ შორისაა თურქეთის ურთიერთობა ე.წ. ისლამურ სახელმწიფოსთან (რომელსაც ერდოღანი ყოველთვის უარყოფდა), რომელიც სულ უფრო აშკარა ხდება. დადგენილია, რომ „ისლამური სახელმწიფოს" მხარეზე ბრძოლის მსურველები თურქ გამყოლებს მასობრივად გადაჰყავთ თურქეთ-სირიის საზღვრის გადაკვეთით. მათი რაოდენობა საერთო მონაცემის 93 პროცენტს შეადგენს. დანარჩენი 7 პროცენტი ერაყიდან შედის.

საკადრო გადაადგილება თურქეთის უმაღლეს ეშელონში, ასკვნიან ანალიტიკოსები, კიდევ უფრო გააძლიერებს ერდოღანის, როგორც ერთპიროვნული მმართველის, პოზიციას.

**შუა ტყეში უფრო მეტი შეშა არისო, ნათქვამია: სულ ახლახან თურქეთის პარლამენტმა 138 წევრს დეპუტატის იმუნიტეტი გაუუქმეს...**

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„აქ ამერიკის ელჩია მბრძანებელი. მას ელაქუცებიან, ყველა მის განცხადებას არბილებს, ფუთავს, თარგმანია არასწორიო. განა რამდენჯერ შეიძლება თარგმანი იყოს არასწორი?!“**



## სირიის პრეზიდენტი: ერდოღანი პოლიტიკაში ნაძირალასავით იქცევა

**სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა თურქეთის პრეზიდენტის რეჟიმს ფაშისტური უწოდა, თურქეთის პრეზიდენტ ერდოღანს — ნაძირალა.**

„თურქეთი ტერორისტებს სირიის ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილების საშუალებას აძლევს. ერდოღანმა ქალაქ ალეპოში ათასი ტერორისტი შეუშვა. პოლიტიკაში ისე იქცევა, როგორც მხდალი და ნაძირალა“, — განაცხადა ასადმა.

სირიის ლიდერის განმარტებით, ერდოღანს ალეპოს ტერიტორიის დაკავება სურდა, მაგრამ „მისი ოცნება კვამლივით გაიფანტა“.

ადამიანთა უფლებადამცველების წინა წლის 23 თებერვალს გამოქვეყნებულ ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ ხუთი წლის განმავლობაში სირიის კონფლიქტს 270 ათასზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა. უფლებადამცველები აღნიშნავდნენ, რომ ორი წლის განმავლობაში ტერორისტებმა ოთხი ათასზე მეტი ადამიანი მოკლეს.

სირიის პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადსა და ამბოხებულებს შორის, მისი გადადგომის მოთხოვნით, დაპირისპირება 2011 წელს დაიწყო. იგი თანდათან სრულმასშტაბიან სამოქალაქო ომში გადაიზარდა და ძალაუფლება ტერორისტულმა ორგანიზაციებმა ჩაიგდეს ხელთ.

## სტამბოლში აფეთქების შედეგად დაღუპულთა რაოდენობა 11-მდე გაიზარდა

**სტამბოლში აფეთქების შედეგად დაღუპულთა რაოდენობა 11-მდე, დაშავებულთა კი 36-მდე გაიზარდა. დაღუპულთა შორის 7 პოლიციელია.** სტამბოლის ცენტრალურ რაიონ ბეიაზიტ ვეზნეჯილერში დანაღმული ავტომობილი აფეთქდა, რის შემდეგაც გაისმა რამდენიმე გასროლის ხმა. ხელისუფლების ცნობით, აფეთქების სამიზნე პოლიციის ავტობუსი იყო. პასუხისმგებლობა აფეთქების ორგანიზებისთვის ჯერჯერობით არც ერთ ტერორისტულ დაჯგუფებას არ აუღია.

# ვინ არიან ამერიკელები — ჩვენი პარტნიორები თუ დირექტორები

**ბიძინა ივანიშვილმა 7 ივნისს ჟურნალისტებთან შეხვედრისას, როგორც ყოველთვის, გასაოცარი განცხადებები გააკეთა: ეკონომიკა შავ დღეშიაო, კვირიკაშვილი ჩემთვის აღმოჩენააო, კორცხელის ინციდენტზე პასუხი მთავრობამ უნდა აგოსო.**
**ამ ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბატონმა ბიძინამ დავით ალმაშენებელი საქართველოს ყველაზე წარმატებულ პრეზიდენტად მოიხსენია. ქართველ საზოგადოებას ახსოვს ივანიშვილის დაპირება, რომ ოთხ წელიწადში ააყვავებდა ეკონომიკას. მახსოვს ისიც, რომ მის მიერ წარმატებულ პოლიტიკოსებად დასახელებულმა გიორგი მარგველაშვილმა, ირაკლი ალასანიამ, რესპუბლიკელებმა და სხვებმა იმედი გაუცრუეს. საინტერესოა, რა ემართება ყოფილ პრემიერს — რასაც ფიქრობს, იმას ამბობს, თუ ვერ გადმოსცემს თავის სათქმელს?**
**ამ კვირის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო აშშ-ის ელჩის გამოხდომა (სხვას ვერაფერს ვუწოდებთ). აშშ-ის ელჩი იან კელი, ისევე, როგორც მისი წინამორბედები, უცერემონიოდ ერევა საქართველოს საშინაო საქმეებში და მითითებებსაც გვაძლევს — ეს ნათლად გამოჩნდა „რუსთავი 2“-ის სასამართლო პროცესზე საუბრისას. აშშ-ის ელჩების საქმიანობის გაანალიზებისას, უნებლიეთ გიჩნდება კითხვა: არის კი საქართველო დამოუკიდებელი თუ აშშ-ის 51-ე შტატი ან უარესი — ამერიკის უუფლებო კოლონიაა?**
**ამ თემებზე სასაუბროდ დავუკავშირდით ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელს — გულბაათ რცხილაძეს, უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარეს — ნიკოლოზ მჟავანაძესა და ანალიტიკოსს — ვალერი კვარაცხელიას.**

**«ჩვენი ტელევიზიები ამერიკის ინტერესებს ემსახურებიან. რაც შეეხება იან კელის, ის იმიტომ არ ლაპარაკობს ასეთ რაღაცებს, რომ საქართველო აინტერესებს, ამერიკელები, ჩვენი პარტნიორები კი არა, ჩვენი დირექტორები არიან»**



**«რა მოვიპოვეთ ამ 25 წლის განმავლობაში, მათხოვრების, ქართველი გამეძავებული ქალებისა და გაცისფრებული კაცების გარდა»**

**გულბაათ რცხილაძე:**

— რადგან ბიძინა ივანიშვილი ასეთ განცხადებებს აკეთებს, ესე იგი, სჯერა იმის, რასაც ამბობს. მას სჯერა, რომ აყვავებულია ყველაფერი და კორცხელის ინციდენტზე პასუხისმგებლობაც მთავრობამ უნდა დაიკისროს. კი, ბატონო, დაიკისროს. მართალი გითხრათ, ეს, საერთოდ, არ მაღელვებს. პრობლემა არის ის, რომ ჟურნალისტები ასეთ შეკითხვებს სვამენ, ნაცვლად იმისა, რომ საქმეზე ილაპარაკონ. რაც შეეხება დავით ალმაშენებელს, სიტყვაზე ნუ გამოვეკიდებით, პრეზიდენტი იყო დავით აღმაშენებელიო, — წამოცდა ადამიანს. რა თქმა უნდა, ბიძინა ივანიშვილმა იცის, რომ დავით აღმაშენებელი მეფე იყო და არა პრეზიდენტი. აშშ-ის ელჩის ასეთ საქციელს კი არც ერთ სხვა ქვეყანაში არ მოითმენდნენ, მაგალითად, აზერბაიჯანში. ამერიკელებმა როცა განაცხადეს, აზერბაიჯანს ნატოში ველოდებითო, ამას აზერბაიჯანის ხელისუფლების მხრიდან მძაფრი რეაქცია მოჰყვა და ელჩიც თავის ადგილზე დასვეს. საქართველოში წარმოუდგენელია ასეთი რამ. **აქ ამერიკის ელჩია მბრძანებელი, მას ელაქუცებიან, ყველა მის განცხადებას არბილებენ, ფუთავენ, თარგმანია არასწორიო. განა რამდენჯერ შეიძლება თარგმანი იყოს არასწორი?!** ასე რომ, ეს არ გვიკვირს. არც პირველი შემთხვევაა, როდესაც ბატონი კელი ასეთ განცხადებას აკეთებს და არც ბოლო იქნება. ჩვენი სუვერენიტეტის ხარისხი ძალიან დაბალ ნიშნულზეა. **დამოუკიდებლობა რომ ვიზეიმეთ, რა გვეზეიმებოდა? რა მოვიპოვეთ ამ 25 წლის განმავლობაში, მათხოვრების, ქართველი გამეძავებული ქალებისა და გაცისფრებული კაცების გარდა?**

ხშირად ჩვენი პოლიტიკოსები, სასამართლოს ნაცვლად, ამერიკის ელჩს მიმართავენ. მალე აღარც პარლამენტი იქნება საჭირო და აღარც — კანონი. ყველაფერს ერთი კაცი მოაგვარებს — აშშ-ის ელჩი.



**«ამერიკელები, ჩვენი პარტნიორები კი არა, ჩვენი დირექტორები არიან»**

**ვალერი კვარაცხელია:**

— დავით აღმაშენებელი კარგი პრეზიდენტი იყოო — ეს, უბრალოდ, აერია ივანიშვილს, ამიტომ ნუ დავძრახავთ. რაც შეეხება, კარგი სამთავრობო გუნდი ჰყავდა თუ არა, ეს უნდა დატყობოდა საქართველოს თითოეული მოქალაქის ჯიბეს, მაცივარს, საცხოვრებელ პირობებს, სამუშაო ადგილებს. სამწუხაროდ, არაფერი გვაქვს ჩამოთვლილთაგან, ამიტომ სატრაბახოც არაფერია. მე ვერ ვხედავ მის მიერ აღმოჩენილ რომელიმე გენიალურ პიროვნებას ვერც მინისტრად, ვერც პრემიერმინისტრად და ვერც პრეზიდენტად. **ჩვენ ვხედავდით, თუ როგორ აშანტაჟებდა ბიძინა ივანიშვილი მარგველაშვილის კანდიდატურით ხალხს — თუ არ აირჩევთ, წავალ საქართველოდანო. ხალხმა იფიქრა, ისევ სააკაშვილი არ მობრუნდეს ამის წასვლითო და ხმა მისცა მარგველაშვილს.** ივანიშვილს უჭირს ჟურნალისტებთან ურთიერთობა, მაგრამ, რასაც ლაპარაკობს ტელევიზიებზე, სიმართლეა. განა ტყუილია ის, რომ „რუსთავი 2“ პარტიული დაჯგუფების ტელევიზიაა? სრულიად დამოკიდებულია იმ ძალაზე, რომელმაც საქართველოს თავი დაამახსოვრა, როგორც ყველაზე სასტიკმა, ფაშისტურმა და ვერაგმა ძალამ. სააკაშვილისა და ნაციონალების დამცველი ტელევიზია რატომ უნდა მივიღოთ, როგორც დამოუკიდებელი მედია?! ჩვენი ტელევიზიები ამერიკის ინტერესებს ემსახურებიან. რაც შეეხება იან კელის, ის იმიტომ არ ლაპარაკობს ასეთ რაღაცებს, რომ საქართველო აინტერესებს, **ამერიკელები, ჩვენი პარტნიორები კი არა, ჩვენი დირექტორები არიან.**



**«სტრატეგიული პარტნიორი, როდესაც ომი გაქვს, პამპერსებით კი არა, იარაღით უნდა დაგეხმაროს»**

**ნიკოლოზ მჟავანაძე:**

**— ორი აზრი არ არსებობს, რომ, რაც კორცხელში მოხდა, იყო „ნაციონალური მოძრაობის“ დაგეგმილი. სჩვევიათ ასეთი რამ, 2008-ში არჩევნების დროს ავტობუსი ააფეთქეს, რუსებს რომ დაბრალებოდა, არჩევნების დღეს იტაცებდნენ ადამიანებს. ამაზე არავინ საუბრობს, მაგრამ ჩვენ წინ გვაქვს არჩევნები და გვყავს ასეთი პროვოკატორები.** ამ განცხადებაში ის კი არ უთქვამს ივანიშვილს, რომ ნაციონალები არიან მართლები და დაზარალებულებიო, ამით თქვა, რომ წინ არჩევნებია და პოლიციამ ყველაფერი უნდა იღონოს ძალადობის აღსაკვეთად. რაც შეეხება იმას, რომ, რასაც ადრე მარგველაშვილზე ლაპარაკობდა, კვირიკაშვილზეც იმავეს ამბობსო, ეს ასე არ არის, რადგან მარგველაშვილი, სანამ პრეზიდენტად აირჩევდნენ, სხვანაირი ადამიანი იყო, როგორც კი აირჩიეს, შეიცვალა მისი მსოფლმხედველობა. აქედან გამომდინარე, საკმაოდ რთულია, საკადრო გადაწყვეტილებების მიღება. ივანიშვილის ბრალი არ იყო ის, რომ პიროვნებამ არ გაამართლა. აშშ-ის ელჩის — იან კელის განცხადება კი ნამდვილად საშინაო საქმეებში ჩარევაა. **იან კელიმ ამერიკის ისტორიიდან დამისახელოს ერთი ეპიზოდი, როდესაც რომელიმე ქვეყანა ერეოდა მის საქმეში და ეუბნებოდა, ეს გააკეთე და ის გააკეთეო.** ამერიკის შეერთებული შტატები არის დიდი სახელმწიფო და ჩვენ, რა თქმა უნდა, პატარა, მაგრამ ჩვენ ყველა ატრიბუტი გვაქვს დამოუკიდებლობისა და დაუშვებელია, ასე აშკარად ერეოდეს რომელიმე სახელმწიფო ჩვენს საქმიანობაში. ამერიკის ელჩს არ აქვს უფლება, ქართველი ხალხის სახელით გამოვიდეს და თქვას, ქართველი ხალხი ვერ მოითმენს, თუ ასე წარიმართება პროცესებიო. ფორმალურად მაინც საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა და არა კოლონია. ჩვენს ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს ისეთი პოზიცია, რომ ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევა ვერავინ გაბედოს. ისრაელი ამერიკის მოკავშირეა და, რომ არა ამერიკა, საკითხავია, იარსებებდა თუ არა, მაგრამ ისრაელი ბევრ საკითხში უწევს წინააღმდეგობას ამერიკის შეერთებულ შტატებს, მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიული მოკავშირეა. **ასეთი განცხადებები რუსეთის რომელიმე წარმომადგენელს რომ გაეკეთებინა, რუსული დროშები დაიწვებოდა საქართველოში. ნუ გააბითურებენ სტრატეგიული პარტნიორის ცნებას. სტრატეგიული პარტნიორი, როდესაც ომი გაქვს, პამპერსებით კი არა, იარაღით უნდა დაგეხმაროს.**

**«იან კელიმ ამერიკის ისტორიიდან დამისახელოს ერთი ეპიზოდი, როდესაც რომელიმე ქვეყანა ერეოდა მის საქმეში და ეუბნებოდა, ეს გააკეთე და ის გააკეთეო»**

ესაუბრა
**ქრისტინე ტოგონიძე**

**თუ მომავალი საპარლამენტო არჩევნების შედეგად საკანონმდებლო ორგანოში უმრავლესობად ისევ რუსოფობი ნეოლიბერალები მოგვევლინებიან და რუსეთთან ყოველგვარი წინაპირობის გარეშე მოლაპარაკების მაგიდასთან არ დავსხდებით, აი მაშინ ვნახავთ ქართველები უმძაფრეს თავის ტკივილს და არა მხოლოდ თავისას — რუსეთი სოხუმ-ცხინვალის თემას დახურულად გამოაცხადებს და მერე ვიაროთ რუსთაველზე და ვიძახოთ: „ნა-ტო, ნა-ტო“.**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სანამ სოხუმ-ცხინვალის თემაც არ დახურულა

**რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი რამდენიმე დღის წინათ საბერძნეთს ოფიციალური ვიზიტით სტუმრობდა. რუსეთის პირველი პირის მიმართ განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნად მისმა თვითმფრინავმა საბერძნეთის სამხედრო-საჰაერო ძალების ავიაგამანადგურებლების საპატიო ესკორტით იფრინა ელადის საჰაერო სივრცეში, მაგრამ მთავარი, რაც ამ ვიზიტისას მოხდა, ვლდიმერ პუტინის განცხადებებია, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად საქართველოსაც ეხება.**

**რუმინეთში** ნატოს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების განლაგების კომენტირებისას ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, ეს სისტემები რუსეთის უსაფრთხოებას ემუქრება და ამიტომ იძულებული...ვართ, საპასუხო ზომებს მივმართოთო. „რუმინეთმა აქამდე არ იცოდა, რას ნიშნავს რუსული რაკეტების სამიზნეში ცხოვრება. ჰოდა, ამის გემოსაც გაიგებენ. ახლო მომავალში იძულებულნი ვიქნებით, რუსული რაკეტები რუმინეთის ტერიტორიას დავუმიზნოთ“, — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა.

ანალოგიური რამ თქვა მან **პოლონეთის** მიმართაც — დავაკვირდებით და, როდესაც დავინახავთ ნატოს რაკეტებს, ვარშავასაც ადეკვატურად ვუპასუხებთო...

თუმცა, როგორც იტყვიან, ეს მხოლოდ ჟურნალი ყოფილა, კინო კი მაშინ დაიწყო, როდესაც ყირიმის თაობაზე დაუსვეს კითხვა.

„ჩვენ ეს თემა ერთხელ და სამუდამოდ დავხურეთ და ამაზე საუბარს არავისთან და არასდროს აღარ ვაპირებთ!“ — მისთვის ჩვეული სუსხითა და ლაკონურობით განაცხადა ვლადიმერ პუტინმა.

**ვიზიტის მეორე დღეს რუსეთის პრეზიდენტი ეწვია ათონის მთის სამონასტრო კომპლექსს, რომლის ერთ-ერთ ტაძარში ათონელმა ბერებმა პუტინი იქ დააყენეს, სადაც საუკუნეების წინათ ბიზანტიის კეისრები იდგნენ ღვთისმსახურებისას. ეს სიმბოლური აქტი, ალბათ, იმის აღიარება იყო, რომ, თუ ათონის წმინდა სავანეა მსოფლიოს მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის უპირველესი იდეოლოგიური კანონმდებელი (თუ შეიძლება ასე ითქვას), მას შემდეგ, რაც კონსტანტინოპოლი ველურმა სელჩუკებმა დაამხეს და აია სოფია მეჩეთად აქციეს, მხოლოდ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიაა უმტკიცესი ბურჯი საქრისტიანოსი, ხოლო რუსეთის ხელმწიფენი იყვნენ და დღესაც არიან მახვილით ხელში მართლმადიდებელი სარწმუნოების უპირველესი დამცველნი.**

რუსეთი მესამე რომია, მეოთხე არ იქნება — ეს ცნობილი სენტენციაა.

ვფიქრობ, შეგნებული მკითხველი მიმიხვდა, საით მიმყავს საუბარი და მრავალწერტილის ნაცვლად იქნებ წერტილის დასმა უფრო უპრიანია, ანუ წერილის აქ დასრულება, მაგრამ, სამწუხაროდ, ნატოს, ევროპა-ამერიკის ქიმერის წნეხის ქვეშ მყოფი შეუგნებლებიც არსებობენ და თხრობას, პირველ რიგში, მათ საყურადღებოდ განვაგრძობ.

**რას ნიშნავს ჩვენთვის რუმინეთ-პოლონეთის მიმართ გაკეთებული ეს აშკარად გაფრთხილების შემცველი განცხადებები?**

რას და, ერთი ქართული ანდაზისა არ იყოს, „კოკავ, შენ გეუბნები და, ლიტრავ, შენ გაიგონეო“.

რუსეთს ვერ შევაშინებთ 26 მაისს რუსთაველზე ამერიკული „ბრედლი“-„აბრამსების“ გამოყვანით და, თუ აუხდა თინა მამიდას ნანატრი და რუმინეთს მსგავსად საქართველოშიც განალაგა ნატომ „პრო“ (რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები), აი მაშინ მართლაც „პროსკენ“, ოღონდ არა აშშ-ნატოს, არამედ ქართული შინაარსის მქონე „პროსკენ“ წავა ჩვენი საქმე. რუსეთის ტერიტორიიდან „ისკანდერები“ და „კალიბრები“ მიზანში ამოგვიღებენ და თბილისიდან 40 კილომეტრში ხომ დგანან და დგანან რუსული ტანკები!



**თითქმის უეჭველია ვარაუდი: რუსეთი იმიტომ აყოვნებს სოხუმ-ცხინვალის მიერთებას, რომ ჩვენთან, ქართველებთან, სალაპარაკო, გნებავთ, სავაჭრო თემა დაიტოვოს... სინამდვილეში რით არის გამოწვეული ეს — უმადური ქართველების მიმართ კეთილგანწყობით თუ სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე პრაგმატიზმით, ნაკლებად მნიშვნელოვანია**

რაც შეეხება ყირიმის თემას, ერთ კითხვას დავსვამ:

**რატომ არ იერთებს ოფიციალურად რუსეთი 2008 წელს მისგანვე დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებულ სოხუმ-ცხინვალის რეგიონებს, მიუხედავად ამ რეგიონებში ჩატარებული არა ერთი რეფერენდუმისა?**

ყირიმი ხომ იქ მცხოვრები ხალხის ნების გათვალისწინებით მიიერთა მოსკოვმა, თანაც ისე, რომ მსჯელობასაც კი არავისთან აპირებს ყირიმის დაბრუნებაზე.

ამაზე რუსეთის სისუსტეში დარწმუნებულ და მის დაშლაზე მეოცნებე ნეოლიბერალ ხლისტებს თავისი მოსაზრება აქვთ — რუსეთს ზედმეტი თავის ტკივილი არ უნდა!

ნუთუ უკრაინის, სირიის მაგალითები იმაზე არ მეტყველებს, რომ რუსეთს შაკიკის არ ეშინია?

ყირიმის მიერთების გამო დაწესებულმა სანქციებმა, რომლებმაც, მართალია, ავნო რუსეთის ეკონომიკას, მაგრამ აშშ-ის მთავარი იმედი, რომ ძეხვის მოთხოვნით წითელ მოედანზე მილიონები გავიდოდნენ და დაამხობდნენ პუტინის ხელისუფლებას, არ გამართლდა.

პირიქით — ყირიმის დაბრუნებამ იმხელა პატრიოტული აღტყინება გამოიწვია, ისე დაირაზმა პუტინის გარშემო რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობა, რომ რუსეთის ნეოლიბერალური ოპოზიცია ხმის ამოღებას ვერ ბედავს და პუტინს მეორე 6-წლიანი ვადითაც გარანტირებული აქვს კრემლის კაბინეტში ყოფნა.

ერთი სიტყვით, თითქმის უეჭველია ვარაუდი: **რუსეთი იმიტომ აყოვნებს სოხუმ-ცხინვალის მიერთებას, რომ ჩვენთან, ქართველებთან, სალაპარაკო, გნებავთ, სავაჭრო თემა დაიტოვოს** და შაკიკის შიში არაფერ შუაშია. სინამდვილეში რით არის გამოწვეული ეს — უმადური ქართველების მიმართ კეთილგანწყობით თუ სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე პრაგმატიზმით, ნაკლებად მნიშვნელოვანია.

მთავარია, გვესმოდეს, რომ ეს ვითარება უსასრულოდ ვერ გაგრძელდება — **თუ მომავალი საპარლამენტო არჩევნების შედეგად საკანონმდებლო ორგანოში უმრავლესობად ისევ რუსოფობი ნეოლიბერალები მოგვევლინებიან და რუსეთთან ყოველგვარი წინაპირობის გარეშე მოლაპარაკების მაგიდასთან არ დავსხდებით, აი მაშინ ვნახავთ ქართველები უმძაფრეს თავის ტკივილს და არა მხოლოდ თავისას — რუსეთი სოხუმ-ცხინვალის თემას დახურულად გამოაცხადებს და მერე ვიაროთ რუსთაველზე და ვიძახოთ: „ნა-ტო, ნა-ტო“.**

ვითომ რომ გვედო ჯიბეში, იმ „ვიზალიბერალიზაციამაც“, როგორც კახეთში იტყვიან, „ჩაილურის წყალი დალია“.

ევროპამ „ვიზალიბერალიზაციის“ საკითხის განხილვა ფორმალურად გადადო, მაგრამ აქ აღსანიშნავია ის, რომ ევროკავშირის ღლავმა ქვეყნებმა — გერმანიამ და საფრანგეთმა — გვტკიცეს უარი ქართველებს ევროპაში უვიზო მიმოსვლაზე.

გაწბილება, უკვე მერამდენედ, ნატოს ვარშავის სამიტისგანაც გველის — ჯერ მაპზე უკეთესი, შემდეგ ნატოს ასპირანტის „საპატიო“ ტიტული მოგვანიჭეს და ვინძლო ვარშავაში დოცენტის ხარისხიც „გავიკრათ“.

რაც შეეხება ვლადიმერ პუტინის „ბიზანტიის კეისართა ტახტზე აღზევებას“, არც ეს არის შემთხვევითი — ბოლო პერიოდში სულ უფრო პოპულარულია იდეა მსოფლიოს მართლმადიდებელ სახელმწიფოთა რაიმე კავშირის შექმნის შესახებ და ათონის წმინდა მთაზე პუტინის მისვლა ხომ არ არის მინიშნება, რომ ასეთი კავშირის მეთაური უნდა იყოს რუსეთის ეკლესია და ბირთვული პოტენციალის გამო ბეჭდაუდებელი რუსეთის საერო ხელისუფლება?

მაშინ ჭირსაც წაუღია ევრაზიული კავშირი, რადგან მასონ-ხლისტების მიერ წამოწყებულ მსოფლიოს ლგბტ-ზაციას, რომელიც კაცობრიობის დაღუპვას ნიშნავს, მხოლოდ ასეთი კავშირი გაუწევს წინააღმდეგობას.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ გერმანიის მიერ სომეხთა გენოციდის აღიარების გამო წონასწორობა დაკარგა თურქეთმა, ამიტომ ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ევროპაზე შურის საძიებლად თურქეთი თავისი ტერიტორიიდან ათასობით მუსლიმ ლტოლვილს, რომელთა შორის ტერორისტიც ბევრია, ევროპისკენ გაუხსნის გზას და, ერთ-ერთი მარშრუტი საქართველოს გავლითაც რომ იქნება, არც ეს არის საიდუმლო.

და ვინ დაგვიცავს ამ საფრთხისგან, ნატო? თუ ისევ რუსეთისთვის მოგვიწევს დახმარების თხოვნა? რუსეთისთვის, რომელიც ჩვენი ისტორიული მტრის, თურქეთის მტერია.

ნათქვამია, ჩემი მტრის მტერი ჩემი მეგობარიაო და იქნება ახლა მაინც მოვეგოთ გონს, რადგან წართმეულის დაბრუნება უფრო ადვილია, ვიდრე გაყიდულისა — თურქებმა იყიდეს ლამის მთელი აჭარა და თბილისის ცენტრი, რომ არაფერი ვთქვათ მათ მიერ მიტაცებულ ქართულ მიწებზე. **თბილისიდან სარფამდე დაახლოებით 400 კმ-ია, ხოლო სარფიდან 400 კმ თურქეთის შიგნით ძირძველი ქართული ტერიტორიაა.**

დავფიქრდეთ ამაზე, იქნებ მტერ-მოყვრის გარჩევა ვისწავლოთ!

**დავით მხეიძე**

**რუსეთის პრეზიდენტი ეწვია ათონის მთის სამონასტრო კომპლექსს, რომლის ერთ-ერთ ტაძარში ათონელმა ბერებმა პუტინი იქ დააყენეს, სადაც საუკუნეების წინათ ბიზანტიის კეისრები იდგნენ ღვთისმსახურებისას. ეს სიმბოლური აქტი, ალბათ, იმის აღიარება იყო, რომ, თუ ათონის წმინდა სავანეა მსოფლიოს მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის უპირველესი იდეოლოგიური კანონმდებელი (თუ შეიძლება ასე ითქვას), მას შემდეგ, რაც კონსტანტინოპოლი ველურმა სელჩუკებმა დაამხეს და აია სოფია მეჩეთად აქციეს, მხოლოდ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიაა უმტკიცესი ბურჯი საქრისტიანოსი, ხოლო რუსეთის ხელმწიფენი იყვნენ და დღესაც არიან მახვილით ხელში მართლმადიდებელი სარწმუნოების უპირველესი დამცველნი**

ბაჩუ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**მერე რა, რომ „რუსთავი 2“-ის „სიცრუის მანქანის“ ყოფილი დირექტორი დღეს ერთ-ერთი სამინისტროს დეპარტამენტის უფროსია? მერე რა, რომ პროკურატურაში ადამიანთა ჩაგვრა-წამების შესახებ საჩივრები იმავე პროკურორებთან მიდის, რომლებმაც ეს ხალხი თავის დროზე დაჩაგრეს და აწამეს? მერე რა, რომ ის ხალხი, რომელმაც ნაციონალების მანიაკურ რეჟიმთან თანამშრომლობა იმთავითვე არ იკადრა, დღემდე უმუშევარი და მშიერია? სამაგიეროდ, „გადმობირებული“, დასაქმებული და მაძღრები არიან ისინი, ვინც ნაცებსაც ერთგულად ემსახურა და ახლა მამა და მარჩენალშეცვლილნი ისევ მაძღრად გრძნობენ თავს.**

# აბი გლუკოზა და ბროწეულის ოყნა

**რა ქნას, უჭირს ქართულ პოლიტიკურ ელიტას ქართველი ხალხის დავალებების შესრულება. ძალიან უცნაურ და რთულ რაღაცებს ვავალებთ ქართველ პოლიტიკოსებს. ჯერ იყო და, კოაბიტაცია დავავალეთ და ჩვენი ხათრით ისეთი ჯაფა დაადგა „ოცნების“ კოალიციას, აღარ იცოდნენ, როგორ დაეყოლიებინათ მონანიებასა და თვითგვემაში გადავარდნილი ბობოლა ნაცები კოაბიტაციაზე.**

— არა! ჩვენ კოაბიტაციას ვერ ვიკადრებთ, ჩვენ ჯერ ჩვენი ცოდვები უნდა ჩამოვიბანოთ, ქართველ ხალხს მუხლებში ჩავუვარდეთ და პატიება ვთხოვოთო, — გაიძახხოდნენ „ნაცები“ და სახეს იხოკავდნენ.

**— ე ბიჭო, არ დაგვღუპოთ, დაგვთანხმდით კოაბიტაციაზე, ეს დაგვავალა ქართველმა ხალხმა და, რომ ვერ შევძლოთ თქვენთან კოაბიტაცია, მერე რა პასუხი გავცეთ? — იხვეწებოდა ცრემლმომდგარი „ქართული ოცნების“ კოალიცია და განსაკუთრებით კი, რესპუბლიკური პარტიის ბოსები.**

რაო? რაღაცები მელანდება? არასწორად მახსოვს? არა, ბატონო, მე კი მახსოვს ყველაფერი კარგად, მაგრამ რა ვქნა, როგორ არ დავუჯერო ამხელა პოლიტიკურ ელიტაში გარეულ პერსონებს, რომლებიც ბოლო ორიოდე კვირაა, ფაქტობრივად, სწორედ იმას გვიმტკიცებენ, რაც მე ამ წამს დავწერე? ფაქტია, რომ არჩევნების მოახლოებამ ბევრ პოლიტიკურ ე.წ. ლიდერს აურია ტვინი, ენა და მახსოვრობა.

აი, მაგალითად: **„ჩვენ ყველაზე კატეგორიულად წინააღმდეგი ვიყავით კოაბიტაციისა ნაციონალებთან, რესპუბლიკური პარტია ყოველთვის ღია წინააღმდეგობას უწევდა ამ პროცესს“** — შუბლის ძარღვზე ხელიც არ აუფარებია, ისე განაცხადა რესპუბლიკელმა **დავით ზურაბიშვილმა.**

საზოგადოდ, შუბლის ძარღვზე ხელის არაფარება ქართველ პოლიტიკოსებში რომ დიდი ხნის დამკვიდრებული მანერაა, ფაქტია, მაგრამ ამ მანერას შესანიშნავად და უსწრაფესად ითვისებენ ახალგამოჩეკილი პოლიტიკოსებიც.

**პაატა ბურჭულაძემ** ოპერის სფეროდან, შესაძლოა, რაიმე მოგვატყუოს, დავუშვათ, რომელიმე საშუალო ნიჭის მომღერალზე გვითხრას, რომ ის მსოფლიოში ყველაზე ნიჭიერი და გენიოსია, მაგრამ, ეს მობაბანე პოლიტიკური აფერისტი ასე უტიფრად რომ ცდილობს ქართველი ხალხის წინაშე თავისი პოლიტიკური დამსახურებები ჩამოგვითვალოს, ცოტა ღიმილისმომგვრელია.

განსაკუთრებით საოცარია პაატა ბურჭულაძის ეს ფრაზა: **„ჩვენ ვიყავით პირველები, ვინც ღიად გააპროტესტა სასამართლო სისტემაში მურუსიძის დანიშვნა და ჩვენ პირველებმა მოვუწოდეთ, რომ ეს იყო უსამართლო და დანაშაულებრივი ქმედება“.**

მე არ ვიცი, 2003-2012 წლებში პაატა ბურჭულაძისგან ვინმეს რამე თუ სმენია, ბანში შესრულებული საოპერო არიების გარდა.

იმასაც ვერ ვიხსენებ, თუნდაც 2012-ის შემდეგ ეთქვას რამე მსოფლიო ბანს...

ამიტომ, **ძალიან მიჭირს და იქნებ გამარკვიოთ, ნეტავ, ვის გულისხმობს ბურჭულაძე „ჩვენ“-ში? ვინ „ეგენი“ იყვნენ, მურუსიძის დანიშვნა რომ გააპროტესტეს და თანაც პირველებმა?**

**„ჩვენ არ შევპირებივართ მოსახლეობას სამართლიანობის აღდგენას, ასეთი დაპირება „ქართული ოცნების“ 2012 წლის წინასაარჩევნო აგიტაციაში საერთოდ არ ყოფილა.“** — ეს ფარაზაც მოვისმინე ტელევიზორიდან და უკვე საბოლოოდ დავრწმუნდი, რა შავ დღეში გვყავს ჩვენი საწყალი პოლიტიკოსები.

თუმცა, როგორც ჩანს, ქართველი ხალხი ისეთი შეუგნებლები ვართ, რომ არა მხოლოდ შინაურს, არამედ უცხოს, სტუმარსაც კი არ ვინდობთ!

აი, ბატონო, თვალნათელი მაგალითი:

**ლევან ბერძენიშვილი:** „სრული სიცრუეა, რომ კოაბიტაცია ან ამერიკამ, ან ევროპამ მოგვთხოვა. ეს ხმები დაყარეს საბჭოთა ნოსტალგიით შეპყრობილმა რუსეთუმეებმა, რათა ქართულ საზოგადოებაში გააჩინონ უნდობლობა, ნიჰილიზმი და სიძულვილი ჩვენი ყველაზე დიდი მეგობრისა და სტრატეგიული პარტნიორის, ამერიკისა და ასევე ევროპის მიმართ“.

„ჩვენი პარტიის მთავარი ამოცანაა, რომ შეწყდეს ყოველგვარი გათეთრება „ნაციონალური მოძრაობისა“ და, რაც ვერ შევძელით შიგნით, „ქართულ ოცნებაში“ ყოფნის პირობებში, გავაკეთოთ უკვე გარედან — საბოლოოდ შევწყვიტოთ კოაბიტაციის პროცესი!“ — ეს უკვე **გიორგი ცაგარეიშვილია,** „თავისუფალი დემოკრატების“, ანუ „ალასანიაების“ წარმომადგენელი...

რაღა გვეთქმის? ხომ ფაქტია, რომ თურმე ნაცებთან ეს კოაბიტაცია არც შიგნით, ქართულ პოლიტიკურ სპექტრში, სდომებია ვინმეს და არც გარედან დაუძალებია ვინმეს.

**დიახ! ჩვენ — ამ უგუნურმა და შეუგნებელმა ქართველმა ხალხმა, თვითონვე „დავავალეთ“, მოვთხოვეთ, დავაძალეთ ნაცებთან კოაბიტაცია რესპუბლიკელებსაც, „თავისუფალ დემოკრატებსაც“, „ქართულ ოცნებასაც“, მერე — მათ კოალიციასაც, ამერიკის ელჩსაც, ევროპასაც, მთელ სამყაროსაც და ახლა ასე უნამუსოდ ვდგავართ და იქით ვთხოვთ პასუხს კოაბიტაციის ასეთი მძიმე და უზნეო შედეგების გამო.**

**აი, ასე ვიცით ხოლმე ჩვენ — ცუდმა და ბოროტმა ქართველმა ხალხმა!**

აღარაფერს ვამბობ „უმადურობაზე“, რომელსაც ჩვენი საამაყო და დიადი მილიარდერის მიმართ ვიჩენთ.

**როგორ, განა მთელი ცხოვრების განმავლობაში მის წინაშე მუხლებზე არ უნდა ვიხოხოთ?! მან ხომ „დუბინკები გამოგვიღო“ და ა.შ.**




**ჩვენ — ამ უგუნურმა და შეუგნებელმა ქართველმა ხალხმა, თვითონვე «დავავალეთ», მოვთხოვეთ, დავაძალეთ ნაცებთან კოაბიტაცია რესპუბლიკელებსაც, «თავისუფალ დემოკრატებსაც», «ქართულ ოცნებასაც», მერე — მათ კოალიციასაც, ამერიკის ელჩსაც, ევროპასაც, მთელ სამყაროსაც და ახლა ასე, უნამუსოდ ვდგავართ და იქით ვთხოვთ პასუხს კოაბიტაციის ასეთი მძიმე და უზნეო შედეგების გამო. აი, ასე ვიცით ხოლმე ჩვენ — ცუდმა და ბოროტმა ქართველმა ხალხმა!**



თუმცა, აი, ამ „ასე შემდეგში“ რაღას გულისხმობენ ხოლმე „ბიძინისტური“ სექტის ბრმა მიმდევრები, ნამდვილად აღარ ვიცი...

ერთი ძველი ანეკდოტი მახსენდება, ცოტა არ იყოს, ქსენოფობიური, მაგრამ ანეკდოტია და მაინც მოვყვები, თანაც, მოკლეა: ოსს ეკითხებიან, ჩამოგვითვალე გამოჩენილი ოსი მოღვაწეებიო და — კოსტა ხეთაგიუროვი და სხვებიო. აი, ასეა დღეს ბიძინას მომხრეთა საქმე.

**ბიძინაზე ხმა არ უნდა ამოვიღოთ და არაფერი ვთქვათ, რადგან მან უკანალიდან ცოცხები გამოგვიღო და სხვა და სხვა და სხვა... აი, რა სხვა? — ამაზე პასუხს ვერავინ იძლევა.**

**მერე რა, რომ „რუსთავი 2“-ის „სიცრუის მანქანის“ ყოფილი დირექტორი დღეს ერთ-ერთი სამინისტროს დეპარტამენტის უფროსია? მერე რა, რომ პროკურატურაში ადამიანთა ჩაგვრა-წამების შესახებ საჩივრები იმავე პროკურორებთან მიდის, რომლებმაც ეს ხალხი თავის დროზე დაჩაგრეს და აწამეს? მერე რა, რომ ის ხალხი, რომელმაც ნაციონალების მანიაკურ რეჟიმთან თანამშრომლობა იმთავითვე არ იკადრა დღემდე უმუშევარი და მშიერია?**

**სამაგიეროდ, „გადმობირებული“, დასაქმებული და მაძღრები არიან ისინი, ვინც ნაცებსაც ერთგულად ემსახურა და ახლა მამა და მარჩენალშეცვლილნი ისევ მაძღრად გრძნობენ თავს.**

ისინი ხომ „მსხვერპლები“ და „მძევლები“ იყვნენ „ნაციონალური მოძრაობისა“!

მართალია, არც ერთ მათგანს ეს არც უთქვამს, არც ულიარებია და არც კი გაუფიქრებია, — „მსხვერპლი“ და „მძევალი“ ვიყავიო, მაგრამ, ახლა ამაზე ლაპარაკი რომ გავაგრძელოთ, აუცილებლად ბიძინას კრიტიკამდე მივალთ და... **ბიძინას კრიტიკა როგორ შეიძლება, მან ხომ „ცოცხები გამოგვიღო“?!**

ასე დავდივართ ამ მოჯადოებულ წრეზე და უკვე იქამდეც მივედით, რომ ქვეყნის მხსნელად და ნაცების ყველაზე დიდ მოწინააღმდეგედ **გიორგი ვაშაძე** გვევლინება.

„ნაციონალური მოძრაობა“ 2016 წელს პარლამენტში ვერ შევა და ვერც უნდა შევიდეს, არასწორი მმართველობისთვის მათ პასუხი უნდა აგონ!“ — განაცხადა თავისი ახალი პოლიტიკური მოძრაობის შეკრებაზე გიორგი ვაშაძემ.

ასეა! გაწყდნენ პოლიტიკური ლიდერები წელში ამ ნაციონალებთან ბრძოლით და ჩვენ კიდევ, ეს უმადური, დაუნახავი, უგუნური ხალხი, ვდგავართ და ხელს ვუშლით.

ზოგიერთ უნამუსო ჩვენგანს ეჭვიც კი ეპარება და უტიფრად გაიძახის ,— არჩევნები რომ ახლოვდება, იმიტომ აჭიკჭიკდნენ ესენი ასე, თორემ, როგორც კი არჩევნები ჩაივლის, ნახავთ, როგორ ჩაეხუტებიან ისევ ნაციონალებსო.

რა გაეწყობა, ასეთი დაუნახავია ხალხი!

თორემ, ივანიშვილს, ბურჭულაძესა და სხვა „მსხვილკალიბრიანებს“ თავი რომ დავანებოთ, აგერ, იგივე გიორგი ვაშაძე გვთავაზობს ქვეყნის გადარჩენის საოცრად მარტივ და ეფექტიან გზას:

**„ყველაფერი უნდა გადავიდეს პროექტულ ჰორიზონტალურ მართვაზე“,** — აცხადებს ბატონი „ნოვატორი“ ვაშაძე და, ვინმეს ეს ფრაზა მხატვრულ ფილმ „შერეკილებიდან“ ამოღებული ნაწყვეტი რომ არ ეგონოს, აქვე გთავაზობთ საინფორმაციო სააგენტოების მიერ გავრცელებული ოფიციალური ცნობის „სქრინ-შოტს“.

სიტყვამ მოიტანა და, სრულიად უაზრო სიტყვების რახარუხი რომ ჯერაც ჩამოუყალიბებელ ქართველ საზოგადოებაზე ყველაზე ეფექტური ზემოქმედების საშუალებაა, ამის ნათელი დასტური განათლების ახალი მინისტრიცაა.

**„თამადა, როგორც ლიდერი“, „სად არის ბედნიერება?“, „ქართული ხალხური პროფესიული ზღაპრები“** — ეს იმ ოფიციალური ლექციების კურსის ჩამონათვალის ნაწილია, რომლებსაც სრული სერიოზულობით უკითხავს ჩვენს მომავალ თაობებს პროფესორი **ალექსანდრე ჯეჯელავა.**

ვერ გეტყვით, რა საგნის, სფეროს თუ მიმართულებისაა ეს ლექციები. დღეს ამ სისულელეებს რატომღაც „მენეჯმენტს“, ანუ „მართვას“ ეძახიან, და ნამდვილად ვერ გეტყვით, ვაშაძე-ჯეჯელავასნაირები რას მართავენ — ქვეყანასა და სახელმწიფოს თუ ბიძია-ბაბუის ცათმფრენს...

ისე, მეც ახლა ზედმეტს ვახურებ რა!

ადამიანს რა ჯანდაბა გააფრენს, ბოლოს და ბოლოს?

დაე, ასეც იყოს! არჩევნები მოდის და გადავიდეს ყველაფერი „პროექტულ ჰორიზონტალურ მართვაზე“, შევეგუოთ ნოვატორ „თამადა-ლიდერებს“!

**ემცეკვადრატ პლუს-მინუს ალფა! ამპლიტუდა წინსწრაფვის მხურვალებისა და შეცნობილი აუცილებლობისკენ! თვალი დაუდგეს ევროპას! მეც ქართველი ვარ, ბოლოს და ბოლოს!**

აბი გლუკოზა ამათ ყველას და ბროწეულის ოყნები — დილა-საღამოს!

ოოოოო! რა დიდ პატივს ვცემ მე ტიტანურ აზრებს!

იბერუს კავკასუს აეროტიტიკუს ტემპერამენტუს!

აუშვით ცათმფრენი!

**მიდით, ერთაოზ, მიდით! გაბედულად...**

**შხამის შემნახველი დანადგარი პარტიის ყველა წევრისთვის დამზადდა და პროცედურა რამდენიმე წუთს მოითხოვს. ფაქტს გამოეხმაურა ოდესაში მყოფი მიხეილ სააკაშვილი. მისი შეფასებით, ხელისუფლება ამ გზით ცდილობს, პარლამენტის ტრიბუნიდან მართალი სიტყვა ჩაახშოს, რაც, მისი თქმით, არ გამოუვა.**

სატირა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ამერიკის ელჩი ლობიოს შეკმაზვაში არ ჩაერევა!

**მოგეხსენებათ, ამერიკელები რუსებზე კულტურული და ზრდილობიანი ხალხია. ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ რუსები ჩვენს მამებს 37 მანეთად „აგულავებდნენ“ და რყვნიდნენ რუსეთში, თავზე ამხობინებდნენ რესტორნებს და, ფაქტობრივად, მთელი კინოინდუსტრია და შოუსაქმიანობა საბჭოთა კავშირის დროს სწორედ ქართველებს მიჰყავდათ. დღესაც კი, თუკი რომელიმე ქართველს ფეხი ჩაუცდება მოსკოვში, იმ წამს დათმობილი აქვს დიდი სცენა, რათა ცდუნებას აჰყვეს, რუსეთი მოეწონოს და პატრიოტული გრძნობები ჩაუქრეს!**




ამერიკელები ასე არ იქცევიან! ისინი უფრთხილდებიან ჩვენი შვილების მომავალს და არ აძლევენ მათ გარყვნის საშუალებას. ვერც ერთი ქართველი ვერანაირ რესტორანს ვერ დაიმხობს თავზე ამერიკაში, თუკი იქ ჩასვლა ეღირსა ლეგალურად(!), დიდ სცენაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ხიბლში რომ არ ჩავარდესდა და თავში არ აუვარდეს, ქართველი ხელოვანების პერსპექტივა ამერიკაში მხოლოდ მიწისქვეშა გადასასვლელები და მიტოვებული გარეუბნებია. ასევე, ამერიკელები ცდილობენ, რომ ქართველებმა ისწავლონ მოხუცებზე ზრუნვა და მათი მოვლა, რითაც წინაპართა პატივისცემას უნერგავენ.

ყოველივე ამის კიდევ ერთი ნათელი მაგალითია ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში, ბატონი იან კელი. როგორც მოგეხსენებათ, იგი არავითარ შემთხვევაში არ ერევა საქართველოს საშინაო საქმეებში და მხოლოდ იმით შემოიფარგლება, რომ გვასწავლის ვინ დავნიშნოთ მინისტრად, რომელი ტელევიზია რომელ მფლობელს დავუტოვოთ, ვინ დავაპატიმროთ და ვინ გავათავისუფლოთ ან რომელ ქვეყანასთან რა ტიპის დიპლომატია ვაწარმოოთ. სულ ეგაა. ეს კაცი და ეს ქვეყანა სხვა არაფერში ერევა და ვერ გამიგია, რა გვინდა ქართველებს, რა პერეტენზია გვაქვს?!

მაინცდამაინც მივდგებით ხოლმე ამერიკას და ამერიკის საელჩოს და ვუყენებთ ბრალს, რომ გვშია, რომ სამსახურები არ გვაქვს, რომ ხალხი უკიდურეს გაჭირვებაშია...

კი მაგრამ, რა ქნას, ბატონო, ამ ამერიკამ და მისმა ელჩმა? დაზუსტებით ვიცით, როგორი კეთილი გული აქვს იან კელის. კიდევ უფრო კეთილები არიან სენატორები და კონგრესმენები. აბა, გაიხსენეთ, რამდენჯერ შეშფოთებულან, რამდენჯერ გამოუხატავთ ღრმა თანაგრძნობა. ისიც ზუსტად ვიცი, რომ სული კბილით უჭირავთ და ძლივს იკავებენ თავს, ქართველ ხალხს საკუთარი ლუკმა რომ გაუყონ, მაგრამ უნდა შევიგნოთ, რომ მათი მხრიდან ასეთი საქციელი ჩვენი ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევად აღიქმება მსოფლიო საზოგადოების თვალში და ამერიკას კი ამის უფლება არ აქვს!

ამერიკელები ის ხალხია, რომლებიც უპირველეს მნიშვნელობას ზრდილობას, კულტურას, ეტიკეტს ანიჭებს და, რაც უნდა გულით უნდოდეს შენი დახმარება, არ დაგეხმარება, თუკი ეს შენს საშინაო საქმეში ჩარევას მოითხოვს!

აბა, ისე კი არაა, რომ შემოვარდა რუსი და აგიშენა აქ მეტრო! აგიშენა ახალი უბნები, ჩაგიწერა პასპორტში „ეროვნება ქართველი“ და ყოველ ქართულ ოჯახს სულ ძალისძალად ჩუქნიდა ოროთახიან თუ სამოთახიან ბინებს უფასოდ! ეგ რა არის, ისე სურდათ ერის გადაშენება, რომ მრავალშვილიან ქართველებს ხუთოთახიან ბინებსაც კი ჩუქნიდნენ!

ამერიკელი იზამდა ამას? გამორიცხულია!

ვისაც არ სჯერა, შევთავაზებთ ექსპერიმენტს: აბა, მიბრძანდით ამერიკის შეერთებული შტატების ელჩთან და სთხოვეთ, წამოგყვეს სახლში და ლობიოს მოხარშვის დროს მის შეკმაზვაში დაგეხმაროს.

შანსი არ გაქვთ! ბატონი იან კელი არ იკადრებს თქვენს საშინაო საქმეებში ჩარევას.

ამაში თავად დავრწმუნდით, როდესაც ჩვენმა ინტრიგანმა კორესპონდენტმა სწორედ ეს ექსპერიმენტი ჩაატარა. იგი მივიდა ბატონ იან კელისთან და ზუსტად ამ წინადადებით მიმართა:

„ბატონო ელჩო კელი, თქვენ ყოველთვის გულისხმიერებას იჩენთ ქართველი ერისადმი. თქვენ მიგვითითებთ, ვინ დავნიშნოთ მინისტრად ანდა დავიჭიროთ თუ არა ხუმარა სპლიყვი; თქვენ გვიწყვეტთ, ვისი კერძო ქონებაა ესა თუ ის ტელეკომპანია... მოკლედ, აშკარაა თქვენი უდიდესი მზურნველობა საქართველოს თითოეულ მოქალაქეზე და მეც ამიტომ მოგმართავთ თხოვნით. კერძოდ, ჩემმა ცოლმა საზაფხულოდ ბავშვები აგარაკზე წაიყვანა. დავრჩი შინ მარტო და დამავიწყდა, რა სუნელები სჭირდება კირკვალ ლობიოს, გემრიელი რომ გამოვიდეს. აგარაკზე მობილური კავშირი უხარისხოა და ცოლმა კარგად ვერ გამაგებინა. ამიტომ, თქვენ, როგორც ჩვენს ქვეყანაზე მზრუნველ ელჩს და ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორიების წარმომადგენელს, გთხოვთ, დამეხმაროთ ლობიოს შეკმაზვაში და მიკარნახოთ, კონკრეტულად, ჩავაგდო თუ არა ლობიოში რეჰანი და ოხრახუში? ქინძის შესახებ არ გეკითხებით. ვიცით, რომ ქინძი თქვენ ყოველთვის დიდ აუცილებლობად მიგაჩნიათ“.

წარმოიდგინეთ, ასეთ თხოვნაზე იან კელი სასტიკად გაბრაზდა, გაწიწმატდა და კატეგორიული უარი თქვა ჩვენს საშინაო საქმეებში ჩარევაზე.

აი, ასეთი კულტურული და კარგი კაცია ამერიკის ელჩი...

ჩვენს ინტრიგან კორესპონდენტს კი ახლა ის აინტერესებს, საჭიროა თუ არა კირკვალი ლობიოს მოსამზადებლად წიწმატი.

**ველქომ ოფენდორი**

# პარლამენტის წინ «შხამის ქვა» დაიდგება

**საპარლამენტო უმრავლესობა ახალ კანონპროექტზე მუშაობს, რომლის მიხედვით, „ნაციონალურ მოძრაობას“ თბილისის პარლამენტში გადმოსვლის შემდეგ რეგულაციები დაუწესდება.**

კერძოდ, **ყოფილი მმართველი გუნდის წარმომადგენლებს შენობაში შესვლამდე შხამის დატოვება სპეციალურ ქვაზე მოუწევთ, რომელიც საგანგებოდ დამზადდა.**

სპეცქვა აღჭურვილია შემნახველი კონტეინერით. ასე რომ, შენობიდან გამოსვლის შემდეგ უმცირესობის წარმომადგენლები შხამს უდანაკარგოდ დაიბრუნებენ.

კანონპროექტს უკვე აკრიტიკებენ ექსპერტები. **ელენე ხოშტარია** ფიქრობს, რომ „ქართული ოცნება“ „ნაციონალური მოძრაობის“ შხამის მითვისებას გეგმავს და ეს ერთგვარი ეშმაკური „ტრიუკია“.

**რომან გოცირიძე** კი ფიქრობს, რომ ხელისუფლება შხამის გენეალოგიის შესწავლას და მის გაშიფვრას ცდილობს.

შხამის შემნახველი დანადგარი პარტიის ყველა წევრისთვის დამზადდა და პროცედურა რამდენიმე წუთს მოითხოვს.

ფაქტს გამოეხმაურა ოდესაში მყოფი **მიხეილ სააკაშვილი.** მისი შეფასებით, ხელისუფლება ამ გზით ცდილობს, პარლამენტის ტრიბუნიდან მართალი სიტყვა ჩაახშოს, რაც, მისი თქმით, არ გამოუვა.

ინიციატივას კრიტიკულად აფასებს მესამე სექტორიც. **გიგა ეკაურის** თქმით, „დასადგენია, რამდენად უსაფრთხო იქნება დანადგარი, რომელიც შხამს შეინახავს და რამდენად იქნება დაცული ის გაყალბებისგან, ვინაიდან შესაძლოა, მისი ჩანაცვლება ქოც-ნივთიერებით მოხდეს და მივიღოთ გაქოცებული ნაცი“, — დასძენს ეკაური.

როგორც ცნობილია, ამის გამო სერიოზული შეშფოთებაა ამერიკის საელჩოში და ევროპის სახალხო პარტიაში.

საგანგებოდ საქართველოში ჩამოსვლას გეგმავენ კონგრესმენი **სტივ რასელი** და ევროპის სახალხო პარტიის პრეზიდენტი **ჟოზეფ დოული.**

საგანგებო შეკრება გაიმართა ლეიბორისტულ პარტიაშიც. ჩვენი წყაროს ინფორმაციით, თუ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ვერაფერი გააწყო, რამდენიმე ადამიანს შხამის დარაჯად დააყენებენ, რომლებიც მას საგულდაგულოდ დაიცავენ, რათა არ მოხდეს მისი გაყალბება.

**ყოფილი მმართველი გუნდის წარმომადგენლებს შენობაში შესვლამდე შხამის დატოვება სპეციალურ ქვაზე მოუწევთ, რომელიც საგანგებოდ დამზადდა. სპეცქვა აღჭურვილია შემნახველი კონტეინერით. ასე რომ, შენობიდან გამოსვლის შემდეგ უმცირესობის წარმომადგენლები შხამს უდანაკარგოდ დაიბრუნებენ**

როგორც წყარო გვამცნობს, **ირინა სარიშვილი** და **მეგი გოცირიძე** მოხალისეთა სპეციალურ ჯგუფს ქმნიან, რომლებიც მონაცვლეობით იმორიგევებენ პარლამენტის შენობასთან.

24-საათიან მორიგეობაზე თანხმობა უკვე განაცხადა **ირაკლი წერეთელმა.** მისი თქმით, პარლამენტის შენობა მისთვის ნაცნობი ადგილია და იქ დგომა არ გაუჭირდება.

წყაროს ინფორმაციით, დანადგარები, ფაქტობრივად, უკვე მზად არის და რამდენიმე დღეში მოხდება მისი დატესტვა.

**გრიგოლ ინგაძე**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1980-იანი წლების ბოლოს დაპროექტდა თბილისის მეტროპოლიტენის მესამე ხაზი, რომელზეც უნდა ყოფილიყო, სულ ცოტა, 14 სადგური მოსკოვის პროსპექტიდან დიდ დიღმამდე, მათგან 4 — ერთი ხაზიდან მეორეზე გადასასვლელი: „ვარკეთილი 2“, „რუსთაველი 2“ და „დიდუბე 2“ გლდანი-ახმეტელის ხაზზე, აგრეთვე, სადგური „პოლიტექნიკური 2“ საბურთალოს ხაზზე. 2000 წლამდე უნდა აშენებულიყო 5 სადგური, რომლებზეც დაიწყო სამუშაოები. ესენია: „რუსთაველი 2“; „საარბრიუკენის მოედანი“; „ქვემო ელია“; „ზემო ელია“ და „ვაზისუბანი“.**

გივი თედელური:

# ტერიტორიების დიდი ნაწილი, რომლებზეც მეტროპოლიტენის სადგურები უნდა აშენებულიყო, გაყიდულია!

**მეტროპოლიტენი მსოფლიოში ერთ-ერთი გავრცელებული და სწრაფი სატრანსპორტო საშუალებაა, რომლითაც ყოველდღიურად მილიონობით ადამიანი მგზავრობს. მეტროპოლიტენის ისტორია ლონდონიდან იწყება. 1846 წელს ინგლისელმა მათემატიკოსმა და ფილოსოფოსმა კარლ (ჩარლზ) პირსონმა ბრიტანეთის რკინიგზის სამეფო კომისიაში მეტროპოლიტენის მშენებლობის გეგმა წარადგინა. 17 წლის შემდეგ კი, 1863 წლის 10 იანვარს, ლონდონში 3,6კმ სიგრძის 7 მიწისქვეშა სადგური გაჩნდა. პირველ დღეს გადაიყვანეს 30 000 ადამიანი.**

მეტროლიტენმა მალე მოიპოვა ყველაზე პოპულარული და უსაფრთხო სატრანსპორტო საშუალების სახელი. 1868 წელს მეტროპოლიტენი ნიუ იორკშიც გაჩნდა, 1900 წელს — პარიზში, 1902 წელს კი — ბერლინში. ამას მოჰყვა მეტროპოლიტენის აგება სხვა ქალაქებშიც, სადაც მცხოვრებთა რაოდენობა მილიონზე მეტი იყო. რაც შეეხება თბილისში მეტროპოლიტენის აშენებას, ამ იდეას თავდაპირველად საბჭოთა ხელისუფლება ეწინააღმდეგებოდა, მიზეზად საქართველოს დედაქალაქში მილიონზე ნაკლები რაოდენობის (600 ათასი) მოსახლეობასა და საჭირო რესურსის უქონლობას ასახელებდნენ, მაგრამ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იმჟამინდელმა პირველმა მდივანმა **კანდიდ ჩარკვიანმა** მოახერხა, უშუალოდ **სტალინისგან** მოეპოვებინა თანხმობა მეტროპოლიტენის მშენებლობაზე და 1951 წელს უკვე მიღებული იყო ეს გადაწყვეტილება. მშენებლობისთვის 824 მილიონი მანეთი იყო გამოყოფილი.

თბილისის მეტრომშენის სამმართველო 1952 წელს ჩამოყალიბდა. 1953 წელს დაიწყო პირველი გადასარბენი გვირაბების აგება. 1957 წელს მეტროპოლიტენის მშენებლობა შეჩერდა და დაიწყო სხვადასხვა დანიშნულების გვირაბების მშენებლობა, რომლისთვისაც მეტრომშენის სამმართველო გადაკეთდა „თბილგვირაბმშენად“. 1959-ში განახლდა მეტროპოლიტენის პირველი რიგის მშენებლობა. 1962 წელს კი შეიქმნა მშენებარე მეტროპოლიტენის დირექცია, 1965-ში — თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველო. თბილისის მეტროპოლიტენი 1966 წლის 11 იანვარს ამოქმედდა. აღსანიშნავია, რომ ჩვენი მიწისქვეშა ტრანსპორტი, მოსკოვის, ლენინგრადისა და კიევის შემდეგ, მეოთხე სისტემა იყო საბჭოთა კავშირის მასშტაბით. თბილისის მეტროპოლიტენი თავდაპირველად ხუთი სადგურისგან შედგებოდა: „დიდუბე“, „ელექტროდეპო“, „ვაგზლის მოედანი“, „მარჯანიშვილი“ და „რუსთაველი“. ამჟამად კი თბილისის მეტროპოლიტენში 22 სადგურია. მეტროპოლიტენის 23-ე სადგურის მშენებლობა წლების განმავლობაში დაკონსერვებული იყო. მეორე ხაზის გაგრძელება სადგურ „დელისიდან“ უნივერსიტეტის მიმართულებით 1985 წელს დაიწყო, მაგრამ 1993 წელს შეჩერდა. 20 წლის განმავლობაში შეჩერებული მშენებლობა 2015 წლის ივნისის ბოლოს განახლდა. 2.6 კმ სიგრძის გვირაბში დღეს სხვადასხვა სამუშაო მიმდინარეობს და მშენებლობის დასრულება 2017 წლის მარტისთვის იგეგმება. პროექტს აზიის განვითარების ბანკი აფინანსებს. მისი ღირებულება 83 000 670 ლარია. ობიექტზე სამშენებლო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული ესპანურ-იტალიური საწარმო „ასიგნია კობრა“ ახორციელებს.

**თბილისის მეტროპოლიტენის ყველა სადგური შპს „თბილმეტრომშენის“ (შემგომ — „თბილგვირაბმშენი“) აშენებულია. რატომ ვერ მოიპოვა ახალი სადგურის აშენების უფლება ნახევარსაუკუნოვანი ისტორიისა და უდიდესი გამოცდილების მქონე კომპანიამ ან რატომ გაუქმდა მეტროს მესამე ხაზის მშენებლობა? — ამ საკითხებზე სასაუბროდ შპს „თბილგვირაბმშენის“ დირექტორის მოადგილეს მშენებლობის დარგში, ბატონ გივი თედელურს ვესტუმრეთ.**


გივი თედელური

— საქართველოში ყველა გვირაბი ჩვენი აშენებულია, — **ამბობს ბატონი გივი,** — არა მხოლოდ თბილისის მეტროპოლიტენი 22 სადგურით, არამედ საავტომობილო გვირაბებიც. ჩვენი აშენებულია კავკასიონის ქედში გამავალი როკის გვირაბი, სურამის უღელტეხილზე — რიკოთის გვირაბი, თბილისში მეტეხის 2 გვირაბი, 5 გვირაბი საქართველოს სამხედრო გზაზე, მცხეთისა და შორაპნის რკინიგზის გვირაბები, მელიორაციისთვის საჭირო ჰიდროტექნიკური გვირაბები, უნიკალური მიწისქვეშა საცავების კომპლექსები ყვარელში, ხელვაჩაურში და ა.შ.

1990-იან წლებში ქვეყანაში განვითარებული მოვლენების გამო მეტროპოლიტენის მშენებლობა ველარ გაგრძელდა, რადგან მოგეხსენებათ, მეტროს მშენებლობას დიდძალი თანხა სჭირდება. **ბოლო სადგური — „ვაჟა-ფშაველა“ 2000 წელს ავაშენეთ. რაც შეეხება „უნივერსიტეტს“, ამ სადგურის მშენებლობა გასული საუკუნის 80-იან წლებში დავიწყეთ. უბანზე სამუშაოების 90%-ზე მეტი ჩვენი შესრულებულია.** მოგვიანებით, 2006-2007 წლებში, თბილისის მერიამ გამოაცხადა ტენდერი მეტროპოლიტენის სადგურის მშენებლობაზე. იმედი მოგვეცა, რომ ისევ ამუშავდებოდა ჩვენი ორგანიზაცია, ორჯერ მოვიგეთ ტენდერი, მაგრამ, როცა მოვემზადეთ სამუშაოს დასაწყებად, მერიამ გვითხრა, ფული არ გვაქვსო. **დღემდე გაურკვეველია, თუ ფული არ ჰქონდათ, რატომ აცხადებდნენ ტენდერს.**

**«მართალია, მეტროპოლიტენის სადგურების ასაშენებელი ბევრი ტერიტორია უკვე გაყიდულია, მაგალითად, «ვარანცოვზე», სანაპიროზე, სადაც ამჟამად რესტორანი «ძველი სახლი» მდებარეობს და ა.შ., მაგრამ, თუ მთავრობა მოინდომებს, შეუძლებელი არაფერია, მით უმეტეს, როცა საუბარია ხალხისა და ქალაქის ინტერესებზე»**



**— ბატონო გივი, ახლა რატომ ვერ მოიგეთ ტენდერი, რატომ აშენებს ახალ სადგურს ესპანურ-იტალიური სამშენებლო კომპანია, როდესაც ქვეყანაში უზარმაზარი გამოცდილების მქონე „თბილგვირაბმშენია“? როგორც ვიცი, თქვენი თანამშრომლების უმრავლესობა საზღვარგარეთაა სამუშაოდ წასული. ალბათ, ყველა დაბრუნდებოდა, თუ სამშობლოში სამუშაო და შესაბამისი ანაზღაურება ექნებოდა...**

— ეს არის აზიის განვითარების ბანკის პროექტი და სახელმწიფო კომპანიას არ შეეძლო ტენდერში მონაწილეობა. ამასთანავე, ვერ ვაკმაყოფილებდით ტენდერის პირობებს — ბოლო წლებში დიდთანხიანი პროექტები უნდა გვქონოდა განხორციელებული. ჩვენ მხოლოდ ნარჩენების გატანის სამუშაოების ჩატარების უფლება მივიღეთ. მოვამზადეთ გვირაბი სამუშაოების შესასრულებლად. შემდეგ შევხვდით თბილისის მერს, ბატონ დავით ნარმანიას, ვთხოვეთ, ჩვენც დავესაქმებინეთ. ვუთხარი, ჩვენი მშენებლები საზღვარგარეთ მუშაობენ, მაგრამ აქ ჩამოვიყვანთ და სამუშაოს მაღალ დონეზე შევასრულებთ-მეთქი. ჩვენმა მშენებლებმა განაცხადეს, სიხარულით დავბრუნდებით საქართველოში და აქ რაც გვაქვს, იმის ნახევარ ხელფასზეც თანახმა ვიქნებითო, მაგრამ, დაპირების მიუხედავად, სამუშაო არ მიგვიღია. მოგეხსენებათ, გვირაბში მუშაობა ძალიან რთულია, 85 პენსიონერი გვყავს, რომლებსაც სამუშაოების შესრულებისას სხეული მძიმედ დაუზიანდათ და ორგანიზაცია ვალდებულია, სიცოცხლის ბოლომდე პენსია უხადოს. თუ დაგვასაქმებდნენ, ამ ხალხის დავალიანების გადახდასაც შევძლებდით. რამდენიმეჯერ მივმართეთ თხოვნით, ამ ადამიანებზე ზრუნვა ისევე გადაებარებინათ, როგორც ტყიბულის მაღაროების პენსიონერების, მაგრამ ჯერჯერობით ვერც ეს მოხერხდა.

ყველაზე გულსატკენი არის ის, რომ **2007 წელს კი არ დაკონსერვდა თბილისის მეტროპოლიტენის მესამე ხაზის მშენებლობა, არამედ საერთოდ გაუქმდა.** 1980-იანი წლების ბოლოს დაპროექტდა თბილისის მეტროპოლიტენის მესამე ხაზი, რომელზეც უნდა ყოფილიყო, სულ ცოტა, 14 სადგური მოსკოვის პროსპექტიდან დიდ დიღმამდე, მათგან 4 — ერთი ხაზიდან მეორეზე გადასასვლელი: „ვარკეთილი 2“, „რუსთაველი 2“ და „დიდუბე 2“ გლდანი-ახმეტელის ხაზზე, აგრეთვე, სადგური „პოლიტექნიკური 2“ საბურთალოს ხაზზე. 2000 წლამდე უნდა აშენებულიყო 5 სადგური, რომლებზეც დაიწყო სამუშაოები. ესენია: „რუსთაველი 2“; „საარბრიუკენის მოედანი“; „ქვემო ელია“; „ზემო ელია“ და „ვაზისუბანი“.

წარმოიდგინეთ, რამხელა შეღავათს მისცემდა ეს ხაზი თბილისის გადატვირთულ ქუჩებს — ამდენი საცობი არ იქნებოდა, თანაც მეტროპოლიტენი ხომ ეკოლოგიურად სუფთა, უსაფრთხო, სწრაფი, იაფი სატრანსპორტო საშუალებაა და, რაც მთავარია, თავდაცვითი ნაგებობა, მათ კი გააუქმეს.

**— კონკრეტულად ვისი გადაწყვეტილებით გაუქმდა?**

— მეტროპოლიტენის მშენებლობის გაუქმების დადგენილებას ხელს აწერს თბილისის მერის პირველი მოადგილე **მამუკა ახვლედიანი,** იმხანად თბილისის მერი **გიგი უგულავა** გახლდათ. კონკრეტულად ვისი გადაწყვეტილება იყო, ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ ტერიტორიების დიდი ნაწილი, რომლებზეც მეტროპოლიტენის სადგურები უნდა აშენებულიყო, გაყიდულია. არადა, 2182 გრძივი მეტრის სამუშაოები უკვე შესრულებულია: გათხრილია გვირაბები, გადასარბენები და ა.შ.

**— უსაფრთხოა ეს გათხრილი გვირაბები თბილისის მოსახლეობისთვის?**

— გაუმაგრებელია 390 მეტრი. ჯერჯერობით საფრთხე იმისა, რომ გვირაბი ჩაინგრეს, არ არის, მაგრამ დროთა განმავლობაში რა მოხდება, არავინ იცის. როცა გვირაბს აუქმებენ, უნდა მოიყვანონ იმ საპროექტო მდგომარეობაში, რომელიც სპეციალურად არის გათვალისწინებული ასეთი შემთხვევისთვის. იქ შესასრულებელი იყო გარკვეული სამუშაოები, მაგრამ არ შესრულდა. ხვალ ვინმემ რომ მოიკითხოს ეს გვირაბები და მოინდომოს აღდგენა, ბევრი რამ ხელახლა იქნება გასაკეთებელი. იმედია, გამოჩნდება საღად მოაზროვნე ადამიანი, რომელიც მიხვდება, რომ საჭიროა მეტროპოლიტენის განვითარება. მართალია, მეტროპოლიტენის სადგურების ასაშენებელი ბევრი ტერიტორია უკვე გაყიდულია, მაგალითად, „ვარანცოვზე“, სანაპიროზე, სადაც ამჟამად რესტორანი „ძველი სახლი“ მდებარეობს და ა.შ., მაგრამ, თუ მთავრობა მოინდომებს, შეუძლებელი არაფერია, მით უმეტეს, როცა საუბარია ხალხისა და ქალაქის ინტერესებზე.

მოამზადა
**ნატალი ბრეგვაძე**

„არანაირი გამართლება არ აქვს ხელისუფლებას, რომლიც ამ უხამსობას, ერთნაირსქესიანთა ქორწინებას, მოახვევს თავს მოსახლეობას. ღმერთმა დაიფაროს საქართველო ამ ნაბიჯის გადადგმისგან. ამის გაგებას სიკვდილი მირჩევნია. ასეთი კულტურის მქონე ქვეყანაში რაზე მსჯელობენ?! გადაშენების პირას მიჰყავთ ქართველი ერი“.

შორია გურჯისტანამდე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რატომ არ სურს ქართველ ემიგრანტს სამშობლოში დაბრუნება

**59 წლის ლენა სვანიძე პროფესიით ექთანია. 16 წელია, საბერძნეთის დედაქალაქ ათენში ცხოვრობს და მოხუცს უვლის. მისთვის ემიგრანტობა მძიმე ტვირთია, ისეთივე, როგორიც უცხოეთში გადახვეწილი მრავალი დედისთვის, რომლებმაც სამშობლო შვილების დასაპურებლად დატოვეს.**

**— ქალბატონო ლენა, ბოლო პერიოდში ბევრმა ქართველმა დედამ დატოვა სამშობლო გაუსაძლისი პირობების გამო. თქვენ რატომ წახვედით საქართველოდან?**

— საქართველოდან იმიტომ წამოვედი, რომ სამსახურში ხელფასს არ მიხდიდნენ — თვეობით ველოდებოდით გასამრჯელოს. ორი შვილი მყავს და მოხუცი დედამთილი. საქართველოს დატოვება და უცხო ქვეყანაში წამოსვლა იოლი გადასაწყვეტი არ იყო. ახლაც მიჭირს იმ მომენტის გახსენება, როდესაც შვილებს ჩემი გადაწყვეტილების შესახებ ვუთხარი. მათი თვალები არასდროს დამავიწყდება... ეს უმძიმესი წუთები იყო ჩემთვის. იმხანად არც სკაიპი იყო და არც სხვა საშუალება, ჩემი შვილებისთვის რომ შემეხედა, ერთმანეთთან წერილებით გვქონდა ურთიერთობა... საბერძნეთში მუშაობა მოხუცი ქალის მომვლელად დავიწყე, კარგი ადამიანი იყო. პატივისცემა იცოდა, საჩუქარიც ბევრი მახსოვს მისგან. გარდაცვალების შემდეგ ოროთახიანი ბინა დამიტოვა.

**— როგორი ხალხია ბერძნები და როგორი სახელი აქვთ ქართველებს საბერძნეთში?**

— 2000 წელს ჩამოვედი აქ და, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეკონომიკურად ძლიერ ქვეყანაში მოვხვდი. ენაც მალე ავითვისე. რაც შეეხება ხელფასს, საშუალო ოდენობის იყო.

ბერძნები, რომლებთანაც ურთიერთობა მაქვს, არაჩვეულებრივი ხალხია. სიმართლე გითხრათ, ზოგიერთმა არც კი იცოდა საქართველოს არსებობის შესახებ, თუმცა დროთა განმავლობაში უფრო ერკვევიან და კარგად არიან ქართველების მიმართ განწყობილნი.

**— ბევრი ამბობს, ქალებმა საკუთარ თავზე არ უნდა აიღონ ამხელა ტვირთი და ოჯახი მამაკაცმა უნდა არჩინოსო. აგრეთვე, ამბობენ, კაცებს**



**ცოლები გაშვებული ჰყავთ ვილაცების მოსავლელად, თვითონ კი მათ ხარჯზე უდარდელად ცხოვრობენო.**

— დიახ, ბევრისგან მსმენია, ცოლის გამოგზავნილი ფულით კაცები დროს ატარებენო. ამის გამო ბევრი ოჯახი დაინგრა. რამდენი შარვლიანიცაა, ყველა კაცი ხომ არ არის? **საბერძნეთიდან საქართველოში დაბრუნებული ქალები ისევ აქ ჩამოდიან — ფულის გამგზავნს შინ არავინ აჩერებს. ერთი ქალბატონი ვიცი, სახლის საყიდელი ფული გაუგზავნა ქმარს, მან კი, მომპარესო, — განუცხადა.** რაც შეეხება საკითხს, უნდა დავიკისროთ თუ არა ქალებმა ოჯახის რჩენის პასუხისმგებლობა, ვიტყვი, რომ თექვსმეტი წელია, აქ ვარ და მამაკაცისთვის სამუშაოს პოვნა ყოველთვის რთული იყო და არის. ქალები კი ოჯახებში იოლად შოულობდნენ სამუშაოს მოხუცის მომვლელად და ძიძად. ჩემი მეუღლე ახალგაზრდა იყო, როცა დაიღუპა, და ყველა სიმძიმე ოჯახისა მე დამაწვა მხრებზე.

**— საქართველოში წინასაარჩევნო პერიოდია. საბერძნეთში მცხოვრები ქართველები ჩართული თუ ხართ საქართველოს შიდაპოლიტიკურ პროცესებში და რას ფიქრობთ დღევანდელ ხელისუფლებაზე?**

**— საქართველოს არ ჰყავს ხელისუფლება, ქაოსია ქვეყანაში. ხალხი გაჭირვებაში ცხოვრობს, აღარ აქვს მნიშვნელობა, პატიოსანი ხარ თუ არა, შენს შრომას მაინც არავინ აფასებს. ადამიანებს არ აქვთ თავიანთი შრომის შესაბამისი ანაზღაურება. ხშირად სწორედ ამის გამო ტოვებენ ქვეყანას და მიდიან ემიგრაციაში.**

საქართველოს ემიგრანტები ვარჩენთ, მაგრამ საყვედურიც ბევრია. გგონიათ, ხელფას ტყუილად გვიხდიან? — არ არის ასე. ეს დიდი ტკივილის, ცრემლისა და მონატრების საფასურია, მუხლჩაუხრელი შრომის. მუშაობისას ტირილი და სიცილი გვეკრძალება... სამშობლოსგან მოშორებით ყოფნა დიდი მსხვერპლის ფასად გვიჯდება.

**— საბერძნეთში ერთნაირსქესიანთა ქორწინება დააკანონეს. როგორ შეხვდა ბერძენი მოსახლეობა ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებას და რას ფიქრობთ, რა საფრთხე ელის ქართველებს ამ კანონის მიღების შემთხვევაში?**

— რაც შეეხება ერთნაირსქესიანთა ქორწინებას, ძალიან შევწუხდი და გამიკვირდა, როდესაც საბერძნეთმა, ასეთმა მორწმუნე ქვეყანამ ამ თემის განხილვა რომ დაიწყო. არანაირი გამართლება არ აქვს ხელისუფლებას, რომელიც ამ უხამსობას, ერთნაირსქესიანთა ქორწინებას, მოახვევს თავს მოსახლეობას. ღმერთმა დაიფაროს საქართველო ამ ნაბიჯის გადადგმისგან. ამის გაგებას სიკვდილი მირჩევნია. ასეთი კულუტურის მქონე ქვეყანაში რაზე მსჯელობენ?! **გადაშენების პირას მიჰყავთ ქართველი ერი. საქართველოში ჩამოსულმა, როგორც კი ფეხი დავდგი მშობლიურ მიწაზე, ავიღე, დავყნოსე და ვაკოცე იმის ნიშნად, რომ დალოცვილ ქვეყანაში დავბრუნდი. ახლა კი ისეთი განცდა მაქვს, რომ მოვალეობის მოხდის მიზნით უნდა ჩამოვიდე — სანამ დედა ცოცხალი მყავს, უნდა მოვინახულო.** მაინც არავის ვურჩევ ემიგრაციაში წასვლას. ვიმედოვნებ, ფეხზე დადგება საქართველო, დაიბრუნებს იმ სახელს, რომელიც წლების წინათ ჰქონდა... რა დღეში ჩააგდეს ასეთი კულტურის მქონე ქვეყანა?!

**— არ აპირებთ საქართველოში დაბრუნებას?**

— საქართველოში დაბრუნების პერსპექტივას ჯერჯერობით ვერ ვხედავ. აქ ვმუშაობ და ვიცი, რომ ხელფასს გადამიხდიან. სამშობლოში უპერსპექტივოდ ყოფნას მირჩევნია, აქ, საბერძნეთში, ვიცხოვრო. საქართველოში რას უნდა მივაღწიო 59 წლის ქალმა? საქართველო ჩემთვის მხოლოდ სამშობლოა. ეროვნებით ქართველი ვარ და ასე დავრჩები, მაგრამ საქართველოში ჩემი ადგილი არ არის. ყველაფრის მიუხედავად, ძალიან მიყვარს ქართული მიწა, რომლის დაყრასაც ვინატრებდი ბოლო ჟამს... ყოველთვის ვამბობ გულის სიღრმეში: „უცხოობაში რაა სიამე“, მაგრამ მაინც...

ესაუბრა
**ქრისტინე ტოგონიძე**

## თენგიზ ვერულავა: ჯანდაცვის სამინისტრო ცდილობს, თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობა

**4 წლის წინათ „ქართული ოცნების“ მიერ გაცემული დაპირებებიდან ერთ-ერთი იყო საქართველოს ჯანდაცვის სისტემაზე ზრუნვა, მაგრამ, როგორც წინანდელმა მთავრობებმა, ამჟამინდელმაც ვერ მოაგვარა პრობლემები. ჯანდაცვის სისტემისთვის 2016 წელს, ბოლო 25 წლის განმავლობაში პირველად, გამოიყო რვაასი მილიონი ლარი, მაგრამ ეს მაინც არ არის საკმარისი თანხა იმ პრობლემების მოსაგვარებლად, რომელთა წინაშეც დგას ეს სფერო. რა მდგომარეობაშია საქართველოს ჯანდაცვის სისტემა, რა ბერკეტებს ფლობს ხელისუფლება დაპირებების შესასრულებლად და რის მიხედვით უნდა განსაზღვროს პრიორიტეტები? — ამ საკითხებზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ბატონი თენგიზ ვერულავა გვესაუბრება:**

— პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ, რა მდგომარეობაა დაფინანსების მხრივ. სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვის სისტემისთვის გამოსაყოფი თანხის ოდენობის განსასაზღვრავად, ანუ რამდენი უნდა იყოს ჯანდაცვაზე გათვალისწინებულ მთლიან დანახარჯში სახელმწიფოს წილი, არსებობს სპეციალური კრიტერიუმი, რომელიც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ შეიმუშავა. ჩვენთვის ცნობილია, რომ ჯანდაცვაზე მთლიანი დანახარჯი ორი მილიარდ ორასი ათასი ლარია. 2016 წელს სახელმწიფო ხარჯავს რვაას მილიონ ლარს, ეს მთლიანი ხარჯის 40%-ია. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციაც გვეუბნება, რომ ჯანდაცვის მთლიან დანახარჯში სახელმწიფოს ხარჯი უნდა იყოს არანაკლებ 40%-ისა. **ბოლო 25 წლის განმავლობაში პირველად გამოიყო ასეთი ოდენობის თანხა, რაც, რა თქმა უნდა, მისასალმებელია, მაგრამ საკითხავია, ჰყოფნის თუ არა გამოყოფილი თანხა საქართველოს ჯანდაცვის სისტემას. შეიძლება ითქვას, რომ ეს ჯანდაცვისთვის მწირი რესურსია.**

**— თქვენ ამბობთ, რომ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა საკმარისი არ არის. რის მიხედვით უნდა გაანაწილოს**



**ჯანდაცვის სისტემამ ფინანსები, პირველ რიგში, რაზე უნდა იზრუნოს?**

— დიახ, სწორედ მწირი რესურსის გამო ჯანდაცვის სისტემამ უნდა შეარჩიოს პრიორიტეტები — განსაზღვროს, უწინარესად, ვინ დააფინანსოს. ეს პრიორიტეტები კი მსოფლიოს ჯანდაცვის სისტემას შემუშავებული აქვს. **პირველ რიგში უნდა დაეხმარონ სოციალურად დაუცველ ადამიანებს, რადგან მათ კერძო კომპანიები არ დააზღვევენ და სწორედ ამიტომ სჭირდებათ სახელმწიფო მხარდაჭერა. მეორე კატეგორიაში არიან პენსიონერები, რადგან საპენსიო ასაკში მატულობს დაავადებათა რაოდენობა.** საინტერესოა, რას უფინანსებს სახელმწიფო ამ ორი კატეგორიის წარმომადგენლებს: აფინანსებს გადაუდებელ დახმარებას, გეგმურ დახმარებას, აგრეთვე, სტაციონარულ მომსახურებაში მედიკამენტებსაც, მაგრამ მედიკამენტები არ ფინანსდება ამბოლატორიული მკურნალობისას. არადა, სტატისტიკურად, ჯანდაცვის მთლიან დანარხაჯებში მედიკამენტებზე დანახარჯი დაახლოებით 40-45%-ია. **მედიკამენტებზე ამდენი დანახარჯი არც ერთ ქვეყანაში არ არის. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში პირველადი ჯანდაცვა არ არის განვითარებული.** ამდენი ფულის დახარჯვა მედიკამენტებზე ბევრ უარყოფით ტენდენციაზე მიგვანიშნებს. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ადამიანი ოჯახის ექიმთან კი არ მიდის და ეკითხება, როდის რა წამალი მიიღოს, არამედ პირდაპირ აფთიაქს მიაშურებს და თვითონ უნიშნავს თავს მედიკამენტს. ეს ამტკიცებს სწორედ პირველადი ჯანდაცვის განუვითარებლობას ქვეყანაში. **თუ ქვეყანაში პირველადი ჯანდაცვის სისტემა არ არის განვითარებული, გამოდის, რომ საძირკველი არ აქვს სისტემას, ანუ სისტემა არ მუშაობს. რვაასი მილიონის გამოყოფასაც ეკარგება მნიშვნელობა, თუ პრიორიტეტები არ გაქვს განსაზღვრული და არ იცი, რის მიხედვით უნდა გადაანაწილო თანხები.**

— **ახლახან აღირიცხა მძიმე დაავადების — ლეიშმანიოზის კიდევ ერთი შემთხვევა. ჯანდაცვის სამინისტრო კი დაავადების თავის აცილების მიზნით ამბობს, რომ მშობლებმა არ გაუშვან ბავშვები გარეთ. ნუთუ არ არსებობს საფრთხის არიდების სხვა გზები?**

— ზოგი დაავადება ისე რთულად იჩენს ხოლმე თავს, რომ მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებშიც კი უჭირთ მასთან გამკლავება. ასეთი გადამდები დაავადებაა ლეიშმანიოზი. საქართველოს ძალიან გაუჭირდება ამ დაავადებასთან შეჭიდება. ამისთვის ჯანდაცვის სისტემას შემუშავებული უნდა ჰქონდეს გადამდებ დაავადებასთან ბრძოლის მეთოდები და საშუალებები, მაგრამ არ აქვს, ამიტომ უჭირთ მასთან ბრძოლა და მარტივ გამოსავალს პოულობენ, — მოარიდეთ ბავშვებიო. **ჯანდაცვის სამინისტრო ცდილობს, თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობა.**

**— ბატონო თენგიზ, ამჟამად რა ბერკეტებს ფლობს საქართველოს ჯანდაცვის სისტემა პრობლემების მოსაგვარებლად, რომლებიც განვიხილეთ?**

— უმთავრესია, რომ სახელმწიფოს ჰქონდეს სურვილი, სამედიცინო სამსახურმა იზრუნოს თავის მოსახლეობაზე. ჯანდაცვის სისტემის მიმართ არის ორი მიდგომა: სახელმწიფო მიდგომა და პიროვნული პასუხისმგებლობა. ყველაფერს სახელმწიფო ვერ დააფინანსებს. მსოფლიოში არც ერთი ქვეყანა არ უფინანსებს ჯანდაცვის სისტემას ყველაფერს. ამ მხრივ ერთ-ერთი ბერკეტია ადამიანის პასუხისმგებლობა თავის ჯანმრთელობაზე. ჯანდაცვის სისტემაზე მეტად მან უნდა იზრუნოს თავის ჯანმრთელობაზე. ამასთანავე, **აუცილებელია, სახელმწიფომ შეასრულოს თავისი მინიმალური ვალდებულებები. სამწუხაროდ, მას ვალდებულება მხოლოდ გადაუდებელ სამედიცინო მომსახურეობაზე აქვს აღებული.** დაბალანსებული უნდა იყოს სახელმწიფო ვალდებულებები და ადამიანის პიროვნული პასუხისმგებლობა საკუთარ ჯანმრთელობაზე.

ესაუბრა
**ქრისტინე ტოგონიძე**

პარა ბელუმ!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რა არის რეალური შავი ზღვის აკვატორიაში ნატოს ფლოტილიის შექმნის რეალური მიზანი? — შეიქმნას რუსეთის შემაკავებელი პირობები არა მხოლოდ ხმელეთზე, არამედ ზღვაზეც; შეიბოჭოს მოქმედება რუსეთის შავი ზღვის ფლოტისა, რომლის გაძლიერებამაც ასე შეაშფოთა თურქეთის პრეზიდენტი.**

# რატომ ცდილობს ნატო შავი ზღვის ფლოტილიის შექმნას

**თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა, სანამ ლაპარაკს დაიწყებდა რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებაზე, ნატოს ხელმძღვანელობას შავ ზღვაში სამხედრო ხომალდების რაოდენობის გაზრდისკენ მოუწოდა. ერდოღანის თქმით, „დაუშვებელია, რომ „რუსეთმა შავი ზღვა თავის შიგა ტბად გადააქციოს“. იმავე ერდოღანმა ნატოს გენერალური მდივნის — იენს სტოლტერბერგისადმი მიმართვაში განაცხადა, რომ, თუ დღეს ნატო არაფერს დაუპირისპირებს რუსეთს შავ ზღვაში, ეს ალიანსისთვის ნეგატიურ შედეგებს გამოიწვევს.**



მოკლედ, ერდოღანი არა მხოლოდ თურქეთის, არამედ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის იდეების გამხმოვანებლის როლში გამოვიდა. იდეების არსი კი არის ის, რომ ნატო აღმოსავლეთით ფართოვდება არა მხოლოდ თავის რიგებში ახალი სახელმწიფოების მიღებით, არამედ თავისი სამხედრო ძალების გააქტიურებითა და გაძლიერებით რუსეთის საზღვრებთან, მაგალითად — შავ ზღვაზე.

**რა არის რეალური შავი ზღვის აკვატორიაში ნატოს ფლოტილიის შექმნის რეალური მიზანი? — შეიქმნას რუსეთის შემაკავებელი პირობები არა მხოლოდ ხმელეთზე, არამედ ზღვაზეც; შეიბოჭოს მოქმედება რუსეთის შავი ზღვის ფლოტისა, რომლის გაძლიერებამაც ასე შეაშფოთა თურქეთის პრეზიდენტი.**

ალსანიშნავია, რომ ნატოს წევრი-ქვეყნების მსჯელობა ე.წ. შავი ზღვის ფლოტილიის შექმნის შესახებ მიდის **მონტრეს კონვენციამდე** (შეთანხმება, რომელიც გაფორმდა 1936 წელს შვეიცარიაში), მაგრამ, სადაც უნდა „მიდიოდეს“, არის კი მზად ორმაგ სტანდარტებსა და ფარისევლობაში ჩაძირული ნატო რომელიმე საერთაშორისო შეთანხმების გასათვალისწინებლად?

**მონტრეს კონვენცია შავი ზღვიდან ხმელთაშუა ზღვაში გასასვლელი სრუტეების სტატუსს ეხება, აგრეთვე, შავი ზღვის აკვატორიაში სამხედრო ხომალდების გამოყენების ზოგიერთ ასპექტს. დოკუმენტში ჩაწერილია, რომ შავ ზღვაში იმ სახელმწიფოების სამხედრო ხომალდების ყოფნა, რომლებსაც ამ ზღვაზე გასასვლელი არ აქვთ, რეგლამენტირებული უნდა იყოს ჯამური ტონაჟის გათვალისწინებით. ხოლო სამხედრო გემების ჯამური ტონაჟი არაშავიზღვის ქვეყნებისა, მონტრეს კონვენციის მიხედვით, 21 დღე-ღამის განმავლობაში 30 ათას ტონას არ უნდა აღემატებოდეს. ტონაჟმა იმ შემთხვევაში შეიძლება მოიმატოს 45 ათასამდე, თუ შავი ზღვის რეგიონის სახელმწიფოები ფლოტის მასშტაბებს გაზრდიან.**

თუ ამ ტონაჟს ხომალდებში გადავიყვანთ, გამოდის, რომ **შავი ზღვის აკვატორიაში სამი კვირის განმავლობაში ერთდროულად შეიძლება იმყოფებოდეს ნატოს 7 ისეთი სამხედრო ხომალდი, როგორიცაა, მაგალითად, ამერიკული საესკადრო ნაღმმზიდი „დონალდ კუკი“ (DDG-75).**

ხომალდების რაოდენობის მომატება (ტონაჟის მიხედვით) მონტრეს კონვენციის დარღვევაა. თურქეთს, როგორც შავ ზღვაზე გასასვლელის მქონე ქვეყანას, შეუძლია, განუსაზღვრელი ვადითა და რაოდენობით ჰყავდეს შავ ზღვაში სამხედრო გემები, აგრეთვე, რუსეთსაც. ვითარება იცვლება, **თუ თურქეთი თავის თავს გამოაცხადებს „საომარი საფრთხის ქვეშ მყოფ ქვეყნად“. ამ შემთხვევაში ანკარას უფლება აქვს, იმოქმედოს მონტრეს კონვენციის მე-20 მუხლის მიხედვით.**

ამ მუხლში კი ნათქვამია, რომ **თურქეთს შეუძლია სურვილისამებრ გამოიყენოს სრუტეები (ბოსფორისა და დარდანელის) სამხედრო გემების გადასაადგილებლად, თუკი ქვეყანა განაცხადებს, რომ ომში ჩართული ერთ-ერთი მხარეა.**



კრეისერი „მოსკვა“



„პალტუსი“
და „ვარშავიანკა“

ამ რემარკიდან ჩანს, რომ მონტრეს კონვენციას აქვს სუსტი ადგილები, რომლის გამოყენებასაც ნატო შეეცდება. სხვათა შორის, უკვე გამოიყენეს 2014 წელს, როდესაც ამერიკულმა სამხედრო გემებმა დაარღვიეს შავი ზღვის აკვატორიაში ყოფნის ვადები. თუმცა იმ მომენტში, როცა ამერიკულმა სამხედრო ხომალდმა „ტეილორმა“ 11 დღით გადააჭარბა შავ ზღვაში ყოფნის ლიმიტს, თურქეთს მუქარის შემცველ საფრთხეზე არაფერი უთქვამს.

ალსანიშნავია, რომ 80 წლის წინანდელი კონვენციის დარღვევისთვის, ფაქტობრივად, არანაირი სანქცია არ არის გათვალისწინებული. როგორც ჩანს, მის ავტორებს დაინტერესებული სახელმწიფოების ჯენტლმენური საქციელის იმედი ჰქონდათ, როდესაც ჯენტლმენის სიტყვა კანონია. თუ **რას ნიშნავს „ნატოელი ჯენტლმენის“ სიტყვა, ნათლად გამოჩნდა ბერლინის კედლის დემონტაჟისას, როდესაც ამერიკის პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა და ნატოელმა ფუნქციონერებმა ლამის დაუფიცეს მოსკოვს, რომ ნატო აღარ გაფართოვდებოდა.**

მას შემდეგ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გაფართოების რამდენიმე ეტაპი განხორციელდა. ახლა კი ეს სამხედრო ბლოკი შავ ზღვაში ექსპანსიისთვის ემზადება. საზოგადოდ, „შავი ზღვის ფლოტის“ შექმნა შეიძლება მხოლოდ ნატოს წევრი იმ ქვეყნების საზღვაო ძალებით, რომლებსაც გასასვლელი აქვთ შავ ზღვაზე. ლაპარაკია **თურქეთზე, ბულგარეთსა და რუმინეთზე.** ამ ქვეყნებს შეეძლოთ, მოლაპარაკებით შეექმნათ ეს ე.წ. შავი ზღვის ფლოტილია. მაგრამ თურქებს, რუმინელებსა და ბულგარელებს არ სურთ, „სამეულის“ შექმნით რუსეთის მოთმინება გამოსცადონ, ამიტომ დახმარებას სხვას სთხოვენ. როგორც გაირკვა, ყვირილი: „გვიშველეთ!“ ნატოს სხვა წევრი ქვეყნების ყურს მისწვდა და შავი ზღვის ფლოტილიის შექმნაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს ნატოს ისეთმა წევრებმა, რომლებსაც შავ ზღვაზე გასასვლელი არ აქვთ — **გერმანიამ, იტალიამ და აშშ-მა** (აბა, აშშ-ის გარეშე როგორ შეიძლება?!)...

მოკლე ხანში შავი ზღვის სივრცეებში როტაციის საფუძველზე „ხეტიალი“ შეიძლება დაიწყონ ნატოს წევრმა ქვეყნებმა, რომლებიც შავი ზღვის აუზის ქვეყნები არ არიან და რომლებმაც გადაწყვიტეს, დაივიწყონ მონტრეს კონვენცია. თურქეთს, რუმინეთსა და ბულგარეთს შეიძლება საქართველო და უკრაინაც შეუერთდნენ.

და აქ ნათლად იკითხება გათვლა — რუსეთი დაიწყებს დაუფიქრებელი ნაბიჯების გადადგმას და შავი ზღვისკენ გაგზავნის წყალქვეშა ნავებსა და ხომალდებს, შედეგად, ნატოს მიერ წამოწყებულ საზღვაო შეიარაღების ავანტურაში ამყოფს თავს.

მაგრამ რუსეთი არ აპირებს თავისი გემებითა და წყალქვეშა ნავებით შავი ზღვის გადავსებას. ის დღეს ახალ მიდგომებს ეძებს — ნატოს ფლოტილიის ხომალდების იდენტიფიცირებასა და სამიზნეში ამოღებას თანამედროვე ხომალდსაწინააღმდეგო საშუალებების გამოყენებით. **რუსეთს სურს, ნატოს ნებისმიერ სამხედრო ხომალდს აგრძნობინოს, რომ ხედავს და ხმელეთიდან — „ბასტიონის“ (რუსული ხომალდსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსი), ხოლო ზღვიდან და ჰაერიდან „კალიბრების“ გემრიელ ლუკმად აქცევს.**

თუმცა შავ ზღვაში წყალქვეშა დინებები ისეთი არ არის, რომ ნებისმიერს მიეცეს უფლება, ფეხით გათელოს მონტრეს კონვენცია.

სამხედრო ექსპერტთა აზრით, ნატოელებმა შესანიშნავად იციან, რომ შავი ზღვის სანაპიროზე რუსეთს შექმნილი აქვს რაკეტსაწინააღმდეგო და ხომალდსაწინააღმდეგო სისტემები, რაკეტმზიდი კრეისერი „მოსკვაც“ მზად არის, პასუხი გასცეს ნებისმიერ პროვოკაციას — ამ ხომალდს დასავლეთში „ავიამზიდების მკვლელს უწოდებენ“. ხოლო შავი ზღვის სანაპირო ზოლზე მომაკვდინებელი „კალიბრების“ განლაგების შემდეგ აღმოსავლეთ ევროპა, ვიდრე ვილნიუსამდე, დასაბომბ ობიექტად იქცევა.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**



წყალქვეშა
რაკეტმზიდი
„ბორეი“

**ცნობისათვის:**

**ამერიკულმა სამხედრო-პოლიტიკურმა ჟურნალმა THE NATIONAL INTEROST-მა რუსეთის 5 მრისხანე წყალქვეშა ნავის სია გამოაქვეყნა:**

**5.** პროექტ **885 „იასენის“** უახლესი ატომური სუბმარინა. აღჭურვილია თვითდამიზნების მქონე ტორპედოებითა და 800 კმ სიშორეზე მოქმედი ფრთოსანი რაკეტებით. ერთნაირი წარმატებით ანადგურებს მიზნებს როგორც წყალქვეშ, ისე წყლის ზედაპირსა და ხმელეთზე. კარკასი შექმნილია ნაკლებმაგნიტური ფოლადისგან და დაფარულია რეზინით, რაც სუბმარინას საშუალებას აძლევს, თითქმის შეუმჩნეველი დარჩეს მოწინააღმდეგისთვის.

**4.** წყალქვეშა **რაკეტმზიდი „ბორეი“.** თერმობირთვული ქობინების მქონე ბალისტიკური რაკეტებითა და სატორპედე აპარატებით შეიარაღებულ ამ სუბმარინას შეუძლია გაანადგუროს როგორც წყალქვეშ, ისე წყლის ზედაპირზე მცურავი ობიექტები.

**3-2.** მეორე და მესამე პოზიციებზეა პროექტ **„პალტუსისა“** და **„ვარშავიანკას“** მოდიფიცირებული სუბმარინები, რომლებიც აღჭურვილია ფრთოსანი რაკეტებით („კალიბრი“).

**1.** პროექტ **971 „შჩუკა-ბ“**-ს ატომური წყალქვეშა ნავები. აღჭურვილია 8 სატორპედე აპარატით, რაკეტა — ტორპედოებითა და ფრთოსანი რაკეტებით, მათ შორის ბირთვულქობინიანითაც. „შჩუკა“ შეუმჩნეველია რადარებისთვის.

**უკრაინელი ჰომოსექსუალების მძიმე ხვედრით შეშფოთებულმა ამერიკის კონგრესის ქვედა პალატის 38 წევრმა წერილი გაუგზავნა აშშ-ში უკრაინის ელჩს. „უკრაინის ხელისუფლება ვალდებულია, დაიცვას თავისი მოქალაქეების მშვიდობიანი შეკრების გამართვის უფლება და დაცვით უზრუნველყოს „კიევ პარაიდის“ მარშის მონაწილენი“, — ნათქვამია ამერიკელი კონგრესმენების წერილში.**

## ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

გლობალიზაცია, რომელიც ახლავს სხვადასხვა კულტურის შერწყმის მცდელობას, ფასეულობების სისტემაში — კონფლიქტებს, ადამიანებს შორის გაუცხოებას იწვევს. ევროპამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა სიტყვისა და ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ტოლერანტობას და რომელმაც კარგა ხანია, უგულებელყო ქრისტიანობა, დაკარგა ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოიყვანა, სამაგიეროდ, ჩაიძირა სულიერ და ზნეობრივ ქაოსში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებები.

საზოგადოდ კი, დღეს ე.წ. დემოკრატიული ფასეულობები მხოლოდ ძალაუფლებისა და ეკონომიკური უპირატესობის გაძლიერების გამართლებაა, რომელსაც დასავლეთი იყენებს ქვეყნებისა და ხალხების დასამორჩილებლად. დასავლეთის თანამედროვე ფასეულობების სისტემა — ეს არის სისტემა, რომელიც აშშ-მა შექმნა სხვადასხვა ქვეყანაში მათთვის მიუღებელი რეჟიმების დასამხობად დემოკრატიის სახელით. ეს „ფასეულობები“ კი ეწინააღმდეგება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) ტრადიციებს ოჯახის, ერის, განათლების, ზნეობის შესახებ და ეწევა ჰომოსექსუალობის, გარყვნილების, ანტირელიგიური იდეების პროპაგანდას, ამის ნათელი დასტურია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის მუქარა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე, ამის ნათელი დასტურია ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს“ ანტიმუსლიმანური კარიკატურები, რომელთა გამოც ტრაგედია დატრიალდა; შვედი ლესბოსელი-მღვდელმსახურის(?!) განცხადება ეკლესიებიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის ჩამოხსნის შესახებ, დანიის ქალაქ ოდენსეს ზოოპარკში შოკისმომგვრელი სანახაობის — ლომის ლეშის გაკვეთის — ჩვენება ბავშვებისთვის, მასობრივი მკვლელობები ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში — სკოლებსა და უნივერსიტეტებში და ა.შ.

რუბრიკაში გთავაზობთ სწორედ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიუღებელია არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისთვის. დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის...

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

## სოდომია შოტლანდიის ეკლესიაში — მღვდელმსახურებს მათივე სქესის წარმომადგენელზე დაქორწინების ნება დართეს

**21 მაისს ედინბურგში შოტლანდიის პრესვიტერიანულმა ეკლესიამ მიიღო გადაწყვეტილება, ნება დართოს მღვდელმსახურებს თავიანთი სქესის წარმომადგენლებზე იქორწინონ. იუწყება ტელეარხი ABC.**



იმ მღვდელმსახურებისთვის, რომლებიც მათივე სქესის წარმომადგენელზე დაქორწინებას გადაწყვეტენ, სპეციალურად შეიქმნება მრევლი, რომლებშიც გაერთიანდებიან არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის პასტორები და დიაკვნები. მღვდელმსახურთა შორის ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებისთვის გამართულ კენჭისყრაში შოტლანდიის, დიდი ბრიტანეთის, აგრეთვე, ევროპის, აზიისა და აფრიკის ქვეყნების პრესვიტერიანული ეკლესიის 850 წარმომადგენელი მონაწილეობდა.

შოტლანდიაში ერთნაირსქესიანთა ქორწინება 2015 წლის თებერვლიდან არის ლეგალიზებული. დიდი ბრიტანეთის ქვეყნებიდან ოფიციალურად მხოლოდ ჩრდილოეთ ირლანდიას არ ულიარებია არატრადიციული ორიენტაციის პირებს შორის ქორწინებები.



## სუნამო გარდაცვლილის სუნით

**მეცნიერთა, სულ ცოტა, ორი ჯგუფი მუშაობს სუნამოს შესაქმნელად, რომელსაც გარდაცვლილი ადამიანის სუნი ექნება. ეს უჩვეულო პარფიუმერული აღმოჩენა სამომხმარებლო ბაზრის „ასაფეთქებლად“ ემზადება, მაგრამ ახალ „სუნამოს“ პარფიუმერულ საშუალებად, ალბათ, არ გამოიყენებენ. საქმე ის არის, რომ თითოეულ ადამიანს თავისი უნიკალური სუნი აქვს.**

როგორც ცნობილია, სუნს ძლიერი ფსიქოლოგიური გავლენა აქვს ადამიანზე და სწორედ ამიტომ გამოიყენებენ სუნამოს გარდაცვლილი ადამიანის სუნით.

სუნის შეგრძნებისას ადამიანი შეიძლება კარგ განწყობაზეც დადგეს და ცუდზეც. გარდაცვლილის სუნის შეგრძნებისას კი ადამიანს შეიძლება დაეუფლოს მონატრების განცდა, რაც მის სულიერ მდგომარეობას გააუმჯობესებს, განსაკუთრებით სასარგებლოა ასეთი სუნამო მგლოვიარეთათვის.

სუნამოს შექმნაზე მუშაობს ჰავრის უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფი **კეით აპალეტის** ხელმძღვანელობით. ამ პარფიუმერული საშუალების წარმოების ტექნიკურ დეტალებს საიდუმლოდ ინახავენ. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ერთი ფლაკონი სუნამოს დამზადებას 4 დღე სჭირდება. ნედლეულად კი იყენებენ გარდაცვლილის ტანსაცმელს.

ერთი ფლაკონი 600 ევრო ეღირება.

## კიევში «სისხლიან კალოს» ელოდებიან

### «მემარჯვენე სექტორის» მუქარამ ამერიკელი კონგრესმენები შეაშფოთა

**12 ივნისს უკრაინის დედაქალაქი კიევი ცისარტყელის ფერებში „გაბრწყინდება“ — ლგბტ-თემის აქტივისტებს განზრახული აქვთ, კიევში მორიგი გეიაღლუმი მოაწყონ. მძაფრსიუჟეტიანი სცენების მოყვარულები კი „პოპკორნს“ იმარაგებენ „სისხლიანი კალოს“ მოლოდინში.**



სწორედ სისხლიანი კალოს მოწყობას დაჰპირდნენ ჰომოსექსუალებს უკრაინის „მემარჯვენე სექტორის“ წარმომადგენლები. ლგბტ-თემის წარმომადგენლები კი იმარაგებენ პეტარდებს, რომლებითაც შარშან გაუმასპინძლდნენ „მემარჯვენე სექტორის“ წარმომადგენლებს.

სხვათა შორის, შარშან გეიაღლუმმა კიევში მხოლოდ ნახევარ საათს გასტანა. „მემარჯვენე სექტორის“ წევრები პოლიციელთა კორდონებსაც არ შეუშინდნენ და ჰომოსექსუალების მსვლელობა სასტიკად დაარბიეს. ქალაქის მერი კლიჩკო იძულებული შეიქნა, გეებისთვის მოეწოდებინა, თავი შეეკავებინათ აღლუმის ჩატარებისგან, რადგან „არეულობები გეიაღლუმების მიმდინარეობისას მტრის წისქვილზე ასხამდა წყალს“.

უკრაინელი ჰომოსექსუალების მძიმე ხვედრით შეშფოთებულმა ამერიკის კონგრესის ქვედა პალატის 38 წევრმა წერილი გაუგზავნა აშშ-ში უკრაინის ელჩს. „უკრაინის ხელისუფლება ვალდებულია, დაიცვას თავისი მოქალაქეების მშვიდობიანი შეკრების გამართვის უფლება და დაცვით უზრუნველყოს „კიევ პარაიდის“ მარშის მონაწილენი“, — ნათქვამია ამერიკელი კონგრესმენების წერილში.

საინტერესოა, სად იყვნენ ეს ამერიკელი კონგრესმენები მაშინ, როცა 9 მაისს, დიდ სამამულო ომში გამარჯვების დღეს, კიევში იგივე ულტრამემარჯვენე ძალები ომის ვეტერანებს შეურაცხყოფდნენ.

ამის შესახებ დასავლეთში კრინტი არავის დაუძრავს. სამაგიეროდ 40-მდე ამერიკელი პოლიტიკოსი ისე იცავს ჰომოსექსუალებს, თითქოს მათი აქცია ვაშინგტონში, კონგრესის ფანჯრების ქვეშ უნდა გაიმართოს.

## გეისკანდალი დიდი ანდრონული კოლაიდერის ლაბორატორიაში



**ბირთვული კვლევების ევროპული ორგანიზაციის (CERN) შვეიცარიაში მდებარე ლაბორატორიაში, სადაც განლაგებულია დიდი ანდრონული კოლაიდერი, სკანდალი ატყდა ლგბტ-თა წარმომადგენლების გარშემო. ამის თაობაზე იუწყება The Independent-ი.**

ერთ-ერთი მეცნიერი, რომელიც მუშაობს ლაბორატორიაში, გამუდმებით ხევს „ცრონის ლგბტ-თემის კლუბის“ განცხადებებს და ჰომოსექსუალებს ღორებს უწოდებს. ამ „ლგბტ-კლუბის“ წარმომადგენელთა განცხადებით, მეცნიერი მარტო არ მოქმედებს და მას საკმაოდ ბევრი მხარდამჭერი ჰყავს.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ლენინის ნეშტზე რამდენიმე თავდასხმა მოხდა, სტალინის ცხედარზე კი, მართალია, ლენინის ცხედართან შედარებით დროის მცირე მონაკვეთში, 8 წლის განმავლობაში, იყო მავზოლეუმში, თავდასხმა კი არა, სიტყვიერი შეურაცხყოფაც კი არ ყოფილა შემჩნეული.**

# სტალინი და მავზოლეუმი წითელ მოედანზე

**1924 წლის 21 იანვარს, როდესაც ლენინი გარდაიცვალა, პოლიტბიუროს წევრთაგან წარმოდგენა არავის ჰქონდა, როგორ გადაწყდებოდა ბელადის ცხედრის დაკრძალვის საკითხი... 1923 წლის ბოლოს, ლენინის სიცოცხლეშივე, სულსწრაფმა პოლიტბიუროს წევრებმაა სცადეს იმის გარკვევა, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები ლენინის ცხედრის გარშემო, მაგრამ ეს არავინ იცოდა, ღმერთისა და სტალინის გარდა.**

სვეტებიან დარბაზში დასვენებულ ლენინის ცხედარს, რომელსაც მილიონობით ადამიანი მიაგებდა პატივს, ღია 24-გრადუსიანი ყინვის პირობებში არაფერი ემუქრებოდა. ლენინის გარდაცვალებიდან 2 დღის შემდეგ სტალინმა ბრძანა, პოლიტბიუროს წევრები შეკრებილიყვნენ და კოლექტიურად განეხილათ ლენინის ცხედრის შემდგომი ბედი. ამ მომენტში პარტიაში რანგით მეორე კაცი **ლევ ტროცკი** ქვეყნის სამხრეთში ჯანმრთელობას „იკაჟებდა“ და, როდესაც ლენინის დასაფლავებაზე ჩამოსვლა გადაწყვიტა, სტალინმა მას პარტიული მითითება მისცა: „დღეს ჯანმრთელობა უფრო საჭიროა, ვიდრე იმ პროცედურაში მონაწილეობა, რომელიც შენს დაუსწრებლადაც ჩატარდება“, მაგრამ ცხედარზე აზრის გამოთქმა მაინც კატეგორიულად მოსთხოვეს ტროცკის.

Pპოლიტბიუროს სხდომაზე ტროცკისთან (მან წერილი გაუგზავნა პოლიტბიუროს) ერთად ლენინის დაკრძალვის მომხრე აღმოჩნდნენ: **ნიკოლაი ბუხარინი, ლენის რიკოვი, გიორგი პიატაკოვი.** წინააღმდეგი: **სტალინი, კლიმენტი ვოროშილოვი, მიხეილ კალინინი** და **სემიონ ბუდიონი.** როგორც ჩანს, სტალინის სიტყვა საბოლოო აღმოჩნდა და გადაწყდა, ლენინის სახე შენარჩუნებულიყო საუკუნოდ, რათა მთელ მსოფლიოს, ყველა ადამიანს ენახა პირველი სოციალისტური ქვეყნის მშენებლის სახე.

**1924 წლის 27 თებერვალს სტალინის დავალების შესასრულებლად არქიტექტორმა ალექსეი შჩუსევმა წითელ მოედანზე მითითებულ ადგილზე ლენინის ცხედრის შესანახავად დადგა კუბის ფორმის ხის შენობა — სამიარუსიანი პირამიდა.**

ძლიერი ყინვების წყალობით ნეშტი თითქმის ნორმალურ პირობებში იყო, მაგრამ აპრილის თბილი დღეების დადგომისთანავე ხის მავზოლეუმში ნეშტს გახრწნის საფრთხე დაემუქრა. პოლიტბიურომ სხდომაზე მიიწვია ბიოქიმიკოსი, პროფესორი **ბორის ზბარსკი** და მას ნეშტის ბალზამირება დაავალა. სამეცნიერო ელიტამ, ზბარსკის ხელმძღვანელობით, თავდაუზოგავად იშრომა და შექმნა ხსნარი, რომლითაც ლენინის ნეშტი დაამუშავეს. მეცნიერთა მცდელობამ ნაყოფი გამოიღო — ნეშტის მდგომარეობა მდგრადი გახდა.

1924 წლის ბოლოს არქიტექტორმა **კონსტანტინე მელნიკოვმა** წითელ მოედანზე ასაშენებელი მავზოლეუმის 8 სხვადასხვა პროექტი გადასცა პოლიტბიუროს. მათგან საუკეთესო ამოარჩიეს და თვითონ პროექტის ავტორს დაავალეს, სასწრაფოდ დაეწყო მავზოლეუმის მშენებლობა და მოკლე ხანში დაესრულებინა. მართლაც, მავზოლეუმის მშენებლობა წარმოუდგენლად მოკლე ხანში დასრულდა. ამ მავზოლეუმმა 1945 წლამდე იარსება.

1941 წლის ივნისში მავზოლეუმის სამეცნიერო-ტექნიკურ პერსონალსა და უზარმაზარ ლაბორატორიასთან ერთად, ლენინის ნეშტი მოსკოვის ერთ-ერთი სარკინიგზო სადგურიდან სრულიად საიდუმლოდ სპეციალური მატარებლით გადაიტანეს ქალაქ ტიუმენში და მოათავსეს სასოფლო-სამეურნეო აკადემიის შენობის მეორე სართულზე, №15 აუდიტორიაში.

ანუ მაშინ, როცა სტალინი მავზოლეუმის ტრიბუნიდან მთელ ქვეყანას მოუწოდებდა: „გფარავდეთ დიდი ლენინის ძლევამოსილი დროშა!“, ლენინის ნეშტი შორეულ ტიუმენში, სასოფლო-სამეურნეო აკადემიის საიდუმლო საცავში „იცავდა“ თავის საუკუნოვან „ჯანმრთელობას“.

დიდ სამამულო ომში ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ ლენინის ნეშტი თავისი ამალით სპეციალური მატარებლით კვლავ მიადგა მოსკოვს და ძველი ადგილი დაიკავა წითელი მოედანზე მდებარე უნიკალური მავზოლეუმის ნახევრადგანათებულ დარბაზში.

**1945 წელს კი განხორციელდა მავზოლეუმის სრული რეკონსტრუქცია, რომელიც კვლავ არქიტექტორ შჩუსევს დაევალა. სხვადასხვა ფერისა და ხარისხის ძვირფასი ქვებისგან გამოიძერწა მსოფლიოში ერთ-ერთი შესანიშნავი ნაგებობა, რომელსაც, როგორც არქიტექტურის კლასიკურ ნიმუშს, დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. ეს მავზოლეუმი თავისი კომპოზიციითა და არქიტექტურული გადაწყვეტებით დღესაც აცვიფრებს უამრავ მნახველს.** მავზოლეუმზე მოეწყო ტრიბუნები საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელი პირებისთვის, აგრეთვე, დამხმრე ნაგებობები.

1953 წლამდე მას ლენინის მავზოლეუმი ეწოდებოდა, ხოლო 1953 წლის შემდეგ ლენინ-სტალინის მავზოლეუმად იქცა.

1953 წელს ლენინ-სტალინის მავზოლეუმის გახსნა იმიტომ დაგვიანდა, რომ ეძებდნენ ძვირფასი მინერალის — ლაბრადორის ლოდს, რომელიც დამუშავების შემდეგ 60 ტონა უნდა დარჩენილიყო და რომელზეც უნდა გაკეთებულიყო წარწერა: **„ლენინი-სტალინი“.**

ამ ძვირფასი მინერალის ლოდს, როგორც იქნა, მიაგნეს ტომსკის ოლქში, გოლოვინის კარიერზე. დამუშავებული ლოდი, რომელიც 60 ტონას იწონიდა, სამთავრობო ტრიბუნის ფრონტონად გამოიყენეს.




**კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, სტალინის ცხედრისთვის არ გამოეცვალათ ტანსაცმელი. „მუნდირიდან“ მოხსნეს ოქროთი ნაქსოვი გენერალისიმუსის სამხრეები, მკერდიდან — სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავი (ერთადერთი ჯილდო, რომელსაც ატარებდა ბელადი). ამავე «მუნდირიდან» ააჭრეს გენერალისიმუსისთვის დაწესებული ოქროს ღილები და «ლატუნის» (თითბრის) ღილებით შეცვალეს**

სარკოფაგი, რომელშიც ჩასვენებული იქნა ლენინის ცხედარი, 12 უძვირფასესი ტყვიაგაუმტარი ლითონის შენადნობისგან შექმნა **კონსტანტინე მელნიკოვმა**, ხოლო ლენინის ბალზამირებაზე პასუხისმგებელი იყო პროფესორი ზვარსკი თავისი სითხით.

მავზოლეუმი ჩამოყალიბდა დიდ სამეცნიერო და ტექნიკურ ცენტრად, რომელიც სამკურნალო და არომატულ მცენარეთა საკვლევ-სამეცნიერო და ბიოსამედიცინო ტექნოლოგიების სამმართველოს შემადგენელ ნაწილად იქცა. მავზოლეუმის ლაბორატორიებში ბალზამირება ჩაუტარდა:

1. **გიორგი დიმიტროვს** (ბულგარეთი) 1949 წელს;
2. **მარშალ ჩოიბალსანს** (მონღოლეთი) 1952 წელს;
3. **იოსებ სტალინს** 1953 წელს;
4. **კლემენტ გოტვალდს** (ჩეხოსლოვაკია) 1953 წელს;
5. ***ხოშიმინს*** (ვიეტნამი) 1969 წელს;
6. **აგოსტინიო ნეტოს** (ანგოლა) 1979 წელს;
7. **კიმ ირ სენს** (კსდრ) 1995 წელს.

მავზოლეუმი არც ისე უსაფრთხო ადგილია, როგორც გარედან ჩანს. მის მუდმივ ბინადარზე, ლენინის ცხედარზე, არაერთხელ მომხდარა თავდასხმა.

აი ზოგიერთი მათგანი:

*** 1934 წლის 19 მარტს მიტროფანე ნიკიტინმა,** როდესაც ლენინის ცხედარს ნელი სვლით მიუახლოვდა, ლაბადაში დამალული რევოლვერიდან სროლა აუტეხა საბჭოეთის ბელადის ნეშტს.

ერთი ვერსიით, სწრაფი რეაგირების რაზმის წევრებმა ნიკიტინი ადგილზე დახვრიტეს. მეორე ვერსიით კი, მან ლენინის ნეშტისთვის ტყვიების დახლის შემდეგ თავი მოიკლა.

ნიკიტინს გულის ჯიბეში უპოვეს წერილი, რომელშიც წერდა, რომ უდიდესი სიამოვნებით მიდის ამქვეყნიდან, რადგან მილიონობით ადამიანის სახელით შური იძია ულმერთო ლენინზე.

Nროდესაც ნიკიტინის ჯიბეში ნაპოვნი წერილი სტალინს მიუტანეს, მან გულდასმით წაიკითხა და დაადო რეზოლუცია:

„ჩადეთ ჩემს არქივში. ი. სტალინი“.

*** 1957 წელს** მოსკოველმა **ა. რომანოვმა** ლენინის სარკოფაგს ესროლა საღებავით სავსე ბოთლი, რომელმაც ჩაამსხვია სახურავი და დააზიანა ნეშტი.

*** 1953 წლის 20 მარტს** ერთ-ერთმა მნახველმა სარკოფაგთან მიახლოებისთანავე ამოიღო ლაბადაში დამალული ურო და სარკოფაგის მიმართულებით ისროლა. ურო დაეცა სარკოფაგის სახურავს, ჩაანგრია და სახე დაუზიანა ლენინის ნეშტს.

*** 1960 წლის 14 ივნისს** ქალაქ ფრუნზეს მცხოვრები **კ. ნიკიბაევი** სწრაფად გადაევლო ბარიერს და შეხტა ლენინის სარკოფაგზე, ჩაამტვრია დამცავი მინა და ფეხების ცემით დაუზიანა ბელადის ცხედარს სახე. მავზოლეუმი „რემონტის“ გამო მნახველთათვის დაიხურა 14 ივნისიდან 15 აგვისტომდე. სინამდვილეში კი წიხლით ნაცემი ბელადის ცხედარს ალამაზებდნენ.

ნიკიბაევმა ძიებას განუცხადა, რომ გადაწყვიტა, გადაფრენილიყო მოსკოვში და შესულიყო მავზოლეუმში, რათა ფეხით შესდგომოდა ლენინის ცხედარს, რაც აასრულა კიდეც.

*** 1961 წლის 9 სექტემბერს ლ. სმირნოვმა,** ჩაუარა რა ახლოს მავზოლეუმში ლენინის სარკოფაგს, ჯერ მიაფურთხა, ხოლო შემდეგ ცხვირსახოცში გახვეული ქვა ესროლა და ჩაამსხვრია სარკოფაგის მინა.

*** 1962 წლის 24 აპრილს** ლენინის ნეშტს თავს დაესხა პენსიონერი **ლ. პავლიცკო,** რომელიც რეგულარულად წერდა საჩივრის წერილებს ლენინზე, როგორც ცენტრალურ გაზეთებში, ასევე უცხო ქვეყნების საელჩოებში.

*** 1973 წლის 1 სექტემბერს** უცნობმა პირებმა თავი აიფეთქეს და მავზოლეუმში მყოფი ადამიანების დიდი ჯგუფიც იმსხვერპლეს. ლენინის ნეშტი კი გადარჩა, რადგან ის უკვე ტყვიაგაუმტარ მინის მქონე სარკოფაგში იყო მოთავსებული.

*** 2010 წლის 15 მარტს სერგეი ტრაპეცკოვი** გადაახტა ღობეს, სწრაფად აირბინა მავზოლეუმის კიბეები და ცენტრალური ტრიბუნიდან წითელ მოედანზე მყოფ ტურისტებსა და მოსეირნე ადამიანებს ლენინის მუმიის დამარხვისა და მავზოლეუმის შენობის დანგრევისკენ მოუწოდა. როგორც შემდგომ ძიებამ დაადგინა, სერგეი ტრაპეცკოვი მძიმე დანაშაულის გამო იძებნებოდა სამართალდამცავების მიერ.

1990 წლის 1 მაისის დემონსტრაციის მიმდინარეობისას **მიხეილ გორბაჩოვმა** და მისმა თანამებრძოლებმა გაითამაშეს სამარცხვინო სცენა: სამთავრობო ტრიბუნასთან მომიტინგეთა კოლონამ მიიტანა ანტისახელმწიფოებრივი და ანტისამთავრობო ლოზუნგები, რომლებიც წინ გაუშალეს ტრიბუნაზე მდგარ მთავრობის წევრებს, რის გამოც, გორბაჩოვის ბრძანებით, მთავრობამ დემონსტრაციულად დატოვა მავზოლეუმის სამთავრობო ტრიბუნა. ასე ჩაიშალა 1 მაისის სადღესასწაულო მსვლელობა და მოიშალა მავზოლეუმის სამთავრობო ტრიბუნის ფუნქციაც, იმ ტრიბუნისა, რომლიდანაც 1941 წელს სტალინმა საბჭოთა და მსოფლიო ხალხებს მიმართა, ერთად ებრძოლათ კაცობრიობის ჭირის — ფაშიზმის წინააღმდეგ, 4 წლის შემდეგ კი ამავე ტრიბუნიდან მიულოცა მსოფლიოს ხალხებს მტერზე გამარჯვება.

ასე გაიყიდა არა მხოლოდ გამარჯვება ფაშიზმზე, არამედ ის ტრადიციები და სულისკვეთება, რომლებიც დიდებულ ეპოქად შემორჩა მსოფლიოსა და საბჭოთა კავშირის ისტორიას.

მკითხველო, რამდენიმე საინტერესო ცნობა ▶

# უგუნურმა ხრუშჩოვმა შურისძიებისა და არაადამიანური თვისებების გამოვლენით არა მხოლოდ შებღალა სტალინის სახელი, არამედ მომაკვდინებელი ჭრილობა მიაყენა საბჭოთა კავშირს, მთელ სოციალისტურ სისტემასა და დემოკრატიული სახელმწიფოების უძლეველ ბლოკს.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1945 წელს განხორციელდა მავზოლეუმის სრული რეკონსტრუქცია, რომელიც კვლავ არქიტექტორ შჩუსევს დაევალა. სხვადასხვა ფერისა და ხარისხის ძვირფასი ქვებისგან გამოიძერწა მსოფლიოში ერთ-ერთი შესანიშნავი ნაგებობა, რომელსაც, როგორც არქიტექტურის კლასიკურ ნიმუშს, დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. ეს მავზოლეუმი თავისი კომპოზიციითა და არქიტექტურული გადაწყვეტებით დღესაც აცვიფრებს უამრავ მნახველს**



პირველი მავზოლეუმი



უნდა მოგაწოდოთ მავზოლეუმის დროებით ბინადარ იოსებ სტალინზე, რომელიც 8 წლის განმავლობაში განისვენებდა ლენინის გვერდით.

ზოგიერთი ისტორიკოსისა თუ მემუარისტის ცნობით, საბჭოეთის მმართველ ელიტას თითქოს ერთი სული ჰქონდა, როდის მოსცილდებოდა მათ ეს ულვაშიანი ჯალათი და ხალხს ნანატრი „ოტტეპელი“ („დათბობა“) ეღირსებოდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **ლენინის ნეშტზე რამდენიმე თავდასხმა მოხდა, სტალინის ცხედარზე კი, მართალია, ლენინის ცხედართან შედარებით დროის მცირე მონაკვეთში, 8 წლის განმავლობაში იყო მავზოლეუმში, თავდასხმა კი არა, სიტყვიერი შეურაცხყოფაც კი არ ყოფილა შემჩნეული.**

საინტერესოა, დროის იმ მცირე მონაკვეთში, რომელის განმავლობაშიც ლენინი ხელისუფლებაში იყო, რით შეაძულა თავი ადამიანებს ისე, რომ მკვდარსაც კი თავს ესხმოდნენ; „სისხლიანი დიქტატორი“ სტალინისთვის კი, რომელიც 30 წლის განმავლობაში „უხეში მეთოდებით“ მართავდა უკიდეგანო ქვეყანას, მსგავსი რამ არავის უკადრებია.

სტალინის სიკვდილის შემდეგ საბჭოთა ქვეყნის ხელისუფალთ უამრავი ღონისძიება ჰქონდათ ჩაფიქრებული სტალინის სახელის უკვდავსაყოფად, მაგრამ საქმეში ჩაერია კაპიტალიზმისა და საერთაშორისო იმპერიალიზმის დაქირავებული აგენტი, სამგზის წყეული ნაძირალა, გონებაშეზღუდული **ნიკიტა ხრუშჩოვი.**

**გრანდიოზული იყო პროექტები, რომლებიც სტალინის ხსოვნის უკვდავყოფას ითვალისწინებდა. მთავრობის მითითებით ინჟინრები, კონსტრუქტორები, არქიტექტორები და სამეცნიერო ჯგუფები ამუშავებდნენ პროექტებს, რომელთა მიხედვით განსაზღვრული იყო უმოკლეს დროში ჩასატარებელ სამუშაოთა მოცულობა (განსახორციელებელი ღონისძიებების ნუსხა 40-პუნქტიანი იყო).**

განსაზღვრული კი იყო: ქალაქ მოსკოვში შექმნილიყო უნიკალური შენობა-ნაგებობებით დამშვენებული რაიონი სახელწოდებით „სტალინის ხსოვნის რაიონი“, რომელშიც განლაგებული იქნებოდა უახლესი ტექნოლოგიებითა და ტექნიკით აშენებული დარბაზები საერთაშორისო შეხვედრებისთვის, ყრილობებისთვის, კონფერენციებისთვის, სპორტული შეჯიბრებებისა და ფესტივალებისთვის, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებდნენ, როგორც საბჭოთა, ისე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები.

**აქვე უნდა აშენებულიყო სტალინის მუზეუმი, სტალინის სახელობის მეცნიერებათა აკადემია, სპორტული მოედანი. ყველა შენობა დაპროექტებული უნდა ყოფილიყო მსოფლიოში საუკეთესო არქიტექტორებისა და კონსტრუქტორების მიერ, შენობების ასაშენებლად კი უნდა გამოეყენებინათ ძვირფასი სამშენებლო მასალები.**

მშენებლობა უნდა გამოცხადებულიყო საერთაშორისო სახალხო მშენებლობად და თავდაპირველად უნდა გამოყოფილიყო 20-25 მილიარდი მანეთი. მშენებლობის დასრულება და მისი საექსპლუატაციოდ გადაცემა გათვალისწინებული იყო 1959 წლის 21 დეკემბერს, სტალინის დაბადებიდან 80 წლის თავზე.

მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის უნდა შეეცვალათ სახელწოდება და, ლომონოსოვის ნაცვლად, სტალინის სახელი უნდა მიენიჭებინათ.

„ლენინგრადსკოე შოსეს“ უნდა დარქმეოდა სტალინის სახელი. წითელი არმიის სახელწოდება უნდა ყოფილიყო „სტალინის არმია“. ღონისძიებების ნუსხაში 23-ე პუნქტი ეხებოდა საქართველოს რესპუბლიკისთვის სტალინის სახელის მინიჭებას. უნდა შექმნილიყო სტალინის ორდენი. უზბეკეთში დაარსებულიყო სტალინის ოლქი ტაშკენტისა და სამარყანდის ოლქების ხარჯზე.

შემუშავებული იყო პანთეონის 3 ვარიანტი: ერთ-ერთი პროექტის მიხედვით, პანთეონი უნდა აშენებულიყო მოსკოვის სახელმწიფო უნივერმაღის („გუმის“) ტერიტორიაზე, მავზოლეუმის მოპირდაპირე მხარეს. ამ პანთეონზე უნდა დახარჯულიყო დაახლოებით 280 მილიონი მანეთი. სტალინის ხსოვნის უკვდავსაყოფად სამუშაოები უკვე მიმდინარეობდა, როდესაც გაირკვა, რომ ქვეყანას ჰყავს ისეთი „ვერაგი მტერი“, როგორც არის სტალინის უახლოესი ადამიანი **ლავრენტი ბერია.** და დაიწყო სახელმწიფო გადატრიალება. ქვეყნის ნამდვილმა მოღალატე ნიკიტა ხრუშჩოვმა უსირცხვილო ბრალდებებით შეთითხნა „მოღალატის“ საქმე და „სამსჯავროზე“ გამოიტანა არა მხოლოდ ლავრენტი ბერიას „მოღალატური“ საქმიანობა, არამედ შებღალა სტალინის სახელიც.

ლავრენტი ბერიას იზოლაციის შემდეგ სწრაფი ცვლილებები განხორციელდა სსრკ-ის ხელისუფლებაში და ძალაუფლება ხელში ჩაიგდო ნიკიტა ხრუშჩოვმა, რომელმაც სამუდამოდ წაშალა კვალი სტალინის მზაკვრული მკვლელობისა და ჩაახშო ერთ-ერთი შურისმაძიებლის — ლავრენტი ბერიას ხმაც. **უგუნურმა ხრუშჩოვმა შურისძიებისა და არაადამიანური თვისებების გამოვლენით არა მხოლოდ შებღალა სტალინის სახელი, არამედ მომაკვდინებელი ჭრილობა მიაყენა საბჭოთა კავშირს, სოციალისტურ სისტემასა და დემოკრატიული სახელმწიფოების უძლეველ ბლოკს.**

ჯერ 1956 წელს ჩატარებული მე-20 ყრილობის ტრიბუნიდან, ხოლო შემდგომ 1961 წლის პარტიის 22-ე ყრილობაზე ნიკიტა ხრუშჩოვმა საბოლოოლოდ ჩამოშალა არა მხოლოდ სტალინის დიდება, არამედ მთელი სოციალისტური სისტემა.

**1961 წლის პარტიის 22-ე ყრილობა, რომელიც 17-დან 31 ოქტომბრამდე მიმდინარეობდა, იყო ნგრევის ორკვირეული იმ უდიდესი და უძლიერესი სახელმწიფოსი, რომელმაც დაამარცხა ხაკისფერი ჭირი — ფაშიზმი და მსოფლიო იხსნა კოლონიური უღლისგან.**

ვინმე **სპირიდონოვმა** ყრილობის ტრიბუნიდან განაცხადა, — სიზმარში ლენინი გამომეცხადა და მითხრა, გვერდიდან სტალინი მომაცილეთო. აი ეს წინადადება გახდა საკმარისი იმისთვის, რომ ყრილობას კენჭი ეყარა მავზოლეუმიდან სტალინის ნეშტის გამოტანის საკითხზე და გადაწყვეტილებაც მიღებული იქნა.

„31 დეკემბერს, — იგონებს პოლკის მეთაური **ფიოდორ კონევი,** — შუადღე იქნებოდა, როდესაც გამომიძახეს მთავრობის სასახლეში და გამაფრთხილეს, რომ მომემზადებინა ქვედანაყოფი სტალინის ნეშტის გადასასვენებლად ნოვოდევიჩის სასაფლაოზე, მისი მეუღლის — **ნადეჟდა ალილუევას** გვერდით.

ზუსტად ერთი საათის შემდეგ ბრძანება შეცვალეს და გვიბრძანეს, რომ სტალინი უნდა დასაფლავებულიყო კრემლის კედელთან“.

სტალინის ნეშტის გადასასვენებლად შეიქმნა სამთავრობო კომისია შემდეგი შემადგენლობით: **ვასილ მჟავანაძე** (საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივანი), **პეტრე დემიჩევი** (პარტიის მოსკოვის კომიტეტის პირველი მდივანი), **დიმიტრი შეპილოვი** (ცკ-ის მდივანი) **ალექსანდრე შელეპინი** (სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე). კომისიას თავმჯდომარეობდა **ნიკოლოზ შვერნიკი** (პარტკონტროლის თავმჯდომარე).

1961 წლის 21 დეკემბერს, 17 საათსა და 30 წუთიდან 21 საათსა და 00 წუთამდე, მიმდინარეობდა მოსამზადებელი სამუშაოები სტალინის ცხედრის გადასასვენებლად კუბოში. **კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, სტალინის ცხედრისთვის არ გამოეცვალათ ტანსაცმელი. „მუნდირიდან“ მოხსნეს ოქროთი ნაქსოვი გენერალისიმუსის სამხრეები, მკერდიდან — სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავი (ერთადერთი ჯილდო, რომელსაც ატარებდა ბელადი). ამავე „მუნდირიდან“ ააჭრეს გენერალისიმუსისთვის დაწესებული ოქროს ღილები და „ლატუნის“ (თითბრის) ღილებით შეცვალეს.**

22 საათსა და 00 წუთზე კუბოს სახურავი დააფარეს, მაგრამ უხერხულობა შეიქმნა მაშინ, როდესაც არ აღმოაჩნდათ ჩაქუჩი და ლურსმნები კუბოს სახურავის დასამაგრებლად, მაგრამ ესეც მალე მოგვარდა.

შემდეგ 8 ოფიცერმა კუბო სტალინის ნეშტით ნელ-ნელა ასწია და მავზოლეუმიდან გამოიტანა. კუბოს უკან ოცამდე კაცი მიჰყვებოდა. ზოგიერთი ჩუმად ტიროდა და სახეს მალავდა, რათა მეორე დღეს ამ ცრემლებისთვის მწარედ არ ენანებინათ. კუბო თოკებით ჩაუშვეს სამარეში, რომელიც მოპირკეთებული იყო რკინაბეტონის ფილებით. ვიდრე სამხედროები საფლავის მიწით ამოვსებას დაიწყებდნენ, რამდენიმე კაცმა მართლმადიდებლური წესით სტალინის კუბოს მიწა მიაყარა. მალე საფლავი მიწით გაივსო და ზედაპირიც მოასწორეს.

პროცესიის მონაწილეთათვის მავზოლეუმის გვერდით მიდგმულ ოთახში გამოსათხოვარი სუფრა იყო გაშლილი ალკოჰოლური სასმელებით, წვენებითა და დელიკატესებით. დამკრძალავი კომისიის წევრებმა და სხვა პირებმა ჭიქა წაუქციეს სტალინის ხსოვნას. ზოგი პროტესტის ნიშნად საერთოდ არ მივიდა სუფრასთან და კუთხეში ცრემლს იწმენდდა.

ძვირფასო მკითხველო! ვწერ ამ სიტყვებს და თვალზე ცრემლი მადგება. ვფიქრობ, ნეტავ, ვინ უფრო საცოდავია — ის, ვინც დამარხეს, თუ ისინი, ვინც დამარხა?! Eისენი ხომ ის ადამიანები იყვნენ, რომლებიც სტალინის ხსოვნის უკვდავსაყოფად არნახულ სიურპრიზს უმზადებდნენ კაცობრიობას...

ვაი, შენ, ადამიანო!




## ყურადღება!

„ბიბლუსისა“ და „ლიბრას“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, მეტროპოლიტენის სადგურებთან: „მარჯანიშვილი“, „რუსთაველი“, „თავისუფლების მოედანი“ შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონი გრიგოლ ონიანის წიგნი „სტალინი“, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის — სტალინის შესახებ.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თურქეთის ლიდერი კონტროლს აღარ ექვემდებარება: მან ევროპას მიგრაციული კრიზისი მოუწყო, ამასთანავე, ატარებს ისეთ პოლიტიკას, რომელიც ეწინააღმდეგება აშშ-ის სტრატეგიას რეგიონში. შედეგად, ანალიტიკოსების აზრით, ამერიკელები თურქეთში ხელისუფლების შეცვლას შეეცდებიან.**

# ერდოღანი თავის დაგებულ მახეში გაება

## ოსმალეთის შავმა ხვრელმა ერდოღანის შთანთქმა დაიწყო

**2 ივნისს, ანკარის მხრიდან გაფრთხილების მიუხედავად, გერმანიის პარლამენტმა, ხმათა უმრავლესობით (მხოლოდ ერთმა დეპუტატმა შეიკავა თავი, ერთი კი წინააღმდეგი იყო), 1915 წელს სომხების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული თურქების მიერ მოწყობილ გენოციდად აღიარა. როგორც დოკუმენტშია ნათქვამი, „პირველი მსოფლიო ომის მიმდინარეობისას ოსმალეთის იმპერიაში სომხების დახოცვა იყო დიდი კატასტროფა სომეხი ხალხის ათასწლოვან ისტორიაში; იმიტომ, რომ დეპორტაციამ და მასობრივმა ხოცვა-ჟლეტამ, დამოუკიდებელი გათვლებით, მილიონზე მეტი სომეხის სიცოცხლე შეიწირა. ბევრი დამოუკიდებელი ისტორიკოსი, პარლამენტი და საერთაშორისო ორგანიზაცია სომეხთა დევნასა და განადგურებას გენოციდად მიიჩნევს“.**




გერმანია დაემატა სიას იმ 20-ზე მეტი ქვეყნისა (მათ შორის არის რუსეთი, კანადა, საფრანგეთი, ბრიტანეთი, ბრაზილია, არგენტინა, ავსტრია), რომლებიც თურქეთის მიერ სომეხთა წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს გენოციდად აღიარებს. აშშ-ის 50 შტატიდან 42-მა ოფიციალურად დაგმო სომეხთა გენოციდი, მაგრამ აშშ-ის ფედერალური ხელისუფლება გენოციდს არ აღიარებს.

საპასუხოდ ანკარამ ბერლინიდან ელჩი გამოიწვია, თურქეთის ახალმა პრემიერმინისტრმა **ბინალი იილდირიმმა** კი განაცხადა, რომ გერმანიის პარლამენტის გადაწყვეტილებაში დიდი წვლილი მიუძღვის „სომხების რასისტულ ლობის“. გერმანიის ბუნდესტაგის თავმჯდომარის — **ნორბერტ ლამერტის** თქმით, გერმანელი პარლამენტარები მზად არიან, მიიღონ კრიტიკა, მაგრამ დაშინების უფლებას არავის მისცემენ.

ამრიგად, **ჰილარი კლინტონის** ერთგული თანამებრძოლის — **ანგელა მერკელის** ძალისხმევის მიუხედავად — თურქეთი ევროპაში შეეყვანა, გერმანიის პარლამენტმა თავისი გაიტანა და ეჭვქვეშ დააყენა არა მხოლოდ გერმანია-თურქეთის ურთიერთობები, არამედ აგრესიულ-ისლამისტური თურქეთის იდეოლოგიური და „ჰუმანიტარული“ ექსპანსია ევროპაში. ამას კი ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპის პოლიტიკურ კლასში მიმდინარე ცვლილებების ფონზე.

ექსპერტთა აზრით, **ბუნდესტაგის მიერ სომეხთა გენოციდის აღიარება გაართულებს თურქეთის ურთიერთობას არა მხოლოდ გერმანიასთან, არამედ მთლიანად ევროკავშირთან, რადგან გერმანია საკვანძო როლს თამაშობდა ლტოლვილების პრობლემების მოგვარების საქმეში. ახლა თურქეთს ლტოლვილების შესახებ გადაწყვეტილებების საბოტაჟისთვის საბაბი მიეცემა, მაგრამ გადადგამს კი ამ ნაბიჯს ერდოღანი?** ამ შემთხვევაში მისი შესაძლებლობები შეზღუდულია: თუკი ერდოღანი ამ ნაბიჯს გადადგამს, იზოლაციაში მოექცევა. თურქეთმა შეიძლება გააძლიეროს ევროკავშირის დაშანტაჟება, მაგრამ შანტაჟსაც აქვს საზღვარი.

ეს რეზოლუცია გერმანიის პარლამენტს შემთხვევით არ მიუღია. ევროპა ვერ პოულობდა საბაბს, უარი ეთქვა გათავხედებული სულთნისთვის, რომელიც ევროპაში ჰუმანიტარულ ექსპანსიას ახორციელებდა. **გარდა იმისა, რომ ერდოღანმა ათასობით „ბოევიკისა“ და ტერორისტის გადასვლას შეუწყო ხელი, ევროპას 3 მლრდ ევროსაც სთხოვდა ლტოლვილების ნაკადის შეჩერების სანაცვლოდ.**

მაგრამ ახლა ვითარება შეიცვალა — გერმანიისა და თურქეთის ურთიერთობა გაუარესდა. ეს იქნება დამატებითი საბაბი იმისათვის, რომ 30 ივნისის შემდეგ თურქეთმა უარი თქვას ლტოლვილების საკითხებში ევროკავშირთან შეთანხმებაზე. ანკარა შეწყვეტს საზღვრის გაკონტროლებას და ლტოლვილების ნაკადს ევროპისკენ მიმავალ გზას გაუხსნის. ეს მერკელის საემიგრაციო პოლიტიკის მინუსია. **ბუნდესტაგმა დაარტყა მერკელს, რომელიც ახლა იძულებული იქნება, მოთოკოს თავისი პროამერიკული, პროთურქული და ანტირუსული გამოხდომები, განსაკუთრებით — საპარლამენტო არჩევნების წინ, რომელიც გაისად გაიმართება.**

ბუნდესტაგმა დაარტყა გერმანია-თურქეთისა და ევროპა-თურქეთის ურთიერთობებს, მაგრამ ეს ხომ ისლამისტურ თურქეთთან ურთიერთობაა, ურთიერთობა იმ თურქეთთან, რომელიც მხარს უჭერს არა მხოლოდ სირიისა და ერაყის ტერიტორიაზე მოქმედ „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტებს, არამედ თავის ტერიტორიას წმენდს ეთნიკური უმცირესობისგან — ქურთებისგან?

როგორც ჩანს, **თურქეთის ლიდერი კონტროლს აღარ ექვემდებარება: მან ევროპას მიგრაციული კრიზისი მოუწყო, ამასთანავე, ატარებს ისეთ პოლიტიკას, რომელიც ეწინააღმდეგება აშშ-ის სტრატეგიას რეგიონში. შედეგად, ანალიტიკოსების აზრით, ამერიკელები თურქეთში ხელისუფლების შეცვლას შეეცდებიან.** ძალების ასეთი განლაგების შემთხვევაში, თურქეთი ვერაფერს იღებს. თუკი ადრე ანკარას იმედი ჰქონდა, რომ ხელში ჩაიგდებდა სირიის რომელიმე ნაწილს ან სირიას და მას სუნიტების გავლენის გაძლიერებით თავის კონტროლს დაუქვემდებარებდა, ამჟამად ასეთი გეგმების განხორციელებაზე ოცნებაც კი შეუძლებელია. უფრო მეტიც — სულ უფრო მწვავდება ქურთების პრობლემა. ქურთებმა ავტონომია გამოაცხადეს და ერდოღანი გააფთრებით ცდილობს ამ მოძრაობის ჩახშობას, მაგრამ ამას ეწინააღმდეგება აშშ, ისევე, როგორც რუსეთი. ამერიკელები რომ არ უშლიდნენ ხელს, ერდოღანი ჯარს შეიყვანდა სირიელი ქურთების ტერიტორიაზე, მაგრამ თურქეთის ლიდერს ხელები შეკრული აქვს, რადგან, ფაქტობრივად, იზოლაციაში მოექცა. ამასთანავე, იზრდება ქურთების წინააღმდეგობა თვით თურქეთში, რაც კიდევ უფრო არამდგრადს ხდის ვითარებას ქვეყანაში.

ბოლო სამი წლის განმავლობაში ერდოღანი მსოფლიოს ორ წამყვან მოთამაშეს — აშშ-სა და რუსეთს — წაეჩხუბა. ამასთანავე, აშშ-ისა და რუსეთის ინტერესები თურქეთის მიმართ ერთმანეთს დაუახლოვდა. აშშ-სა და რუსეთს ხელს აძლევთ უფრო სუსტი თურქეთი, თანაც იმ ტერიტორიების გარეშე, რომლებზეც ეროვნული უმცირესობები ცხოვრობენ; ანუ არც რუსეთს, არც აშშ-სა და არც ევროკავშირს არ სჭირდებათ თურქეთი, როგორც რეგიონული აგრესიული სახელმწიფო. მათ სჭირდებათ ქემალისტური ტურისტული თურქეთი, რომელიც მხოლოდ განსაზღვრულ როლს შეასრულებს რეგიონში.

ერდოღანი მშვენივრად ხვდება, რომ მის წინააღმდეგ წინასწარ შემუშავებული სცენარით მოქმედებენ. **ამერიკელებმა ერდოღანი, ისევე, როგორც სადამ ჰუსეინი, პოლიტიკურ ფიგურად „გამოძერწეს“. მან დაიჯერა თავისი „სიდიადის“ და საკუთარი შესაძლებლობების კრიტიკულად შეფასების უნარი დაკარგა, ახლა კი ჩარეცხვას უპირებენ. ერდოღანს არაფრის დიდებით არ სურს დაიჯეროს, რომ „გადააგდეს“ და ამიტომ აქეთ-იქით აწყდება, აგრესიულად მოქმედებს და უკანდასახევ გზას იჭრის.** ევროპის უარი ლტოლვილების პრობლემების მოგვარების სანაცვლოდ მილიარდების გადახდაზე, აშშ-სა და რუსეთთან ურთიერთობების გაწყვეტა და საშინაო პრობლემების გამწვავება ერდოღანის პოლიტიკას ძალიან აზარალებს თვითონ თურქეთში, ამიტომ ცდილობს, გამოიყენოს დიქტატორების საყვარელი ტაქტიკა და დამნაშავეებს ქვეყნის გარეთ ეძებს. ერდოღანის ეს ისტერიკა თავისი არსით მიმართულია არა ქვეყნისა და ხალხის ინტერესების, არამედ საკუთარი პოლიტიკური ამბიციების დასაცავად, მაგრამ ხაფანგი უკვე დაიხურა და ერდოღანის აქეთ-იქით მიწყდომა მის პოლიტიკურ კარიერას უფრო მეტად უჭერს მარყუჟს.

REGNUM.RU

# თურქებმა გერმანელებს ნაცისტური წარსული შეახსენეს

**თურქეთში მძაფრი რეაქცია გამოიწვია ბუნდესტაგის მიერ სომეხთა გენოციდის აღიარებამ. სტამბოლი ისეთმა საპროტესტო აქციებმა მოიცვა, რომ პოლიცია იძულებული შეიქნა, წყლისსატყორცნი მანქანებით დაეცვა გერმანიის საკონსულოს შენობა.**

ქუჩებში გამოსულ თურქებს ხელში ეჭირათ ტრანსპარანტები, რომლებითაც გერმანელებს მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ებრაელებისთვის მოწყობილ გენოციდს შეახსენებდნენ. გერმანიის საელჩოსთან შეკრებილები გაჰყვიროდნენ: „ალაჰი დიდია“.

**ბუნდესტაგის მიერ მიღებული რეზოლუციის გამოცხადებისთანავე ბერლინში მცხოვრები გერმანელი თურქებიც გამოვიდნენ ქუჩაში.** ბუნდესტაგის რეზოლუციაზე მკაცრი რეაქცია ჰქონდა თურქეთის იუსტიციის მინისტრ




**ბექირ ბოზდაგს: „თავის დროზე თვითონ წვავდნენ ებრაელებს კრემატორიუმის ღუმელებში, ახლა კი ცილს სწამებენ თურქ ხალხს და მას გენოციდში ადანაშაულებენ. ხომ არ სჯობს, ჯერ უკან მიიხედოთ და საკუთარ ისტორიას გაეცნოთ?!** მსოფლიოს ყველა პარლამენტმა ანალოგიური გადაწყვეტილება რომ მიიღოს, ჩვენს სახელმწიფოს, ჩვენი ერის ისტორიას ვერ შებღალავენ. ჩვენ სამარცხვინო არაფერი გვაქვს. ჩვენს ისტორიაში არ არის შავი ლაქები, რომელთა გამოც თავი უნდა დავხაროთ“, — განაცხადა ბოზდაგმა.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა** კი, თავის მხრივ, იმედი გამოთქვა, რომ გერმანიის პარლამენტის რეზოლუცია სომეხთა გენოციდის შესახებ დაძაბულობას არ შეიტანს ბერლინისა და ანკარის ურთიერთობაში.

„ვიმედოვნებ, რომ უახლოეს დღეებში შევძლებთ ურთიერთობის ისე აწყობას, რომ თავიდან ავიცილებთ მწვავე რეაქციებს“, — განაცხადა შტაინმაიერმა.

REGNUM.RU

კაზმერჩაკების ქალიშვილის მიერ მართული ევროპა სულ უფრო ნაცისტური ხდება. აი ასეთ „ახალ ევროპაში“, მაგალითად, ბულგარელებს, აკრძალული აქვთ დაწესებულ კვოტაზე მეტი ხილისა და ბოსტნეულის მოყვანა, ამიტომ ბულგარეთის სუპერმარკეტების დახლებზე შეგიძლიათ იხილოთ გერმანული კიტრი, პომიდორი და ბულგარული წიწაკაც კი, ოღონდ გერმანიაში მოყვანილი.

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «სუფთასისხლიანი არიელების» ევროპული ბალ-მასკარადი

**ზოგი მკვლევარი ამბობს, რომ ჰიტლერი სუფთასისხლიანი არიელი არ ყოფილა, არც ანგელა მერკელია სუფთა სისხლის მქონე არიელი ქალბატონი, მაგრამ მას ისევე, როგორც ადოლფს, ახლო აღმოსავლელი ლტოლვილების თავგამოდებით დაცვის მიუხედავად, სრულიად შესაძლებელია, სურდეს, იყოს არიელი.**



## ვიკინგების ტრადიციები და სხვა ევროპული მანკიერებები

ლტოლვილთა შემთხვევაში ყველაფერი გასაგებია: **ანგელა მერკელი იაფი მუშახელის პრობლემის გადაწყვეტას ცდილობდა, მაგრამ ისე შეიჭრა როლში, რომ კოლოსალური პრობლემის წინაშე დააყენა არა მხოლოდ ქვეყანა, რომელშიც მისი მშობლები იძულებული შეიქნენ, გვარი გამოეცვალათ (კაზმერჩაკები კასნერებად იქცნენ), არამედ მთელი ევროპა.**

მერკელის 11-წლიანი მმართველობიდან ისტორიაში დარჩება მხოლოდ ჩანაწერი იმის შესახებ, რომ ის ვაშინგტონის ახლოაღმოსავლური ავანტურების წინამძღოლი იყო ევროპაში. სწორედ ამის შედეგია ლტოლვილების ნაკადი ევროპაში, თურქეთის დიქტატი და ფულის გამოძალვის მცდელობა, ევროპელი ქალების მასობრივი გაუპატიურება.

მაგრამ ეს მხოლოდ წარუმატებელი ქალის პოლიტიკური და გეოპოლიტიკური პრობლემებია. **სხვა საქმეა ევროპის, ევროპული თვითშეგნების, ტოლერანტობის, ვოლტერისა და კამპანელას იდეების პრობლემები.**

ანგელა მერკელმა ფეხქვეშ გათელა ევროპის საგანმანათლებლო იდეალები.

თვითონვე განსაჯეთ: **დღეს ევროპაში თავისუფლად შეუძლიათ, ბავშვი წაართვან მშობლებს მხოლოდ მოშურნე მეზობლის დაუსაბუთებელი სიგნალის საფუძველზე; ევროპელები უახლოეს ხანში აპირებენ პედოფილიის დაკანონებას — იქ ეს საშინელი ცოდვა განიხილება, როგორც სექსუალური ქცევის ერთ-ერთი მეთოდი და ვიკინგების ტრადიციების გაგრძელება.**

## ბალტიისპირეთი – ნაციზმის სათბური

რამდენიმე დღის წინათ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ლატვიაში, ევროკავშირის ერთ-ერთ ქვეყანაში, განიხილება საკითხი ბავშვებისთვის რუსული სახელების დარქმევის აკრძალვის თაობაზე. ლატვიის იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლები ამბობენ, რომ ასეთი გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს ქვეყანაში „დემოკრატიის ზეიმსა და ლატვიის დანარჩენი მცხოვრებლების უფლების დაცვას, ილაპარაკონ მშობლიურ ენაზე“.

და ეს არ არის არიული ნაციზმი? ეს არ არის მოჩვენებითი არიულობა მათი მხრიდან, ვინც ანგელა მერკელს სიტყვის შეუბრუნებლად ემორჩილება?

**ანგელა მერკელი იაფი მუშახელის პრობლემის გადაწყვეტას ცდილობდა, მაგრამ ისე შეიჭრა როლში, რომ კოლოსალური პრობლემის წინაშე დააყენა არა მხოლოდ ქვეყანა, რომელშიც მისი მშობლები იძულებული შეიქნენ, გვარი გამოეცვალათ (კაზმერჩაკები კასნერებად იქცნენ), არამედ მთელი ევროპა**

მაგრამ ლოგიკას უფრო შორს მივყავართ იმის გათვალისწინებით, რომ გერმანია, ფაქტობრივად და იურიდიულად, დღემდე აშშ-ის მიერ ოკუპირებული ქვეყანაა.

თუ გავაანალიზებთ, რაც ბალტიისპირეთში ხდება, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ნაციზმი რეანიმირებულია. ავიღოთ თუნდაც შვეიცარია, რომლის ერთ-ერთი ქალაქის ხელისუფლება მზად არის, გადაიხადოს 300 ათასი ევრო, ოღონდ ახლო აღმოსავლელი ლტოლვილები არ მიიღოს.

## ევროპაში თანასწორობა მხოლოდ ესიზმრებათ

კაზმერჩაკების ქალიშვილის მიერ მართული ევროპა სულ უფრო ნაცისტური ხდება. აი, ასეთ **„ახალ ევროპაში“, მაგალითად, ბულგარელებს აკრძალული აქვთ დაწესებულ კვოტაზე მეტი ხილისა და ბოსტნეულის მოყვანა, ამიტომ ბულგარეთის სუპერმარკეტების დახლებზე შეგიძლიათ იხილოთ გერმანული კიტრი, პომიდორი და ბულგარული წიწაკაც კი, ოღონდ გერმანიაში მოყვანილი.**

**საბერძნეთში** გაანადგურეს ხილის ბაღები. **პოლონურ ვაშლზე** ლაპარაკიც აღარ ღირს — რუსეთის მხრიდან საპასუხო აქციების დაწესების შემდეგ პოლონეთში ვაშლისა და მსხლის ბაღები შეიძლება გაჩეხონ... და ეს ყველაფერი ხდება გერმანელი მწარმოებლების გამო.

ევროპამ თვითონ უნდა დააღწიოს თავი ამ საშინელ სიზმარს. ევროპის ქვეყნებმა თვითონ უნდა განსაზღვრონ, რა არის მათთვის სასარგებლო და რა — არა.

## ნაცისტების ბალ-მასკარადი

ვაშინგტონის ტოტალური თვალთვალის ობიექტის — ანგელა მერკელის ხელის ერთი აქნევით, მორჩილი ევროპა მზად არის, დაარღვიოს მშობლების უფლება — აღზარდოს შვილი, აგრეთვე, ბავშვის უფლებები. ვითომ ცივილიზებულ ევროპაში ადამიანის უფლებების დარღვევის უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება. აი, ამას ჰქვია გაეროს მიერ მიღებული ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის დაცვა. ევროპა, მისი სახელმწიფოებრივი და სახელმწიფოთაშორისი სტრუქტურები, დიდი ხანია, აშშ-ის მიერ არის ოკუპირებული.

საბჭოთა კავშირმა ბოლომდე ვერ ამოძირკვა ნაციზმი და ის კვლავ აღმოცენდა. დღეს ევროპაში სწორედ „სუფთასისხლიანი არიელები“ (ჯერ კაზმერჩაკის, შემდეგ კასნერის, ბოლოს მერკელის მსგავსნი) ცეკვავენ ბალ-მასკარადზე.

PRAVDA.RU

# გაეროს: უკრაინაში რეგულარულად აწამებენ ადამიანებს, იქ შექმნილი აქვთ საიდუმლო საპყრობილეები

**უკრაინის უშიშროების სამსახური „რეგულარულად აკავებს და აწამებს ამბოხებულების მიმართ სიმპათიაში ეჭვმიტანილ ადამიანებს“, — იუწყება ბრიტანული გაზეთი „თაიმსი“, რომელიც გაეროს ექსპერტებს იმოწმებს.**

უკრაინის კონფლიქტის ნაკლებადცნობილ მხარეზე გაზეთის ჟურნალისტებს ადამიანის უფლებების საკითხებში გაეროს გენერალური მდივნის თანაშემწე **ივან შიმონოვიჩი** ესაუბრა.

ოფიციალური კიევის მხრიდან „ადამიანის უფლებების დარღვევამ მყარად გაიდგა ფესვები და საყოველთაო მოვლენად იქცა, და ამ პრობლემას სასწრაფოდ უნდა მივაპყროთ ყურადღება, — ამბობს პან გი მუნის თანაშემწე.

გაეროს მიერ მომზადებულ მორიგ მოხსენებაში არის დოკუმენტური მტკიცებულებები უკანონოდ დაკავების, წამებისა და სასტიკი მოპყრობის ასეულობით შემთხვევის შესახებ როგორც პრორუსულად განწყობილი შეიარაღებული დაჯგუფებების ისე უკრაინის სამთავრობო უწყებების მხრიდან.

ამასთანავე, აღნიშნავს „თაიმსი“, მოხსენებაში პირველად არის მოთხრობილი უკრაინის სამთავრობო უწყებების სისასტიკესა და მასშტაბებზე, აგრეთვე, 5 სამთავრობო საიდუმლო საპყრობილეზე.



შიმონოვიჩი ინტერვიუში ყვება დაკავებულთა სასტიკ წამებაზე, კერძოდ, ერთ შემთხვევაზე, როდესაც უკრაინის უშიშროების თანამშრომლებმა რადიატორზე ბორკილით მიაბეს ადამიანი და თავზე ჩამოაცვეს აირწინაღი, რომლითაც დაახრჩვეს. მეორე შემთხვევაში უკრაინის სპეცსამსახურის თანამშრომლებმა დაკავებულს რამდენჯერმე ესროლეს ელექტროშოკური პისტოლეტ Taser-იდან.

„უკრაინის ხელისუფლების კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ადამიანს აპატიმრებენ მხოლოდ იმის გამო, რომ გამოხატა პრორუსული თვალსაზრისი, ან ურთიერთობა აქვს ადამიანთან, რომელიც ეჭვმიტანილია ამბოხებულთა მიმართ სიმპათიაში“, — განაცხადა შიმონოვიჩმა და დასძინა, რომ გაეროს ინსპექტორთა ჯგუფი იძულებული შეიქნა, შეეწყვიტა მუშაობა უკრაინაში, რადგან ამ ქვეყნის უშიშროების სამსახურმა უარი განაცხადა, მისთვის უფლება მიეცა 5 საიდუმლო საპატიმროს მონახულებაზე.

THE TIMES

**„უკრაინის ხელისუფლების კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ადამიანს აპატიმრებენ მხოლოდ იმის გამო, რომ გამოხატა პრორუსული თვალსაზრისი, ან ურთიერთობა აქვს ადამიანთან, რომელიც ექვმიტანილია ამბოხებულთა მიმართ სიმპათიაში“, — განაცხადა შიმონოვიჩმა და დასძინა, რომ გაეროს ინსპექტორთა ჯგუფი იძულებული შეიქნა, შეეწყვიტა მუშაობა უკრაინაში, რადგან ამ ქვეყნის უშიშროების სამსახურმა უარი განაცხადა, მისთვის უფლება მიეცა 5 საიდუმლო საპატიმროს მონახულებაზე**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ყველაზე რეზონანსული ინციდენტი 1995 წლის 4 სექტემბერს მოხდა, როდესაც სამმა ამერიკელმა ჯარისკაცმა მოიტაცა და გააუპატიურა 12 წლის იაპონელი გოგონა. ოკინავაზე განლაგებული ამერიკული ბაზა CAMP HANSEN-ის სამმა სამხედრო მოსამსახურემ მანქანაში ძალით ჩასვა იაპონელი მოსწავლე გოგონა, ხელ-ფეხი შეუკრა და ჯგუფურად გააუპატიურა. დაპატიმრებულმა ამერიკელებმა მხოლოდ 4 წელი გაატარეს ციხეში — ისინი 2003 წელს გაათავისუფლეს.**

# ლოთობა, გაუპატიურება, მკვლელობა — როგორ ერთობიან ამერიკელი სამხედროები იაპონიაში

**ამერიკელი სამხედროები უცხო ქვეყნებში, რომლებშიც მათი ბაზებია განლაგებული, ჩვეულებრივი ოკუპანტებივით იქცევიან. გამონაკლისი არც იაპონიაა. აშშ-ის სამხედრო მოსამსახურეები ხშირად ესხმიან თავს იაპონელ ქალებს — აუპატიურებენ და კლავენ. როგორც ჩანს, ამერიკელების მიერ ჰიროსიმასა და ნაგასაკიში ატომური ბომბების ჩამოყრა საკმარისი სასჯელი არ იყო იაპონელებისთვის.**



იაპონიის მთავრობის გენერალური მდივნის — **იესიჰიდე სუგას** განცხადებით, ქვეყანაში შეიქმნება სპეციალური უწყებათაშორისი ჯგუფი იაპონიის ტერიტორიაზე ამერიკელი სამხედროების ძალადობის თავიდან ასაცილებლად. ჯგუფში შევლენ შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლები. ამ ჯგუფის შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება განაპირობა ინციდენტმა, რომელიც 2 კვირის წინათ მოხდა — პოლიციამ დააპატიმრა კადენის ამერიკული ბაზის სამხედრო მოსამსახურე **შინზატო კენეტ ფრანკლინი,** რომელმაც 20 წლის იაპონელი გოგონა, **რინა სიმაბუკურო,** მოკლა. მისი გვამი ტყეში იპოვეს. იაპონელმა გამომძიებლებმა დაადგინეს, რომ ამერიკელმა სამხედრო მოსამსახურემ ჯერ თავში ბლაგვი საგნის ჩარტყმით დააკარგვინა გონება იაპონელ გოგონას, შემდეგ გააუპატიურა და ბოლოს დანით მოკლა.

ეს არ არის ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეების მიერ იაპონიაში ჩადენილი პირველი დანაშაული.

ამა წლის მარტში ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე **ჯასტინ კასტელანოსი** ქალაქ ნაჰას სასტუმროში ფუკუოკას პრეფექტურიდან ჩასული იაპონელი ტურისტი ქალის გაუპატიურებისთვის დააპატიმრეს.

გახმაურებულია აშშ-ის ორი საზღვაო ქვეითის მიერ კუნძულ ოკინავაზე იაპონელი გოგონას გაუპატიურების საქმე. ც. ტეხასის შტატში განლაგებული საზღვაო ავიაციის ბაზიდან სამხედროები ოკინავაზე მდებარე კადენის ამერიკულ ბაზაზე მივლინებით იყვნენ ჩასული. აშშ-ში დაბრუნების წინა ღამეს, ბარში ყოფნის შემდეგ, ისინი თავს დაესხნენ იაპონელ გოგონას და გააუპატიურეს. იაპონელმა პოლიციელებმა ამერიკელი სამხედროები რამდენიმე საათში დააპატიმრეს. მომხდარმა ოკინაველთა მასობრივი პროტესტი გამოიწვია. ისინი კუნძულიდან ამერიკული ბაზის გაყვანას მოითხოვდნენ.




**ყველაზე რეზონანსული ინციდენტი 1995 წლის 4 სექტემბერს მოხდა, როდესაც სამმა ამერიკელმა ჯარისკაცმა მოიტაცა და გააუპატიურა 12 წლის იაპონელი გოგონა.** ოკინავაზე განლაგებული ამერიკული ბაზა Camp Hansen-ის სამმა სამხედრო მოსამსახურემ მანქანაში ძალით ჩასვა იაპონელი მოსწავლე გოგონა, ხელფეხი შეუკრა და ჯგუფურად გააუპატიურა. დაპატიმრებულმა ამერიკელებმა მხოლოდ 4 წელი გაატარეს ციხეში — ისინი 2003 წელს გაათავისუფლეს.

ყველგან, სადაც ამერიკული სამხებრო ბაზაა (ამერიკელებს მსოფლიოს 80 ქვეყანაში დაახლოებით 800-მდე სამხედრო ბაზა და გარნიზონი აქვთ შექმნილი), ამერიკელი სამხედროები რეგულარულად ძალადობენ.

* აქ შეიძლება გავიხსენოთ ორი თვის წინანდელი ინციდენტი **კაუნასში** (ლიტვა), როდესაც ამერიკელმა სამხედროებმა ლიტვის დროშა ჩამოგლიჯეს და შეურაცხყვეს, თებერვალში კი **დრუსკინინკაის** აკვაპარკი მილეწ-მოლეწეს.

* 2014 წლის მაისში მთვრალმა ნატოელმა მეზღვაურებმა ლატვიის ქალაქ **ვენტსპილში** ქალებზე ძალადობა სცადეს, მაგრამ ადგილობრივი ახალგაზრდების სათანადო პასუხი მიიღეს და საავადმყოფოში აღმოჩნდნენ.

ლოთობა, დებოში, ძალადობა, გაუპატიურება — აი ამერიკელთა „ცივილიზებული საქციელი“ ცივილიზებულ ქვეყნებში. ადვილი წარმოსადგენია, რას სჩადიან ისინი „არაცივილიზებულ ქვეყნებში“.

მაგალითად, **ავღანეთში ნორმად ითვლება, თუ ამერიკელი ჯარისკაცი სიცოცხლეს გამოასალმებს ათამდე მშვიდობიან მოსახლეს, შემდეგ კი თავის მეთაურს ეტყვის, ნერვები ამეშალა, პოსტტრავმული სინდრომი მაქვსო, ლაპარაკი აღარ არის ისეთ „უწყინარ ცელქობაზე“, როგორიც არის ყურანის დაწვა.**

ამერიკელთა „ცივილიზებულ საქციელს“ მოლდოველებთან და უკრაინელებთან ერთად ქართველებიც ვიწვნევთ საკუთარ თავზე, თუ მათ სამხედრო ბაზების განლაგების უფლებას მივცემთ ჩვენს ტერიტორიაზე, თუმცა ბიოლოგიური ლაბორატორიისა და საწვრთნელი ცენტრის მოწყობის უფლება ხომ მივეცით უკვე?!

კარგა ხანია, იაპონია ამერიკელთა ერთ დიდ სამხედრო ბაზად იქცა. ამ ქვეყნის ტერიტორიაზე 94 ამერიკული ბაზაა, მათი ორი მესამედი კი კუნძულ ოკინავაზეა განლაგებული, თუმცა ამერიკელების ყველაზე მეტი სამხედრო ბაზა გერმანიაში აქვთ.

აღსანიშნავია, რომ 45 ათასი ინციდენტიდან, რომლებშიც ამერიკელი ჯარისკაცები მონაწილეობდნენ, 512 მკვლელობით დასრულდა, მაგრამ არავინ დაუსჯიათ.

**WARFILES.RU**

# გაუთავებელი სკანდალები და უპატიოსნობა — დროა, კლინტონი პრეზიდენტობისთვის ბრძოლას გამოეთიშოს




**The Daily News-ის აზრით, აშშ-ის ყოფილ სახელმწიფო მდივანს ტყუილი ისე სდევნის, როგორც ვამპირებზე მონადირე ვან ჰელსინგი — დრაკულას.**



თუ დემოკრატებს სურთ, თავიდან აიცილონ დამცირება, ჰილარი კლინტონი უნდა გამოეთიშოს საპრეზიდენტო არჩევნებისთვის გამართულ რბოლას. რამდენიმე დღის წინათ გაირკვა, რომ **ჰილარი კლინტონს** თეთრ სახლში მოხვედრის იმდენივე შანსი აქვს, რამდენიც **დონალდ ტრამპს** — თეთრკანიანი ამომრჩევლების ხმების დაკარგვის. **სანდერსს** შეუძლია ტრამპის დამარცხება, ჰილარის კი უკვე ძალა აღარ შესწევს.

ძალიან ბევრი სკანდალი, ძალიან ბევრი წლის დაღლილობა ჰილარისგან, ახლა კი, საფოსტო მხილებების შემდეგ, მას უამრავი ტყუილი დაუგროვდა, რომლებიც ისე სდევნიან, როგორც ვან ჰელსინგი — დრაკულას.

მაგრამ ტრამპიც ხომ ცრუობს? აშშ-ის პრეზიდენტობის ორი კანდიდატი ტყუილების თქმით არის დაკავებული, მაგრამ განსხვავება არის ის, რომ ჰილარი იტყუება და ეს ტყუილები მას ეწებება, დონალდს კი ყველაფერი ეპატიება. დემოკრატებს კლინტონების პოლიტიკური მანქანის წინაშე შიშთან შერწყმული სიკვდილის ასეთი ინსტიქტი რომ არ ჰქონდეთ, პარტიის ლიდერები ყოფილ სახელმწიფო მდივანს პრეზიდენტობის პოსტისთვის ბრძოლიდან გამოიყვანდნენ.

კლინტონებმა იციან, როგორ გამოვიდნენ მძიმე ვითარებიდან ტყუილების მეშვეობით: ქმარი ავადაა, ცოლიც, მისი კერძო საფოსტო სერვერი ძაღლმა შეჭამა, უოლ-სტრიტზე მათი ყოფნა აუცილებელია, ჰილარის ძველი დაქალი ოჩოფეხებიდან ჩამოვარდა... — როგორი ტყუილიც გინდა, სულო და გულო.

ბოლო სკანდალები და აბსოლუტური არაგულწრფელობა კლინტონის მხრიდან მას პირქუშ მომავალს უქადის. დღეს **ჰილარი კლინტონის საარჩევნო კამპანიის შემადგენელი ნაწილები — მოხერხებული ვაჭრობა, გარიგებები და ტყუილები — ჩრდილავს დონალდ ტრამპის შეცდომებსა და დანაშაულებს, რომლებიც ამ ფონზე არც ისე მნიშვნელოვნად გამოიყურება.**

**THE DAILY NEWS**

**P.S. Rasmussen Reports-ის მიერ 29-30 მაისს ჩატარებულმა სოციოლოგიური გამოკითხვის (გამოიკითხა 1000 რესპონდენტი) შედეგებმა აჩვენა, რომ ამერიკელი ამომრჩევლის 30% დონალდ ტრამპს უფრო პატიოსან ადამიანად მიიჩნევს, ვიდრე სხვა პოლიტიკოსებს; ორჯერ უფრო ნაკლები, 15% კი, ჰილარი კლინგტონს მიიჩნევს პატიოსან პოლიტიკოსად.**

## „ისეთი განცდა მაქვს, რომ თითქოს არასრულფასოვანი ვარ, მიუხედავად იმისა, რომ ვიხდი გადასახადებს და ჩემი შვილები ადგილობრივ სკოლაში სწავლობენ. არ შეიძლება ოჯახი ქუჩაში გააგდო მხოლოდ იმიტომ, რომ უცხოეთიდან სხვა ოჯახი ჩამოვიდა“.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# შვედეთში ოჯახს ბინიდან ასახლებენ იმიტომ, რომ ლტოლვილებს საცხოვრებელი სჭირდებათ

**შვედი უფე რუსტანი, რომელიც სტოკჰოლმის კომუნა ლიდინგეში ცხოვრობს, სასოწარკვეთილია. რამდენიმე დღის წინათ ტელეფონით შეატყობინეს, რომ მან და მისმა ორმა შვილმა უნდა დატოვონ კომუნალური ბინა, რომელიც არენდით აქვთ აღებული. მიზეზი არის ის, რომ ეს საცხოვრებელი უნდა დაიკავოს ლტოლვილების ოჯახმა, რომელიც ცოტა ხნის წინათ ჩავიდა შვედეთში.**

„როდესაც ახსნა-განმარტება მოვთხოვე, პირმა, რომელიც ტელეფონით მელაპარაკებოდა, მითხრა, რომ უცხო ქვეყნიდან ჩამოდიან ლტოლვილები და ეს საცხოვრებელი მათ უნდა გადაეცეთო. მან გადმომცა ეს ინფორმაცია და თანაც კარგი უიკ-ენდი მისურვა“, — განუცხადა რუსტანმა ინტერნეტგამოცემა Mitt i Lidingo-ს კორესპონდენტს.

გამოსახლების შესახებ ცნობამ შოკში ჩააგდო უფე რუსტანი და მისი 15 და 17 წლის ვაჟები.

**„ჩვენ ახლახან გადმოვედით აქ და, როდესაც მოვეწყვეთ და ჩვენს სახლად აღვიქვით, უნდა დავტოვოთ“**, — ამბობს უმცროსი ვაჟი რასმუს ერიქსონ რუსტანი.

მამას მიაჩნია, რომ უსამართლოდ მოექცნენ.

**„ისეთი განცდა მაქვს, რომ თითქოს არასრულფასოვანი ვარ, მიუხედავად იმისა, რომ ვიხდი გადასახადებს და ჩემი შვილები ადგილობრივ სკოლაში სწავლობენ. არ შეიძლება ოჯახი ქუჩაში გააგდო მხოლოდ იმიტომ, რომ უცხოეთიდან სხვა ოჯახი ჩამოვიდა“**, — ამბობს უფე რუსტანი.

იმის თაობაზე, რომ საცხოვრებელი სამი თვის განმავლობაში უნდა დატოვონ, რუსტანების ოჯახს ლიდინგეს საბინაო განყოფილების უფროსმა **ტორსტეინ ლორიკამა** აცნობა.

**„ჩვენ არენდის ხელშეკრულება იმიტომ უნდა დავარღვიოთ, რომ ეს საცხოვრებელი სხვა მიზნებისთვის გვჭირდება. ის აქ ცხოვრობდა და სხვა კომუნალურ ბინას ელოდებოდა. ჩემი აზრით, კომუნა ლიდინგე გულუხვად მოიქცა“**, — განაცხადა ტორსტეინ ლორიკამა.

**NETTAVISEN (ნორვეგია)**



# საფრანგეთში ბელგიის პრინცესა გაძარცვეს

**ბელგიის პრინცესა ასტრიდი, ბელგიის მეფის ფილიპის ღვიძლი და, მძარცველთა მსხვერპლი შეიქნა.**

ინციდენტი მოხდა 26 მაისს პარიზთან ახლოს, ტრასა A86-ზე, თუმცა მედიამ ამის შესახებ მხოლოდ ახლახან შეიტყო.

მძარცველებმა ტრასაზე მგზავრობისთვის საფასურის გადახდის ტერმინალზე გაჩერებულ მანქანას, რომლითაც პრინცესა მგზავრობდა, მინები ჩაუმსხვრიეს და პრინცესას ხელჩანთა გასტაცეს, რომელშიც დოკუმენტები და ათასი ევრო იდო.



# სირიაში «ისლამური სახელმწიფოს» ჯალათი დააკავეს

**სირიაში დააკავეს „ბოევიკი“ მეტსახელად „ბულდოზერი“, რომელიც ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს ერთ-ერთი ჯალათია.**

„ბულდოზერს“ ეს მეტსახელი დიდი გაბარიტების გამო შეარქვეს — 130 კგ-ს იწონის. ტერორისტი დაუნდობლად უსწორდებოდა მძევლებს, მათ შორის, ბავშვებს, აწყობდა საჩვენებელ დასჯას ერაყში, სირიასა და იემენში. მან ასობით მძევალს მოჰკვეთა თავი. „ბულდოზერის“ წარმომავლობაზე ჯერჯერობით ცნობილი არაფერია.

# ილჰამ ალიევი: გერმანიის გადაწყვეტილება სომეხთა გენოციდის შესახებ პოლიტიკური შეკვეთაა

**აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა ბუნდესტაგის გადაწყვეტილებას თურქეთის მიერ სომეხთათვის გენოციდის მოწყობის შესახებ პოლიტიკური შეკვეთა უწოდა. მან განაცხადა, რომ ეს უსამართლო გადაწყვეტილება ორმაგი სტანდარტის გამოვლენა და ისტორიის დამახინჯებაა.**



„ამ საკითხს აქვს პოლიტიკური მხარე. მათ, ალბათ, სურთ, გავლენა იქონიონ თურქეთის დამოუკიდებელ პოლიტიკაზე და ამ ქვეყანას რაღაც აიძულონ.

სომხეთის საკითხი მხოლოდ საბაბია, რომელიც დიდი სახელმწიფოების ხელში ინსტრუმენტად იქცა. აზერბაიჯანიც აღმოჩნდა მსგავს სიტუაციაში. 2015 წლის 12 ივნისს გერმანიის პარლამენტმა აზერბაიჯანის წინააღმდეგ მიიღო უსამართლო, სიცრუეზე დაფუძნებული რეზოლუცია — თითქოს აზერბაიჯანი არღვევს ადამიანის უფლებებს.

ეს სიმართლე არ არის.

ისინი, ვინც აზერბაიჯანისა და თურქეთის საწინააღმდეგო რეზოლუციებს იღებენ, ძალიან დიდ ისტორიულ და პოლიტიკურ შეცდომას უშვებენ. ჩვენ წინააღმდეგ მოწყობილმა პროვოკაციებმა აჩვენა, რომ ჩვენ ძლიერი ვიქნებით მხოლოდ ერთად ყოფნით. თურქეთისა და აზერბაიჯანის ერთობა არის ფაქტორი, რომლის უარყოფა არავის შეუძლია“, — განაცხადა ილჰამ ალიევმა.

# ტუალეტების საქმე — 12 შტატი ობამას წინააღმდეგ სარჩელს ამზადებს

ამერიკელებს მოსვენებას არ აძლევს ე.წ. ტუალეტების საკითხი. 26 მაისს მისისიპის შტატის გუბერნატორმა განაცხადა, რომ განზრახული აქვს, შეუერთდეს 11 შტატის მაღალჩინოსნების სარჩელს პრეზიდენტ ობამას ადმინისტრაციის მიერ 13 მაისს გამოცემული დირექტივის წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც ტრანსგენდერ მოსწავლეებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ, „გამოიყენონ ტუალეტი და სააბაზანო ოთახები თავიანთი გენდერული იდენტობის მიხედვით“.



სარჩელის აღძვრის ინიციატორი იყო ტეხასის შტატი, რომლის ხელისუფლებაც ამტკიცებს, რომ ფედერალურმა მთავრობამ და ობამას ადმინისტრაციამ გადააჭარბეს თავიანთ უფლებამოსილებას, როდესაც მიიღეს ისეთი ზომები, რომლებიც კონგრესისა და ცალკეული შტატების კომპეტენციაში უნდა იყოს.

**ტეხასს** მხარი დაუჭირა **ალაბამამ, ჯორჯიამ, ლუიზიანამ, ოკლაჰომამ, ტენესმა, იუტამ, დასავლეთ ვირჯინიამ, მენიმ და არიზონამ.**

ტრანსგენდერთა უფლებების დამცველებს ეს სარჩელი მათზებოროტგანზრახულ შეტევად მიაჩნიათ.

# ფრანგმა დეპუტატმა უკრაინისთვის სანქციების დაწესება მოითხოვა



**ნაციონალური საკრებულოს (საფრანგეთის პარლამენტის ქვედა პალატა) წევრის — ტიერი მარიანის აზრით, მინსკის შეთანხმების შეუსრულებლობაში დამნაშავეა არა რუსეთი, არამედ უკრაინა.**

„უკრაინის უზენაეს რადას არ განუხორციელებია არც ერთი რეფორმა, რომლებიც „მინსკი 2“-ის შეთანხმებითაა გათვალისწინებული, ამიტომ, პირველ რიგში, უნდა გაუქმდეს ანტირუსული სანქციები, შემდეგ კი სანქციები დაწესდეს უკრაინის წინააღმდეგ, რადგან კიევი მინსკის შეთანხმების მიმართ უპატივცემულობას იჩენს“, — განაცხადა ტიერი მარიანმა, რომელიც ნაციონალური საკრებულოს მიერ რუსეთისთვის დაწესებული სანქციების გაუქმების ინიციატორია. მისივე თქმით, საფრანგეთის სენატი (პარლამენტის ზედა პალატა) დოკუმენტს სანქციების გაუქმების შესახებ უახლოეს ხანში განიხილავს. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება დეპუტატებმა მხარი დაუჭირონ სანქციების გაუქმებას, ოფიციალური პარიზი და ბრიუსელი მათ გადაწყვეტილებას უგულებელყოფენ, მაგრამ ამით ევროკავშირში რუსეთისადმი დამოკიდებულების საკითხის მიმართ უთანხმოება არსად გაქრება.

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სტალინმა დიდი ძალისხმევის შედეგად შექმნა სოციალური თანასწორობის უნიკალური სისტემა, რომელშიც ადამიანი იყო მთავარი და ყოველმხრივ დაცული. დღეს კი ვცხოვრობთ ფაშისტურ სისტემაში, სადაც უმთავრესი არის ფული. ამ სისტემისა და საგარეო კურსის წყალობით ქვეყანა უკან მიდის, ხოლო ხელისუფლება — წინ, ევრო-ატლანტიკური სივრცისკენ.**

# საპარლამენტო არჩევნები სასიკეთო შედეგს ვერ მოიტანს, თუ ევრო-ამერიკული დემოტრაკიისგან არ გავთავისუფლდებით

„კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა ქსლისა მბეჭველსა,
სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“.

შ. რუსთაველი




**საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად ლიბერასტები აქტიურად მიუთითებენ, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი ნეგატიურად არის განწყობილი საქართველოს ევრო-ატლანტიკური კურსის მიმართ და რუსული პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლაზე საუბრობენ.**

სიმართლეს პროპაგანდა არ სჭირდება, ამიტომაც არ აფინანსებს რუსეთი პარტიებს საქართველოში, რითაც მიგვანიშნებს, დაკვირვებით გავაანალიზოთ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები. თუ ვინმე თავს იხრჩობს, მისი გადარჩენა შეუძლებელია, თუ ასე არ არის, შეიძლება ხელი გავუწოდოთ, — თქვა რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა. რუსეთის ხელისუფლება მზად არის, ყველგან და ყოველთვის დაიცვას თავისი ქვეყნისა და ხალხის ინტერესები. როგორ მოქმედებს საქართველოს ხელისუფლება? ქვეყნის ინტერესი რომ დაიცვა, ის უნდა გიყვარდეს, სამშობლოდ მიგაჩნდეს, დიდი ქართველის თქმისა არ იყოს, „ერის წყლული გაჩნდეს წყლულად, გეწოდეს მის ტანჯვით სული“, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს გრძნობა გაუცხოვდა ხელისუფლების წარმომადგენელთათვის. ამჟამად საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა მილიონ 800 ათასით არის შემცირებული. მათგან მილიონზე მეტი რუსეთში ცხოვრობს და, ევროპის ქვეყნებში გადახვეწილთაგან განსხვავებით, მონურ შრომას არ ეწევა, პრიორიტეტული მდგომარეობა უკავია.

რას უნდა ველოდოთ იმ ხელისუფლებისგან, რომელმაც უცხოელი მომღერლებისთვის 29 მილიონი გამოყო ბიუჯეტიდან, სამთავრობო ხარჯებისთვის — 42 მილიონი, მაგრამ ერთი მუნიციპალური საავადმყოფოს გახსნა ვერ მოახერხა, ხალხი უსახლკარო და მშიერი ჰყავს?! ამ სიტუაციას ახალი სახეები და სიმღერა უშველის? შემაშფოთებელია, როცა ხელისუფლება უცხოელი მომღერლების ჩამოყვანით ქვეყნის აღმავლობასა და ეკონომიკის განვითარებას ისახავს მიზნად, რადგან სააკაშვილის აზროვნების გაგრძელებაა. „ოცნებისტი“ ხელისუფლება იდეოლოგიურად არც „ნაციონალურ მოძრაობას“ გაემიჯნა და არც რესპუბლიკურ პარტიას, „ქართული ოცნება“ მათი პოლიტიკის გამგრძელებელია და მხოლოდ საარჩევნო ხმების მოზიდვის მიზნით გაუშვეს კოალიციიდან „რესპები“. **რას უნდა ველოდოთ იმ ხელისუფლებისგან, რომელმაც საქართველოდან ხმლითა და ძალით გაყრილი არაბები ნებით შემოუშვა ქვეყანაში და მათ ქართველთა სისხლით გაპოხილი მიწები მიჰყიდა?! ეს სამშობლოს გაყიდვის ტოლფასია! სოფელ წილკანში 70 ჰექტარი გაიყიდა; წეროვანში — 18 ჰექტარი; სოფელ მუხრანში — 52 ჰექტარი; კახეთში, ყვარლის რაიონის სოფელ კუჭატანში გლეხებს 37 ჰექტარი მიწა გაუყიდეს და მოსახლეობა საძოვრების გარეშე დატოვეს. ამ მიწებს არაბები სამოსახლოდ ყოფენ და თავიანთ ჯიშსა და ჯილაგს საქართველოში ეპატიჟებიან.** მაშინ, როცა ტელეეთერში გაუთავებელი წივილ-კივილია ატეხილი 4 ჰა მიწის გამო, რომლის სანაცვლოდ ივანიშვილმა სხვა მიწა დათმო; ქართული მიწა არაბებზე, ჩინელებზე, თურქებზე, ინდოელებსა და მონღოლებზე იყიდება. **თუ ასე გაგრძელდა, ქვეყანას შეიძლება ერქვას საქართველო, მაგრამ ქართველი ერი სამშობლოში დომინანტი აღარ იქნება.**

**რას უნდა ველოდოთ იმ ხელისუფლებისგან,** რომლის გაუაზრებელი პოლიტიკის შედეგად, გაუსაძლისი ეკონომიური სიდუხჭირის გამო 230 სოფელი დაიცალა და კიდევ სტალინის ეპოქაზე ბედავენ საუბარს ამერიკის ძაღლიშვილები? როცა პრემიერ კვირიაშვილს ევროსაბჭოს ასამბლეაზე სტალინზე დაუსვეს შეკითხვა, მან ისეთი პასუხი გასცა, რომელიც სრულიად არ შეესაბამება ხალხის განწყობას: „სტალინი არ არის აქტუალური, არავის აქვს მის პიროვნებასთან დაკავშირებით სიმპათია“(?!). საქართველოში სტალინისადმი სიმპათია დიდია და მზარდი, ამ ხელისუფლების მიმართ კი საზოგადოებას პოზიტიური განწყობა აღარ აქვს. ერთი რამ ცხადია: სტალინის პიროვნებასა და მის ეპოქასთან დაკავშირებული იყო საოცარი მიღწევები და, რაც მეტად ილაშქრებენ მის წინააღმდეგ, მით მეტად ვლინდება მისი სიდიადე. სტალინმა მსოფლიო ომი მოიგო, დედამიწის 1/6-ზე შექმნა სამართლიანობის პრინციპებზე დაფუძნებული სახელმწიფო და მსოფლიოში სამართლიანობას ედგა სათავეში. სტალინთან ბრძოლით ებრძვიან სოციალიზმს, რომელიც კაპიტალიზმის მესაფლავე გახდა; მართლმადიდებლობას, რომელიც ერის ზნეობრიობის საფუძველს წარმოადგენს, ხოლო ზნეობა — ერის იმუნიტეტია. სწორედ ზნეობის დაცვის მიზნით იბრძოდა სტალინი ჰომოსექსუალიზმის წინააღმდეგ. სტალინის მიერ შემუშავებული ანტიპედერასტული კანონი 1934 წლის მარტიდან მოქმედებდა 70 წლის განმავლობაში და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გაუქმდა. ამ კანონის თანახმად, სტალინმა კრემლი პედერასტებისგან გაწმინდა. რით სჯობს ლიბერალური იდეოლოგია კომუნისტურს? **როცა ბოლშევიკურ რეპრესიებზე საუბრობენ, ისიც დათვალონ, რამდენი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა ამერიკულმა ლიბერალურმა დემოკრატიამ. ბოლო 55 წლის განმავლობაში აშშ 100-ჯერ მაინც ჩაერია სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში და დაახლოებით 30 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.** სტალინმა დიდი ძალისხმევის შედეგად შექმნა სოციალური თანასწორობის უნიკალური სისტემა, რომელშიც ადამიანი იყო მთავარი და ყოველმხრივ დაცული. დღეს კი ვცხოვრობთ ფაშისტურ სისტემაში, სადაც უმთავრესი არის ფული. ამ სისტემისა და საგარეო კურსის წყალობით ქვეყანა უკან მიდის, ხოლო ხელისუფლება — წინ, ევრო-ატლანტიკური სივრცისკენ. ხომ არ არის დაგეგმილი უფრო ვერაგული და ბინძური შეთანხმება, ვიდრე კოაბიტაციაა — ხელისუფლების გადაბარება „ნაცებისთვის“? მაშ, რას მოასწავებს პრემიერის განცხადება ევროსაბჭოს ასამბლეაზე, წინა ხელისუფლების მიერ მიღწეულ პროგრესს ვაღიარებო?! არსებობს გონივრული ეჭვი, რომ ხელისუფლება, რომელმაც არც ერთი დაპირება არ შეუსრულა ხალხს, ამერიკელთა დაკვეთით უფრო ბინძურ თამაშში აპირებს ჩაბმას „ნაცების“ რეანიმაციისთვის. დააკვირდით „ნაცებისა“ და ამერიკელი კონგრესმენის — **სტივ რასელის** აგრესიულ რიტორიკას, „ენ-დი-აისა“ და „აი-რა-ის“ კვლევების შედეგებს. ეს ხომ პირდაპირი მოწოდებაა, რომ უცხო ძალებმა არადემოკრატიული პრინციპებით იხელმძღვანელონ და შეინარჩუნონ გავლენა საქართველოზე. „ოცნებისტები“ კმაყოფილებით აღნიშნავენ, დასავლეთი გვეხმარებაო(?!), მაგრამ რის სანაცვლოდ? — ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტის, ბუნებრივი რესურსის, ჩვენს ტერიტორიაზე მათი სამხედრო ბაზების მოწყობის სანაცვლოდ და იმისთვის, რომ ქართველი ჯარისკაცები საზარბაზნე ხორცად გამოიყენონ სხვადასხვა მისიაში. მიუხედავად ამისა, ხელისუფლება თუ მედია რუსოფობიით არის შეპყრობილი, რაც ჩვენივე ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგაა მიმართული. არასამთავრობოები რუსული არხების დაბლოკვას ითხოვენ დემოკრატიული პრინციპების საწინააღმდეგოდ და აშშ-მა 2017 წლის ბიუჯეტში 4.3 მილიარდი გამოყო რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ საბრძოლველად. „ენ-დი-აის“ კვლევის თანახმად, რუსეთი უფრო დიდი საფრთხეა, ვიდრე „ისლამური სახელმწიფო“, ხოლო ევროკავშირის მომხრეთა რაოდენობამ მოიმატა. **რეალობა კი სხვაგვარია:** საზოგადოებაში არის მზადყოფნა რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებისა. ამას მოწმობს დაფუძნება საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა: „რუსეთი ჩვენი მეზობელია“ და „ჩემი სამშობლო“, რომლებიც სწორედ საზოგადოების მოთხოვნით შეიქმნა და რუსეთთან, აფხაზებთან, ოსებთან ურთიერთობის რეგულირებას ისახავს მიზნად. როგორ იქცევა ხელისუფლება? ქვეყანაში სამხედრო წვრთნები ტარდება და ამერიკული სამხედრო ტექნიკა შემოდის, რასაც რუსეთი პროვოკაციად მიიჩნევს. ჩვენ გვახსოვს, რა დაუჯდა საქართველოს პროვოკაციული მოქმედება ცხინვალში და ვინ დაზარალდა, მაგრამ ხელისუფლება არ აცნობიერებს, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამ ნაბიჯს, რომელიც, ფაქტობრივად, რუსეთთან დაპირისპირებაა და საქართველოსთვის უფრო დიდი ზიანის მომტანი იქნება, ვიდრე ის „სიკეთე“, ნატოს წევრ ქვეყნებთან დაახლოებით რომ მიიღებს. ხელისუფლება საზოგადოებას ემიჯნება, ბუნებრივ პროცესს ეწინააღმდეგება და დინების საწინააღმდეგოდ მიცურავს, რაც რუსეთის გაღიზიანებას იწვევს. რუსეთსა და ნატოს შორის დაპირისპირებამ კავკასიაში გადმოინაცვლა. კავკასიის ქვეყნებმა სირიის შედეგები უნდა გაითვალისწინონ და არ უნდა დაუშვან, რომ დიდი ქვეყნების დაპირისპირების არენად იქცნენ. არსებული დაძაბული სიტუაციის ფონზე საინფორმაციო საშუალებები კინკლაობით არიან დაკავებულნი. მოდელირებულმა ალქაჯებმა აღარ იციან, როგორ უკმიონ გუნდრუკი ამერიკას, მაია ასათიანი ამაზრზენ შოუს მართავს „რუსთავი 2“-ის ეთერში და მზად არის, თვალები ამოთხაროს სტალინის მომხრეებს.

რა მაგალითის მიმცემია მომავალი თაობებისთვის ასეთი ხელისუფლება? მისი იდეოლოგიური ფასეულობა არის ამერიკელთა ეროვნული განძი — ლგბტ-თა უკანალი, ხოლო განძს მოფრთხილება და დაცვა რომ სჭირდება, ამისთვის ანტიდისკრიმინაციული კანონიც მიიღეს. რა თქმა უნდა, ამ იდეოლოგიის ადამიანებს არ ექნებათ სიმპათია სტალინის მიმართ, სამაგიეროდ, „გაგებით“ ეკიდებიან და მზად არიან, „სხვა ღირებულებებს“ ეზიარონ. რეფერენდუმსაც ჩაატარებენ ამ „ღირებულებების“ გადასარჩენად.

**თუ ევრო-ამერიკული დემოტრაკიის მარწუხებისგან არ გავთავისუფლდებით, საზოგადოებას არ უნდა ჰქონდეს იმედი, რომ საპარლამენტო არჩევნები ქვეყანაში პოზიტიურ ცვლილებებს მოიტანს. ნებისმიერი პარტიის გამარჯვება არჩევნებში ამერიკის დიქტატის ქვეშ ცხოვრების გაგრძელებას ნიშნავს. მხოლოდ საგარეო კურსისა და სისტემის ცვლილებით მოხდება დადებითი ძვრები ქვეყანაში. არჩევნების შედეგად მივიღებთ ახალ სახეებს ძველი იდეოლოგიით, არც სოციალური ფონი შეიცვლება — რატომ დათმობენ მსუყე დაფინანსებას?!**

როგორც კვლევებმა აჩვენა, ასეთი დაბალი სოციალური ფონი და მაღალი სახელისუფლო დაფინანსება, როგორც საქართველოშია, არც ერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში არ აღინიშნება.

საქართველოს ხელისუფლებას ლექსიკის მარაგი და გამბედაობა არ ჰყოფნის რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან სასაუბროდ, სამაგიეროდ, ევროსაბჭოს ასამბლეაზე რევერანსებით ცდილობს რეალობის შენიღბვას უცხო ძალების ინტერესთა გათვალისწინებით. ამ გარემოებას სრულიად მიესადაგება უმრავლესობის წევრის — სოსო ჯაჭვლიანის რეპლიკა: „ნუ ბლატაობთ, თქვე ჩმორებო!“.

**იზა თამაზაშვილი**

**რას უნდა ველოდოთ იმ ხელისუფლებისგან, რომელმაც საქართველოდან ხმლითა და ძალით გაყრილი არაბები ნებით შემოუშვა ქვეყანაში და მათ ქართველთა სისხლით გაპოხილი მიწები მიჰყიდა?! ეს სამშობლოს გაყიდვის ტოლფასია! სოფელ წილკანში 70 ჰექტარი გაიყიდა; წეროვანში — 18 ჰექტარი; სოფელ მუხრანში — 52 ჰექტარი; კახეთში, ყვარლის რაიონის სოფელ კუჭატანში გლეხებს 37 ჰექტარი მიწა გაუყიდეს და მოსახლეობა საძოვრების გარეშე დატოვეს. ამ მიწებს არაბები სამოსახლოდ ყოფენ და თავიანთ ჯიშსა და ჯილაგს საქართველოში ეპატიჟებიან**

ამ „30 ვერცხლად“ სულგაყიდულმა ბიჭბუჭებმა ღამით ჩუმად „პირნათლად“ შეასრულეს ვანდალური დავალება — სტალინის ძეგლი ყვითელი საღებავით შეღებს, მაგრამ მოსახლეობამ მეორე დღესვე გაასუფთავა და მოაწესრიგა. ამის შემდეგ ვანდალებმა ისევ ღამით, ისევ მალულად ბიუსტი დაამსხვრიეს.

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სტალინისა და მისი ბიუსტის წინააღმდეგ ამხედრებული სულგაყიდული ნიკა და გამოფარცხანაყანებული ვასიკო

**2015 წლის ოქტომბერში გორის საკრებულომ სამარცხვინო გადაწყვეტილება მიიღო — სტალინის ძეგლის დადგმაზე უარი განაცხადა. ამან ნეგატიური რეზონანსი გამოიწვია ქვეყანაში და ზოგ სოფელში მოსახლეობამ თვითონ დაიწყო სტალინის ძეგლების კუთვნილ ადგილზე დაბრუნება...**


ნიკა არაბიძე


ვასო ფხაკაძე

**ნიკა არაბიძემ და ვასო ფხაკაძემ, რომლებიც სტალინის ფეხის მტვერიც არ არიან, თავს როგორ უნდა მისცენ უფლება, რომ მსოფლიოს უდიდესი პოლიტიკოსი, ჰიტლერის მონობის უღლისგან ევროპის განმათავისუფლებელი გააქილიკონ?! თუმცა, როცა დოლარებს დახარბდები და გადამთიელების ინტერესებს მოემსახურები, ყველაფერს იკადრებ**

ზესტაფონის რაიონის სოფელ შორაპანში სტალინის გულშემატკივრებმა, ანუ ამ სოფლის საღად მოაზროვნე საზოგადოების ნაწილმა ყოფილი ელემენტების ქარხნის ტერიტორიაზე მოხსნილი და საგულდაგულოდ შენახული სტალინის ბიუსტი სამალავიდან გამოიტანა და ამ სოფლიდან სამამულო ომში დაღუპული ჯარისკაცების ხსოვნის პატივსაცემად აღმართულ შინმოუსვლელთა მემორიალთან დადგა. მეორე დღეს, როცა სტალინის ძეგლი იხილა, სოფლის თითქმის ყველა მცხოვრები აღფრთოვანებას ვერ მალავდა, მარჯვენაც დაულოცეს ამ ძეგლის დამდგმელებს, მაგრამ, აბა, „რუსთავი 2“ რის „რუსთავი 2“ იქნებოდა, ამხელა სოფელში სტალინის ძეგლის მოწინააღმდეგე ერთი ნაციონალი რომ ვერ ეპოვა და იპოვა კიდეც — ვინმე კაპანაძე, რომლის სახელი არ დამამახსოვრდა, მაგრამ, ალბათ, აღათი ან ფედოსია ერქმეოდა. მან მიუკიბ-მოუკიბავად განაცხადა, ჩვენ, ახალგაზრდები, სტალინის წინააღმდეგი ვართ და რაიონის საკრებულოს მივმართავ, ძეგლი აიღოსო. ამ უწიგნურ და გაუნათლებელ „ფედოსიას“ რა უნდა ელაპარაკო, როცა ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა, ქალბატონმა მაია ფანჯიკიძემ რამდენიმე წლის წინათ უფრო სულელური რამ განაცხადა სტალინზე, რისთვისაც საკადრისი პასუხი მიიღო. **„ფედოსიას“ ინტელექტზე ლაპარაკიც ზედმეტია — ცოდნა-განათლება, განსაკუთრებით სტალინიზმის საკითხებში, სახეზე აწერია. ისე, არ არის გამორიცხული, ლომაიას, შაშკინისა და სანიკიძის მიერ რეფორმირებული განათლების სისტემის წყალობით, ქვეყანაში მომრავლებული, ჯიხურებში გახსნილი უნივერსიტეტების 2 ან 3 დიპლომი ედოს ჯიბეში. რაც შეეხება მის ახალგაზრდობას, გარეგნობით არ ტოვებს ყმაწვილი ქალის შთაბეჭდილებას, მაგრამ ლოყები ისე აქვს დაბერილ-გაღაჟღაჟებული, ხელი რომ მოუჭირო, ხაშლამის წვენი გამოუვა.** ვაი, საქართველოვ, რას დაგამსგავსა ნაციონალების მიერ მოყვანილმა ამ უწიგნურმა თაობამ?! რას ლაპარაკობენ თვითონაც არ იციან. **სტალინის პიროვნებას ისეთი ადამიანები აფასებენ და ვერდიქტიც ისეთებს გამოაქვთ, სტალინის შესახებ ინჩიბინჩი რომ არ იციან.** ასეთ „განათლებულ“ ადამიანებს ორ ბატსაც კი არავინ მიაბარებს, „რუსთავი 2“-მა კი ისეთი რეკლამა გაუკეთა, ლამის ქართველი ახალგაზრდობის სახედ წარმოაჩინა.

მსგავსი რამ მოხდა გორის რაიონის სოფელ ატენშიც, სადაც ამ სოფლის მცხოვრებთა ერთმა ჯგუფმა 9 მაისს დიდ სამამულო ომში გამარჯვების 71-ე წლისთავის აღსანიშნავად ფაშიზმზე გამარჯვების სულისჩამდგმელისა და თავიანთი კუთხის შვილის, გენერალისიმუსი სტალინის ბიუსტი დადგა. ეტყობა, ნაციონალებმა აქაც მოძებნეს „შორაპნელი აღათის“ მსგავსი ვინმე „რაჟიკო და ძმანი მისნი“ და **ამ „30 ვერცხლად“ სულგაყიდულმა ბიჭბუჭებმა ღამით ჩუმად „პირნათლად“ შეასრულეს ვანდალური დავალება — სტალინის ძეგლი ყვითელი საღებავით შეღებს, მაგრამ მოსახლეობამ მეორე დღესვე გაასუფთავა და მოაწესრიგა. ამის შემდეგ ვანდალებმა ისევ ღამით, ისევ მალულად ბიუსტი დაამსხვრიეს.** „რუსთავი 2“ რის „რუსთავი 2“ იქნებოდა, ამ ბინძურ საქმეში თავისი წვლილი რომ არ შეეტანა?! ჯერ **ვანო ჯავახიშვილმა** სცადა უნიჭო ხუმრობებით სტალინის გაქილიკება, მაგრამ, როცა შეატყო, კარგად არ გამოუვიდა, ეყო ჭკუა და ეს თემა საერთოდ ამოიღო დღის წესრიგიდან. სამაგიეროდ, ჭკუა არ ეყო ჩხარელ **ნიკაია არაბიძესა** და ფარცხანაყანებელ **ვასიკია ფხაკაძეს**, რომლებმაც ამ თემის წამოწევა და სტალინის გაშარჟება გადაწყვიტეს. როგორ გამოუვიდათ და რა წარმატებას მიაღწიეს, ტელემაყურებელი თვითონ შეაფასებდა, მაგრამ **ნიკა არაბიძემ და ვასო ფხაკაძემ, რომლებიც სტალინის ფეხის მტვერიც არ არიან, თავს როგორ უნდა მისცენ უფლება, რომ მსოფლიოს უდიდესი პოლიტიკოსი, ჰიტლერის მონობის უღლისგან ევროპის განმათავისუფლებელი გააქილიკონ?! თუმცა, როცა დოლარებს დახარბდები და გადამთიელების ინტერესებს მოემსახურები, ყველაფერს იკადრებ.** მერე ამ დოლარებით გაშლილ სუფრაზე გულზე მუშტის ბრაგუნით კაცობაზე დადებენ თავს და საქართველოსა და მისი ღირსეული შვილების სადღეგრძელოს შესვამენ. რა ჰქვია ამას?

**ფხაკაძე და არაბიძე საკმაოდ ცნობილი და პატივსაცემი გვარებია იმერეთში, ამასთანავე, ამ გვარების წარმომადგენლები წესიერი და მშრომელი ხალხია. ყოველ შემთხვევაში, ვისაც ვიცნობ, ყველა ასეთია, მაგრამ თითო-ოროლა გლახა ყველა გვარში გამოერევა.** ისე, საინტერესოა, **სტალინი რომ არ ყოფილიყო და სოციალურად დაცული სახელმწიფო არ შეექმნა, დღეს სად იქნებოდნენ და რამდენოყიანი თოხი ეჭირებოდათ ხელში ნიკა არაბიძესა და ვასიკო ფხაკაძეს?!** მათი წინაპრები გაღლეტილი გლეხები იყვნენ და რევოლუციამდელ საქართველოში არაფერი ებადათ. ახლა კი გამოდიან და იმ კაცის გამასხარავებას ცდილობენ, რომელმაც მათ მამა-პაპას თვალში გამოახედა და ქვეყანა დაანახვა. მათი შთამომავლები კი დღეს, სოფლის დუქნის ნაცვლად, სუპერმარკეტებსა და ფეშენებელურ რესტორნებში დადიან, ქალამნებისა და შარვალზე გადმოშვებული წვრილქამრიანი „ბლუზის“ ნაცვლად, „სალამანდრის“ ფირმის ფეხსაცმლით, „არმანისა“ და „პიერ კარდენის“ პერანგებითა და პიჯაკებით შეიმოსნენ... ბოლო ხანს ძალიან „გაბანძდა“ ეს „კომედიშოუ“. ამ გადაცემაში ადრე ნამდვილად იყო გონებამახვილური ხუმრობები, ამ მხრივ, განსაკუთრებით ვანო ჯავახიშვილი და ნიკა არაბიძე გამოირჩეოდნენ და სრულიად სამართლიანად დაიმსახურეს ხალხის პატივისცემა. ახლა კი ბევრს აღარ უნდა მათი უკბილო ხუმრობების მოსმენა. **თქვე კაი ხალხო, ისეთი რა გაგიჭირდათ, ისე როგორ დაეცით, რომ ვიღაც გადამთიელების კარნახით თქვენი ქვეყნის შვილს, 30 წლის განმავლობაში მსოფლიო წესრიგის განმსაზღვრელს აქილიკებთ, მერე ამაში აღებული ფულით რაღაცას ყიდულობთ და ოჯახში მიგაქვთ?!** ისე, როგორც ნაციონალები იტყოდნენ, „მაქვს გონივრული ეჭვი“, რომ მხოლოდ ფულზე დახარბება არ უნდა იყოს თქვენი საქციელის ძირითადი მიზეზი. ვფიქრობ, მიზეზი სერიოზულია და უფრო თქვენს უწიგნურობასა და გაუნათლებლობასთან არის დაკავშირებული. გაუნათლებელი კაცი კი გონებაზე წინ ყოველთვის კუჭს აყენებს — ოღონდ ფული დაანახვე და ყველაფერს იკადრებს. ქართველებმა, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მხოლოდ იმიტომ უნდა ვცეთ პატივი ამ ბუმბერაზ კაცს, რომ საქართველო, ეს ჩამორჩენილი ქვეყანა, ინდუსტრიულ რესპუბლიკად აქცია; ნაციონალებისაგან განსხვავებით, სამშობლოს ტერიტორიები კი არ დააკარგვინა, 7000 კვ. კმ მიუმატა; მენშევიკების მიერ გატაცებული საგანძური ქვეყანას დაუბრუნა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა გადაურჩინა. აი, ასეთ კაცს აქილიკებთ თქვენ, სულგაყიდულო ნიკა და გამოფარცხანაყანებულო ვასიკო!

**სტალინი რომ არ ყოფილიყო და სოციალურად დაცული სახელმწიფო არ შეექმნა, დღეს სად იქნებოდნენ და რამდენოყიანი თოხი ეჭირებოდათ ხელში ნიკა არაბიძესა და ვასიკო ფხაკაძეს?! მათი წინაპრები გაღლეტილი გლეხები იყვნენ და რევოლუციამდელ საქართველოში არაფერი ებადათ, ახლა კი გამოდიან და იმ კაცის გამასხარავებას ცდილობენ, რომელმაც მათ მამა-პაპას თვალში გამოახედა და ქვეყანა დაანახვა**

**ომარ გოცაძე**

## ევროპას ახალი მძლავრი და ლეგალური «ნარკოტიკი» უტევს

**ახალ ნარკოტიკს, რომელმაც უდიდესი პოპულარობა მოიხვეჭა ბერლინის დისკოთეკების ხშირ სტუმართა შორის, შეუძლია რამდენიმე საათის განმავლობაში გაცეკვოთ ისე, რომ დაღლა ვერ იგრძნოთ. ამ საშუალების სახელწოდებაა კაკაო.**

არა, ეს არ არის პროდუქტის კოდური სახელწოდება — ეს ის კაკაოა, რომელიც ნებისმიერ მაღაზიაში შეგიძლიათ შეიძინოთ. დისკოთეკის სტუმრები ამტკიცებენ, რომ კაკაოს მირთმევის შემდეგ განიცდიან ენერგიის მოზღვავებას, მსუბუქ ეიფორიას და უუმჯობესდებათ მხედველობა. კაკაოს სვამენ ან ყნოსავენ.

ევროპის მოდურ საღამოებზე „ექსტაზი“ კოკაინი და ალკოჰოლი კუნძულ ბალიზე (ინდონეზია) მოყვანილმა მწარე კაკაომ ჩაანაცვლა. კომპანია Morning Gloryville-მ, რომელიც დიდ დისკოთეკებს აწყობს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, კაკაოსგან დამზადებული სასმელები და აბები თავისი ღონისძიებებისთვის შეისყიდა. ერთ-ერთი ექსპერიმენტატორი კი უფრო შორს წავიდა და შექმნა მოწყობილობა, რომლის დახმარებითაც შეიძლება კაკაო იყნოსო, როგორც ბურნუთი ან კოკაინი.

კაკაო შეიცავს ფენილეთილამინსა და ანანდამიდს. პირველს „სიყვარულის ჰორმონს“ უწოდებენ, მეორეს კი — „განცხრომას“ და ის დაკავშირებულია ტვინის იმ რეცეპტორებთან, რომლებზეც მოქმედებს მარიხუანა. რაკი ეს ნივთიერებები კაკაოში ბევრი არ არის, ამიტომაც არ ითვლება ის ნარკოტიკად.



ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მსოფლიო ბირჟებზე ნავთობით ვაჭრობის ყოველდღიური მოცულობა ნავთობპროდუქტებთან ერთად ათჯერ აღემატება მსოფლიოში ნედლი ნავთობის ყოველდღიური მოპოვების ოდენობას. თუ გადამყიდველები გადაწყვეტენ, რომ ნავთობი უნდა გაიაფდეს, ვერავითარი ოპეკი მათ ვერ შეაჩერებს“.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-20 (330-349)

ნიკოლაი სტარიკოვი

# კრიზისი: როგორ კეთდება?

**გაზეთის წინა ნომერში განვიხილეთ კრიზისის მომზადების პერიოდში ინფორმაციული გლობალური შეტევის საკითხი. დღეს შევეცდებით, გავარკვიოთ, რა ემართება ამავე პერიოდში ფიუჩერსის მეორე შემადგენელს — ფულს.**

აქაც ყველაფერი თავისი წესითა და რიგით მიმდინარეობს. ყველაზე უფრო არასასურველ ვითარებაში, თუ ფასი ისე არ წარიმართა, როგორც ნავარაუდევი იყო, **ზარალის ოდენობა განისაზღვრება ფიუჩერსისა და რეალური ფასის სხვაობის ოდენობით. ეს სხვაობა, გინდა, მილიონები იყოს, გინდა — მილიარდობით დოლარი, „საბეჭდი დაზგისთვის“ სულერთია. იმდენ დოლარს ჩამობეჭდავენ, რამდენიც მოესურვებათ. სხვაობაც მოისპობა.** ფულის წაგება გამორიცხულია. ფედერალურ სარეზერვო სისტემას თავისი საინვესტიციო ფონდების, თავისი ბროკერების დოლარებით მომარაგება არ გაუჭირდება.

მას შემდეგ, რაც ჩაივლის ნავთობზე ფასის ხელოვნურად ბიძგმიცემული თავაწყვეტილი ზრდის პერიოდი, დადგება დრო მისი ასევე ხელოვნურად ორგანიზებული გაიაფების. ყველაფერი საპირისპიროდ დატრიალდება: გაზეთები პესიმისტურ ფურცლებად გარდაიქმნება, ანალიტიკოსები კამერების წინ ატირდებიან, ბირჟებიდან მოწოდებული ცნობები ფრონტულ რეპორტაჟებს დაემსგავსება. ზარალი, ზარალი და კიდევ ზარალი!

საჭირო ეფექტის შესაქმნელად თავს გამოიდებენ გარკვეული ორგანიზაციები. მაგალითად, **საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტო (OPEC),** რომელიც სახეს ჩამოიხოკავს გლოვის ნიშნად და განაცხადებს, რომ იგი, „მეოთხედ საუკუნეში პირველად, ნავთობზე მოთხოვნის შემცირებას ელოდება“.

რას წარმოადგენს ეს სტრაქტურა?

**საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტო აერთიანებს მსოფლიოში ნავთობის მომხმარებელ 27 უმსხვილეს სახელმწიფოს. შექმნილია 1973 წელს, მაშინ, როცა არაბებმა თავიანთი ნავთობის ემბარგოთი დასავლეთი უკიდურესად რთულ მდგომარეობაში ჩააყენეს.** მათ შორის პირველია ამერიკის შეერთებული შტატები. მასთან ერთად — ჩინეთი, ინდოეთი, იაპონია და სამხრეთი კორეა. სწორედ მათზე მოდის მსოფლიოში მოხმარებული ნახშირწყალბადის 45 პროცენტი. დაინტერესებულნი არიან ნავთობის მომხმარებლები ამ პროდუქტის გაიაფებით? რა თქმა უნდა, დაინტერესებულნი არიან. ისინი სიხარულით მოაწერენ ხელს ნებისმიერ შეთანხმებას, რომელიც მათ დანახარჯის ეკონომიაში ხელს შეუწყობს. **ფასების გაიაფებაში შტატებს დაეხმარებიან ნავთობის მომხმარებლები, გაძვირებაში — მომპოვებლები.**

უფრო ზუსტად, ფასების გაიაფება და გაძვირება ბირჟის გადამყიდველების, საინვესტიციო ფონდებისა და ფიუჩერსების უცნაური სისტემის მეშვეობით ხდება. **ფასს აიაფებს „საბეჭდი დაზგა“, ხოლო „ოპეკი“ ან საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტო მხოლოდ ქმნის ამისთვის საჭირო ინფორმაციულ ფონს.** ჯერ კიდევ 2005 წელს ყატარის ნავთობის მინისტრმა **აბდულა ატიამ** „პატიოსნად“ განაცხადა: „თუ ნავთობის ფასი ზედმეტად ძვირია, ნუ დააბრალებთ ამას ოპეკს. ამ შემთხვევაში კარტელმა გააკეთა ყველაფერი, რაც შეეძლო. ეს სიტუაცია ორგანიზაციის კონტროლს მიღმა მდებარეობს“. ხოლო ნავთობისა და გაზის საკითხებში ბრიტანულ გაზეთ „ფაინეშელ თაიმსის“ რედაქტორი **ედ კრუკსი** უფრო გულახდილი აღმოჩნდა: „ოპეკის ძალა ფერმკრთალდება ენერგეტიკაზე ამინდისა და გლობალური საინვესტიციო ფონდების გავლენის წინაშე. **მსოფლიო ბირჟებზე ნავთობით ვაჭრობის ყოველდღიური მოცულობა ნავთობპროდუქტებთან ერთად ათჯერ აღემატება მსოფლიოში ნედლი ნავთობის ყოველდღიური მოპოვების ოდენობას. თუ გადამყიდველები გადაწყვეტენ, რომ ნავთობი უნდა გაიაფდეს, ვერავითარი ოპეკი მათ ვერ შეაჩერებს“.**

გჯერათ, რომ ნავთობი თავისით გაიაფდა?!

გაიხსენეთ, რომ სწორედ 2008 წელს შტატების ძირითადი საინვესტიციო ბანკები დაექვემდებარა ფედერალური საინვესტიციო სისტემის მფლობელების საკუთრებაში არსებული ბანკების კონტროლს...

და კიდევ — 2008 წლის ივლისში საუდის არაბეთმა, რომელიც ყველაზე მეტ ნავთობს მოიპოვებს, უცებ გადაწყვიტა უპრეცედენტოდ გაეზარდა თავისი სადღეღამისო მოპოვება 550 ათასი ბარელით — 9,7 მილიონამდე. ამ ქვეყანაში ამ დონემდე „შავი ოქროს“ მოპოვება 1981 წლიდან არ აღრიცხულა, მაგრამ ეს ხომ გამოიწვევდა ნავთობის გაიაფებას? რა თქმა უნდა. ასეც მოხდა: სწორედ 2008 წლის ივლისიდან ბარელის ფასმა 147 დოლარიდან სწრაფი ვარდნა დაიწყო. ნუთუ საუდიტებს აღარ სჭირდებათ ფული? რატომ აიაფებენ თავიანთ საქონელს?

ფული სჭირდებათ. სწორედ ამიტომ ცდილობდა საუდის არაბეთი ივლისის მაქსიმალურ ფასად თავისი ნავთობის გაყიდვას. ასე კი იმიტომ მოქმედებდა, რომ იცოდა: ბარელის კურსს 2008 წელს არ განაგებდა მოთხოვნისა და მიწოდების ბალანსი. ნავთობს გააიაფებდნენ ფიუჩერსების დახმარებით, თანაც — ძალიან მალე...

**დღევანდელი ეკონომიკა მართლაც დაავადებულია. ბირჟებზე ადამიანები ვაჭრობენ არა ნავთობით, არამედ — ფიუჩერსად წოდებული ქაღალდით. სწორედ ისინი განსაზღვრავენ „შავი ოქროს“ ფასს და არა ნავთობის საბადოების მფლობელები. იმიტომ, რომ ვირტუალური ფიუჩერსული ნავთობით ვაჭრობის მოცულობა მრავალგზის აჭარბებს რეალური ნავთობით ვაჭრობის მოცულობას. ასე წარმართავს თავის ნებაზე ვირტუალური სამყარო რეალობას — არსებულსა და მოსალოდნელს.**

ასეთია დღეს ნავთობის ბაზარი. პოლიტიკა კი ყოველთვის რეალურ ფაქტებს ეფუძნება. როგორიც ფაქტებია — პოლიტიკაც ისეთია. დღეს ნახშირწყლები მისი მთავარი შემადგენელია.

მოდით, დავრწმუნდეთ, რომ მართლაც ასეა.

## რატომ არ უყვარს აშშ-ს ვენესუელა, ირანი და ერაყი?

**სამშობლო იმიტომ კი არ უყვართ, რომ დიდია, არამედ იმიტომ, რომ მათია.**

**სენეკა**

**გიყურებთ და ვფიქრობ: კიდევ დავლიო, თუ უკვე მომწონხართ?**

**ანეკდოტი**

შეიძლება თუ არა იმ პოლიტიკური მიზნების გაგება, რომელთა განხორციელებასაც ისწრაფიან კრიზისის ორგანიზატორები? ამის გაკეთება თუ გვსურს, ჯერ უნდა გავარკვიოთ პოლიტიკა, რომელითაც ამერიკის სახელმწიფო ხელმძღვანელობს და რომლის წიაღში ძალიან რთულია ფედერალური სარეზერვო სისტემის პატრონების დანახვა.




**თანამედროვე ეკონომიკის მთავარი ნედლეული ნახშირწყალბადია.** მისგან აკეთებენ ყველაფერს. სად არის თავმოყრილი ეს „ყველაფერი“? სადაც არის მისი მთავარი მარაგი, იქვეა მძაფრი პოლიტიკური ბრძოლის გული. ნავთობის საბადოების ირგვლივ, დიდი ხანია, ტრიალებს პოლიტიკური ახალი ამბების გრიგალი.

**საუდის არაბეთი** — შეერთებული შტატები უახლოესი მოკავშირე, თანაც — სოლიდური სტაჟით: ჯერ კიდევ 1945 წელს ამერიკული კრეისერის ბორტზე შეხვდა **ფრანკლინ დელანო რუზველტი მეფე იბნ საუდს.** სწორედ ამერიკულმა კომპანიამ **„სტანდარტ ოილმა“** (ამჟამად — **„შევრონმა“**) 1938 წელს აღმოაჩინა საუდის უდაბნოში ნავთობი. შემდეგ ამ მეგობრობამ ნავთობის შეფერილობა მიიღო. ნავთობის მოსაპოვებლად შექმნეს **„არაბიენ ამერიკენ ოილ კომპანი“ („არამკო“),** რომელიც ნავთობს ამერიკულ საცავში ტუმბავდა 1976 წლამდე, სანამ საუდელებმა არ მოახდინეს მისი ნაციონალიზება. ეს ნაბიჯი კი გადადგეს, მაგრამ სრულად ამერიკის გავლენის ქვეშ დარჩნენ. ამერიკელები „არ განაწყენებულან“ თავიანთ პარტნიორებზე. სწორედ საუდელებმა მოახერხეს ნავთობის მოპოვების „მოულოდნელი“ გაზრდით მისი ღირებულების სამჯერ გაიაფება და საბჭოთა კავშირის ძალიან ცუდ დღეში ჩაგდება.

**1951 წელს ირანის პრემიერად დემოკრატიულად არჩეულმა მოჰამედ მოსადიკმა მოახდინა ქვეყნის ნავთობის მრეწველობის სრული ნაციონალიზაცია. ანგლოსაქსები გაცოფდნენ: მათ მოსადაკის დიდი იმედი ჰქონდათ — 1951 წელს ჟურნალმა «თაიმმა» იგი «წლის ადამიანად» გამოაცხადა (საინტერესოა, რომ იმავე ჟურნალმა 1938 წელს «წლის ადამიანად» ადოლფ ჰიტლერი დაასახელა)**

საუდელებისა და ამერიკელების დაახლოების დეტალები შესანიშნავად აქვს აღწერილი **ჯონ პერკინსს** თავის წიგნში **„ეკონომიკური მკვლელის აღსარება“.** ნავთობის გაყიდვით მიღებული ფული არაბებმა თავიანთი ქვეყნის განვითარებას მოახმარეს, ხოლო ყველაფრის (რაც სჭირდებოდა ამ ქვეყანას) მშენებლობა აშშ-მა განახორციელა. ფული რჩებოდა იმ ქვეყანას, რომელმაც იგი (ფული) ჩამობეჭდა. გზებს, ცათამბჯენებს მოჰყვა ამერიკული სამხედრო ბაზები. დღეს საუდის არაბეთი ამერიკის შეერთებული შტატების კონტროლს სრულად არის დამორჩილებული.

**ცნობისთვის: საუდის არაბეთის კეთილდღეობის წყარო ნავთობი კი არ არის, არამედ მისი უზარმაზარი რაოდენობა გამრავლებული მოსახლეობის მცირერიცხოვნობაზე. უხეშად რომ ვთქვათ, ნავთობი იქ ხუთჯერ უფრო მეტია, ვიდრე რუსეთში, მოსახლეობა კი — შვიდჯერ ნაკლები, აქედან — განვითარების უზარმაზარი ნახტომი.** 1973 წელს სამეფოს დედაქალაქ ერ რიადში თხების ფარები დაეხეტებოდნენ, რომლებიც ქალაქის ქუჩების ნარჩენებისგან გასუფთავებისთვის იყვნენ გამოყენებულნი. არც ერთ თავმოყვარე საუდელს არ სურდა ნაგვის გატანა. არც ახლა სურს — ქვეყანაში მილიონობით გასტარბაიტერია, რომლებიც არასოდეს მიიღებენ მოქალაქეობას.

**კანადა** — ძალიან საინტერესო შემთხვევაა. შეგიძლიათ შეამოწმოთ საკუთარი ერუდიცია. ვინ არის ამ ქვეყნის მეთაური? არ იცით? მაშინ სხვანაირად შეგეკითხებით: როგორი პოლიტიკური წყობაა ნეკერჩხლის ფოთლის ქვეყანაში? **ყველაზე პოპულარული პასუხია — რესპუბლიკური.** პასუხი მცდარია. თქვენ წინაშეა ჩვენი მსოფლმხედველობის მრავალწლიანი მანიპულირების ნაყოფი. რას ვგულისხმობ?

მხოლოდ იმას, რომ **კანადა მონარქიული სახელმწიფოა.**

სწორედ მონარქი არის ამ სახელმწიფოს მმართველი. **ამჟამად ეს თანამდებობა უკავია ელიზაბეტ II, ინგლისის დედოფალს.** მისი ოფიციალური ტიტული ასეთია: „ელიზაბეტ II, ღვთის წყალობით, გაერთიანებული სამეფოს, კანადის და სხვა სამეფოებისა და ტერიტორიების დედოფალი. თანამეგობრობის მეთაური, რწმენის დამცველი“. იგი კანადაში მეფობს 1952 წლის 6 თებერვლიდან. გვირგვინის მემკვიდრეა ჩარლზი, უელსის პრინცი. შემდეგ უფრო საინტერესოდ ვითარდება სიტუაცია. პრემიერმინისტრები, საპარლამენტო პარტიები, არჩევნები, ყველაფერი თურმე ბუტაფორიაა. რუსეთს ყოველთვის საყვედურობენ იმპერიული აზროვნების გამო და მახვილივით მოიქნევენ საკრამენტულ ფრაზას: „იმპერიების დრო წავიდა!“

ამ დროს **ბრიტანეთის იმპერია არ დამთავრებულა, დამალულია მხოლოდ.** შენიღბულია. რუსეთის იმპერიამ კი მართლა შეწყვიტა არსებობა. ▶

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჰუსეინი მშვიდობიანი მოქალაქეების დახოცვისთვის ჩამოახრჩეს. ამერიკელებმა ტაში დაუკრეს დიქტატორის ამ გზით მოცილებას, მაგრამ მაშინ, როცა ჰუსეინმა ირანის წინააღმდეგ გაილაშქრა, ისინი მის მხარეს იყვნენ. ასეთი ურთიერთობა ერაყ-ამერიკის ურღვევ მეგობრობაში გადაიზარდა.

**ნავთობის მარაგის მოცულობით მესამე ადგილზეა ირანი. რატომ იყო, რომ აშშ ბოლო პერიოდამდე ასე აქტიურად უტევდა ირანს? დარტყმებითაც კი ემუქრებოდა? იმიტომ, რომ სურდა სპარსეთს დაეთმო ამერიკელებისთვის თავისი წიაღისეული სიმდიდრე, უფრო ზუსტად: კვლავ დაექვემდებარებინა დასავლეთის კონტროლისთვის. გავიხსენოთ, რომ იყო დრო, როცა შეერთებული შტატები სრულად აკონტროლებდა ამ ქვეყანას. და მხოლოდ ირანელი ხალხის აბობოქრებამ გამოგლიჯა ანგლოსაქს მიმტაცებლებს სპარსეთის ბუნებრივი სიმდიდრე**

◀ **„ჩამორჩენილ" რუსეთის იმპერიაში იგივე სისტემა მოქმედებდა, როგორიც „მოწინავე" ბრიტანეთის იმპერიაში დღემდეა შენარჩუნებული. განსხვავება — არავითარი. თუმცა ერთადერთი განსხვავება მაინც არის: რუსეთი დამარცხდა გეოპოლიტიკურ შეტაკებაში ოქტომბრის რევოლუციის გამო და ამიტომაც „ჩამორჩა". ანგლოსაქსებმა კი მოაწყვეს ეს რევოლუცია და გადაიქცნენ თავისუფლების შუქურად. მათ თავიანთი იმპერია თითქოს დაითხოვეს, დაშალეს, მაგრამ შეინარჩუნეს მმართველობის ის სისტემა, რომელიც რუსეთში 1914 წლამდე არსებობდა.**

დიდი ბრიტანეთის გარდა, აქაური მონარქი 15 ქვეყნის მეთაურიც გახლავთ. ნუთუ ეს არის ამ ქვეყნებისა და მეტროპოლიის უწინდელი კოლონიური ერთობის შედეგი? დღეს ყველა მათგანი დამოუკიდებელია და თითოეულ ქვეყანას თავისი მონარქი ჰყავს, მაგრამ ყველას მონარქი... ერთია! ეს ისეთივე აბდაუბდაა, როგორიც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებს (ამჟამად — სახელმწიფოებს) პრეზიდენტად ელცინი, პუტინი და მედვედევი რომ ჰყოლოდათ — რუსეთის სხვადასხვა დროის პრეზიდენტები. როგორი იქნებოდა ასეთ ვითარებაში ამ სახელმწიფოების პოლიტიკა — პრორუსული თუ ანტირუსული?

**ფრიად კომფორტული სისტემა შეიქმნეს ინგლისელებმა. ევროპელი მონარქებისთვის ინგლისი მონარქიული ქვეყანაა. ყველაფერი ტრადიციას ექვემდებარება, სიმშვიდე სუფევს და კეთილშობილება. მეამბოხე რევოლუციონერების ჭაჭანება არსადაა, შეთქმულების არავითარი ნიშანწყალი არ შეინიშნება. ძირგამომთხრელი ყველა ელემენტისთვის დიდი ბრიტანეთი არნახული თავისუფლების ქვეყანაა, სადაც არ არის დესპოტია და არავინ თრგუნავს ადამიანების ღირსებას.** გსმენიათ ოდსმე, რომ რევოლუციონერები იბრძოდნენ ინგლისის მონარქიის წინააღმდეგ? უმხილებიათ თუნდაც ერთხელ? არა! არადა, იგი არაფრით სჯობდა გერმანიის ან რუსეთის მონარქიებს. მტკიცება იმისა, რომ ინგლისის დედოფალი მეფობს და არ მართავს, კიტრის ფასადაც არ ღირს, საფუძველი ეცლება ფაქტებისა და დოკუმენტების გაცნობისთანავე. მართავს, და მერე როგორ! **ინგლისის გვირგვინოსან პიროვნებას ამჟამადაც, ჩვენს დროში, უფლება აქვს:**

*** გამოაცხადოს ომი პარლამენტთან შეუთანხმებლად;**

*** დანიშნოს პრემიერ-მინისტრი (არა მაინცდამაინც არჩევნებში გამარჯვებული პარტიის მეთაური, არამედ ვინც მას (მეფეს) სურს);**

*** დაითხოვოს პარლამენტი;**

*** უხელმძღვანელოს შეიარაღებულ ძალებს.**

ამით ყველაფერი არ ამოიწურება. ინგლისის დედოფალი ანგლიკანური ეკლესიის მეთაურიც არის. კათოლიკური ეკლესიის წინამძღვარი კი რომის პაპია...

ახლა კი — მნიშვნელოვანი ნიუანსი: **ზემოთ ჩამოთვლილი უფლებამოსილებანი ინგლისის დედოფალს აქვს არა მხოლოდ დიდ ბრიტანეთში, არამედ კანადაშიც, ავსტრალიაშიც და დანარჩენ ქვეყნებშიც, რომლების სახელმწიფო მეთაურად ითვლება იგი.** ბრიტანეთის დედოფალი, დიდი ბრიტანეთის გარდა, კიდევ 15 ქვეყნის მეთაურია. ესენია: ავსტრალია, ანტიგუა და ბარბუდა, ბაჰამის კუნძულები, ბარბადოსი, ბელიზი, გრენადა, კანადა, ახალი ზელანდია, პაპუა — ახალი გვინეა, სენტ-ვინსენტი და გრენადინი, სენტ-კიტსი და ნევისი, სენტ ლუსია, სოლომონის კუნძულები, ტუვალუ, იამაიკა.

როგორ მოგწონთ ეს შენიღბული იმპერია? **რატომ არ იყენებს ბრიტანელი მონარქი თავის ამ უფლებებს? ვინ თქვა, რომ არ იყენებს? კანადაც და ავსტრალიაც მონაწილეობდა ყველა მსოფლიო ომში ინგლისელების მხარეს. მათი სახელით ბრიტანეთის მონარქმა გამოუცხადა გერმანიას ომი, მიუხედავად იმისა, რომ ვერანაირი კაიზერი 1914 წელს ვერანაირად ვერ დაემუქრებოდა ამ შორეულ ტერიტორიებს! ანალოგიური სიტუაცია იყო 1939 წელსაც: გერმანიამ ომი პოლონეთს გამოუცხადა 1 სექტემბერს. დახედეთ რუკას. ემუქრება რამე ამ შემთხვევაში ავსტრალიას ან სამხრეთ აფრიკასა და კანადას?** არა, არ ემუქრება. რა თქმა უნდა. მაგრამ დემოკრატიულ ანგლოსაქსურ იმპერიაში ყველაფერს წყვეტს ერთპიროვნული მმართველი — მეფე. შედეგს წაიკითხავთ სასკოლო სახელმძღვანელოებში: **1939 წლის 3 სექტემბერს მესამე რიახს ომი გამოუცხადა დიდმა ბრიტანეთმა, ავსტრალიამ, ინდოეთმა, ახალმა ზელანდიამ, საფრანგეთმა; 4 სექტემბერს — სამხრეთ-აფრიკის კავშირმა; 7 სექტემბერს — კანადამ.**

**შეიძლება დამოუკიდებელი იყოს ქვეყანა, თუ მას სხვა სახელმწიფოს მეთაური მართავს?**

**შეიძლება დამოუკიდებელი იყოს ქვეყანა, თუ მისი სახელით ომს სხვა ქვეყნის მეთაური გამოუცხადებს რომელიმე სახელმწიფოს?**

**შეიძლება დამოუკიდებელი იყოს ქვეყანა, თუ მისი პარლამენტის დათხოვნა ნებისმიერ მომენტში შეუძლია სხვა სახელმწიფოს მეთაურს?**

**შეიძლება დამოუკიდებელი იყოს ქვეყანა, რომლის არმიას სხვა ქვეყნის მეთაური სარდლობს?**

არა, არ შეიძლება. ამაზე ლაპარაკი არ უყვართ, მაგრამ ასეა. ის ფაქტი, რომ დედოფალი პრემიერად ნიშნავს არჩევნებში გამარჯვებული პარტიის ლიდერს, ჩამოყალიბებული ტრადიციაა და არა კანონის ზეობა. **თუ, მაგალითად, კანადაში არჩევნებში გაიმარჯვებს პარტია, რომელიც მომხრეა კვებეკის პროვინციის გამოყოფისა და რუსეთთან ან ჩინეთთან სამხედრო კავშირის დამყარების, და პარლამენტი ამ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს, დედოფალი დაუყოვნებლივ დაითხოვს ასეთ პარლამენტს.**



**ნავთობის მარაგის მოცულობით მესამე ადგილზეა ირანი. რატომ იყო, რომ აშშ ბოლო პერიოდამდე ასე აქტიურად უტევდა ირანს? დარტყმებითაც კი ემუქრებოდა? იმიტომ, რომ სურდა, სპარსეთს დაეთმო ამერიკელებისთვის თავისი წიაღისეული სიმდიდრე, უფრო ზუსტად, კვლავ დაექვემდებარებინა დასავლეთის კონტროლისთვის. გავიხსენოთ, რომ იყო დრო, როცა შეერთებული შტატები სრულად აკონტროლებდა ამ ქვეყანას. და მხოლოდ ირანელი ხალხის აბობოქრებამ გამოგლიჯა ანგლოსაქს მიმტაცებლებს სპარსეთის ბუნებრივი სიმდიდრე.**

1941 წლის აგვისტოში საბჭოთა და ბრიტანულმა ჯარებმა მოახდინეს ირანის ოკუპირება. ნავთობით მდიდარი ამ რეგიონის საზღვარზე სსრკ-ს ორი არმია ჰყავდა განლაგებული და ირანში შეჭრის შედეგად გახდა შესაძლებელი ამ ჯარის ერთი ნაწილის გადასროლა მოსკოვის დასაცავად. არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ირანს ინგლისელები. **მოკავშირეებმა ირანის სათავეში დასვეს შაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი.** მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ (1946 წელს) საბჭოთა ჯარები სამშობლოში დაბრუნდნენ, ანგლოსაქსები კი დიდი ხნით დაყოვნდნენ, მთავარ არგუმენტად ინგლისური ნავთობკომპანიის მიერ სამომპოვებლო საქმიანობის გაგრძელების აუცილებლობა იყო წარმოდგენილი. ამ კომპანიის წიაღიდან ამოცენდა შემდგომ ცნობილი **„ბრიტიშ პეტროლეუმი"** (ბი-პი).

**1951 წელს ირანის პრემიერად დემოკრატიულად არჩეულმა მოჰამედ მოსადიკმა მოახდინა ქვეყნის ნავთობის მრეწველობის სრული ნაციონალიზაცია. ანგლოსაქსები გაცოფდნენ: მათ მოსადაკის დიდი იმედი ჰქონდათ — 1951 წელს ჟურნალმა „თაიმმა" იგი „წლის ადამიანად" გამოაცხადა (საინტერესოა, რომ იმავე ჟურნალმა 1938 წელს „წლის ადამიანად ადოლფ ჰიტლერი დაასახელა).**

1952 წლის ოქტომბერში მოსადიკის მთავრობამ გაწყვიტა კავშირი დიდ ბრიტანეთთან. 1953 წელს მოსადიკმა წინადადება მისცა შაჰს, წასულიყო ირანიდან და ეს ახსნა იმით, რომ მონარქმა უნდა იმეფოს და არა მართოს.

მაგრამ მოვლენები სხვა სცენარით განვითარდა. **მოსადიკი, რომელმაც იმედები ვერ გაამართლა, ჩამოაგდეს ამერიკელების მიერ ორგანიზებული ქუჩის დემონსტრაციებისა და არეულობის შედეგად, დღევანდელი ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ, „ფერადი რევოლუციის" შედეგად.** დარჩენილი ცხოვრება მან შინაპატიმრობაში გალია. სრული ძალაუფლება შაჰის ხელში აღმოჩნდა. და მან 1954 წლის 19 სექტემბერს ხელი მოაწერა შეთანხმებას ნავთობის საერთაშორისო კონსორციუმთან, რომელიც ითვალისწინებდა ირანული ნავთობის დასავლეთის მონოპოლიებისთვის გადაცემას. ნავთობის გაყიდვით მიღებული შემოსავლის ლომის წილი აშშ-ისა და დიდ ბრიტანეთისკენ წარიმართა. სანაცვლოდ ირანმა მიიღო მოწინავე ტექნოლოგიები, რომლებიც ფრიად სპეციფიკური დანიშნულების იყო: **1957 წელს აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ხელშეწყობით შეიქმნა საიდუმლო პოლიცია სავაკი.**

**მაგრამ ამან ვერაფერი შეცვალა: 1979 წლის 11 თებერვლის ისლამურმა რევოლუციამ ტახტიდან ჩამოაგდო შაჰი და დაამყარა ისლამური რესპუბლიკა „ველაიათე-ე-ფაკიჰ"-ის თეოლოგიური პრინციპის საფუძველზე.**

ამერიკის მარიონეტის — შაჰის განდევნის პროცესი თითქმის ერთ თვემდე გაიწელა.

ირანში ისლამური რევოლუციის დაწყების ოფიციალურ თარიღად მიჩნეულია 1978 წლის 8 იანვარი, როცა ქალაქ ყუმში დახვრიტეს პირველი დიდი ოპოზიციური დემონსტრაცია. საპროტესტო გამოსვლებმა და დემონსტრაციებმა აიძულა შაჰი გასცლოდა ირანს, ქვეყანაში კი დევნილი **აიათოლა ჰომეინი** ჩავიდა. თეირანში დაიწყო ქუჩის ბრძოლები, მოსახლეობისთვის იარაღის დარიგება. ირანის არმიამ და უშიშროების ძალებმა თავიანთი ნეიტრალიტეტი საჯაროდ გამოაცხადეს. ეს კი რევოლუციის გამარჯვებას ნიშნავდა. ირანელებმა აშშ-ს მოსთხოვეს გაქცეული შაჰის მათთვის გადაცემა და ამ მიზნით ხელთ იგდეს ამერიკელების საელჩო თეირანში, მისი თანამშრომლები კი მძევლებად გამოაცხადეს.

მთელმა მსოფლიომ დაინახა ამერიკელების უძლურება. ჩაიფუშა მძევლების გათავისუფლების სპეცოპერაცია, რომელსაც საბოლოო ჯამში პრეზიდენტ **ჯიმი კარტერის** კარიერა შეეწირა. ბედის დაცინვასავით იყო, როცა ოპერაციის ჩაფუშვის ტალღაზე აშშ-ის პრეზიდენტად **რონალდ რეიგანი** მოგვევლინა, საბჭოთა კავშირის მომავალი მესაფლავე. საინტერესოა, რომ თეირანში მძევლების გათავისუფლება რეიგანის პრეზიდენტად გამოცხადებისთანავე მოხდა. არ უნდა გაგიკვირდეთ, რადგან ამ შემთხვევაში მოწინააღმდეგეთა საიდუმლო კონტაქტები არ შეწყვეტილა.

**ირანის რევოლუციას სერიოზული კორექტივები შეაქვს აშშ-ის რეგიონულ პოლიტიკაში. „საბეჭდ დაზგასთან" ნებისმიერი დაპირისპირება უნდა დაისაჯოს, მით უფრო, თუ ირანის ნავთობის სივრციდან ამერიკელების მოკვეთა დაუყოვნებლივ აისახება აშშ-ის ეკონომიკაზე. 1978 წლის განმავლობაში დოლარის ინფლაცია ამერიკაში 6,8 პროცენტიდან 9 პროცენტამდე გაიზარდა, ხოლო იანვარში, როცა შაჰი ჩამოაგდეს, ორნიშნა სიდიდეს მიაღწია — 12 პროცენტს. სახელმწიფომ ბენზინის ფასზე კონტროლი დააწესა. ზაფხულში ბენზინგასამართ სადგურებზე გრძელი რიგები დადგა.**

ირანში რევოლუცია 1979 წელს მოხდა. შურისძიებამაც არ დააყოვნა. ბრძოლის წინა ხაზზე გამოდის ახალგაზრდა და პერსპექტიული ერაყელი დიქტატორი **სადამ ჰუსეინი.**

როგორც კი ძალაუფლება ხელთ იგდო (1978 წელს), ჰუსეინმა ირანს შეუტია: 1980 წელს თავს დაესხა სპარსეთს. ეს ომი 10 წელიწადს გაგრძელდა და მილიონობით ადამიანი შეიწირა.

მკითხველებისთვის ცნობილია, რომ **ჰუსეინი მშვიდობიანი მოქალაქეების დახოცვისთვის ჩამოახრჩეს. ამერიკელებმა ტაში დაუკრეს დიქტატორის ამ გზით მოცილებას, მაგრამ მაშინ, როცა ჰუსეინმა ირანის წინააღმდეგ გაილაშქრა, ისინი მის მხარეს იყვნენ. ასეთი ურთიერთობა ერაყ-ამერიკის ურყევ მეგობრობაში გადაიზარდა.**

როცა რევოლუციურმა პარტია **ბაასმა** ერაყის ნავთობის ნაციონალიზაცია მოახდინა, ამერიკელებმა დაუყოვნებლივ გაწყვიტეს დიპლომატიური ურთიერთობა ამ ქვეყნის ხელისუფლებასთან. მაგრამ, როგორც კი დაიწყო ერაყ-ირანის ომი, ძველი წყენა გაქრა. 1982 წელს ბაღდადი ამერიკელებმა ამოშალეს იმ სახელმწიფოთა სიიდან, რომლებიც „მხარს უჭერენ საერთაშორისო ტერორიზმს". ეს კი ნიშნავდა, რომ აშშ იწყებდა ერაყთან სავაჭრო-ეკონომიკური და სამხედრო ურთიერთობის ყოველმხრივ გაფართოებასა და გაძლიერებას. 1984 წელს ბაღდადში კვლავ გაიხსნა აშშ-ის საელჩო, რომელმაც დაუყოვნებლივ დაიწყო სადაზვერვო ცნობების მიწოდება ერაყელი სამხედროებისთვის, რომელთაც თავისი ჯაშუში თანამგზავრების მეშვეობით იღებდა.

1984 წელს გაჭირვებულმა ერაყმა 345 მილიონი დოლარი მიიღო ამერიკისგან, მომდევნო 1985 წელს — 675 მილიონი, 1987 წლის ბოლოსთვის ერთი მილიარდი დოლარის მიცემას დაჰპირდნენ.

**რას ახარჯავდა ამ ფულს სადამი?**

**ირანთან ომს.**

**ვინ აძლევდა ფულს?**

**ამერიკის შეერთებული შტატები.**

**ესე იგი, ვისი ფულით ხოცავდა ჰუსეინი ირანელებს?**

**ამერიკელების დოლარებით.**

რატომ ჩამოახრჩვეს, ბოლოს და ბოლოს, ამხანაგი ჰუსეინი? იმიტომ, რომ კონტროლს არ დაემორჩილა. თავისი თამაშის დაწყების წინ ერაყელმა დიქტატორმა კრამოლური აზრი წამოაყენა — ერაყული ნავთობი ამერიკულ დოლარებზე კი არ გაეყიდა, არამედ ერაყულ დინარებზე.

ამერიკელებმა მრავალსვლიანი ლამაზი კომბინაცია შეიმუშავეს. აიძულეს სადამი, თავს დასხმოდა ქუვეითს (ამერიკელების მაპროვოცირებელი მეთოდები ცნობილია), შემდეგ თავადვე დასაჯეს და აგრესიული რეჟიმისგან არაბების დაცვის საბაბით, თავიანთი სამხედრო ბაზები დააფუძნეს რეგიონში. ოპერაციაში „ქარიშხალი უდაბნოში" შემდეგ, მოლოდინის საწინააღმდეგოდ, აშშ-მა ჰუსეინს ხელი არ ახლო. რატომ? იმიტომ, რომ ამერიკელებს ჰქონდა მიზეზი ერაყში შეჭრის, როცა კი მოისურვებდნენ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დადებითი ემოციები სულაც არ უწყობს ხელს ნეირონების მიერ ინფორმაციის შეთვისების გაუმჯობესებას. სამაგიეროდ, მწუხარების განცდა აგზავნის ტვინში სიგნალებს იმის თაობაზე, რომ გარშემო (ანუ მისი მხედველობის არეში) ხდება რაღაც „არასწორი“, ანუ საინტერესო, რაზეც ღირს ყურადღების მიპყრობა. ამ დროს აქტიურდება ტვინის უჯრედები, ხდება კონცენტრაცია დეტალებზე და იწყება მიღებული ინფორმაციის ანალიზი და დამუშავება.**



# სად მიდის ცხიმი ადამიანის გახდომისას?

**ავსტრალიელმა ბიოლოგებმა დეტალურად შეისწავლეს ადამიანის სხეულში ჩალაგებული ცხიმის „დათხელების“ პროცესი და ბევრ გაუგებრობას დაუსვეს წერტილი.**

როგორც ჩანს, **ცხიმი არ გარდაიქმნება ენერგიად და არ იყოფა უწვრილეს კომპონენტებად, როგორც ეს აქამდე ბევრს მიაჩნდა.**

სხეული ცხიმის სახით ინახავს ჭარბ ცილასა და ნახშირწყლებს, კერძოდ, საკვებ ნივთიერებებს გარდაქმნის ტრიგლიცერიდის მოლეკულებად, რომლებიც სულ სამი ატომისგან შედგება — ნახშირბადის, წყალბადისა და ჟანგბადის.

როცა ადამიანი ხდება, ტრიგლიცერიდი იყოფა თავის შემადგენელებად, მონაწილეობს რა ჟანგვით პროცესებში. ამასთანავე, იხარჯება დიდი რაოდენობით ჟანგბადი და გამოიყოფა ნახშირორჟანგი და წყალი.

მაგალითად, 10 კგ ცხიმის დასაწვავად ადამიანს სჭირდება 29 კგ ჟანგბადი. შედეგად წარმოიქმნება 28 კგ ნახშირორჟანგი და 11 — წყალი.

**წონის დაკლების შემთხვევაში ცხიმის 84% გარდაიქმნება ნახშირორჟანგად და ორგანიზმიდან გამოიყოფა ფილტვების საშუალებით, დანარჩენი 16% კი გარდაიქმნება წყლად.**

„როგორც აღმოჩნდა, წონის დაკლების შემთხვევაში ფილტვებს შეიძლება ვუწოდოთ მთავარი გამომყოფი ორგანო. ცხიმისგან დარჩენილი წყალი კი ორგანიზმიდან შარდთან, ოფლთან, ცრემლთან ერთად გამოიყოფა (და სუნთქვისას)“, — აღნიშნავენ მეცნიერები.

მოსვენებულ მდგომარეობაში ადამიანი, რომლის სხეულის წონაა 70 კგ, ყოველ ამოსუნთქვაზე კარგავს 8,9 მილიგრამ წყალბადს. დღის განმავლობაში ეს 200 გრამია. მაგრამ, თუკი დღეში თუნდაც ერთ საათს ფიზკულტურას დავუთმობთ, შეიძლება დამატებით 40 გრამი ნახშირბადის დაკარგვა.

ავსტრალიელმა მეცნიერებმა თავიანთი გაანგარიშებებით ზედმეტი წონის დასამარცხებლად ახალი ვერაფერი შემოგვთავაზეს. მათ მხოლოდ დაადასტურეს, რომ **გასახდომად საჭიროა ცოტა ჭამა და მეტი ფიზიკური დატვირთვა.**



# ცისფერ შუქზე ბავშვები უფრო გონიერები ხდებიან

**გერმანიის რამდენიმე სკოლაში მეცნიერებმა ექსპერიმენტი ჩაატარეს. საკლასო ოთახები ცისფერი შუქით გაანათეს და ბავშვებს ჯერ წიგნის წაკითხვა, შემდეგ კი წაკითხულის მოყოლა სთხოვეს.**

აღმოჩნდა, რომ ცისფერმა შუქმა პატარების ტვინის მუშაობის პროცესზე იმდენად დადებითი გავლენა იქონია და იგი ისე გაააქტიურა, რომ კითხვის სისწრაფე 30%-ით გაიზარდა, წაკითხულის დამახსოვრების შესაძლებლობა კი 50%-ით გაუმჯობესდა.

# ჰაერის დაბინძურება და მკვდრადშობადობა

**მკვდრადშობადობის ფაქტი იმ შემთხვევაში რეგისტრირდება, როცა ბავშვი მკვდარი იბადება ორსულობის 22-ე კვირის შემდეგ და 500 გრამზე მეტს იწონის.**



როგორც The Guardian-ი იუწყება, დიდ ბრიტანეთში ყოველი 200 მშობიარობიდან ერთი ტრაგიკულად მთავრდება. ყოველდღიურად გაერთიანებულ სამეფოში მკვდრადშობადობის 11 შემთხვევა აღირიცხება, რაც წელიწადში 3600-ია.

მეცნიერები კაცობრიობას მოუწოდებენ, გაამკაცრონ მოთხოვნები ავტომანქანებისა და სამრეწველო საწარმოების გამონაბოლქვის სისუფთავის კუთხით. ახალი კვლევები ცხადყოფს, რომ **ჰაერის დაბინძურება მკვდრადშობადობის რისკს ზრდის.**

მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ყველაზე დიდი საფრთხე მოდის ორსულობის მესამე ტრიმესტრზე. „ჩვენმა შედეგებმა დაამტკიცა, რომ ატმოსფერული დაბინძურება რისკის ძირითადი ფაქტორია. ფეხმძიმე ქალები საქმის კურსში უნდა იქნან ჩაყენებულნი ურბანულ გარემოში დარჩენის შემთხვევაში შესაძლო შედეგების თაობაზე. სიტუაციაზე რადიკალური ზემოქმედება მხოლოდ ხელისუფლებას შეუძლია. ეკოლოგიური უსაფრთხოების ორგანოებმა უნდა შეიმუშავონ ახალი სტანდარტები — მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი დაბინძურებული ჰაერის კონცენტრაციის შემცირება“, — წერენ მეცნიერები The Guardian-ში.

**ჰაერის ყველაზე საშიში დამაბინძურებელი, მეცნიერთა აზრით, არის 2,5 მიკრომეტრი დიამეტრის მყარი ნაწილაკები, აგრეთვე, აზოტის დიოქსიდი, გოგირდის დიოქსიდი, ნახშირბადის მონოქსიდი და ოზონი.** ამ მოსაზრების გასამყარებლად, მეცნიერთა აზრით, საჭიროა დამატებითი კვლევები.

კოპენჰაგენის უნივერსიტეტის ეპიდემიოლოგიის ცენტრის წარმომადგენელმა, დოქტორმა **მარი პედერსენმა** აღნიშნა: „დღეს მკვდრადშობადობა საკმარისად შესწავლილი არ არის. ბრიტანელი კოლეგების მიერ მიღებული მონაცემები უფრო დეტალურ კვლევებს მოითხოვს. თუკი კავშირი მკვდრადშობადობის სიხშირესა და ჰაერის დაბინძურებას შორის დამტკიცდება, ამან შეიძლება სერიოზული ცვლილებები მოითხოვოს ჯანდაცვის სისტემაში. თუმცა შემჩნეული დამოკიდებულება საკმაოდ შეზღუდულად ვლინდება, მაინც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ის გაძლიერდება ქალაქის მოსახლეობის ზრდის პარალელურად“.

# ჩვილ ბავშვთა ძუძუთი კვება დადებით გავლენას ახდენს მათ ინტელექტზე

**ჩვილ ბავშვთა ცხოვრების პირველ თვეებში მხოლოდ ძუძუთი კვება დადებითად მოქმედებს მათ გონებრივ განვითარებაზე.**



ამ დასკვნამდე მივიდნენ კანადელი მეცნიერები. ისინი დაკვირვებას აწარმოებდნენ თითქმის 14 000 ჩვილზე. 6 წლის შემდეგ ინტელექტუალური მონაცემების შემოწმება-შეფასებისას გაირკვა, რომ ბავშვებმა, რომლებიც მხოლოდ ძუძუთი იკვებებოდნენ, სულ ცოტა, პირველ 3 თვემდე, წარმოაჩინეს უკეთესი შედეგები შემეცნებითი უნარების ტესტებში. ვერბალური ინტელექტის ტესტებში მათ აჩვენეს საშუალოდ 7,5 ქულით მეტი (100-ბალიანი შეფასების სისტემით), არავერბალური ინტელექტის ტესტებით — 2,9 ქულით მეტი და საერთო ინტელექტის ტესტებში — 5,9 ქულით მეტი. გარდა ამისა, ამ ჯგუფის ბავშვებს გაცილებით უკეთ შეეძლოთ წერა და კითხვა, ვიდრე საკონტროლო ჯგუფის ბავშვებს.

მეცნიერთა გადმოცემით, **დღეისათვის ცნობილი არ არის, კონკრეტულად რასთანაა დაკავშირებული ჩვილ ბავშვთა ძუძუთი კვების დადებითი გავლენა მათ ინტელექტზე. სავარაუდოდ, ეს ეფექტი შეიძლება აიხსნას დედის რძის შემადგენელი კომპონენტების მოქმედებით ან ფიზიკური და სოციალური ფაქტორებით, რომლებიც დედისა და ჩვილის კონტაქტის დროს ძუძუთი კვების პროცესში წარმოიშობა.**

# მოწყენილი ბავშვები უკეთ სწავლობენ



**მოწყენილი ბავშვები უფრო მახვილი გონებითა და ათვისების უკეთესი უნარით გამოირჩევიან, ვიდრე მათი მხიარული თანატოლები. ასეთი დასკვნა გააკეთეს ამერიკელმა ფსიქოლოგებმა.**

კვლევების დროს მეცნიერებმა გააბათილეს აზრი იმის თაობაზე, თითქოს მხიარული და სიცოცხლით სავსე ბავშვები უფრო წარმატებულნი არიან სწავლაში. მათ ჩაატარეს რამდენიმე ექსპერიმენტი სხვადასხვა წლოვანების ბავშვთა ჯგუფებზე და მივიდნენ დასკვნამდე, რომ მელანქოლიური, ანუ ხშირად მოწყენილი მოსწავლეები უფრო სწრაფად ხსნიან ამოცანებს, უკეთ ისრუტავენ ყოველგვარ ინფორმაციას და კონცენტრირებულნი არიან კონკრეტული საგნების შესწავლაზე.

ამ ფაქტს ნევროლოგები შემდეგი მიზეზით ხსნიან: **დადებითი ემოციები სულაც არ უწყობს ხელს ნეირონების მიერ ინფორმაციის შეთვისების გაუმჯობესებას. სამაგიეროდ, მწუხარების განცდა აგზავნის ტვინში სიგნალებს იმის თაობაზე, რომ გარშემო (ანუ მისი მხედველობის არეში) ხდება რაღაც „არასწორი“, ანუ საინტერესო, რაზეც ღირს ყურადღების მიპყრობა. ამ დროს აქტიურდება ტვინის უჯრედები, ხდება კონცენტრაცია დეტალებზე და იწყება მიღებული ინფორმაციის ანალიზი და დამუშავება.**

ეს აღმოჩენა სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ბავშვისთვის მხიარულად ყოფნა ცუდია. ასეთ ბავშვებს თავისი უპირატესობა აქვთ — მხიარულების გრძნობა ავითარებს მათში შემოქმედებით უნარებს, მაგრამ, როცა სწავლაზე მიდგება საქმე, მეტი ძალისხმევა სჭირდებათ, რათა ყურადღება მოიკრიბონ და შესასწავლ საგანზე მოახდინონ კონცენტრირება.



ეს საინტერესოა

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გოტარდის გვირაბის სიგრძე 57 კმ-ია, რის გამოც იგი ყველაზე გრძელ გვირაბად ითვლება მსოფლიოში. ამას გარდა, გვირაბის თავზე მთების მაქსიმალური სიმაღლე ზოგიერთ ადგილას 2 300 მეტრია. ამდენად, გვირაბი არამხოლოდ ყველაზე გრძელია, არამედ — ყველაზე ღრმაც.**



# ბაქტერია, რომელიც ჰაერს სპირტად გადააქცევს

**ჰარვარდელმა ქიმიკოსმა დანიელ ნოსერამ კოლეგებთან ერთად შექმნა ბაქტერიის ახალი სახეობა, რომელსაც შეუძლია „ჩაისუნთქოს“ ნახშირორჟანგი და წყალბადი, შემდეგ კი გამოყოს სპირიტს შემცველი სათბობის რამდენიმე ტიპი, ასევე — ბიომასა, რომლის გამოყენებაც შეიძლება ენერგიის წყაროდ.**

დანიერ ნოსერას სახელი რამდენიმე წლის წინათ გახდა ცნობილი, როცა მან და მისმა ჯგუფმა განაცხადეს „ხელოვნური ფოთლის“ შექმნაზე, მაგრამ იდეის განხორციელება ვერ შეძლეს, თუმცა მეცნიერს ფარხმალი არ დაუყრია და ალტერნატიული ენერგიის წყაროების ძიების სფეროში კვლევები გააგრძელა.

აი, ამგვარად გაჩნდა ბაქტერია Ralston Eutropha, რომელიც შთანთქავს ნახშირორჟანგსა და წყალბადს, შემდეგ კი გარდაქმნის მას ადენოზინტრიფოსფატად (ატფ) — ენერგიის უნივერსალურ წყაროდ ცოცხალ სისტემებში მიმდინარე ყველა ბიოქიმიური პროცესისთვის.

მაგრამ ეს ყველაფერი არ არის, ამაზე ქიმიკოსები არ შეჩერებულან — მათ „ასწავლეს“ ბაქტერიას ადენოზინტრიფოსფატის გარდაქმნა სპირტის რამდენიმე სახეობად, ესენია: იზოპენტანოლი, იზობუტანოლი, იზოპროპანოლი. ბაქტერიებიდან სპირტის მიღების პროცესის ეფექტიანობა საკმაოდ მაღალია: სპირტის შემთხვევაში 6%-ია, ხოლო ბიომასის შემთხვევაში — 10,6%. შედარებისთვის: **მცენარეებს მზის სხივებისა და ნახშირორჟანგის გადამუშავება ბიომასად მხოლოდ 1%-იანი ეფექტიანობით შეუძლიათ.**

მეცნიერთა თვალსაზრისით, ასეთი ბაქტერიების დიდ რაოდენობას დედამიწის ატმოსფეროდან თანდათან შეუძლია ნახშირორჟანგის „ამოქაჩვა“ და გლობალური დათბობის პროცესის შენელება, პარალელურად — რამდენიმე სახის საწვავის წარმოქმნა. ამ საწვავის დაწვა კი ატმოსფეროში დააბრუნებს ნახშირორჟანგს, ასე რომ, წრე შეიკვრება.

ამჟამად მეცნიერები ეძებენ ინვესტორებს, რათა აღნიშნული ტექნოლოგია ინდოეთის ტერიტორიაზე დანერგონ, სადაც ამის ყველაზე მეტი საჭიროებაა.

# მსოფლიოში ყველაზე გრძელი და ღრმა გვირაბი შვეიცარიაში გაიხსნა

**შვეიცარიის ალპებში გამავალი გოტარდის საბაზისო გვირაბის მშენებლობა, რომელიც 17 წელიწადს მიმდინარეობდა, როგორც იქნა, დასრულდა. გვირაბის ოფიციალური გახსნის ცერემონია 1 ივნისს გაიმართა.**



გოტარდის გვირაბის სიგრძე 57 კმ-ია, რის გამოც იგი ყველაზე გრძელ გვირაბად ითვლება მსოფლიოში. ამას გარდა, გვირაბის თავზე მთების მაქსიმალური სიმაღლე ზოგიერთ ადგილას 2 300 მეტრია. ამდენად, გვირაბი არამხოლოდ ყველაზე გრძელია, არამედ — ყველაზე ღრმაც.

გოტარდის საბაზისო გვირაბი, თავის მხრივ, მხოლოდ 3 კმ-ით გრძელია იაპონიის გვირაბ სეიკანზე და 7 კმ-ით გრძელი — დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის არსებულ ევროგვირაბზე, რომელთა საშუალებით მგზავრების სარკინიგზო გადაყვანა ხორციელდება. ასევე, ევროპის უდიდესი სარკინიგზო პროექტი Crossrail-ის რკინიგზის ხაზის ნაწილი, 42-კილომეტრიანი მონაკვეთი, გვირაბში გადის.

თუკი შევკრებთ გვირაბის განშტოებებისა და გადასასვლელების სიგრძეს, გოტარდის საბაზისო გვირაბის სიგრძე 152 კმ გამოვა. ამას გარდა, გვირაბში გზა ლარივით სწორია, მასში არც აღმართია და არც დაღმართი.

ამ გვირაბის მშენებლობის იდეა ჯერ კიდევ 68 წლის წინათ გაჩნდა, მაგრამ მიზეზთა გამო პროექტი მრავალჯერ შეიცვალა. როდესაც მშენებლობა აქტიურ ფაზაში შევიდა, აქ 2 400 ადამიანი მუშაობდა, მშენებლობაზე უბედური შემთხვევის მიზეზით 9 ადამიანი დაიღუპა, რადგან საქმე არც ისე მარტივი იყო. სამუშაოების 80% უზარმაზარი საბურღი მანქანებით განხორციელდა, დანარჩენი 20%-ის შემთხვევაში აფეთქების წესი გამოიყენეს.





უწყვეტი სარკინიგზო ხაზის დაგებაზე სამი წლის განმავლობაში დღეში სამ ცვლად 125 მუშა მუშაობდა. ამ ხნის განმავლობაში გამოყენებული იქნა 131 ათასი კუბური მეტრი ბეტონი, 290 კმ ლიანდაგისქვეშა ვაკისი და 380 ათასი შპალი.

გვირაბი კომუნა ერსტფელდს აკავშირებს ქალაქ ბოდიოსთან. ამ ლიანდაგებზე ყოველდღიურად გაივლის 325 სარკინიგზო შემადგენლობა, მათგან 260 იქნება სატვირთო (იმოძრავებს 160კმ/სთ სიჩქარით), დანარჩენი 65 — სამგზავრო (იმოძრავებს 200კმ/სთ სიჩქარით). სამგზავრო მატარებლების სიჩქარე თანდათან მოიმატებსა და სტანდარტულ 250კმ/სთ-ს. მიაღწევს.

# ჭკვიანი კომპლექტი მუნჯ ადამიანს თავისი აზრების გამოხატვაში დაეხმარება

**სტატისტიკის თანახმად, იმ ადამიანთა რაოდენობა, რომელთაც სხვადასხვა მიზეზთა გამო არ აქვთ მეტყველების უნარი, კარგა ხანია, გადასცდა ათობით მილიონს. მათ გარდა კიდევ არიან ადამიანები, რომლებსაც სმენის დაქვეითების გამო უჭირთ თავიანთი აზრის ხმამაღლა გამოთქმა.**



მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის სტატისტიკის მიხედვით, 2013 წელს დედამიწაზე 32 მლნ სმენადაქვეითებული და ყრუ-მუნჯი ადამიანი იყო. და რა მოხდება, თითოეულმა მათგანმა თავიანთი აზრების სხვებთან გაზიარება რომ მოახერხონ?

კომპანია S-ი მუშაობს პროგრამული უზრუნველყოფის შექმნაზე, რომელიც ამ ოცნებას რეალურად შეასხამს ფრთებს. პროექტს საფუძვლად დაედო E-ის წარმოების კომპლექტი, რომელიც აღრიცხავს ადამიანის ტვინის ტალღებს, შემდეგ ახდენს მის ტრანსლირებას სმარტფონზე, ის კი, თავის მხრივ, მათ სიტყვებად გადააქცევს.

გაცილებით იოლია ადამიანის ტვინში მისი განზრახვის ამოცნობა, ვიდრე მისი მოძრაობებით; მაგალითად, ფეხის აწევით ან თავის დაქნევით. **კომპლექტი იმახსოვრებს გარკვეულ ტალღებს და უკავშირებს მათ კონკრეტულ სიტყვებს. რა თქმა უნდა, ამ გაჯეტის დახმარებით გრძელი წინადადებების თქმა საკმაოდ რთული იქნება, მაგრამ გარკვეული, შედარებით მნიშვნელოვანი ფრაზების თქმას ადამიანი პრაქტიკულად უცებ შეძლებს.** ამისათვის საკმარისია, მხოლოდ გავიხსენოთ ამა თუ იმ სიტყვაზე მიბმული აზრებს კომბინაცია.

ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს კომპლექტის გამოცდა მუნჯ ადამიანებზე. პირველი შედეგები შთამბეჭდავი აღმოჩნდა, რადგან ერთ-ერთმა კვლევის მონაწილემ იოლად შეძლო კომპლექტის დახმარებით თავისი აზრების გადმოცემა. იმის გათვალისწინებით, რომ სხვა მსგავსი ტექნოლოგიების გამოყენების სწავლებაზე, შესაძლოა, წლები დახარჯულიყო, Smartstones-ისთვის ეს ნამდვილად უდიდესი გამარჯვებაა.

ისინი ჯერჯერობით არ საუბრობენ კომპლექტის ფასზე და არც იმას ამბობენ, როდიდან იქნება მისი შეძენა შესაძლებელი.



# პროდუქტები, რომლებიც გამოცდების პერიოდში უნდა მიირთვათ

**ევროპელმა მედიკოსებმა იმ პროდუქტების სია გამოაქვეყნეს, რომლებსაც მოსწავლეები და სტუდენტები გამოცდების პერიოდში ხშირად უნდა მიირთმევდნენ, რათა ტვინმა აქტიურად იმუშაოს. სულ მალე ეროვნული გამოცდები დაიწყება და ჩვენი რჩევა, იმედია, წაადგებათ ახალგაზრდებს.**

ეს პროდუქტებია: თევზი, კვერცხი, ქათმისა და საქონლის ღვიძლი, ხორბლის პური, ხილი და წყალი. რაც შეეხება ტკბილეულს, ტვინს მუშაობისთვის მართლაც ბევრი გლუკოზა სჭირდება. სუფთა შაქარი მყისვე სისხლში გადადის და შესაძლოა, ერთ წუთში ამოხსნათ ამოცანა, გაიხსენოთ დავიწყებული ფორმულა და ა. შ. თუმცა გლუკოზის მომატებაზე ორგანიზმი ინსულინის გამომუშავებით რეაგირებს და შრომისუნარიანობა მკვეთრად ქვეითდება. იმედს ნურც ყავაზე, გამაგრილებელ და ენერგეტიკულ სასმელებზე დაამყარებთ, ისინი ტვინსა და ნერვებს კი არ კვებავს, პირიქით, ფიტავს.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ატომიუმი შედგება 9 სფეროს, უფრო ზუსტად, ატომისგან, რომლებიც ერთმანეთთან შეერთებულია რკინის ჩარჩოთი. თითოეული ატომის დიამეტრი 18 მეტრია, ისინი ერთმანეთთან 23-მეტრიანი 20 მილითაა შეერთებული, მილებში კი დამონტაჟებულია ესკალატორები დერეფნებში დამთვალიერებელთა გადასაადგილებლად. 102-მეტრიანი კონსტრუქციის საერთო წონაა 2 400 ტონა.**

# მსოფლიოს უცნაური ნაგებობები

**კაცობრიობამ თავისი არსებობის განმავლობაში ბევრი უჩვეულო და გასაოცარი რამ შექმნა, მათ შორის არქიტექტურული ნაგებობები, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მდებარეობს და უამრავი დამთვალიერებელი ჰყავს. წარმოგიდგენთ მათ ათეულს:**



## პირველი ადგილი: ქვა-სახლი (პორტუგალია)

ეს გამაოგნებელი და უცნაური სახლი პატარა ქალაქ ფაფეს მოშორებით, მთებში მდებარეობს. იგი 1973 წელს ორ უზარმაზარ ქვას შორის აშენდა, რომლებიც სახლის კედლის ფუნქციას ასრულებს. ასიმეტრიული ფანჯრები, ხავსით დაფარული ლოდები, სახურავის ერთ ნაწილზე კრამიტი... — ერთი სიტყვით, უნიკალური შენობა ტურისტულ ღირსშესანიშნაობად იქცა. სწორედ ეს უცნაური დიზაინი იზიდავს უამრავ ცნობისმოყვარეს მთელი მსოფლიოდან. ამის გამო სახლის ბინადარნი იძულებულნი გახდნენ, საცხოვრებლად სხვაგან გადასულიყვნენ, სახლში ამჟამად არავინ ცხოვრობს.





## მეორე ადგილი: საკათედრო ტაძარი (ბრაზილია)

ტაძარი შენდებოდა 10 წლის განმავლობაში, 1960-1970 წლებში, ბრაზილიელი არქიტექტორის, მოდერნიზმის წარმომადგენლის — **ოსკარ ნიმეიერის** მიერ ქალაქ ბრაზილიაში.

შენობა შედგება 16 ჰიპერბოლური კოლონისგან, რომლებიც სიმბოლურად ცისკენ აპყრობილ ხელებს გამოხატავს. კოლონებს შორის სივრცე ვიტრაჟებითაა დაკეტილი. შენობა საკმაოდ ნათელია. მეტი ვიზუალური ეფექტისათვის არქიტექტორმა შენობაში შესასვლელად ჩაიფიქრა საკმაოდ გრძელი და ბნელი კორიდორი. რამდენადაც ნიმეიერი ათეისტი იყო, კათოლიკური ეკლესია დიდხანს აცხადებდა უარს მის მიერ აგებულ ტაძარში შესვლაზე. გარკვეული შეცდომების გამო დარბაზში სუსტი აკუსტიკაა და არ არის ვენტილაციის სისტემა გათვალისწინებული. ასევე, რამდენარაც შენობა მზიან ადგილას დგას და ჩრდილი არ ეცემა, შენობაში ძალიან ცხელა.

1988 წელს ოსკარ ნიმეიერმა ტაძრის პროექტირებისთვის პრიტცკერების (ეს პრემია მსოფლიოში ყოველწლიურად გაიცემა არქიტექტურის დარგში და არის ნობელის პრემიის ტოლფასი) პრემია მიიღო. 2013 წელს კი რომის პაპი ფრანცისკი ეწვია ტაძარს და მესა ჩაატარა.





## მესამე ადგილი: თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი (ბრაზილია)

ეს მუზეუმი ქალაქ ნიტეროიში, ასევე, არქიტექტორ ოსკარ ნიმეიერის ქმნილებაა მოდერნიზმის სტილში. შენობა 5 წლის განმავლობაში შენდებოდა და დასრულდა 1996 წელს.

თვით ოსკარ ნიმეიერმა ასე დაახასიათა თავისი ნამუშევარი: „ოდესღაც თურმე ქალაქის თავზე მფრინავი თეფში გამოჩენილა, აღფრთოვანებულს აქაურობის სილამაზით სამუდამოდ აქ დარჩენა გადაუწყვეტია და ამ ადგილას დაშვებულა, რითაც სათავე დაუდო თანამედროვე ხელოვნების მუზეუმს“.

თექვსმეტმეტრიანი ბეტონის გლუვი ცილინდრული კონსტრუქცია წვრილ ფეხზე შუშის სარტყელით ერთდროულად მოჰგავს გამოუცნობ მფრინავ ობიექტსაც და ეკზოტიკურ მცენარეს, კლდის პირას ამოსულს. მუზეუმის ფანჯრებიდან შესანიშნავი ხედი იშლება. სამსართულიანი „თეფშის“ დიამეტრი 50 მეტრია, ხოლო იმ ბოძისა, რომელზეც ის დგას, — მხოლოდ 9 მეტრი. მუზეუმში რომ შეხვიდეთ, უნდა გაიაროთ გრძელი სპირალისებრი პანდუსი. აღმართის ავლისთანავე დამთვალიერებელი პირდაპირ სურათების წრიულ გალერეაში მოხვდება.

მუზეუმში რეგულარულად ეწყობა ბრაზილიელი და უცხოელი მხატვრების გამოფენები.



## მეოთხე ადგილი: მრუდე სახლი (პოლონეთი)

ქალაქ სოპოტის **მრუდე, ანუ** დაღუნული სახლი (The Crooked House) თითქოს მრუდე სარკის ანარეკლია. ის დააპროექტა პოლონელმა არქიტექტორმა **იაცეკ კარნოვსკიმ** და 2004 წელს აშენდა. ამავე წელს სახლის პროექტი პოლონეთში წლის საუკეთესოდ აღიარეს „უდიდესი მეოცნებეების“ კონკურსზე. შენობის ფასადს არ გააჩნია არც ერთი სწორი ხაზი. არანაკლებ გაოცებას იწვევს შენობაში ინტერიერის დიზაინი.

სახლის ფართობი 4000 კვ.მია.

რამდენადაც ორიგინალურია შენობა, იმდენად ბანალურია მისი შექმნის მიზანი. სახლის მთავარი დანიშნულება იყო, სავაჭრო ცენტრისთვის მოეზიდა რაც შეიძლება მეტი მომხმარებელი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მიზანი შენობამ ასი პროცენტით გაამართლა.

ამ საუცხოო შენობის პირველ სართულზე განთავსებულია სავაჭრო ცენტრი, მაღაზიები, კაფე; ხოლო მეორე სართულზე 2 რადიოკომპანიის ოფისებია განლაგებული.

დაღუნული სახლი დიდი პოპულარობით სარგებლობს და უამრავი ტურისტის ყურადღებას იპყრობს.

## მეხუთე ადგილი: ატომიუმი (ბელგია)

ატომიუმი არა მხოლოდ თანამედროვე ბრიუსელის სიმბოლოა, არამედ ბელგიის სიმბოლო, ატომური საუკუნისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სიმბოლო. ეს გიგანტური მონუმენტი ბრიუსელში 1958 წელს დაიდგა. ეს არის უზარმაზარი სკულპტურა, რომელიც წარმოადგენს რკინის კრისტალის მოდელს და ამავე დროს ატომური ენერგიის უსაზღვრო შესაძლებლობების ძეგლს.

ამ ლითონის კონსტრუქციას ხშირად პარიზის ეიფელის კოშკს ადარებენ. ალბათ, იმიტომ, რომ ეიფელის კოშკიც და ატომიუმიც აშენდა, როგორც დროებითი კონსტრუქციები (ეიფელის კოშკი — როგორც თაღი 1889 წლის მსოფლიო გამოფენაზე შესასვლელად, ხოლო ატომიუმი 1958 წელს — მსოფლიო გამოფენისთვის) და უნდა დაეშალათ თავიანთი ამოცანის შესრულების შემდეგ.

ამ პროექტის არქიტექტორები იყვნენ **ანდრე ვატერკეინი, ანდრე** და **მიშელ პოლაკები.**

ამ ფუტურისტული კონსტრუქციის ამოცანა იყო, ბევრი დღესაც ასე ფიქრობს, სოციალიზმის უპირატესობის დემონსტრირება კაპიტალიზმთან შედარებით. მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს, დღეს ამ გრანდიოზულ კონსტრუქციას, რომლის დაშლაც მსოფლიო გამოფენის შემდეგ ვერ გადაწყვიტეს, განიხილავენ მხოლოდ კულტურული და მხატვრული თვალსაზრისით. ატომიუმის არქიტექტურა დღესაც აოცებს დამთვალიერებლებს და ის ბელგიის ტურისტულ ღირსშესანიშნაობად ითვლება. ის შედგება 9 სფეროს, უფრო ზუსტად, ატომისგან, რომლებიც ერთმანეთთან შეერთებულია რკინის ჩარჩოთი. თითოეული ატომის დიამეტრი 18 მეტრია, ისინი ერთმანეთთან 23-მეტრიანი 20 მილითაა შეერთებული, მილებში კი დამონტაჟებულია ესკალატორები დერეფნებში დამთვალიერებელთა გადასაადგილებლად. 102-მეტრიანი კონსტრუქციის საერთო წონაა 2 400 ტონა. თავდაპირველად კონსტრუქცია დაფარული იყო ალუმინის ფენით, მაგრამ 2006 წელს, კაპიტალური რემონტისას, ფოლადის გარსი გაუკეთდა; ორგანული მინის ფანჯრები და დერეფნები შეცვალეს გამოწრთობილი მინით. კაპიტალური რემონტისას, ასევე, გამოცვალეს შემაერთებელი მილები, ესკალატორები და ლიფტი.

კონსტრუქცია გასაოცარი მხოლოდ იმით კი არ არის, რომ ლითონის უზარმაზარ კრისტალურ ჩარჩოს წარმოადგენს, არამედ იმითაც, რომ მასში, ისევე, როგორც ჩვეულებრივ შენობებში, უამრავი ხალხი ირევა. 9-დან 6 სფერო დამთვალიერებელთათვის ღიაა, ყველაზე მაღლა მდებარე ატომში კი გახსნილია რესტორანი და მოწყობილია პანორამული გადასახედები, საიდანაც ბრიუსელისა და მისი შემოგარენის განსაცვიფრებელი ხედები იშლება.

ამას გარდა, სფეროებში გახსნილია ტურისტებისთვის საინტერესო არაერთი დაწესებულება. აქ არის თემატური მუზეუმი, რომლის მუდმივი ექსპოზიცია გიამბობთ ატომურ ენერგიაზე, ამ სფეროში სხვადასხვა დროს მიღწეულ წარმატებებზე და საერთოდ, სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესზე. აქ არის კაფე, საგამოფენო და საკონცერტო დარბაზები, კინოთეატრები, სუვენირების მაღაზიები და ოთახებიც კი, რომლებშიც შეგიძლიათ დარჩეთ და დატკბეთ ღამის ქალაქის ცქერით. ბევრი სტუმრისთვის ატომიუმი გასართობი ატრაქციონია, სადაც შეუძლიათ გაატარონ მთელი დღე (და ღამეც), მაგრამ მაინც ვერ მოასწრონ ყველაფრის გაკეთება, რაც დაგეგმილი ჰქონდათ.

**გადაბრუნებული სახლის შიგნითაც ყველაფერი თავდაყირა დგას. მასში უამრავი ატრაქციონი მუშაობს. ატრაქციონებში შედის სხვადასხვა საოცრება — ქარიშხალი 65 მილი საათში სიჩქარით, მიწისძვრა 5,2 ბალი რიხტერის შკალით და სხვ.**



მეექვსე ადგილი:

## მილას სახლი, ანუ «ლა პედრერა» (ესპანეთი)

„ლა პედრერა“ (ქვის გამოქვაბული, ქვის სამტეხლო) ესპანელი არქიტექტორის **ანტონიო გაუდის** უკანასკნელი ნამუშევარია.

ბარსელონის ბურჟუაზიისთვის გაუდი აშენებდა ერთმანეთზე უჩვეულო სახლებს, რომელთაგან ყველაზე გამორჩეული, ალბათ, ეს სახლია: სივრცე, რომელიც იბადება და ვითარდება, ფართოვდება და მოძრაობს, როგორც ცოცხალი მატერია.

მილას სახლი — შენობამ ეს სახელწოდება შემკვეთის, პედრო მილოს, სურვილით მიიღო. ის ვერც კი წარმოიდგენდა, რომ მისი სახელი მსოფლიო არქიტექტურის ისტორიაში ჩაიწერებოდა. შენობის სახურავზე გაკეთებულია ტერასა. შენობა სათანადოდ შეაფასეს და იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შეიტანეს. სახლში ამჟამად გახსნილია ანტონიო გაუდის მუზეუმი.



მერვე ადგილი:

## ნაუტილუსი (მექსიკა)

გიგანტური ნიჟარა-სახლი მეხიკოში 2006 წელს აშენდა. მისი არქიტექტორია **ხავიერ სენოსიაინი.**

ახალგაზრდა ორშვილიან ოჯახს დაებადა იდეა, რომ ნაცვლად სტანდარტულისა, ეცხოვრა ორიგინალური ფორმის სახლში. ლოკოკინის ნიჟარის ფორმის სახლი ფერადი ვიტრაჟებით მართლაც უჩვეულო აგარაკია.







მეშვიდე ადგილი:

## კანზასის ბიბლიოთეკა (აშშ)

ამ ბიბლიოთეკის შენობა უნიკალურია თავისი არქიტექტურით, მდებარეობს კანზას-სიტის ცენტრში და ქალაქის მცხოვრებთა სიამაყეს წარმოადგენს. მართლაც, თავისი უჩვეულო არქიტექტურით შენობა ატყვევებს მნახველს. საინტერესოა ის, რომ თვით ბიბლიოთეკა 100 წლის წინათ გაიხსნა (1873 წელს) და სულ სხვა ადგილას მდებარეობდა. ბიბლიოთეკამ ადგილი მერეც არა ერთხელ შეიცვალა და, რაკი წიგნებისა და მკითხველების რაოდენობა იზრდებოდა, საჭირო გახდა ახალი შენობის მოძებნა.

და აი, 2000 წელს მიიღეს გადაწყვეტილება, ბიბლიოთეკისთვის გამოეყენებინათ 1904 წელს აშენებული პირველი ეროვნული ბანკის შენობა (შენობა თავისი მარმარილოს სვეტებით, ბრინჯაოს კარებითა და მდიდრულად მორთული ჩამოსხმული ფიგურებით ოსტატობის ნამდვილი შედევრი იყო), რომელიც იმხანად ცარიელი იყო. ეს არ იყო უბრალო პროექტი. მის განხორციელებაზე მუშაობა 2002 წელს დაიწყო. ყოფილი ბანკის შენობის სარემონტო თანხა საქველმოქმედო შენატანებითა და შემოწირულობებით გროვდებოდა.

ბიბლიოთეკა კვლავ 2004 წელს გაიხსნა. **2006 წელს განხორციელდა უნიკალური პროექტი — შენობის კედელი წიგნის თაროს იმიტაციას წარმოადგენდა, რომლებზეც უზარმაზარი წიგნების ყდები განლაგდა. თითოეულის სიმაღლე 7 მეტრს აღემატება, ხოლო სიგანე 2 მეტრია.** დღეს ეს თანამედროვე ბიბლიოთეკა, რომლის არსენალში 2,5 მილიონი წიგნია და 2,4-ზე მეტი მკითხველი ჰყავს წელიწადში, ქალაქის მკვიდრთა და სტუმართა თვალს ახარებს.




მეათე ადგილი:

## გადაბრუნებული სახლი (აშშ)

**ეს გადაბრუნებული სახლი (wonderworks) ფლორიდის შტატში, ორლანდოში 1998 წელს ააშენეს. ის ჩაფიქრებული იყო სამსართულიან, ტორნანდოს მიერ „წაღებულ“ და პირდაპირ ტროტუარზე თავდაყირა დაგდებულ შენობად.**

საინტერესოა, რომ სახლის შიგნითაც ყველაფერი თავდაყირა დგას. მასში უამრავი ატრაქციონი მუშაობს. ატრაქციონებში შედის სხვადასხვა საოცრება — ქარიშხალი 65 მილი საათში სიჩქარით, მიწისძვრა 5,2 ბალი რიხტერის შკალით და სხვ.





მეცხრე ადგილი:

## ჰაბიტატ 67 (კანადა)

ეს შენობა მონრეალში 1966-67 წლებში სპეციალურად აშენდა იმ დროის უდიდესი სამშენებლო გამოფენა „ექსპო-67“ —სთვის.

ეს საცხოვრებელი კომპლექსი უნიკალური პროექტია, რომელიც დღესაც ძალიან თანამედროვედ და უჩვეულოდ გამოიყურება. გასაოცარი ისაა, თუ რამდენად შორსმჭვრეტელები აღმოჩნდნენ მისი ავტორები ნახევარი საუკუნის წინათ.

კუბი წარმოადგენს ამ ნაგებობის საფუძველს. შენობის სტილი ბრუტალიზმია — კომპლექსი გამოიყურება ისე, თითქოს ბავშვმა ააშენა კუბიკებით.

სინამდვილეში განლაგება დაგეგმეს სპეციალურად, რათა გამოეყენებიათ უფრო მეტი ადგილი და თითოეულ ბინას ჰქონოდა საკუთარი ეზო, რომელიც მდებარეობდა ქვედა მეზობლის სახურავზე.

ამგვარი განლაგების საშუალებით კორპუსში უფრო კარგად აღწევდა მზის შუქი.

ეს უცნაური ნაგებობა დააპროექტა კანადელმა ებრაელმა არქიტექტორმა **მოშე საფდიმ.** 1967 წელს ჰაბიტატ-67 საერთაშორისო ექსპო-გამოფენის მთავარი აღმოჩენა გახდა. ის გამოიყენეს საპატიო სტუმრების მისაღებადაც.

ნაგებობამ დიდი როლი ითამაშა იმ დროისთვის, რამდენადაც ძალიან ბევრს სხვა კუთხით შეახედა მრავალადგილიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის საკითხზე.

საცხოვრებელი კომპლექსი წარმოადგენს 346 მოდულს. მასში განთავსებულია 146 კომფორტული ბინა. ის იმდენად პოპულარული და წარმატებული გამოდგა, რომ მათში ცხოვრება მხოლოდ მდიდრებისთვისაა ხელმისაწვდომი.

ჰაბიტატ-67 დღეს მონრეალის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობაა.





# ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



*** 1929 წლის 10 ივნისს თბილისში დაიბადა ქართველი მოქანდაკე, ფერმწერი და გრაფიკოსი, საქართველოს დამსახურებული მხატვარი, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი მერაბ ბერძენიშვილი.**

მისი ცნობილი ნამუშევრებია: „რუსთაველი“ (თაბაშირი, საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა); „რუსთაველი“ (ბრინჯაო, მოსკოვი); ვახტანგ გორგასალის ძეგლის პროექტი „დავით გურამიშვილი“; „გიორგი სააკაძე“; „მუზა“ (თბილისი); „მედეა“ (ბიჭვინთა); „კიდევაც დაიზრდებიან“ (მარნეული); ლაოსის მეფის მონუმენტი (ვიენტიანი) და სხვ.



რუბრიკა „ქრონოგრაფში“ გაეცნობით ინფორმაციას როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებსა და გამოჩენილ ადამიანებზე.

# ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები



*** 1904 წლის 14 ივნისს ვარშავაში (პოლონეთი) დაიბადა ქართველი კინომსახიობი, საბჭოთა კავშირის კინემატოგრაფის ვარსკვლავი ნატალია (ნატო) ვაჩნაძე (ქალიშვილობის გვარი ანდრონიკაშვილი) — კინორეჟისორ ნიკოლოზ შენგელაიასა და ცნობილი ქართველი კინორეჟისორების — ელდარ და გიორგი შენგელაიების დედა.**

შესრულებული აქვს როლები ფილმებში: „არსენა ყაჩაღი“ (ნენო); „მამის მკვლელი“ (ნუნუ); „სამი სიცოცხლე“ (ესმა); „ვინ არის დამნაშავე?“ (ფატი); „კრაზანა“ (ჯემა); „უკანასკნელი ჯვაროსნები“ (ციცია); „უკანასკნელი მასკარადი“ (თამარი); „ქაჯანა“ (მარტა); „აკაკის აკვანი“ (მანო) და სხვ.

დაიღუპა 1953 წლის 14 ივნისს (დაბადების დღეს) ავიაკატასტროფაში.



*** 1930 წლის 11 ივნისს თბილისში დაიბადა გამოჩენილი ქართველი პოეტი მორის ფოცხიშვილი.**

1959-1965 წლებში მუშაობდა გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნებაში“, 1979-1982 წლებში იყო ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი, 1983-1987 წლებში — გამომცემლობა „ნაკადულის“ დირექტორი.

მისი პოპულარული ლექსებია: „ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები“; „არ მიყვარდა ერთი გოგო“; „დაშვებული ფარდები“; „ლაზიერის გამბიტი“; „უკანასკნელი მეფაიტონე“; „მატარებელი წვიმაში“ და სხვ.

გარდაიცვალა 1993 წელს.

*** 1943 წლის 10 ივნისს აშშ-ში დააპატენტეს პირველი ბურთულიანი კალამი, რომლის წარმოებაც მასობრივად დაიწყო.**



ბურთულიანი კალმის გამოგონებაზე მუშაობა მე-19 საუკუნის ბოლოდან დაიწყეს. გამოგონება კი, რომელიც ჰგავს თანამედროვე ბურთულიან კალამს, ეკუთვნის უნგრელ ჟურნალისტს **ლასლო ბიროს.** მან თავისი გამოგონება მილიონ დოლარად მიჰყიდა არგენტინულ კომპანია Eversharp-ს, რომელმაც დაიწყო კიდეც ბურთულიანი კალმის წარმოება უნგრეთსა და არგენტინაში, მაგრამ, იმჟამინდელ საპატენტო სისტემაში ხარვეზების არსებობის გამო, ეს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ვერ მოახერხა — საჭირო იყო გამოგონების დაპატენტება ყველა ქვეყანაში. საბოლოოდ კი ბიროსა და Eversharp-ს ბურთულიანი კალმის იდეა მოპარეს.

1943 წლის 10 ივნისს ამერიკულმა კომივოიჟერმა **მილტონ რეინოლდსმა** მსგავსი კალამი დააპატენტა და დაიწყო მასობრივი წარმოება. ბირო შეეცადა, დაეცვა თავისი უფლება გამოგონებაზე, მაგრამ ამერიკულ სასამართლოში პროცესი წააგო.

1958 წელს ფრანგმა **მარსელ ბიკმა** გააუმჯობესა ბურთულიანი კალამი და დაიწყო ყველა იაფფასიანი მოდელის — BIC-ის გამოშვება. დღეს კომპანია BIC Corporaction-ი აშშ-ში ბურთულიანი კალმების ბაზრის მესამედს აკონტროლებს.

*** 1872 წლის 9 ივნისს ყვარელში დაიბადა თეატრისა და კინოს რეჟისორი, ქართული თეატრის ფუძემდებელი საქართველოს სახალხო არტისტი კონსტანტინე (კოტე) მარჯანიშვილი.**



დადგმული აქვს უამრავი სპექტაკლი მოსკოვის, კიევის, პეტროგრადის (სანკტ პეტერბურგის) და თბილისის თეატრებში.

გარდაიცვალა 1933 წლის 17 აპრილს.

*** 1913 წლის 14 ივნისს დაიბადა თეატრისა და კინოს მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი, გამოჩენილი ქარველი მსახიობის — სერგო ზაქარიაძის უმცროსი ძმა ბუხუტი ზაქარიაძე.**



მოღვაწეობდა თელავის, ბათუმის, სოხუმის, თბილისის კ. მარჯანიშვილისა და რუსთაველის სახელობის თეატრებში.

შესრულებული აქვს როლები ფილმებში: „მაგდანას ლურჯა“; „დათა თუთაშხია“ (დურო); „ქალაქი ანარა“; „ბებერი მეზურნეები“ (სოსანა); „ქვევრი“ (გოგია); „მამლუქი“ (მარკოზი); „ჩრდილი გზაზე“ (მამუკა); „გიორგობისთვე“ (ილო); „გათავისუფლება“ (სტალინი) და სხვ.

გარდაიცვალა 1988 წლის 12 თებერვალს.

*** 1928 წლის 14 ივნისს როსარიოში (არგენტინა) დაიბადა ლათინური ამერიკის გამოჩენილი რევოლუციონერი, 1959 წლის კუბის რევოლუციის კომანდანტე და კუბის სახელმწიფო მოღვაწე ერნესტო ჩე გევარა (ერნესტო რაფაელ გევარა დე ლა სერნა).**



ლათინური ამერიკის გარდა, მოქმედებდა კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში.

აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ხელშეწყობით ტყვედ აიყვანეს და დახვრიტეს ბოლივიაში 1967 წლის 9 ოქტომბერს.



*** 1869 წლის 8 ივნისს ამერიკელმა გამომგონებელმა აივზ მაკგაფნიმ დააპატენტა მსოფლიოში პირველი მტვერსასრუტი სახელწოდებით Whirlwind.**

ამის შემდეგ მაკგაფნიმ ბოსტონში დააარსა თავისი კომპანია და დაიწყო მტვერსასრუტების გაყიდვა 25 დოლარად.

*** 1824 წლის 8 ივნისს კვებეკელმა (კანადა) გამომგონებელმა ნოა კაშინგმა დააპატენტა პირველი სარეცხი მანქანა.**



*** 1810 წლის 8 ივნისს ცვიკაუში (გერმანია) დაიბადა გერმანელი კომპოზიტორი, პედაგოგი და კრიტიკოსი, რომანტიზმის ეპოქის ერთ-ერთი წარმომადგენელი რობერტ შუმანი.**



ავტორია 4 სიმფონიის, უვერტიურების, საფორტეპიანო კონცერტებისა და უამრავი კამერული საინსტრუმენტო და ვოკალური ნაწარმოებისა.

გარდაიცვალა 1856 წლის 29 ივლისს.



*** 1811 წლის 14 ივნისს ლიჩფილდში (კონექტიკუტი, აშშ) დაიბადა ამერიკელი მწერალი ქალი, პოპულარული რომანის — „ბიძია თომას ქოხის“ ავტორი ჰარიეტ ელიზაბეტ ბიჩერ-სტოუ.**

მის კალამს ეკუთვნის, აგრეთვე, ნაწარმოებები: „კუნძულ ოხის მარგალიტი“; „ლედი ბაირონის გამართლება“; „თეთრ-წითელი ტირანია“; „ჩემი ცოლი და მე“ და სხვ.

გარდაიცვალა 1896 წლის 1 ივლისს.

*** 1910 წლის 11 ივნისს სენ-ანდრე-დე-კიუბზაკში (ბორდო, საფრანგეთი) დაიბადა მსოფლიოს ოკეანის მკვლევარი, ფოტოგრაფი, რეჟისორი, გამომცემელი, მრავალი წიგნისა და ფილმის შემქმნელი ჟაკ-ივ კუსტო.**



1943 წელს ემილ განიანთან ერთად გამოიგონა აკვალანგი.

გარდაიცვალა 1997 წლის 25 ივნისს.

*** 70 წლის წინათ, 1946 წლის 8 ივნისს, ანტიჰიტლერული კოალიციის 21 ქვეყნის წარმომადგენლებმა დააარსეს ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაცია.**



მისი მთავარი ამოცანებია მშვიდობის შენარჩუნება, საერთაშორისო მეგობრობის განმტკიცება და თანამშრომლობა საზოგადოებრიობისთვის თავისუფალი, პატიოსანი და მართალი ინფორმაციის მიწოდების გზით; ომის, ფაშიზმის, ეროვნული და რასობრივი დისკრიმინაციისა და კონფლიქტების პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლა; სიტყვის თავისუფლებისა და ჟურნალისტთა უფლებების დაცვა.

ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა კონგრესი, რომელსაც იწვევენ 5 წელიწადში ერთხელ. მიმდინარე სამუშაოებს ასრულებს გენერალური სამდივნო, რომლის ოფისიც პრაღაში (ჩეხეთი) მდებარეობს. ამ ორგანიზაციის ინიციატივით ჟურნალისტებისთვის დაწესებულია 1943 წელს ჰიტლერელთა ხელით დაღუპული ჩეხი ჟურნალისტის — **იულიუს ფუჩიკის** სახელობის საერთაშორისო პრემია და საპატიო მედალი.

ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის ინიციატივით, 8 სექტემბერს (იულიუს ფუჩიკის დაღუპვის დღეს) აღინიშნება ჟურნალისტთა საერთაშორისო დღე.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

**რთული პერიოდია. გადაწყვეტილებების მიღებისას ყველა დეტალი უნდა გააანალიზოთ. წარმატებას მიაღწევენ კირჩხიბისა და სასწორის ნიშნით დაბადებულები.**

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**8 - 14 ივნისის ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი
**21 მარტი — 20 აპრილი**

თუ სამსახურის შეცვლაზე ფიქრობთ, ეს კარგი პერიოდია — თქვენს პროფესიონალიზმს დააფასებენ და ისეთ სამუშაო პირობებს შემოგთავაზებენ, რომ უარს ვერ იტყვით.

დაუფიქრებელი საქციელის გამო, შესაძლოა, თავიდან ვერ აიცილოთ კონფლიქტი ოჯახში, ამიტომ ძალიან გაგიჭირდებათ ძველი ურთიერთობების აღდგენა, ყოველ შემთხვევაში ახლო პერიოდში მაინც. აღიჭურვეთ მოთმინებით და გამწვავებული ურთიერთობების მოგვარება რამდენიმე თვით გადადეთ.

შეეცადეთ, თავი აარიდოთ სტრესულ სიტუაციებს და მეტად დაიტვირთოთ ფიზიკურად.

**დადებითი დღე: 9 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 12 ივნისი.**

## კურო
**21 აპრილი — 21 მაისი**

მოგიწევთ ბევრი შრომა. შესაძლოა, გაგიმწვავდეთ ურთიერთობა კოლეგებთან ან ბიზნესპარტნიორებთან. მკვეთრი განცხადებები არაფერს მოგიტანთ, ნერვიულობის გარდა, მაგრამ უნდა დაფიქრდეთ, ღირს კი ურთიერთობების გაგრძელება იმ ადამიანებთან, რომლებსაც თქვენი არ სჯერათ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიულად წარიმართება — რთულ სიტუაციებში მხარში ამოგიდგებათ და პრობლემების მოგვარებას სწორედ მისი დახმარებით შეძლებთ.

დიდია კუჭ-ნაწლავთა სისტემის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. გულმოდგინედ შეამოწმეთ პროდუქტის ხარისხი და მოხმარების ვადა.

**დადებითი დღე: 10 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 12 ივნისი.**

## ტყუპი
**22 მაისი—21 ივნისი**

ამ პერიოდში არ ღირს ახალი საქმის დაწყება. სჯობს, ძალისხმევა უკვე დაწყებული საქმეების დასრულებისკენ მიმართოთ. 11 ივნისის შემდეგ სიტუაცია კარდინალურად შეიცვლება და შეიძლება შამოგთავაზონ ისეთ პროექტში მონაწილეობა, რომელიც თქვენს ფინანსურ მდგომარეობას საგრძნობლად გააუმჯობესებს.

დაქორწინებულ ტყუპებს შეიძლება ურთიერთობა დაეძაბოთ საყვარელ ადამიანთან. უთანხმოების მოგვარებას გულწრფელი დიალოგით შეძლებთ.

ამ პერიოდში თქვენი სუსტი წერტილი შეიძლება იყოს ყელი, ამიტომ შეეცადეთ, უარი თქვათ ცივ სასმელებსა და ნაყინზე.

**დადებითი დღე: 10 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 14 ივნისი.**

## კირჩხიბი
**22 ივნისი—22 ივლისი**

მოგეცემათ შემოქმედებითი პოტენციალის სრულად გამოვლენის შანსი და შეძლებთ წარმატების მიღწევას კარიერაში. შესაძლოა, გაიცნოთ გავლენიანი ადამიანი, რომელიც შემოგთავაზებთ ახალ პროექტში მონაწილეობას, რაც დიდ ფინანსურ მოგებას მოგიტანთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიულად წარიმართება, თუ დააკმაყოფილებთ მის მოთხოვნას — უფრო მეტი დრო გაატაროთ ერთად. შეეცადეთ, მეტი მზრუნველობა გამოიჩინოთ ოჯახის უფროსი წევრების მიმართ.

კირჩხიბები, რომლებსაც ღვიძლის ქრონიკული დაავადება აწუხებთ, აუცილებლად უნდა გაესინჯონ ექიმს და ჩაიტარონ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 8 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 12 ივნისი.**

## ლომი
**23 ივლისი —22 აგვისტო**

მოგიწევთ წარსულში დაშვებული შეცდომების გამოსწორება. შეეგუეთ იმას, რომ კოლეგებმა და ნათესავებმა შეიძლება გაგაკრიტიკონ, წინააღმდეგ შემთხვევაში ურთიერთობებს გააფუჭებთ. დიდია ფულის დაკარგვის ალბათობა. ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ეძებეთ შემოსავლის დამატებითი წყაროები.

თუ საყვარელ ადამიანთან უთანხმოება გაქვთ, ახლა არ ღირს ურთიერთობის გარკვევა, რადგან თავიდან ვერ აიცილებთ კონფლიქტს, რომელიც არასასურველ შედეგებს მოგიტანთ.

თავი აარიდეთ სტრესულ სიტუაციებს და შეეცადეთ, მეტი დრო დაუთმოთ დასვენებას. მაღალია ფეხის ტრავმირების ალბათობა.

**დადებითი დღე: 9 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 14 ივნისი.**

## ქალწული
**23 აგვ. —23 სექტემბ.**

მოგეცემათ ლიდერის თვისებებისა და შემოქმედებითი უნარების გამოვლენის საშუალება. თქვენს თვალსაზრისს შეიძლება ბევრი არ დაეთანხმოს, მაგრამ საკამათო საკითხები თქვენ სასარგებლოდ გადაწყდება.

მოთოკეთ ამბიციები და მოთმინებით მოეკიდეთ გარშემო მყოფთა სისუსტეებს. კამათი და კრიტიკა გამოიწვევს კონფლიქტს არასასურველი შედეგებით.

დაოჯახებული ქალწულებისთვის სასიკეთო პერიოდია საყოფაცხოვრებო პრობლემების მოსაგვარებლად — საცხოვრებლის ინტერიერის შესაცვლელად ან ავეჯის შესაძენად.

მეტად დაიტვირთეთ ფიზიკურად. ნუ იფიქრებთ, რომ დივანზე წამოწოლა და ტელეგადაცემების ყურება საუკეთესო დასვენებაა. უმოძრაობამ შეიძლება გაგიმწვავოთ ჯანმრთელობის პრობლემები.

**დადებითი დღე: 10 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 14 ივნისი.**

## სასწორი
**24 სექტ. — 23 ოქტ.**

საუკეთესო უნარების გამოვლენითა და მუხლჩაუხრელი შრომით შეძლებთ ყველა პრობლემის მოგვარებას, რომლებიც ხელს გიშლიდათ დაწყებული საქმის დასრულებაში. ნუ იტყვით უარს კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების გავლაზე, რადგან ეს კარიერის კიბეზე აღმასვლაში დაგეხმარებათ.

მიუხედავად იმისა, რომ დაძაბული სამუშაო რეჟიმის გამო დრო ცოტა დაგრჩებათ საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისთვის, მის მხარდაჭერას ყველა რთულ მომენტში მიიღებთ.

თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა პირდაპირ იქნება დამოკიდებული ფიზიკურ და გონებრივ დატვირთვაზე. შეეცადეთ, დრო სწორად გაანაწილოთ მუშაობასა და დასვენებას შორის.

**დადებითი დღე: 9 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 12 ივნისი.**

## მორიელი
**24 ოქტ. — 22 ნოემბ.**

რთული პერიოდია. გარშემომყოფებთან უმნიშვნელო საკითხზე კამათმა შესაძლოა კონფლიქტი გამოიწვიოს. შეეცადეთ, თავი აარიდოთ კოლეგებისა და ახლობლების კრიტიკას და საქმე ხარისხიანად აკეთოთ.

ფული ეკონომიურად ხარჯეთ — მოსალოდნელია გაუთვალისწინებელი დანახარჯები.

მარტოხელა მორიელები გაიცნობენ საწინააღმდეგო სქესის მომხიბვლელ წარმომადგენელს, რომელთანაც ურთიერთობის გაღრმავებას მოიწადინებენ. დაქორწინებულებს კი მოუწევთ ახლო ნათესავების პრობლემების მოგვარებაში მონაწილეობა.

ფიზიკური კონდიციების გასაუმჯობესებლად დაკავდით სპორტის რომელიმე სახეობით, მაგრამ დიდ დატვირთვებს თავი აარიდეთ, რადგან დიდია ტრავმირების ალბათობა.

**დადებითი დღე: 9 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 11 ივნისი.**

## მშვილდოსანი
**23 ნოემ. — 21 დეკ.**

სამუშაო გულმოდგინედ და ყურადღებით შეასრულეთ, რადგან თითქოს უმნიშვნელო შეცდომამ შეიძლება ყველა დამსახურება გააქარწყლოს.

ამ პერიოდის მიწურულს გაგიჩნდებათ დიდი ხნის წინათ ჩაფიქრებული პროექტის განხორციელების შანსი. გადაწყვეტილებების მიღების წინ რჩევა გამოცდილ ადამიანებს დაეკითხეთ. მარტოხელა მშვილდოსნებს მიეცემათ საწინააღმდეგო სქესის მომხიბვლელი წარმომადგენლის გაცნობის შესაძლებლობა, რომელიც ხელიდან არ უნდა გაუშვან, რადგან ახალგაცნობილი პიროვნება, არ არის გამორიცხული, მათი ცხოვრების მეგზური გახდეს. ჭარბწონიანმა მშვილდოსნებმა, დროა, წონის შემცირებაზე დაიწყონ ზრუნვა. ამისთვის კი, პირველ რიგში, კვების რეჟიმი უნდა დაიცვან და ფიზიკურად დაიტვირთონ.

**დადებითი დღე: 8 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 12 ივნისი.**

## თხის რქა
**22 დეკემ. — 20 იან.**

საკუთარ ძალებში რწმენითა და თვითდაჯერებული მოქმედებით დასახული მიზნის მიღწევას შეძლებთ. ამოცანების გადაწყვეტისას შეეცადეთ, პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი ნიუანსები შეამჩნიოთ და გაითვალისწინოთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიულად წარიმართება, მაგრამ მეტი ყურადღება გმართებთ ოჯახის უმცროსი წევრების მიმართ. მათ ძალიან დასჭირდებათ თქვენი მზრუნველობა.

მარტოხელა თხის რქებმა კი, ბოლოს და ბოლოს, უნდა გაბედონ და თავიანთ გრძნობებში გამოუტყდნენ ადამიანს, რომლის მიმართაც, დიდი ხანია, სიმპათია გაუჩნდათ.

გაესინჯეთ სტომატოლოგს, რათა დარწმუნებული იყოთ თქვენი კბილების კარგ მდგომარეობაში.

**დადებითი დღე: 10 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 14 ივნისი.**

## მერწყული
**21 იან. — 19 თებ.**

ისეთი შეცდომა რომ არ დაუშვათ, რომელიც თქვენს კარიერაზე უარყოფით გავლენას იქონიებს, შეადგინეთ სამუშაო გრაფიკი და მკაცრად დაიცავით ის. შეეცადეთ, არ ინერვიულოთ წვრილმანების გამო და ნელ-ნელა, მეთოდურად იაროთ დასახული მიზნებისკენ.

საყვარელი ადამიანისთვის მეტისმეტი მოთხოვნების წაყენება კონფლიქტს გამოიწვევს, რომელშიც შეიძლება ნათესავებიც ჩაერიონ. მოთოკეთ ემოციები და გახსოვდეთ, რომ უთანხმოების მოგვარება დიპლომატიური მეთოდებით სჯობს.

დიდია ტრავმირების ალბათობა. მოერიდეთ ალკოჰოლურ სასმელს და ფრთხილად მართეთ ავტომობილი.

**დადებითი დღე: 13 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 9 ივნისი.**

## თევზები
**20 თებ. — 20 მარტი**

საუკეთესო პერიოდია ახალი პროექტების დასაწყებად ან სამუშაო ადგილის შესაცვლელად. ყველა პრობლემა დამოუკიდებლად და არასტანდარტული მეთოდებით მოაგვარეთ.

ფული ეკონომიურად ხარჯეთ, რადგან, თქვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, გამორიცხული არ არის ფინანსური დანაკარგები. მარტოხელა თევზებს ელით რომანტიკული თავგადასავალი, რომელიც შეიძლება ქორწინებით დაგვირგვინდეს.

დიდია ენდოკრინული სისტემის ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა. ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 8 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 11 ივნისი.**

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**



# ევროკომისია ლიტვისგან უცხოელებისთვის მიწის მიყიდვის პირობების გამარტივებას ითხოვს

**ევროკომისია ლიტვის ხელისუფლებისგან ითხოვს, გაამარტივოს უცხოელებისთვის მიწის მიყიდვის პირობები, რომლებიც დღეს ისეთია, რომ არღვევს ქვეყანაში კაპიტალის თავისუფალ მოძრაობას.**

23 მაისს ევროკომისიამ ლიტვას წარუდგინა დასაბუთებული თვალსაზრისი და სთხოვა, შეიტანოს ცვლილებები მიწის შეძენის სამართლებრივ აქტებში, რომელთა მეშვეობითაც 2014 წელს გამკაცრდა უცხოელებისთვის მიწის მიყიდვის პირობები, — წერს BaltNews.lt.

ლიტვამ ორი თვის განმავლობაში უნდა შეუსაბამოს თავისი სამართლებრივი აქტები ევროკომისიის სამართლებრივ ნორმებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ევროკომისია ევროპის სასამართლოს მიმართავს.

„ევროკომისიის აზრით, ახალი ნაციონალური წესების ზოგიერთი დებულება ზღუდავს კაპიტალის მოძრაობას, ამან კი შეიძლება დააფრთხოს სახელმწიფოთაშორისი ინვესტიციები“, — ნათქვამია ევროკომისიის მიერ მომზადებულ დასკვნაში.

ლიტვის სოფლის მეურნეობის მინისტრმა **ვირგინია ბალტრაიტენემ** აღნიშნა, რომ ლიტვა ვალდებულია, დაემორჩილოს ბრიუსელის მითითებას, მაგრამ მიწის გაყიდვის ამჟამინდელი წესი მინიმალურად უნდა შეიცვალოს, რათა ფერმერები არ დაზარალდნენ.

თავის მხრივ, ევროკომისია მიუთითებს, რომ ამჟამად ლიტვაში ძალიან მკაცრი მოთხოვნებია მიწის მყიდველის მიმართ. ეს მოთხოვნები მყიდველს ავალდებულებს, იყოს ფერმერი. ვირგინია ბალტრაიტენე კი ამბობს, რომ უცხოურმა კომპანიამ, რომელსაც 10 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენა სურს, შემოსავლების 50% სწორედ სასოფლო-სამეურნეო სფეროში მუშაობით უნდა მიიღოს.

უფრო ადრე ლიტველმა ფერმერებმა ქვეყნის მთავრობა და პირადად სოფლის მეურნეობის მინისტრი ვირგინია ბალტრაიტენე სასოფლო სამეურნეო სექტორისა და მერძეეობის დარგის დანერგვაში დაადანაშაულეს.




# «ისლამოფობინი» — მუსლიმთა სიძულვილის საწინააღმდეგო «წამალი»

**აშშ-ში დაამზადეს უნიკალური „წამალი“, რომელიც ამერიკელებს ქვეყანაში მზარდ ისლამოფობიურ განწყობასთან გამკლავებაში დაეხმარება.**

ამერიკულ-ისლამური ურთიერთობის საბჭომ, მუსლიმთა უფლებების დამცველმა ყველაზე დიდმა ჯგუფმა აშშ-ში, გადაიღო ვიდეორგოლი, რომელშიც ნაჩვენებია რამდენიმე სიტუაცია, როდესაც ამერიკელები უარს ამბობენ მუსლიმების მიერ შეთავაზებულ დახმარებაზე და, საერთოდ, ურთიერთობაზე. ამერიკის მოქალაქეები, როგორც კი დაინახავენ სხვა ეროვნებისა და სარწმუნოების წარმომადგენელს, გონებაში მათ მყისვე ტერორისტებად აღიქვამენ.

**„პრეპარატის“ მწარმოებლები ყველას არწმუნებენ, რომ „ისლამოფობინის“ მოხმარება სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლების მშვიდობიან ურთიერთობას შეუწყობს ხელს. „პრეპარატის“ თანმდევ მოვლენებში მითითებულია, რომ ადამიანს შეიძლება გაუჩნდეს თბილი გრძნობები „მუსლიმების, მიგრანტებისა და ლტოლვილების“ მიმართ, ალერგია კი — „ანტიმუსლიმური ფანატიზმის“ წახალისების შემჩნევისას.**

ვიდეორგოლის ბოლოს ავტორები ისლამოფობიის საწინააღმდეგო საშუალების ფასზე ხუმრობით საუბრობენ; ამბობენ, რომ „წამალი“ 2 დოლარი ღირს.

# «სოთბის» აუქციონზე ნიკო ფიროსმანისა და ლადო გუდიაშვილის ნახატები გაიყიდა

## ფიროსმანის ტილო «შველი წყლის პირას» ბიძინა ივანიშვილმა შეიძინა



**ლონდონის „სოთბის“ აუქციონზე ნიკო ფიროსმანის ნახატი „შველი წყლის პირას“ 629 000 გირვანქა სტერლინგად, ლადო გუდიაშვილის „ჩვენი ნიკო“ (ნიკო ფიროსმანის პორტრეტი) კი — 75 000 გირვანქა სტერლინგად გაიყიდა.**

ნიკო ფიროსმანის ტილო „შველი წყლის პირას“ ბიძინა ივანიშვილმა შეიძინა.

აღსანიშნავია, რომ ქართველი მხატვრების ნამუშევრები „სოთბის“ აუქციონზე რუსული ხელოვნების ნიმუშების სექციაში იყო წარმოდგენილი.



# ზურაბ აბაშიძე: რუსეთმა ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებული საქართველოს კიდევ სამი მოქალაქე გაათავისუფლა

**საქართველოს პრემიერმინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში — ზურაბ აბაშიძემ განაცხადა, რომ რუსულმა მხარემ ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებული საქართველოს კიდევ 3 მოქალაქე გაათავისუფლა. მისივე თქმით, პრაღაში, ქართულ-რუსული დიალოგის ფარგლებში, სხვა საკითხებთან ერთად განიხილება საქართველოს იმ მოქალაქეების გათავისუფლების საკითხი, რომლებიც რუსეთში იხდიან მრავალწლიან სასჯელს ჯაშუშობის ბრალდებით.**

„2014 წელს ჩვენ გავათავისუფლეთ ჩვენი 3 მოქალაქე. რამდენიმე დღის წინათ რუსეთის მხარემ დამატებით კიდევ ჩვენი 3 მოქალაქე გაათავისუფლა, რომლებიც უკვე დაუბრუნდნენ ოჯახებს. ამაში მონაწილეობა მიიღეს ჩვენმა საგარეო საქმეთა სამინისტრომ, შესაბამისმა უწყებებმა და, ალბათ, ივნისში კიდევ ერთი ჩვენი მოქალქე, რომელიც რიგით მეშვიდე იქნება, გათავისუფლდება. იმედი გვაქვს, რომ ეს თემა ახლო მომავალში საერთოდ დაიხურება“, — განაცხადა აბაშიძემ.

# გერმანელ ქალებზე მიგრანტების ძალადობის ახალი შემთხვევები

**31 მაისს გერმანიის პოლიციას 20-ზე მეტმა ქალმა მიმართა დარმშტადში გამართული მუსიკალური ფესტივალის მიმდინარეობისას მათზე სექსუალური ძალადობის გამო. სამი ეჭვმიტანილი პაკისტანელი მიგრანტი უკვე დაკავებულია. 6 თვის წინათ, შობა-ახალი წლის დღეებში, ანალოგიური ინციდენტი მოხდა კელნშიც.**

**„ჩვენ მოგვმართეს ქალებმა, რომლებზეც იძალადა მამაკაცების ჯგუფმა. დავაკავეთ სამი ეჭვმიტანილი. დაზარალებულები ამტკიცებენ, რომ მათ თავს ჯგუფურად ესხმოდა ათამდე მამაკაცი“,** — განაცხადა ქალაქ დარმშტადის პოლიციის წარმომადგენელმა ფერდინანდ დერიგსმა და დასძინა: **„ჩვენთან მსგავსი ინციდენტი არასოდეს მომხდარა, ამიტომ არ ვიყავით მზად“.**

კელნში ახალი წლის ღამეს ინციდენტის შემდეგ, როდესაც მიგრანტებმა ასზე მეტ ქალზე იძალადეს, უცხოელთა მხრიდან ძალადობა მწვავე თემა აღარ არის გერმანელი საზოგადოებისთვის, მაგრამ ახლა ახალი ძალით იფეთქა მიგრანტებისადმი უნდობლობამ, მათ მიმართაც კი, ვისაც დანაშაული არ ჩაუდენია.




## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

## იური ბურდილაძის ფიტოთერაპიული კაბინეტი

ცნობილი ქართველი ექიმი (პედიატრი — ნევროპათოლოგი — ფიტოთერაპევტი) ეკოლოგიურად სუფთა მცენარეებით მოარჩენს ბავშვის ყველა სახის ხველას, გაციებით გამოწვეულ ასთმას, ალერგიულ ასთმას ყველა ასაკში, უნებლიე შარდვას ყველა ასაკში, არასპეციფიკურ წყლულოვან კოლიტს — ნეფრიტს, გლომერულო ნეფრიტს, ქრ. ბუასილს, კუჭისა და 12 გოჯა ნაწლავის წყლულს, კოკს-ართროზს, ქრ. ქოლეცისტიტს, ბე-ჰეპატიტს, პროსტატიტს, ადენომას, შარდის ბუშტის ანთებას, საკვერცხის კისტას — კისტომას, ჰაიმორიტს, მოტეხილობის ყველა ფორმას, ქრ. ტუბერკულოზს, ყურებში შუილსა და ხმაურს.

**ტელ.: 551-10-59-74 — იური ბურდილაძე,**
**მისამართი: ივერთუბანი (ლოტკინზე)**
**თამარ და აკაკი პაპავების ქუჩა №3**
**(დედათა და ბავშვთა მონასტერი)**

ესტუმრეთ ჩვენს საიტს

პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.

მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6

ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894